

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

7 სექტემბერი 2012 №18(174)

უცნობი სელინჯერი

დაუვინყარი სამი წამი

დალილა ბეფიანიძის ლექსები

ლია მოლარიშვილის ნოველები

მაია ჯალიაშვილი გრიგოლ რობაქიძეზე

რობერტ სტურუას „ნადირობის სეზონი“

ფიშერ ეიმსი და დემოკრატიის საფრთხე


მზე — უმძლეთა მძლეთამძლე

ფოლკნერი ხსნის ყველაფერს

ორი ამბავი ვაჟა-ფშაველაზე

ჯეკი ქეის ნოველა

უამის მეტაფორა



<b>კლასიკური ხელვიფრენგა</b>	<b>2</b>	მაია ჯალიაშვილი სიტყვიერი გოთიკა (გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტები“)
<b>ესარეს-ჩრივისა</b>	<b>5</b>	ზურა ბერიკაშვილი „გიგარდეს მოყვასი შენი!“ (მოამზადა ნინო ჩხიცელიშვილმა)
<b>აროზა</b>	<b>6</b>	ლია მოლარიშვილი როი ნოველა
<b>არაზა</b>	<b>14</b>	დალილა ბედიანიძე მონალისა და სევა ლექსეპი
<b>წარსული მომავლისათვის</b>	<b>18</b>	პატა ჩხეიძე ფიშერ ეიმსი და დემოკრატიის საფრთხე
<b>ზერისეგი არატრატისათვის</b>	<b>20</b>	მალკოლმ ჯოუნსი ფოლკერი სენის ყველაფერს
<b>უცხოეთის ცხოვრებისაგან</b>	<b>22</b>	სარა ბოლი სელიჯერი, ისათი, როგორიც არასოდეს გინახავთ
<b>თეატრალური სიახლეები</b>	<b>23</b>	გიორგი ყაჯრიშვილი მომავალ ნადირობის სეზონები ტკილ ძილს გისურვებთ!
		(რობერტ სტურუას სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“)
<b>ქიბება</b>	<b>28</b>	ნინო ჯაველიძე მზე — უმძლეთა მძლეობა მძლე
<b>აონესი</b>	<b>34</b>	ნინო დარბაისელი QUI PRO QUO
<b>ფეხები და ტლები</b>	<b>39</b>	როსტომ ჩხეიძე გადამცვარი მზე (უშანგი ჩხეიძის ბიოგრაფიული ნატეხები)
<b>გამოხაურება</b>	<b>48</b>	ნოდარ ებრალიძე ქორს რას ვერჩით?!
<b>მოგორებათა სკივრი</b>	<b>49</b>	გიორგი ხახიაური როი ამბავი ვაჟა-ფშაველაზე
<b>კრიტიკა</b>	<b>50</b>	ნანა კუცია შამის მიუაფორა (ზორად კვარაცხელია, „ხარი ხანისთვის“)
	<b>52</b>	ნინო ვახანია ფერისცვალება („შეკვეთილი წირვის“ ექმ)
<b>საორგო</b>	<b>54</b>	დავით ჭელიძე დაუცილებარი სამი ნამი
		(ეს იყო 40 წინათ)
<b>უცხოეთი ლევალა</b>	<b>58</b>	ჯეკი ქეი ჩემი ქალიშვილი მალია
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	შეთა მრჩეველთა, ცრუდ მაკვლეველთა

ორკვირეული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინშვილის №41  
რედაქცია – (995 322) 96\_20\_62  
რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
გავრცელება – (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 322) 96\_20\_62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი  
სტილისტ-ეკრექტორი – ნინო დევანონიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელების სამსახური – ლევან კიკაძე

გარეკანზე: უშანგი ჩხეიძე (1950)

ფშავის ჭალა, ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 21 სექტემბერს



მაია ჯალიაშვილი

## სიტყვის გოთიკა

□

### გრიგოლ რობაძის „პორტრეტები“

**УМОМ РОССИЮ НЕ ПОНЯТЬ,  
АРШИНОМ ОБЩИМ НЕ ИЗМЕРИТЬ:  
У НЕЙ ОСОБЕННАЯ СТАТЬ —  
В РОССИЮ МОЖНО ТОЛЬКО ВЕРИТЬ.**

ფიოდორ ტიუტჩევის ცნობილ ოთხსტრიქონიან დექსში შესანიშნავად წარმოჩნდება რუსეთის, როგორც ირაციონალური ფენომენის არსი. სწორედ ამ ფენომენის შეცნობას ცდილობდა გრიგოლ რობაძის რუს მწერალთა პორტრეტებით, რომლებიც მან რუსულ ენაზე 1919 წელს გამოაქვეყნა. მწერალი ჩვეული არტისტულობითა და ექსპრესიულობით, მოულოდნელი და შთამბეჭდავი რაკურსით ხატავს პეტრე ჩაადაევის, მიხეილ ლერმონთოვის, ვასილი როზანოვის, ანდრე ბელის სახეებს. ეს არის მათი ნააზრევის, შემოქმედების პრიზმაში გარდატეხილი პორტრეტები. გრიგოლ რობაძის არაურთი წერილი აქვს, რომლებშიც რუსული ერის რაობის, რუსეთის კულტურის თავისებურებებს წარმოაჩენს. ამ პორტრეტებშიც ჩანს სწრაფვა ირეალურსა თუ რეალურ დრო-სივრცეში განვირილი „ჩრდილოეთის სფინქსის“ საიდუმლოს მოხელთების ნადილი.

გამომცემლობა „არტაზუჯმა“ გამოსცა გრიგოლ რობაძის „პორტრეტების“ ეს კრებული, რომელიც რუსულიდან ჩინებულად თარგმნა მანანა კვატაიამ. მას გრიგოლ რობაძის გერმანულ ენაზე დაწერილი სხვა წერილებიც აქვს ნათარგმნი. ალასანიშნავია, რომ მთარგმნელს გათავისებული აქვს რობაძისეული საკმაოდ რთული და მანერული სტილი.

„ჩანვდე პოეტის საიდუმლოს — ნიშნავს იპოვო მისი შემოქმედებითი სულის ინდივიდუალური რიტმი“, — წერს გრიგოლ რობაძის და სწორედ ამ რიტმს პოულობს, როცა შემოქმედთა პორტრეტებს ქმნის. პორტრეტის ხატვას განსხვავებული ოსტატობა სჭირდება — ასეა ფერწერაში და ასეა ლიტერატურაში. ერთია, ზედმინებით აღნერო ცალკეული ნაკვთი, ხაზი ზუსტად გაავლო, ფერი და სიტყვა შეარჩიო, და მეორეა — გამოკვეთო სული, რომელიც ფერისა და ხაზის, სიტყვის მიღმაა.

გრიგოლ რობაძის მიერ შექმნილ პორტრეტებში სწორედ ეს ჩანს: მოუხელთებლის, „ასტრალური სხეუ-

ლის“, წარმოჩენის ხელოვნება. პირველი პორტრეტი პეტრე ჩაადაევისაა. გრიგოლ რობაძის ერთიანობაში ხატავს მის სულიერ-ხორციელ სახეს, თუ როგორ ირეპლება მის „გრძელეულ გამონათქვამებში“, უზარმაზარი მეტეორის ნამსხვრევებს რომ ჰგავს, მისი ნამდვილი მის-წრაფებანი, მისი „მონუმენტური კონცეფცია“, რომელმაც რუსული აზროვნება განსაზღვრა.

ჩაადაევის ნააზრების ცენტრალურ იდეას რობაძის ასე აყალიბებს — ცხოვრება ღმერთში: „ის არაფერს იწყებს ისე, რომ არ ჩახედოს სახარებას, რათა წინასწარ გაიგოს, როგორ მოიქცეს“. სწორედ აქ ხედავს მწერალი ჩაადაევის ფენომენის რაობას, იგი „ადამიანურის“ სფეროში ყველაფერს დემონურად ემიჯვნებოდა, რათა „ლვთაებრივის წიაღში ლალად, მსხვერპლივით სრულქმნილიყო“.

რობაძის უღლმავდება მის „ფილოსოფიურ წერილებს“ და მის სტილს გოთიკურს უწოდებს და ეჭვი შეაქვს მის რუსობაში, თუმცა ამგვარ არარუსულ თვისებებს ხედავს პეტრესა და პუშკინშიც. პეტრე მისთვის არის „ნებისყოფიანი აქტი“, რუსი ხალხი კი მხოლოდ „განჭვრეტა“, პუშკინი — „მზიური გენის მწყობრი რიგი“, რუსი ხალხი კი — „მშობლიური ქაოსის“ ერთი ნაბახუსევი უსაზღვროება“.

ჩაადაევის ნანერებში წარმოჩნდა „რუსეთის პრობლემა“, რაობა რუსი ერისა, რომელიც ქაოსისკენ იყო მიდრეკილი: „ჩვენში არ არსებობს წარსული ჩვენივე დამკვიდრებისთვის... ჩვენში არ არის ისტორია“. პეტრეს გმირობას კი ჩაადაევი „შეშლილის აპოლოგიაში“ ასე ხსნის: „მან სახლში მხოლოდ თეთრი ფურცელი იპოვა და თავისი მძღავრი ხელით დააწერა სიტყვები: „ევროპა და დასავლეთი“. ეს წერილი ხელმოუწერლად გამოქვეყნდა და „გამაოგნებელი შთაბეჭდილება“ მოახდინა. ნიკოლოზ პირველის ბრძანებით, ჩაადაევი მოძებნეს, შეშლილად გამოაცხადეს და სამედიცინო-პოლიციური მეთვალყურეობა დაუნაშნეს“.

რობაძის დაასკვნის, რომ მან პირველმა ძირფესვიანად გაიაზრა რაღაც დასაბამიერი ქაოსი რუსულ სულში. ეს აზრი კი გაღრმავდა დოსტოევსისა და ანდრე ბელის შემოქმედებაში: „ჩაადაევი რუსეთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი გახლდათ: შეხედეთ რუსეთის თანამედროვეობას, მის უგუნურებას და უმაღვე ჩაადაევი გაგახსენდებათ რუსული ქაოსის მისეული კონცეფციით“.


ლერმონტოვის სულის ლაბირინთში შეღწევას ცდილობს რობაძის და აღწევს კიდეც მიზანს წერილში „ლერმონტოვის ნიღაბი“. იგი წარმოაჩენს პოეტის გაორებულობას და ხაზს უსვამს, რომ მისი ბუნება აიხსნებოდა არა მხოლოდ გენიოსისთვის დამახასიათებელი „წინააღმდეგობათა სირთულით“, არამედ „პარმონიული სირთულითაც“. დემონური და ანგელოზური ერთდროულად იყო შერწყმული მის ბუნებაში — ასე ახასიათებენ თანამედროვენი პოეტს. ვლ. სოლოვიოვის ბუნებაში ხედავდა დემონიზმს — „დამახიჯებულ ზეადამიანობას“. რობაძის მოსწონს ვლ. სოლოვიოვის გამბედაობა, მაგრამ ფიქრობს, რომ მან მხოლოდ ერთი კუთხით მოიხელთა პოეტის სახე.

მერეუკოვსკი ნაწილობრივ ეთანხმებოდა სოლოვიოვს და მიიჩნევდა, რომ ლერმონტოვი წააგავდა იმ მერყევ ანგელოზებს, რომლებიც ღვთისა და ეშმაკის ბრძოლაში არცერთს არ მიემზნენ, ამიტომაც ვერ გადალახავდა პოეტი „გაორების ტყუილს“.

რობაქიძე კი ამტკიცებს, რომ ლერმონტოვის საიდუმლო მის „ნიღაბშია“, ამიტომაც წინასწარ მოხაზავს ნიღბის ზოგადფილოსოფიურ ესკიზს. მისი აზრით, ცხოვრებას ორი იდუმალი მოვლენა განსაზღვრავს: დაბადება და სიკვდილი... არ გვეძლევა ცოდნა „საიდან?“ და არ ძალგვის გავიგოთ „საით?“. ჩვენ ვიცნობთ ჩვენს ყოველდღიურ „სახეს“, მაგრამ არ გვაკმაყოფილებს: მუდამ ვეშურებით, ვძლიოთ საკუთარი თავი, გავხდეთ სხვა, უკეთესი და სრულებრივი“. „ნიღბის“ ფერმენტის არსაც ასე ხსნის რობაქიძე: ადამიანს ეშინია, ბოლომდე გამოამჟღავნოს საკუთარი თავი.... დედიმობილა სიარული ოდენ ღმერთებს ძალუდი, ჩვენ კი დაუსრულებელნი ვართ, არა სრულყოფილნი, ამიტომაც ნიღბით დავხეტიალობთ. უცხო ნიღბის ქვეშ ნამდვილი სახის დამალვა არის სწორედ ნიღბის პირველი მნიშვნელობა. არის სხვაგვარი ახსნაც: ჩვენ არა მხოლოდ ვმალავთ თავს (ყოველდღიურობის ნიღაბი), არამედ ვძლევთ კიდეც (მითოლოგიური ნიღაბი). პირველ შემთხვევაში, ადამიანს სურს „იგივე“ დარჩეს, მეორე შემთხვევაში, ადამიანს უნდა სხვა გახდეს, ის, ვის ხატსაც იღებს. ამგვარად, რობაქიძის აზრით, ტრაგედია, რომ ჩვენი „სახეები“ ჩვენივე ინდივიდუალურობის შემთხვევითი ნიღბებია. „ყოველი ჩვენგანი აჩრდილია, თავის ორიგინალს რომ დაეძებს. დასაბამიერი „მონადა“ და ემპირული „სხეული“ — აი, სად არის გაორება. „მონადას“ უკეთესი სხეული სურს, მაგრამ ისევ იმავე „სხეული იდან“.

რობაქიძე ლერმონტოვს გამორჩეულ ადამიანად აღიქვამს, რომელიც საკუთარ თავს ვერ პოლუობდა. სწორედ ეს იყო მისი ნიღაბი: „იგი მარტოსული და ამაყია, ძლიერი და სასტიკია. იგი, ქაოსის ქე, მზადაა ქაოსის ფრთხი შემოაჭდოს მთელ სამყაროს, რათა მასთან ერთად დამლუპველ ქაოში გადაეშვას. იქ კი, შორს, „თეთრი მდუმარების ბორცვზე“, სადაც მისი უდრევი სული მეფობს, ზოგჯერ მსოფლიო სულის ღრმა ოხვრა ისმის და თუ მილიონი ადამიანი იტყვის: უკეთესია გახდე „სხვა“, ის, ერთადერთი, გამომწვევად აცხადებს: უმჯობესია, „სხვად“ დაიბადო“. ლერმონტოვის გარეგნობაც თითქოს „მისივე სულის ნიღაბი გახლდათ“. რობაქიძისისთვის იგი „ჩვენს პლანეტაზე შემთხვევით მოხვედრილია“.

რობაქიძე მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ლერმონტოვის ლექსისკენ „შუალამის (კაზე ანგელოზი ფრენდა“, რომლის სილრმე და სილამაზე აოცებს და ფიქრობს, რომ „ლერმონტოვის ტრაგიული ნიღაბი“ ამ რელიგიურ



ლექსში გამჭვირვალე და ხელშესახებია: „თითქოსდა ლერმონტოვი თავად ჭვრეტდა მარადიული სულის დროის-მიერ სხეულში განსახიერებას, რადგან ის, ამ განსხვაულების ტრაგიული შეცდომა, თითქოს როგორლაც მის მიღმა იდგა. აქედან — მისი არაჩვეულებრივი შეგრძნება მარადიულობისა და ყოველივე იმისა, რაც მარადისობას უკავშირდება“.

რობაქიძე ჩასწორდა ლერმონტოვის გაორებულობის, მისი მარტოსულობის საიდუმლოს: „მისი „სახე“ არ ჩასწორდა და მისგან ყველა გარბის, „როგორც შეთქმული“, მაგრამ, ვინ იცის: ვინც ქარიშმლებსა და ბრძოლებს გადაიტანს, შესაძლოა, ლერმონტოვის „ნიღაბსაც“ შეიგრძნობს და მის „სახეს“ იხილავს. და მაშინ საზარელი „ნიღაბი“ გაცისკროვნებულ პირისახედ გარდაიქმნება, „სასტიკი მზერა“ კი — ცათა ნათელ ლაჟვარდად“.

„როზანოვს რუსულ ლიტერატურაში ბადალი არ ჰყავს“, — აღტაცებას ვერ მალავს გრიგოლ რობაქიძე და საოცარ ფენომენად მიიჩნევს ვასილი როზანოვს, რომლის პორტრეტშიც ჩას ამ მზერლის „მისტიკური კონცეფციის“ წვდომის წადილი. ეს მნერალი შედარებით უცნობია ქართველი მკითხველისთვის და, ვფიქრობთ, ეს პორტრეტი გააღვივებს მკითხველის ინტერესს მის მიმართ.

რობაქიძე პორტრეტის შექმნისას იყენებს როზანოვის დლიურის ჩანაწერებსა და მის ნანარმოებებს. „მე ყველაზე ნაკლებად დაბადებული ადამიანი ვარ, — წერს როზანოვი, — თითქოს ჯერ კიდევ მოკუნტული ვწევარ დედის მუცელში და ვისმენ სამოთხის ჰანგებს... რა ეშმაკად მინდა „საინტერესო ფიზიონომია“ და ან კიდევ „ახალი სამოსი“, როდესაც მე თვითონ უსაზღვროდ საინტერესო ვარ, სულით კი — უსასრულოდ ბებერი, გამოცდილი, ზუსტად 1000 წლისა, და, ამასთან, ახალგაზრდა, ვითარცა სრულიად ბავშვი“ („განმარტოებულნი“). მართლაც, შეუხედავი ყოფილა როზანოვი. ერთგან ასე ხუმრობს საკუთარ თავზე: „17 წლის გოგონამ მითხრა: „თქვენში მამაკაცური მხოლოდ... შარვალია“. რობაქიძის აზრით, როზანოვის ცხოვრება და შემოქმედება მოწმობს, რომ „ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, იგი დედის წიალის დენადობაში ცხოვრობს, — ემპირიულად უსახურია, ემტაფიზიკურად იგი უბრალოდ „უ-სახოა“, უპიროვნო. მასში არ არის ინდივიდუალურობა და, ამის მიუხედავად, ან შესაძლოა, ამის წყალობით, მას წილად ხვდა გენიალური ყოვლისმგრძნობელობა... ჩვენთვის ახლა გასაგებია მისი სულის „ანენილობა“, სადაც „ტალახი“ ეთვისება „სინაზე“ და ეს „სინაზე“ „ნაღველს“.

ანდრეე ბელი ქართველ სიმბოლისტებთან დაახლოებული მნერალი იყო, ის კარგად იცნობდა ქართულ კულტურას და აღტაცებული გახლდათ. „მე სამი წიგნი მახლავს თან: „სახარება“, „ზარატუსტრა“ და „გოგოლი“

— ეს კარგად წარმოაჩენს მწერლის შემოქმედების „მასაზროვებელ“ თუ შთამაგონებელ წყაროებს.

გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა შემოქმედს მინასთან, ხოლო მინის ხატში ის გულისხმობდა: „საგნებს, დროს, ქაოსს“. მისი აზრით, ჩვენ საგნებს დროში აღვიქვამთ (მათ გაჩენას, ზრდას, კვდომას, ხრნ-ნას...). აქ რობაქიძე ეყრდნობა პლოტინის, კანტის, ბერესონის შეხედულებებს. ქაოსი კი „ყოფნისა და არყოფნის იდუმალი მიჯნაა“.

რობაქიძე პოეტებს რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მინასთან: პირველი — მინაზე შეყვარებული, რომელთათვისაც მინა დიდი დედა, ღვთისმშობელი... დალიანი მინა (დოსტევსკი). მათი დამოკიდებულება ეროტიკულია — ამ აზრის დასტურად ბერი ზოსიმეს სიტყვები მოჰყავს: „ეამბორე მინას და განუწყვეტლივ, ხარბად გიყვარდეს იგი, ეძებე მასში აღფრთოვანება და სიშმაგე“ („ძმები კარამაზოვები“). რობაქიძე აღტაცებულია ძველი ელადის „მხატვრული გენით“, რომელმაც ეს სიყვარული პლასტიკურად გამოსახა აფროდიტეს ხატით: „ზღვის ქაფიდან ქალმერთი დაიბადა: როგორი ეროტიზმია მინის სხეულის აღქმაში! აქ ზურმუხტისფერ ნაკადს თეთრი ქაფი გადასდის და მარმარილოსებრ მოხაზულ სხეულში მყარდება“. აქვე რობაქიძე იხსენებს პომეროვსაც, დემეტრეს კულტს, და დაასკვნის, რომ სხეულისადმი სიყვარული საგანთა სიყვარულს ბადებს — აქედან მოდის ამგვარ „შემოქმედთა სულიერი რიტმის უჩვეულო სიმწყობრე, მზით გასხივონება, პომეროსის „ნათელი ლხინი“. ასეთ შემოქმედებად ასახელებს: პომეროსს, ტიციანს, გოთეს, პუშკინს, ტოლსტოის, რაც შეეხება პუშკინს: „მას „ქაოსის“ ნინაშე ტიუტჩევისეული შიში არ აქვს: ის მის ბერე ენას სწავლობს“.

რობაქიძის აზრით, არსებობენ შემოქმედნი, რომელთაც არ უყვართ მინა: „მათი პირქუში მზერა მხოლოდ და მხოლოდ საგანთა გახრნნასა და დაშლას მიემართება... მათ სრულებით არ ახარებთ მინის სხეული... მას შეიგრძნობენ, როგორც წყლულებიან გვამს... ცოცხალ ქმნილებებში ისინი ვერ ხედავენ მადლს“. მინის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს მათს შემოქმედებით მეთოდსაც; „სხეულის ნაცვლად — გეომეტრიული ჩირჩხი, მნიშვნელი მაგიერ საზარელი ურჩხულები“. ამგვარ შემოქმედებად რობაქიძე გოგოლს, ბიკასოს, გოიასა და ნაწილობრივ ბოდლერსაც მიიჩნევს.

თუმცა რობაქიძე იმგვარ შემოქმედებზეც საუბრობს, რომლებიც საგნებს მიღმა სხვა საგნებს ჭვრეტენ, „მათ უყვართ სხეული მინისა, ოლონდ სახეშეცვლილი მინისა.... მათთვის მინა — სამყაროს სულია, სოფია, მარადიული ქალურობა: და ის ელის განაყოფიერებას მზისაგან და დაბადებას მარადისობისაგან. ამგვარ შემოქმედთ რობაქიძე „აპოკალიფსური რიტმის სულისად მიიჩნევს“, რომლებიც მრავლად იყვნენ „კატასტროფულ რუსეთში“, მაგალითად, ვლადიმერ სოლოვიოვი, დოსტოევსკი, მერეჟკოვსკი, ბლოკი.

ანდრეი ბელი კი ყველა ამათგან იმით განსხვავდება, რომ მას სურს „ახალი ცა და ახალი მიწა“ გაჩინდეს „იმავე სამყაროს სხეულის მძვინვარე დაფერფულის მეტვეობით. რობაქიძე ბელის ფსევდონიმზეც ამახვილებს ყურადღებას (მისი ნამდვილი სახელი და გვარი ბორის ბუგაევა: „ბელი — აპოკალიფსური ხატი... იგი სულის თეთრ ქვაზეა ამოტვიფრული... უნებლიერ ჩნდება აზრი „პირველნოდებულობაზე“ (ანდრია პირველნოდებული). მან ნამდვილად გაამართლა თავისი ფსევდონიმი“. რობაქიძე აანალიზებს ბელის შემოქმედებას და ფიქრობს, რომ ბელისთვის ყოფილების საზღვრები არასაგნობრივი და სრულიად უაზროა - ისინი სხივმოსილი მაიას ჯადოსნური საბურველის მოჩვენებითი ნაოჭები“. რობაქიძის აზრით, ბელი მინის სიძულვილში გოგოლს ენათესავება: „რა გინდა ჩემგან, რუსეთ! ჩვენ შორის რა მოუხელობები კავშირი იმალება?“ (გოგოლი „მკვდარი სულები“), „პეტერბურგო, არ მასვენებდი ტვინის ფუჭი თამაშით. შენ გულქვა მტაზჯველი ხარ, შენ ხარ ცოცხალი აჩრდილი“ („ანდრეი ბელი „პეტერბურგი“). რობაქიძეს მოჰყავს რუსეთისადმი გოგოლისა და ბელის მსგავსი დამოკიდებულების ნარმომარენი მაგალითები. აღსანიშნავია, რომ ბელიმ დანერა გოგოლის შესახებ წერილი „მწვანე ველი“, რომელიც ხაზი გაუსვა მის „მოწყვეტას მინისაგან“: „კაცობრიობისული მინა მისთვის ეთერად და ნებვად დაიშალა, მინაზე მობინადრე არსებები კი საკუთარი თავისათვის ახალი სხეულების მძებნელუსეული სულებად იქცნება... ისინი ნებვზე ამოზრდილ, ადამიანის მსგავს თაღვამებად იქცნენ“. რობაქიძე იხსენებს ბელის ნაწარმოებებს: „აღმოსავლეთი თუ დასავლეთი“, „ვერცხლის მტრედი“, „პეტერბურგი“ — რომლებიციც ნარმოჩნდა, თუ როგორ იხილა მწერალმა „დედობრივ წიაღმი დიონისიურის ბერები“. „წერს თუ საუბრობს ბელი — ყოველთვის გრძნობ „წმინდა სიგიჟის“ მადლს... იგი აპოკალიფსის ნამდვილი ეპილეტიკია“. რობაქიძე იხსენებს, თუ როგორ „გენიალურად აღნერა“ დოსტოევსკიმ ეპილეფსია, როგორც „წმინდა ავადმყოფობა“, რომელიც „სხვა სამყაროსთან“ შეხების საშუალებას იძლევა. („იდიოტი“). „ბერებისახიანი ქაოსის შემლილი სიტყვები ესმის“ რობაქიძეს ბელის „სიმონიებიდან“ და ლექსებიდან.

რობაქიძის აზრით, ბელის შემოქმედებაში შეიმჩნევა „სივრცისგან დაშორების“ მიდრეკილება, რომ მისი თითქმის ყველა გმირი სივრცის შიშით იტანჯება. ამ შიშს კი იგი, ზოგადად, რუს ხალხში პოულობს. რობაქიძე ბელის აპოკალიფსური მსოფლშეგრძნების კიდევ ერთ შტრიხს ასახელებს: „მოვლენები „პეტერბურგში“ 663 გევრდზეა გადმოცემული და 24 საათზე მეტხანს მიმდინარებს. დროის მძაფრი შეგრძნება ბელისთან „უდროობით“ აისხნება: რადგან, თუ დავუშვებთ, რომ ერთიან წამში მარადისობა მიქრის, მაშინ გამოდის, რომ დრო უკვე მეტად აღარაა“.

გრიგოლ რობაქიძე გამოწვლილვით აანალიზებს „პეტერბურგს“ და დაასკვნის, რომ ეს ქალაქი რომანში — იდუმალი აჩრდილია. „მის ხატში მწერალმა მინის აპოკალიფსური (და, ამასთან, დაფერფულის გზით) უარყოფა გვაჩვენა“.

ზურა ბერიკაშვილი

## „გიყვარდეს მოყვასი შენი!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— მძიმე ავადმყოფობა.

— სად ისურვებდით ცხოვ-  
რებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედ-  
ნიერება?

— ჯანმრთელობა.

— თქვენი საყვარელი ლი-  
ტერატურული პერსონაჟები?

— დარტყმინანი.

— თქვენი საყვარელი ის-  
ტორიული პერსონაჟები?

— ექვთიმე თაყაიშვილი,  
ილა.

— თქვენი საყვარელი მხატ-  
ვარი?

— რაფაელი.

— თქვენი საყვარელი კომ-  
პოზიტორი?

— ლალიძე, მორიკონე.

— რომელ თვისებებს აფა-  
სებთ ყველაზე მეტად მამაკაც-  
ში?

— ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?  
— ერთგულებას.  
— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფ-  
რო მომსიბლავა?

— სიკეთე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?  
— მსახიობობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდო-  
დათ ყოფილიყავით?

— არც ერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— იმედი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიმორცხვე.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სილალე.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედუ-  
რება?

— არ მიყვარს მაგაზე ფიქრი...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სიმპათიური.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყოჩივარდა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არჩივი.

— თქვენი საყვარელი მწე-  
რალი?

— ოთარ ჭილაძე.

— თქვენი საყვარელი პოე-  
ტები?

— ვაჟა, გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატუ-  
რული გმირი ქალები?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი გმირები რეა-  
ლურ ცხოვრებაში?

— არა მყავს.

— საყვარელი გმირი ქალი ის-  
ტორიაში?

— თამარი.

— საყვარელი სახელები?

— ელენე, გიო.

— რას ვერ იტანთ ყველაზე  
მეტად?

— ტყუილს.

— ისტორიული პიროვნება,  
რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმ-  
სახურა?

— ლენინი.

— საომარი მოქმედება, თქვე-  
ნი აზრით, ლირსი მეტ-ნაკლები

აღტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით  
უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ნარკომანიის წინააღმდეგ...

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკალური.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მოხუცი და ჯანმრთელი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— განინასწორებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლო-  
ბას იმსახურებენ?

— მონანიება...

— თქვენი დევიზი?

— გიყვარდეს მოყვასი შენი!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ლმერთს, რას ისურ-  
ვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მარტო შეხვედრაც საკმარისია...



ფოტო თავარ რობერტ არაიანისის

დაიბადა 1971 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურში. 2006 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, დროშატურგის სპეციალობით. 2005-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. მისი მოთხოვები, პიესები და ზღაპრები სხვდასხვა დროს იქნებოდა უურნალებში: „მნათობი“, „არილი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“; პიესა „ეთერი“ არის კონკურსის „ახალი ქართული პიესა“ 2008 წლის პრიზიორი. პიესა „თავისუფლების შუალამე“ 2010 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე; 2012 წელს — ზუგდიდის თეატრში.

### ლია მოლარიშვილი

## ორი ნოველა

### აგვისტოს მიცერულს

ვუძლვნი ვოდერძი ჩოხელს,  
ვისთან მეგობრობის ბედნიერებაც მერგო

საღამოს ექვსი საათისთვის ისევ ცხელოდა. ისევ მომაბეზრებლად ზუზუნებდა ღია ფანჯარასთან მოტრიალე კრაზანა — საღებავაქერცლილ, ლურჯ დარაბაზე იყო მიკრული მისი მოგრძო, ნიჟარის მსგავსი ბუდე.

— საშინელი, საშინელი მოწყენილობა! — ოთახში თორმეტიოდე წლის გოგონამ შემოყო თავი და სავარძელები გაუნდრევლად მჯდარ ახალგაზრდა ქალს მიაჩირდა, რომელიც წიგნს კითხულობდა. — ჩქარა უნდა გავიქცეთ ზღვაზე, ორი კვირით მაინც, სანამ სკოლა დაიწყება... შენ კი, დეიდა, სულ ზიხარ. ექიმის ხომ გითხრა, სუფთა ჰაერზე ბევრი ისეირნეო? ამდენი კითხვა არ შეიძლება!

— ისევე, როგორც სულ წაუკითხაობა, — გაულიმა ქალმა და წიგნი გადადო, — ცოტა ხანში მაყვლის საკრეფად მივდივარ. ესეც შენი სუფთა ჰაერი. თუ გინდა, გამოისეირნე?

— არა! — ხელები გაასავსავა გოგონამ, — როგორ გონია, ლოლა, თეთრი შორტი იმიტომ ჩავიცვი, ეკლებში ვიძრომიალო?

მართლაც უხდებოდა მეტისმეტად მოკლე, თეთრი შარვალი მის მზემოკიდებულ, მაღალ ფეხებს. ხელებიც მშვენივრად ჩამოქნილი ჰქონდა, წვრილი მაჯვები და თითქოს გამჭვირვალე, გრძელი თითები. ზოლიანი, ერთი ბერმაისური მხოლოდ ბავშვურ მკერდს უფარავდა.

— ჰო, შენ თითქოს იახტაზე გელიან. — უთხრა დეიდამ, — მე კი გავუკები კალათით, აქვე, გზის პირას რომ ბურქებია... მშვენიერი ტრასა გადის. მართლა ტყეში კი არ ვაპირებ.

— რაღა სუფთა ჰაერია, მანქანები დადიან, — მხრები აიჩერია გოგონამ.

— ათასში ერთხელ, თითო-ოროლა... ეგ არც ითვლება.

— ლოლა სავარძლის სახელურს დაეყრდნო და ნელა წამოდგა.

მხოლოდ ერთი კვირა იყო, რაც სავადმყოფიდან გამოენერა და თითქოს უკვე დავიწყებას მისცა იქ გატარებული მონოტონური დღეები: კორიდორის რაივე მხარეს ჩარიგებული ცარიელი პალატები, ლიმონისფერი კედლებით; მრგვალი სარკე პირსაბანის თავზე, მინერალური წყლითა და ორცხობილის პაკეტებით საესე ტუმბო; რატომდაც მუ-

დამ გამოუძინებელი ახალგაზრდა ექიმი, მუჭში რომ მაღავდა მოქანდა ბას... აღარ აგონდებოდა მოსაწყენი პეიზაჟი მესამე სართულის აიგინდან და უფრო მოსაწყენი საუბრები იშვიათ მნახველებთან.

უკვე კარგად ეძინა ღამით, მიუხედავად ჩასული ჰაერისა, როცა სულ არ იძროს ჰაერი და განვიმებისას კი მხოლოდ ცხელი ოხშივარი ასდის მინას.

ლია სარკმლიდან მაინც აღწევდა უანგბადი (როგორც ერვენებოდა, სავსებით საკმარისი მისთვის) და გამოენიისას თავგამოდებით სტევნდნენ ჩიტები (იქნებ მართლაც თავისუფალი არსებები ამგევებად). ეს სასამოვნო იყო... დღის ყველაზე სასიამოვნო მონაკვეთი — გათენება. და ყოველთვის მხნედ დგებოდა საწოლიდან. იერიც სრულად ჯანმრთელი ჰქონდა, როგორც მის თორმეტი წლის დისპეცილს. ასეც უნდა ყოფილიყო.

„მხოლოდ პატარა ნერვული აძლილობა, რომელიც გართულებულ ფილტვების ანთებას დაერთო. ეს იყო და ეს... გათავდა, მორჩა.“ — ფიქრობდა შვებით.

როცა ტერასაზე გამოვიდა, მამა ვაშმის მოლოდინში (მვიდზე გვიან არასდროს ვაშმილობდა) ჭადრაკს ეთამაშებოდა შვილიშვილს. უხსოვარი დროიდან გამოყოლილი ზოლიანი პიჟამა ეცვა. გრილიაო, ამტკიცებდა, მაგრამ ლოლა — ბევრი რეცხვისგან დამდნარ შარვალ-ხალათში რომ ხედავდა მამას — სამუდამო პატიმრობამისჯილ ტუსალზე ფიქრობდა უნებურად.

„გრილია“ — უფრო თავისმართლებას ჰგავდა.

ვიდრე მამას მდიდარი პრაქტიკა ჰქონდა და პაციენტები შინ აკითხავდნენ, ვერავინ, შინაურებიც კი ვერ დაინახავდნენ დაუდევრად გამონებობილს, ოდნავ მოშვებულს, ლაპლაპა ფეხსაცმლისა და უზადოდ დაუთოვებული პერანგის გარეშე.

ოთახის ჩუსტი, ალბათ, საერთოდ არც ჰქონია.

კლინიკიდან რომ დაითხოვეს, ორ-სამ წელინადში პაციენტებმაც თანდათან მივიღებულს. ლოლამ იცოდა, რასაც ამბობდნენ მამაზე: „შესანიშნავი ექიმია, მაგრამ ასაკი? ასაკიც ხომ ანგარიშგასანევია.“ ან ასე: „მიშა ექიმი კარგი სპეციალისტია, მაგრამ ძველი ყაიდის.“

— ნაადრევად ჩამომწერეს. კარგი ექიმი ძვირფასი კონიაკივითაა. მე კი ჯერ გონება არ მღალატობს და ხე-



ლებიც არ მიკანკალებს, — შეგუებული მსჯელობდა მამა, — სიბერის წლებისთვის ბალი უნდა გქონდეს კაცს... ბალი ვერ გავაშენე. რაღა დამრჩენია? ვიჯდები თვიდან თვემდე, საცოდავი პენსიის მოლოდინში, ამ აიგანზე და ისე გავიტრუნები, როგორც ჩინელი ბერი ბამბუკის ჭალაში. მხოლოდ აი, პეიზაჟია გახრიოკებული. არავითარი სივრცე...

მამას საყვარელი ყვავილნარიც თითქმის გავერანდა. მხოლოდ გაველურებული ხვიარა ვარდები მოედო ეზოს და მაისიდან ადრე შემოდგომამდე ხარბად, არაბუნებრივი სიცოცხლის წყურვილით ყვაოდა. მიშა ექიმი კი აღუშფუოთველი დაივლიდა ბალახ-გადავლილ ბილიკს, უკან ხელებადანყობილი, ზოლიანი ტანსაცმლით და ყოველი მხრიდან სცემდა ძლიერი, მოზეიმე სურნელი.

ერთადერთი, რაც ძველი წლებიდან შემორჩა, ის იყო, რომ ყოველ დილით გულდასმით იპარსავდა პირს, ძველივე ელექტროსაპარსით (მამას ერთგულება სჩვეოდა, როგორც ამბობდა, „ნამსახური და დამსახურებული“ ნივთების მიმართ).

ახლა ის შეფიქრიანებული ისრესდა საფეხქელს. ვერცხლის ჩარჩონიანი სათვალე მოიხსნა და გულის ჯიბეში შეინახა. ლოლამ გვერდზე გავლისას მხარზე მსუბუქად, ალერსით შეახო ხელი...

— ნახე, ლოლა, ბაბუა დავაშამათე! — მიაძახა დისპვილმა, — ისეთი სვლები მოვიფიქრე, არც დაგესიზმრებათ.

მაგრამ ლოლას არაფერი გაეგებოდა ჭადრაკის.

— მადლობა ლერთს, ჭადრაკის ფიგურები არ მესიზ-მრება, — უთხრა საკუთარ გამოსახულებას კედლის სარკეში და გაულიმა. ლილისფერი თავსაფარი უბრალოდ წაიკრა თავზე. — მე კა წავედი... მაყვალს მოგიტანთ.

— კარგია, კარგი, — თქვა მამამ, — მაყვალიც და ისიც, რომ ოთახიდან გამოხვედი, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ ჯერ ივაბშე. შენ ახლა კარგად უნდა იკვებო.

— მერე, მერე!.. — მოუთმენლად მიაძახა. უკვე კაბეზე ჩარბოდა.

ჭიშკარს რომ კეტავდა, თვალი შეასწრო დას — თევ-შებით ხელში წამით გარინდებულიყო სუფრასთან და მიმავალს უყურებდა.

„თითქოს ის იყოს უფროსი და მე უმცროსი. წუხს ჩემზე. ეს არაბუნებრივია. რაღაც არ არის ჩემს თავს რიგზე... რაღაც ისე არ არის!..“

შარაგზის ორივე მხარეს მაყვალი მნიშვნელი.

უცნაური კი იყო, მაგრამ ხელი არავის ეხლო. მართალია, სააგარაკო ხანა იდგა და უნდა გეფიქრა, რომ ყველანი დასასვენებლად იყვნენ ნასულ-ნამოსულები, მაგრამ ლოლამ იცოდა — სოფელი დიდიხანია სანახევროდ დაცარიელდა ხალხი სამუშაოს საძებნელად ქალაქს მიაწყდა.

ხოლო ლოლა საკუთარი ნებით წამოვიდა სამსახურიდან. ამას ვერავინ გაუგებდა... და არც ესმოდათ.

ველოსპედით ვიდაც მსუქანდა გოგომ ჩაუარა პედლების ჭრიალით. მერე ისე სიჩუმე და მყუდროება ჩამოვარდა. მხოლოდ კუტეალიები და ნაირ-ნაირი ჩიტები ხმიანობდნენ. ერთი პატარა ჩიტბატონა პირდაპირ სახესთან აუფრიდა წრიპინით. ალბათ, ბუდე ჰქონდა. მაგრამ ეკლიან ბუჩქზე? ვინ იცის, იქნებ თავშესაფრად უკეთესიც იყო; შავი მაყვლით ჩამოძალული წავსუდელი...

თავიდან იოლად კრეფდა. მსხვილი ნაყვიფი შეებისთანავე უცვიოდა ხელში. დასანანიც იყო, რომ არავინ ეცილებოდა, არავინ ცდილობდა დასწრებას, როგორც ბავშვობაში.

მაყვალი არ უყვარდა. არც არასდროს ჰყვარებია, მაგრამ ისეთი სიამოვნებით მიიჩქაროდა საკრეფად... სახლშიც, ჟოლოსა და მოცხარის მთელი ბუჩქნარი რომ ჰქონდათ გაშენებული ადრე — არავის დაანებებდა კენკრის შეგროვებას. ეს მისი მთავარი საქმე იყო ზაფხულობით. მერე დედა მურაბებს ხარშავდა (თუმცა ლოლა არც ჟოლოს მურაბას აკარებდა პირს). მთელი რიტუალი იყო...

— სულ რაღაცას ვაგროვებდი. ამდენი წელი, პატარაობიდან: ნიუარებს, კენკრას, საზამთროდ შესანახ ხილს, მინდვრის ყვავილებს შინაური წამლებისთვის, ბარათებს, საფოსტო მარკებს, ჩემთვის ნაჩუქარ ლამილს და სიტყვებს... და ახლა აღარაფერი მაქვს. ყველაფერი დაკვარგებელიდან დამისხლტა და დამებნა, როგორც გაწყვეტილი მივითო, — ფიქრობდა.

მშვიდად ფიქრობდა, მაგრამ მაღლა აწვდილი ხელი მაიც უღლინდ დაუშვა ძირს. სხვები ცხოვრებისთვის გამოსადევ მსხვილმან-წვრილმანს აგროვებდნენ მოთმინებით. გონივრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიჩევდნენ დასახული მიზნისკენ. და როგორც მერცხალს ბუდისთვის, ისე მიჰქონდათ ჩალა-ბულა და ხმელი წკირები აწმყოსა და მომავლის ასაგებად.

მაგრამ რა იყო ეს მიზანი, ლოლასთვის რომ გეკითხათ, დაიბერეოდა.

მხოლოდ კეთილდღეობა? კეთილდღეობაც რას ერქვა ნეტავ?



წარმატება — ან ეს რა იყო? წარმატებული, ანუ აღმა-ტებული; ვიდაც სხვაზე მეტი თუ უმეტესი... უპატიოსნო შე-ჯიბრს აგონებდა ეს სიტყვა. მაინც პირადი, მხოლოდ საკუ-თარი ილბლის საიმედო მოწყობას გპირდებოდა თითქოს და მეტს კი ველარ — ძალიან ვიწრო ჩანდა მისი ასპარეზი.

თუმცა ლოლამ საკუთარი ცხოვრებაც ვერ დაალაგა.

„რა იქნება შემდეგები?! რა იქნება შემდეგები?..“ — სავადმ-ყოფოში, საათის ზიკნიკში, უძილობისას თითქოს ვიღაც სასთუმალთან ეჯდა და დაუინებით უმეორებდა ამ ერთა-დერთ კითხვას.

სამსახური მიატოვა. კაცმა რომ თქვას, მშვენიერი სამსახური. მაშინ ეგონა, თავისუფლებას ვერავითარი ხელფასი ვერ აუნაზღაურებდა. მაგრამ უფლოდ დარჩა. მთელი დანაზოგი მყურნალობას დასჭირდა და უკვე კარ-გად იცოდა, ვერავინ დაეხმარებოდა.

ლოლამ თავი ასწია და ოდნავ შემალებულ, მორკა-ლულ ხიდზე გაარა. პლასტმასის ბიდონს პატარა გოგო-სავით მიიქნევდა. ხიდქვეშ მილეული, ჩუმი მდინარე გა-დიოდა. უფრო ღელე. არადა, კარგად ახსოვდა, წლების წინათ სწორედ ამ ხიდთან ბანაობდნენ ბავშვები. წყალი ჩქარი იყო და საკმაოდ სუფთა.

ლოლა მოაჯირს დაეყრდნო. ქვის რიკულებიდან ნახე-ვარიც არ იყო დარჩენილი. წყალი ძლივს ემჩნეოდა ჭუჭყი-ან შლამს. ბავშვის ყელიანი ფეხსაცმელი ცხვირით ჩაფლუ-ლიყო შიგ. ვიღაცას ნაძვის ხის ძეგლებური, მინის სათამა-შოებიც გადაეყარა და ნამსხვრევები სუსტად ბზინავდა.

დღესასწაული დიდი ხანია დამთავრდა...

ჯიბეში ტელეფონი ან კრიალდა.

„ძალიან არ დაიგვიანო. სტუმრები მოგვივიდნენ. შენი ამხანაგები, მაია და რუსიკო. გკოცნი.“ — ნერდა დისმევილი.

გოგონას ძალიან მოსწონდა ამბების წერილობით შეტყობინება. ტექსტის ბოლოს აუცილებლად ნახატს და-ურთავდა, ლიმილის ან კოცნის ნიშნად.

ლოლამ მხრები აიჩეჩა. ახლა, ალბათ, განგებ დაიგვია-ნებდა. ცოტას მაინც...

როგორ მოხდა, რომ ბავშვობამ ჩაიარა და ძეგლი მე-გობრებიც თითქოს თან გაპყვნენ. აი, წლები გავიდა და ისინი უცხონი გახდნენ მისთვის. მათ კი, ვინც ახლობლად, თანამოაზრედ ეგულებოდა, წელ-წელა მიიღინებს (მამას პაციენტებივით). ჯერ შორიდან საყვედურობდნენ, რომ სოფელში დაბრუნდა, თითქოს რაღაც გამოუსწორებელი საქციელი ჩაიდინა; მერე საყვედურებიც მინელდა. ცო-ტაც და ის შემაკავშირებელი ძაფიც განტყდება — სატელე-ფონო ზარები, თანდათან უფრო იშვიათი რომ ხდება...

ლოლა ხიდს მოშორდა და მაყვლის ღობეს დაუყვა. აქ ერთ მხარეს მაყვლის ბარდით შემოსაზღვრული თხილის ბალები და ყანები იყო, მერავ მხარეს კი — სახლები, ვრცელი ეზოებით, სადაც მოლი უკვე გაუხეშებულიყო. ზოგ სახლში კარიც ლია იყო და ფანჯრებიც, მაგრამ მაინც გამოკეტილს ჰგავდა, რადგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. შემა-შინებელიც იყო ასეთი სიჩუმე.

ლოლამ მძიმედ დახუნდალული ტოტი გადმოიწონია. ბიდონი თითქოს სავსე იყო. კრეფდა და კი არ ფიქრობდა, უხმოდ ესაუბრებოდა თავს: „ეს შენი სოფელია, სადაც თხუთმეტი წელია, არ გიცხოვრია... აქ რა უნდა აკეთო? რა იქნება შემდეგ?.. რა იქნება შემდეგ?“

ტუჩი მოიკვნიტა. ისე მაგრად, რომ სისხლის გემო იგ-რძნო და შეშინდა: „ნუთუ ისევ მეწყება? ნერვებს გასაქა-ნი არ უნდა მივცე. უნდა დავალაგო აზრები... რას ვამბობ-დი? ჰო, რა უნდა ვაკეთო-მეთქი... ჯერ არაფერი. ჯერ არაფერზე ზრუნვა არ მინდა. ახლა არა. ოლონდ ახლა არა! შემოფენიდან დავიწყებ ფიქრს.“

იძულებითი უსაქმურობა, რასაც დასვენება ერქვა, არც ისე ცუდი იყო. ლოლა საათობით უყურებდა არაფრისმომ-ცემ ჰილივუდურ ფილმებს, რომლებიც ისე ჩაგითრევს (თვით ყველაზე ბანალური მელოდრამა ან ფანტასტიკურად სულელური ფანტასტიკური თრილერი) — ბოლომდე, თვალ-მოუცილებლად მისწერებიხარ. გიკვირს და აღარც გიკვირს საკუთარი ინტერესი. მაინც ან კესის სატყუარასავით ყა-ბავ. მერე კი ბრაზობ, რატომ დაკარგე ძვირფასი დრო. დრო კი მართლაც დაკარგულია, რადგან გასაზრებლად არაფერი გრჩება. მეორე დღეს აღარც გახსოვს, რა ნახე.

ლოლა ფილმებს უყურებდა და კითხულობდა.

შინაურების რიდით, მორჩილად ტრაპეზობდა მათთან ერთად (როგორც პატარაიბისას: „ერთი კოვზი მამიკოს ხათრით, ერთიც — დაიკოს...“) და უბრალო საუბრებმიც, სუფრასთან, ძველებურად ერთვებოდა.

ცა ოდნავ შეიმდვრა. გაწვიმებით, ალბათ, არ გაწვიმ-დებოდა, რადგან მზე ისევ მშვიდად, ალერსით ჩადიოდა. ჩიტებიც უშფორველად სტვენდნენ. მხოლოდ ერთ მხარეს გაიძალა ღრუბელი, წელ-წელა, წყალში ჩასხმული მელნის (თუ მაყვლის მურაბას) წვეთივით.

ლოლამ თავი ასწია და ზეცის ყელაზე ნათელ წერ-ტილს გაუსწორა მზერა. მერცხალი სულ მაღლა ფრენდა.

არა, არ იწვიმებდა...

ლოლას გაახსენდა წვიმიანი განთიადი. თითქოს გადა-რეცხილი აეროპორტი და მობუზული, ნამდინარევი გამ-ცილებლები. მანქანის მინებზე ჩამომდინარი ნიაღვარი.

უკვე უტკივილოდ ფიქრობდა ამაზე. პაერში მოტივ-ტივე ლანდლივით უწონად სევდით.

„ძვირფასო, მე ხომ არ გაგიშვებდა... არაფრით გაგიშვებ-დი იქ, საიდანაც დაბრუნება არ გეწერა. ისეთი ცივი დილა თენდებოდა, დაღვრემილი. უამინდობამაც ვერ შეგვიცვალა გუნება. უმიზეზოდ ვიცინდოდით მანქანაში. წვიმაც გვიხარო-და, გადადებული რეისიც. ორი კვირაც და ისევ ერთად ვიქ-ნებოდით, ამჯერად უკვე განუყრელად, სამუდამოდ. სი-ნამდვილეში კი სამუდამოდ დარჩი სხვა, მიღმა სამყაროში და ჩვენს შორის გრიალით ჩამოეშვა ყრუ, გაუმტარი კედე-ლი.

მაგრამ სულერთია, მე მაინც გხედავ, როგორც მინის მიღმა. ყველგან, ყველთვის. აი, ამ ცვალებად ღრუბელ-ში, წყალში, ხეების მოხაზულობაში. მაყვლის ნაყოფიც შენს თვალებს მაგონებს და ეს ასფალტიანი გზაც შენი ხმით ითვლის ჩემს ნაბიჯებს“.

ლოლას უცებ ძალიან მოუნდა, ხმამაღლა გაემეორე-ბინა მთელი მონოლოგი, მაგრამ მხოლოდ ფრთხილად მი-მოხედა, თითქოს ვიღაც ჩასაფრებული უცდების გადა-რეცხილი ერთია: „ნახეთ, საკუთარ თავს ელაპარაკება!“

იმას, რის გამოც ავად გახდა, არავინ არქმევდა ნამდვილ სახელს. და გაუთავებულად ადანაშულებდნენ უყურადღე-

ბობაში — მაინც როგორ გამოგეპარა ავადმყოფობაო.

მამაც შეურაცხყოფილად აჩვენებდა თავს: „მაშინვე უნდა ჩამოსულიყავი... თუ — როგორც მკურნალს — შენც ალარ მენდობი? შინაურ მლედელს შენდობა არა აქვს, ხომ?“

ლოლას უნდოდა აქსნა: ჩემს ცუდად ყოფნას დიდი იმედების დასამარება ჰქვია და არა პწევმონია ან გულის უკმარისობა, მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმა ისევე უძნელდებოდა, როგორც მძიმე ტვირთით აღმართზე სიარული გაუჭირდებოდა საწილში ძილად მივარდნილს, სიცხიანს.

და დღეს, უკვე რა მსუბუქ სევდას გრძნობს. ოდნავ ურუანტელის მომგვრელსაც კი, მაგრამ ტყივილს — ალარ... ვითომ ბალახი და ფოთლები მიაყარა ბილიკზე დაგდებულ მკვდარ ჩიტს და კვალი დაიფარა, სანახაობა ალარ აძრუნებდა.

წარსულის კიდევ ერთი კარი მიიხურა: ხმაურიანი ცხოვრების, ხალხმრავალი საღამოების, ვითომ მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და მოვლენების.

ყველაფერი იყო და არც იყო...

ახლა ეს პირველი გასეირნება, იძულებითი უმოქმედობის მერე, ერვენებოდა ყველაზე მნიშვნელოვნად და ეს საბალო — ყველაზე მშვენიერ საღამოდ თავის ცხოვრებაში. ხოლო, აი, ამწუთიერი შეგრძნებანი, უნაზესი ფერებით გამოშუქებული ცის ქვეშ; სიჩუმე, რაღაცის წვდომა, რაღაცის მიხვედრა (ღორნდ რის — ბუნდოვანია) — იმ იშვიათ გაელვებად, რომელიც შეიძლება არასოდეს განიცადო.

ჯერ ერთმა მანქანამ ჩაიქროლა უფილ-ზევილით, მერე მეორემ. წითელი, მხიარული ნახატებით აჭრელებული პიკაპი ბიჭებით იყო სავსე, უსათუოდ მდინარიდან ბრუნდებოდნენ. ჩაუქროლეს და რაღაც ჰქითხეს. რაღაც, ყოვლად უმნიშვნელო; ისეთი, რაც უსათუოდ მასზე უკეთ იცოდნენ.

ლოლამ უეცრად დაინახა თავისი თავი — ქუჩის განაპირას ეულად მდგარი. თავსაფრიდან ქერა, თითქმის ქარვისფერი თმის ხევული მოუჩანდა, მუქი თვალები და მუქი ტუჩები ისეთივე დაუჯერებელი სიცხადით აჩნდა რძესავით თეთრ, მერქალ სახეზე, როგორც ფაიფურის სამშვინის გოგონას აქვს ყალმით გულდასმით და მკაფიოდ გამოვანილი.

მან თხელი, გრძელი ხელი გაიწოდა იქით, საითაც უგზამევლევოდაც მშვენივრად წავიდოდნენ.

მანქანა ნელა, დანანებით დაიძრა და მალე თვალს მიეფარა მოსახვევში.

ლოლა ბურქებს მიუტრიალდა და შიშველი მელავები ისევ ასწია მაყვლის ჩამოსაკრეფად. მკლავების სულ უბრალო მოძრაობაც ბალერინასავით გრაციოზული გაუხდა. ასე ეგონა, მომხიბვლელობის სურნელოვანი ბურუსი ეხვია გარს და რასაც შეხედავდა, ყველაფერს მომხიბვლელობის ბეჭედი ედო. ჩუმმა სიხარულმა აიტაცა უნებურად. ისევ ახედა ზეცის იმ ნათელ ნაწილს, სადაც ახლა სახედრის ფორმის თეთრი ლრუბელი მიდიოდა ტაატით. ყურებჩამოყრილი თეთრი სახედარი ცაბზე მიცურავდა და ვიდრე განიმქრეოდა, ფრთხები ამოეზარდა, ფეხები შეიკეცა და ვეებერთელა თოლიად იქცა.

ლოლამ გაიფიქრა, რომ თუ ოდესმე (როცა იქნება) თავის საქმეს დაუბრუნდება და თოჯინებს დაამზადებს თეატრისთვის — პირველ რიგში, აი, ამ სახედარს გაიხსენებს

და შექმნის.

საჯარო მოხელედ კი აღარასოდეს იმუშავებს. აღარასოდეს!

უკვე ოცდაათს გადასცილდა. ოცდათოთხმეტის გახდა. დროის სწრაფნარმავალობას ისე შეიგრძნობდა, როგორც შეხებას, გემოს... ვერაფერი შეაკონინა განვლილი ნლებიდან და მხოლოდ დაუნანებლად გაფანტა წუთები და სათები. ამიტომაც იყო, ავადმყოფობისას, უძილო დამეებში რომ გამოცანად ექცა: იყო ეს ნამდვილი ცხოვრება (მცდელობა მაინც) თუ მხოლოდ ოცნება მასზე?

ახლა კი, თუმცა ჯერ ისევ მშვენიერია, ჯერ კიდევ მოხდენილი სხეული აქვს, მაგრამ გრძნობს, რომ ხანმოკლეა მისი ყვავილობა, ზაფხულივით.

ლოლამ თანმიმდევრულად დაალაგა ახლო მომავლის მოვლენები.

აგვისტო თვალდახელშემ მიიღევა, როგორც ყოველთვის.

დისპილინი წავა. მამამისი ჩამოაკითხავს. მერე დაც გაეგმზავრება. დარჩებიან მატონი, სულ მარტონი შემოდგომის და ზამთრის ლამებში, თვითონ და მოხუცი მამა — უსამართლოდ მივიწყებული კარგი ექიმი, სრულფასოვანი ცხოვრებისგან გარიყული („ჩინელი ბერი ბამბუკის ჭალაში“), ვინც უკვე უმნეო ხდებოდა და ეს ყველაზე მტკიცნეული იყო, ყველაზე რთულად გადასატანი. ლოლა ისე მიეჩვია, რომ ბავშვად მიიჩნევდნენ (უმცროსი დაც კი); მამა მთელი ამ დროის განმავლობაში მფარველად და დასაყრდენად რჩებოდა მისთვის. ახლა კი როლები უნდა გაეცალათ.

ბუნების მარტივი კანონები არცთუ ადვილი მისაღებია საყოველთაო კალაპოტიდან ამოვარდნილი ხასიათისთვის.

„რა მოვუხერხო ამ მოკლე ზაფხულს?... არა, არა, ასე არაა... რა ეშველება ამ მოკლე ზაფხულს?“

ლოლა მეცვერად შემობრუნდა. შინისკენ მიმავალმა სავსე ბიდონი რატომლაც გულზე მიიხუტა. ხიდზე აღარ შეჩერებულა. ნელა მიაბიჯებდა, მაგრამ თავისუფლად. აღარ ებორკებული უჩინარი ხლართები ფეხებზე, ამ ბოლო თვეების მანძილზე რომ ჯიუტად უშლიდა ლაღად სიარულს. უკვე დაბინდდა. შინ ელოდნენ.

მოხრეშილ შეუკაში შეუხვია და თითქოს ზედ სახესთან შეჰეყვა ლობები დამალულმა ძალმა.

„რა ეშველება ამ მოკლე ზაფხულს?...“ — ცდილობდა გაეხსენებინა ლექსი.

მეზობელმა ჩამოიარა და გამარჯობა უთხრა. ბინდბუნდში ხმაზე იცნო. თეთრი პერანგით მოჩეკებასავით მოანათებდა.

პასუხად გაულიმა (თუმცა შეამჩნევდა) და კვლაც ეგონა, მასაც გადასდო იდუმალი საღამოს სურნელი, რაღაც მნიშვნელოვანი უნილადა, სამუდამოდ დაამჩნია მომხიბვლელობის დამლად.

„რა ეშველება/ამ მოკლე ზაფხულს?/თვალ და ხელშა/გაგვიქრა არე...“

უკვე ხმამალლა იმეორებდა შინისკენ აჩქარებული. და აღარ ეშინოდა, თუ გაუგებდნენ. და სიხარულს გვრიდა ისიც, რომ ეს სიტყვები ქალმა დანერა — თითქმის გვირგვინსანმა ქალმა, რომელსაც, აღბათ, ჩვეულებრივად უყვარდა, სძელდა... ვინც სხვებივით იტანჯებოდა ყოფიერების ამაოებით, მაგრამ ჩავლილი დღეების ფერისა და

## ნაცარს სურვილისამებრ გარდაქმნიდა წმინდა ალმასად. მდინარიდა კი თევზები ხტია

საუკუნეა, ფანქარი არ ამიღია ხელში. ფუნჯსა და სა-ლებავზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი — ოცი წლის ნინ მი-ვაგდე და სამუდამოდ მივივინებ მეგონა; მაგრამ ამ ზაფხულს, გონიოში, ჩვენი დიასახლისის ვაჟიშვილის (სამხატვრო აკადემია ის-ის იყო დამთავრა) სახელოსნო რომ დაგათვალიერე დამრეცსახურავიანი წითელი სახ-ლის მესამე სართულზე, თითქოს ალკოჰოლის სითბომ დამიარა სისხლში; მგონი, ცოტათ დაგბარბაცი კიდეც. ასე მემართება, თუ რამე საგანგებოდ ამაღლვებს — ვთვრები...

ნახატები — დიდი არაფერი. გამიკვირდა კიდეც: დიპ-ლომი როგორ გაიმეტეს ამისთვის-მეთქი; მაგრამ ძვირ-ფას მოლბერტზე გადაჭმული ტეთრი ტილო რომ დავი-ნახე, სპილენძის უზნებიდან ამონვდილი ფუნჯების მსხვი-ლი თაიგული და ბაზალურად განყობილი, ჭკნობაშეპარუ-ლი ყვავილების ნაცურმორტი, რომლის დახატვაც აღარ გახსენებოდათ, კინაღამ გული შემიღონდა.

— აბა? — მეტთა ამაყად დიასახლისმა, — ხომ აქვს რაღაც განსაკუთრებული? ძერნავს კიდეც. სასწაულად ნიჭიერია, მაგრამ არ ვიცი, რაში გამოადგება, ჩვენს დრო-ში ამით ფულს ვერ იშოვი. ეკონომიკა და ფინანსები რომ დაემთავრებინა, ჩემი მულიშვილებივთ, იცოცხლე, გა-დასარევ ადგილას მოვანყობდით...

დავამშვიდე, გაჭირების არაფერი გეტყობათ და კარ-გი ვიქნიათ, ხელოვანისთვის არჩევანი რომ არ შეეზიარ-დავთ, რადგან მისი ბუნება ფინანსების, დებეტისა და კრედიტის ვინრო სამყაროში ფრთხებს ვერ გაშლიდა; ხო-ლო ფულს რაც შეეხება, რა იცით, რა ხდება — ცოტაა შემ-თხვევა, ერთ ნახატში მთელი ქონება რომ მიუღიათ-მეტ-ქი? და კიდევ რამდენიმე აუცილებელი ფრაზა მოვიშვე-ლე, რასაც ჩვეულებრივ ასეთ დროს ამისთანა დედებს ეუბნებიან...

სიამოვნებთ კი მიგდებდა ყურს, მაგრამ ბოლოს მა-ინც ეჭვით დასძინა: რა ვიცი, სულერთია, ალბათ, მოგვი-ნევს საბანკო განხრით ბედის ცდა. მერე ჩემი მაზლი ყვე-ლანაირად მოგვეხმარება (აქ ფინანსურად დიახაც გამო-ჩენილი გვარი დამისახელა); ჩემმა ბიჭმა ინგლისური კარ-გად იცის და კომპიუტერი ხომ — გადასარევად, და მათე-მატიკაში რა ღმერთი გაუწყრება, მაინც ეგ დალოცვილი კომპიუტერი ასრულებს ყველა ოპერაციასო...

კოდალას რაკარუკივით მესმოდა ეს სიტყვები: „მე-ნეჯმენტი... ბიზნეს-ეკონომიკა... საკრედიტო, საშემოსავ-ლო...“

დავდიოდი და ვითომ გულდასმით ვათვალიერებდი თითოეულ ნახატს, თან ზრდილობიანად ვუქნევდი თაგს.

ბოლოს გაახსენდა, რომ უამრავი საქმე ჰქონდა: ზამ-თრისთვის შესანახი ბადრიჯანი ეზვოდა ცეცხლზე; მდგმურებმა რომ ონკანი გააფუჭეს, სანტექნიკოსისთვის უნდა ეჩვენებინა; აივნის მხარეს რომ დიდი ოთახი გათა-ვისუფლდა, იქ თეთრეული გამოეცვალა და, ვინ იცის, კი-დევ რა...

დავრჩი, როგორც იქნა, მარტო. ნდობით აღჭურვილი პირი (აკი მეც აკადემია დავამთავრე — მართალია, კერა-

მიკოსის სპეციალობით) პროვინციული მუზეუმის ძველი, ერთგული თაყვანისმცემელივით, ვისაც ცარიელ დარ-ბაზში უბილეთოდაც უშვებენ.

ჭერიდან თოვით დაშვებულ ჩალის სავარძელში ჩავ-ჯექი და თვალები დავხუჭე. ეჲ, ასეთი სახელოსნო რომ მქონდეს... ოლონდაც ჩემთვის არა — მე საკუთარი, გა-მომწვარი თუ გამოუწვავი ჭურჭელი ღია ცის ქვეშ მეყარა წლობით, მაგრამ ეს აღარ მადარდებდა. თუ ვინმეს მოე-წონებოდა, უყოფანოდ ვჩუქნიდი შებოლილ სურას, თეთრ ჭინჭილას ან ვეებერთელა ხორკლიან ქოთანს ყვა-ვილების ბაღისთვის. არსებობისთვის ბრძოლაში უსარ-გებლო იარალი აღმოჩნდა მაღალი ხელოვნების პრეტენ-ზიის (როგორც დრომ მიწვენა — სრულიად უსაფუძვლო პრეტენზიის) ქონა. უსახურ, საყოფაცხოვრებო ტიბის შეკვეთებზე მუშაობა კი არ შემძლო. გინდ სიზარმაცე დაარქვით და გინდ ხელის ჩაქნევა. ანდა სად იყო ეს შეკ-ვეთაც, თორმე... კერამიკის სამქროები ერთმშონეთის მა-ყოლებით დაიხურა, ბაზარი უცხოეთიდან შემოსულმა იაფმა და თვალად მიმზიდველმა ნაკეთობებმა წალეკა. ჰოდა, დაჯექი და კერა, როგორც იტყვიან.

გენიოსი კი, სამწუხაროდ, არ ვიყავი.

ისიც მართალია, რომ თითო-ოროლა, ვინც თავი გადა-დო და ჯიუტად, დღეს და ღამეს ასხორებდა მუშაობით, საგაზეთო ენით რომ ვთქვა — საერთაშორისო ასპარეზ-ზეც გავიდა და წარმატებული, აღიარებული გახდა თავის სფეროში.

მაგრამ ვერავისი...

თქვენ შეხვედრიხისართ ასეთ ადამიანს? ან როგორი წარმოგიდგენიათ ის? სანაძლევს დავდებ, უმრავლესობას თმაჩერილი, ონავრულად ენაგამიყოფილი, ულვაშა მო-ხუცი დაუდგება თვალნინ; ან წელამდე თეთრნერდაფე-ნილი კუშტი იტალიელს ავტოპორტრეტი... ეროვნული საგანძუროს დამფასებელს — რუსთაველის მეტროსთან მდგარი ამაყი ძეგლი, ასე რომ არ ჰგავს ფრესკაზე გამოსა-ხულ მუხლმოყრილ მლოცველს; ან შავფაფახიანი, ცალთ-ვალა, ჭლექით გატანჯული, წვრილშვილანი გლეხი...

მე კი ამ მოდურ, გემოვნებით მოწყობილ, უკიდეგანო სახელოსნოში, სადაც, თუ გინდა, ცხენით ისეირნებ და სა-დაც ხის ხევული კიბით ზედ სახურავზე შეგიძლია ასვლა (ალბათ, შთაგონების მოსახმობად, ან სულაც ზედ გაშენ-ბული ეგზოტიკური ბალახების გაზონზე წამოსანოლად), რამდენიმე წლის წინათ ნანახი, ძველისძველი შავი ხის ოდა გამახსენდა, საბიჯგები რომ მორყეული ჰქონდა და ირგვლივ მხოლოდ ძევის ღობე ერტყა. რკინის ჭამები კი ება, მაღალი, ონამენტებით შემკული, თუმცა ისიც მორყეული, დაუანგული...

ვიცოდი მხოლოდ, რომ ამ სახლში ცხოვრობდა ჩემი ნათესავის თანამშრომლის მამა. მანქანით მოვდიოდით დედაქალაქიდან და ის-ის იყო გურიისკენ გადავუხვიერ, რომ ჩემმა ნათესავმა (აქამდე რომ არხეინად უსტვენდა) გამაფრთხილა:

— აქ მიხვეულ-მოხვეული გზებია. ხომ არ დაილალე? სოფელ 6.—ში უნდა შევიაროთ. თანამშრომელმა რაღაც გამომატანა მამამისთან.

სტვენის გუნება სულ დაეკარგა, ისეთი ოლრო-ჩოლრო

გზებით ვიარეთ. მერე აბუზლუნდა და ბოლოს გინებაზე გადავიდა. რა ექნა — ახალთახალი, ძვირფასი მანქანა ჰყავდა და ეამაყებოდა... მე კი ჯერ მისი გუნების ცვალებადობამ გამართო, მერე აქაურმა პეიზაჟმა გამიტაცა.

ამ სოფელში ადრე, ალბათ, ცხოვრება დუღდა, ხმაური და მოძრაობა არ აკლდა. ადამიანები შრომობდნენ, კულტურულად ისვენებდნენ; ბაშვები სწავლობდნენ რვან-ლან სკოლაში, უფროსსკლასელები კი ყვითელი ავტობუსით დადიოდნენ რაიონის რომელიმე საშუალოში. მერე ინსტიტუტს ამთავრებდნენ, ან პროფესიულ ტექნიკუმს.

უმრავლესობა ისევ სოფელში ბრუნდებოდა და ასე ამგვარად, სიცოცხლე ჩეკვდა...

მერე მეურნეობა მოიშალა, ჩაი ამძირევეს. ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა სოფლის კლუბი, ბიბლიოთოვეკა, ამბულატორია, გარაჟი, ფერმა, ბოლოს სკოლა და ბაგა-ბაღიც. დარწენენ მხოლოდ მოხუცები.

აი, რაზე ვფიქრობდი, როცა ირგვლივ ვიყურებოდი.

და მაინც, ისეთი ლამაზი იყო ეს გორაკებზე შეფენილი, კარგა ხნის დაუხნავი და დაუტესავი, პატარ-პატარა მინის ნაკეთები, ვეება ვეომრები ჩაის ადგილას, სულ ახლოს ჩამოსული მეჩერი ტყე (მორს კი დაბურული და მუქი) — ნეკერჩელები, წაბლები და თხმელები, თხმელების ახალი წაყარი...

სახლები ისე შორიშორს იდგა, რუპორით თუ გააგონებდი მეზობელს. „მეზობელო კარისაო“, აქ სულ ყალბაში მომოთქმად მოგეჩვენებოდათ. სამუზეუმო ექსპონატს ჰყავდა მთელი სოფელი, გავერანებულს, მაგრამ ფასდაუდებლად ძვირფას (და ისე, საკითხავია, მშვიდობიანობის დროს ნეტავი კიდევ რომელი ხალხი მოახერხებს ერთიანად გაატალოს წლობით მონაგარი სიმდიდრე და კეთილდღეობა? ალბათ, ჩვენ ვერავინ შეგვედრება)...

— მასპინძელო! — გაჯავრებული იძახდა ჩემი ნათესავი. — ბატონო რომან!.. რომანი ბიძია!

ის ახალგაზრდა კაცია, მაგრამ უკვე სოლიდური ღიანი ადევს და ხელფასის მატებასთან ერთად თმა უთხელდება.

— მობრძანდი, ბატონო, მობრძანდი! — მოგვესმა ბოლოს, — სიმინდს ვმარგლავ დილიდან და ახლა ვისვენებდი ვითომ, ვხატავდი ღელის პირში...

ჭიშკარი სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი წლის, ძალან ტანდაბალმა კაცმა გაგვილო: — ჩამობრძანდით!

— ძალი ხომ არ იკბინება? — ფრთხილად მიმიხედა ჩემმა წინდახედულმა ნათესავმა.

ძალი რავა არ იკბინება, მაგრამ მე არ მყავსო, დაამ-

შვიდა მასპინძელმა.

ჩემმა ნათესავმა თავი გააცნო, პატარა პაკეტი გადასცა და გამობრუნება დავაპირეთ, მაგრამ ამ უწყინარმა კაცმა ისე გადაატრიალა თვალები, შემეშინდა, გულყრა არ დაემართოს-მეთქი.

— ახლა თუ არ გინდათ, ნავთი გადავასხა ამ ხმელი ხის სახლს და დავწვა, ჩამოცვიდეთ უნდა პატარა ხანი!

შემსრულებელი იყო ნამდვილად (ისე, მერე კი გამოგვიტყდა, ნავთი ცეცხლის მოსაკიდებლად არ მაქვსო, მაგრამ მაინც).

— ორი წუთი, ორი წუთი, დაყაბულდა ჩემი ნათესავი.

მე არსად მეჩქარებოდა. სიამოვნებით ჩამოვჯექი სამფეხა ჯორკოზე, ვეება წიფლის ჩრდილში. მრვალი მაგიდის მაგივრობას ხის გადანაჭერი სწევდა (ამ მარდილობელი წიფლის ბებერი წინაპარი, ალბათ). სუფრაზე გაჩინდა ვაშლი, მსხალი, თხილი, თაფლი და თაფლისავე არაყი...

— ვინაა, ბატონო, დამლევი! — ხელები გაშალა ჩემმა ნათესავმა, — საჭესთან ვარ.

ჯერ მის ფუნჩულა, ქალურ ხელებს შევავლე თვალი და მერე ჩვენი მასპინძლის ართრიტისა და შრომისგან დაკორძილ თითებს. თითებზეც და პერანგის გულისპირზეც საღებავის ლაქები აჩინდა. თმაზეც კი ეცხო წარინჯისფერი საღებავის წინნკლები. თბა შეუფერებლად ახალგაზრდული, ხშირი და ხვეული ჰქონდა და ვერ მიხვდებო-

დით, ჭალარა იყო თუ ფერფლისფერი.

„ვხატავდიო... ნეტა რას ხატავს ეს პატარა მოხუცი გლეხი, გნომის რომ წააგავს წითელი ცხვირით?“

— მხატვარი ბრძანდებით? — ვკითხე ზრდილობისთვის.

— აჲ! — ხელი ჩაიქნია, — ვეტექიმი ვარ... ვიყავი ადრე, მაგრამ აპა... — მიიხედ-მოიხედა, — სადაა კაცი და საქონელი?.. ხატვით ბავშვობიდან ვხატავ. დედ-მამა არ მყავდა, ბიცოლა მზრდიდა. არ დამანებეს მაშინ, მიმალავდნენ ფანქრებს, მუშაობას გაცდენსო... მერე — ცოლ-შვილი, ოჯახი... დავრჩი ახლა მარტო და ვხატავ. ვინაა დამშელელი? ტილო და საღებავები ერთ ახლობელს ჩამოაქვს და ვასარებ ჭიას. ხან მუყაოზე ვხატავ... მინაზეც, ბატონი... ხელს მიშლის ვინმე თუ?

„ტილონ?!"

ჩემი ნათესავი გულაბს ახრაშუნებდა და უგულისყროდ უგდებდა ყურს.

— რა საინტერესოა, შეიძლება ვნახო თქვენი ნახატე-



ნახატები ბადრი გაგნიძისა

ბი? — ესეც ზრდილობისთვის ვკითხე.

ხალისით წაგვიძლვა ოდისეური, რომლის ქვედა სართული ლი იყალი იყო, მხოლოდ ერთ მხარეს გადაეტიხრათ კარგამოგრძო ოთახი.

რას ველოდი და: ჭუჭყიანი ფერების დომხალს, დარღვეულ პროპორციებსა და ფორმებს; ფოტოებიდან გადახატულ ფირალი ბაძუისა და მისი ძმების პორტრეტებს; ყველა დროის უპირველესი ქალის — თამარ მეფის გამოსახვის კიდევ ერთ უბადრუკ მცდელობას, ანდა სულაც — ჩიბუზიან სტალინს...

დაბალჭერიან დარბაზში თავის დახრა დაგვჭირდა. თითქმის ბერელოდა იქ და პირველად ვერაფერი გავარჩიე, ასეა, როცა გაჩახჩახებული ველიდან გამოქვებულში შედითარ. ქვის იატაკიდან ნესტის სუნი მოდიოდა. და ამ გრილ, აკლდამისმაგვარ დარბაზში ერთმანეთზე მიჯრით ელაგა ის საოცრებანი, რომლებსაც მერე თითქმის ყოველიდამ ვხედავდი სიზმარში და ვშეოთავდი, როგორც ამაზონის გაუგლ და სახიფათო ჯუნგლებში დაკარგული ეკლი მოგზაური.

თვალი შევაჩიერ სბონელეს. მოხუცმა ჯერ ერთი ნახატი გამოსწავა, მერე მეორე — მძიმე, მასზე ბევრად მაღალი ფირფლიცრები, ტილოები, მინაც კა... მზს ძლიერი შუქი თითქოს ქვით მოკირნებული იატაკიდან ამოიჭრა.

— ჩემი სოფელია! — თქვა მასპინძელმა სიამაყით. — ყველა...

სოფელი ეამაყებოდა და არა მხატვრობა. თითქოს ეს კულტურული მან კი არ შექმნა, მხოლოდ ფოტოსურათები გადაუღო და ალბომში ვათვალიერებდით.

კი, ნამდვილად მისი სოფელი იყო. მაგრამ როგორი ცოცხალი, ღმერთო ჩემი! ათობით, ასობით ადამიანით და-სახლებული ფანტასტიკური უცხო სამყარო მანიც ნაცნობი იყო; მხოლოდ — თავიდან აღმოჩენილი. კუპრივით შავ მი-ნაზე აღმოცენებული ლურჯი ჯეჯილით, ვარდისფერი ზე-კით, (კი ცხლნა, კი დებულივით ნითელთოლიანი ხეგბით...

გლეხები დაბალ ყანას მარგლავდნენ და, მგონი, ღილი-ნებნენ კიდეც. ერთს დოქტო მოეყუდებინა პირზე და ცივი წყალი წურწურით ჩამოსდიოდა გულისპირზე. პატარა გოგო ინდაურის ჭუკებს მიდენიდა; უფრო პატარა კი წყნარად თამაშობდა უზარმაზარ ჭრელ კატასთან. თოვ-ლივით თეთრთმიანი ბერიკაცი გულხელდა კრეფილი იწვა მაღალ ბალახში, სახეზე ქუდი ეფარა და მზის გულზე ხელიკივით გულიანად ეძინა. მოდარაჯე ხელიკიც იქვე იყო გატრუნული, ბერიკაცის შიშველ ფეხთან. კისერზე წვრილი ჯაჭვი შეიბათ.

მორეგში დედიშობილა ბიჭები ბანაობდნენ. ნაპირზე კი, ერთი შეხედვით მათი მსგავსი, უშნოდ ტანაყრილი მოზარდი იჯდა, თავი მუხლებზე დაედო, ხელებიც მუხლებზე შემორევია, მაგრამ გამსდარ ბეჭებზე ფრთებდა კეცილი — ანგალოზი იყო ნამდვილად.

თეთრპერანგიანი ქალი მთქნარებით ივარცხნიდა  
თმას და პირდაპირ შემომცეკვეროდა მაცდური ღიმილით  
(ცალი თვალი ყავისფერი ჰქონდა, ცალი კი მწვანე). წარ-  
ბით რაღაცას მანიშნებდა და უკმაყოფილო რჩებოდა ჩემი  
მიზანზემომართებოთ

გორაკზე მდგარ ეულ სახლს პატარა, ფხიზელი ფინია  
დარაჯობდა. ხოლო მრისხანი მამალი ოლბაზე იჯდა და

ფარშევანგივით ელვარე ბოლო მიწაზე დასტრევდა.

ორი ბიჭი ძველიასძველ, მწვანე მანქანას ბორბალს უცვლიდა შარაზე. იქვე, მდინარეში ვერცხლისფერი თევზები სხმარტალებდნენ.

მსუქანი, წელზევით შიძველი, ზარმაცი კაცი ჰამაკში ხერინავდა. კოლოები წულილით ესეოდნენ. ჰამაკი ბლის ხე-ებს შორის ჩამოება და ბლით სავსე თასიც იქვე იდო, სამ-ფეხა სკამზე. ზარმაცს გაბოროტებული შესცეროდა ჩა-მომხმარი, ანჩხლო ცოლი, რომელიც კიბის საფეხურზე იჯდა და სუნელს ნაყავდა ფილში.

და ისევ ბავშვები თამაშობდნენ მინდოორში. უამრავი ბავშვი... ყველაზე პატარა, ჩვილი სულ შესველი იწვა ზოლიან ჭილოფზე და ხელებით ეპოტინებოდა ვარდისფერ, ღრუბლებისოდენა მტრედს, ცნობისმყვანედ რომ დას-ცქროდა ზემოდან; მოზრდილები დახტოვდნენ, კოტრია-ლობდნენ...

სულ უფროს, ასე თოთხმეტი წლის გოგოს მუხლებზე გადაშლილი წიგნისთვის წამო მოეწყვიტა თვალი და მკაცრად ტუქსავდა წითურობიან, ცულლუტ ბიჭს, რომელიც ფეხში ჩასჭირებოდა ვეებერთელა, ლიმონისფერ პეპელას. პეპელას ტრაგიკულა, ადამიანური სახე პერნდა....

და ასე დაუსრულებლად: მონადირები ფრინველებით  
სავსე ტყეში; ყანას შესული ღორები და გაქცეულ, ემვებ-  
დალერილ ტახს ყეფით გამოიდევნებული მექებარი; მძინა-  
რე მეველე და მასთან დაყუჩნული მეორე მექებარი —  
დუნედ, ცალი თვალით რომ აკირდება სიმინდებში გან-  
კხრომით მოლოტტინი ღორებს.

პატარა ეკლესიაში აღსარებისთვის მორცევად თავ-დახრილი თეთრთავგასაფრიანი ლამაზი ქალიშვილი და რატომძაც ძალიან გახარებული, აღფრთოვანებული, შავთვალნარბა, ტანდაბალი მღვდელი. მათ კი დადარაჯებული ზევრავს ზარმაცი კაცის ჩამომხმარი ცოლი... თეთრპერანგიანი ქალიც აქვეა, ოლონდ ახლა მაცდურად აღარ იყურება, სხვადასხვა ფერის თვალები დაუხრია, პატარა მუშტებს იცემს მკერდში და მხურვალედ ლოცულობს.

საგულდაგულოდ სველთმაგადავარცხნილი, ყველა  
თოთხმეტი წლის ბიჭვით მოუკწელი ანგელოზი საკურ-  
თხეველთან ატუზზელა მორცხვად და კარგა მოზრდილი  
ყარაბე წითლად უღვიგის.

საყდრის ეზოში, საფლავებს შორის წითური ონავარი ისევ ლიმონისფერ პეპელას დასდევს. ჭიშკარში კი მექორ-ნილები შემოდიან. ჯვარს იწერენ: მაღალი, თავის კაბაზე უფრო თეთრი გოგო და დაბალი, შავგვრემანი, საოცრად ამაყი ბიჭი...

— ამას ჰქვია პრიმიტივიზმი, არა? — მომესმა ჩემი ნათესავის ხმა. უსათუოდ კმაყოფილი იყო, რომ გაახსენდა და შესაფერისი განმარტება მოუძებნა ნაახას. მსხალსაც გერიელად მიირთმევდა. — ისე, ზურას არასდროს უთქვამს, მამაჩემი ხატავსო.

— არ იტყოდა. — თქვა ჩეცნა მასპინძელმა, — არც მე ვამბობდი. ვის რაში აიხტერესებს? მამალი რომ კაცზე უფრო დიდია და ერთ სურათზე ვაშლი კიდეც მწიფს და კიდეც ყავის, არაა მთლად ნორმალური, ამას მეც კი გვედები. მაგრამ არ გამომდის სხვანაირად. ანდა რატომ უნდა ვაჯაოო წარა?

— არავისთვის გიჩვენებიათ ეს ყველაფერი? — ვკითხე და ვეღარ ვიცანი საკუთარი ხმა. თითქოს ოქროს საწმისს ვადექით თავზე, მლევიმში.

— არავისთვის. ჩემი ბიჭი იყო შარშან და გამიჯავრდა, მთელ პენსიას სალებავებში ხარჯავო. მე კიდე ხმელა პურს შევჭამ, ოლონდ ვხატო. ხომ ხედავთ, ორი-სამი ოჯახი ცხოვრობს ამ არემარეზე, მისვლა აღარაა და მოსვლა. ნამუშევარ კაცს დასვენება გინდა, გალაპარაკება, გამოლაპარაკება... ხატვაში დრო ჩქარა გადის.

— რამდენი ნამუშევარი გექნებათ?

— იქნება ასე ორასამდე.

— მხოლოდ ფერწერა?

— კი. ფანქარს ვერ ვეწყობი.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. არადა, ვგრძნობდი, კიდევ უამრავი რამ უნდა მეკითხა, ამომეხსნა ამ უცნაური კაცის აურაცხელ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი, სულ პატარა მაინც... მაგრამ აღელვებულს ენაც დამტბა და მხოლოდ გავუცინე მხატვარს, როგორც ზოგჯერ მთვრალები იცინიან უმიზეზოდ.

თორიბისგან ჩემმა ნათესავმა გამომაფხიზდა.

— აბა, ჩენ ნავედით!.. გვეჩერება! — მოულოდნელად გამოაცხადა და მისი ხმა გრგვინვასავით გაისმა აქაურ სარკოფაგისებურ მყუდროებაში, სადაც ჩურჩულით ნათქვამიც კი ექსო გამოსცემდა თითქოს.

— აუცილებლად დავპრუნდები! — ვუთხარი მოხუცს გამომშვიდობებისას. ჭიშკარში პატარა ბავშვივით იდგა, რომელიც მიმავალ მშობლებს დასდევებია, — თანაც, მარტო კი არა...

ჩემმა ნათესავმა მოუთმენლად დაასიგნალა. უკვე მეოთხედ.

— ნავედი, თორემ დამტოვებს. — მასპინძელს მაგრად ჩამოვართვი ხელი. მარჯვენა თბილი და უჩვეულოდ მშრალი ჰქონდა.

— გამიხარდება, — ჩაილაპარაკა ეშმაკური ღიმილით. ღიმილისას თვალები ნაოჭებში ეკარგებოდა და ქვედა ყბას უჯრასავით სწევდა წინ, როგორც კომედიანტი. — გამიხარდება, თუ დარჩები.

ისევ გაისმა სიგნალი. უფრო ხანგრძლივი და ბრაზიანი.

— იმას არაფერი ესმის, — საპასუხო ღიმილით მოუბონიშე მოხუცს და უკან გადავდგი ნაბიჯი. — სულ არაფერი.

მან ხელი ასწია და სალებავით მოსვრილი თითები ოდნავ აამოძრავა.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მერე კი მთელი გზა ვისმენდი ახალგაზრდა, ჯანმრთელი, საერთო მოსაზრებით ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ადამიანის ჩივილს იმის თაობაზე, თუ როგორ დაგვარგეთ ამხელა დრო და რა ზიანი მიაყენა მანქანას — ძვირფას...

როგორც მოსალოდნელი იყო, მხატვართან არ დავპრუნებულვარ. ვერც იმ წელს, ვერც მეორე წელინადს... არ დამვიწყებია და არც დამზარებია. უბრალოდ, ვერ მოვახერხე.

ხან ასე მეგონა, ყველაფერი დამესაზმრა-მეთქი. აბა, ცხადში როგორ უნდა მერწმუნა კაცის მიერ სამყაროს

შექმნა...

და აი, შარშან, ინტერნეტში, კულტურული სიახლეების ძიებისას (აქვე უნდა ვთქვა, ინტერნეტს ძალიან იშვიათად ვსტუმრობ) კოლოსალურ ფასად გაყიდული ნახატების „ცხელ“ ათეულს მივაგენი.

გადახდილი თანხები ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ სუნთქვა შეგევრობდა კაცს. თითოეული ნახატი მსხვილი პლანით გამოვიტანე ეკრანზე.

ორი კუბისტურ კომპოზიცია თავდაყირა რომ დაგეყინებინათ ამით მაინცადამაინც ვერაფერს დააკლებდით — არსი არ დაირღვეოდა.

არც მათი ავტომობისა და არც ავტოპორტრეტისტი ქალის სახელები არაფერს მეუბნებოდა... მათ მოპყვებოდა საპატიო მეოთხე და მეხუთე ადგილის მფლობელი, XVIII საუკუნის ინგლისური სკოლის ბრწყინვალე ნიმუშები — გეინსბოროს სტილში შესრულებული ორი პორტრეტი. ამასთანავე, ორივე ნამუშევარი ერთი ბედნიერი კოლექციონერის კუთხინილებაში მოხვდა(!).

უცებ ჩემს თვალწინეთი თითქოს ვულკანი ამოიფრქვა. თითქოს მზეზე მომხდარ აფეთქებას ვხედავდი და არა ათეულის მეექვსე ნომრად დასახელებულ ნამუშევარს, სადაც უამრავ პერსონაჟს შორის საკუთარი თავი აღმოვაჩინე, ფარნებითა და მაშალებით გაჩახატებულ ღია აივანზე, უცნაურფერებინანი სოფლის შუაგულში...

დიახ, ნახატის ცენტრში ვიდექი, წელზე თოშემორტყმული კაბით (ეს კაბა იყო ერთადერთი თეთრი ლაქა ნახატზე). ოლონდ თმა რატომდაც გადაპარსული მქონდა და თავზე ყავავილების გვირგვინი მედგა. ხნიერი, სახედანაზეჭული ქალი ყურში რალაცას ჩამჩრებულებდა, მაგრამ მე მოუთმენლად ვოწვედი ფეხშიშველა, მეკობრესავით თვალახვეული ბიჭისკნე, რომელთანაც აუცილებლად, იმ წამსვე უნდა მეცეპა, თორემ მოვკედებოდი... შექეიფანებული გლეხები თავდავიწყებით, მთელი ძალ-ღონით მღეროდნენ. ახალგაზრდა, შავთვალწარბა მღვდელი მორიდებით აყოლებდა ხმას.

ხორავით დაზინულ სუფრას არავინ ეკარებოდა, მხოლოდ ფეხზე მდგარი ერთი კაცი ილუქმებოდა სახელდახელოდ. მაღალი, წელში გამართული თეთრი გოგო ბავშვის ანოვებდა და თან ქმარს არ აშორებდა თვალს, შეფიქრიანებული. ქმარი — დაბალი, შავგვრემანი ბიჭი, ნასვამი და თავდაჯერებული — ჯიქურ შეპყურებდა მოცეკვავებს; უფრო კი, ალბათ, თმაგაშლილ, გამომწვევად ჩაცმულ მაცდურ ქალს, თავანყვეტილი სიცილით რომ ტრიალებდა წრეში... გახარებული ბავშვები ტაშნ უკრავდნენ და ხტოდნენ. ერთი, ყველაზე პატარა, სუფრის თავში, ბაბუის მუხლებზე თვლემდა. ჭალარა ულვაშიანი ბაბუა ფიქრში წასული, ღიმილით ჭუტავდა თვალებს; ხუთიოდე წლის გოგოებს კი მოუხერხებელი ანგელოზი ჩაესვათ შეაში და ფრთხებზე უსგამდნენ ხელს, როგორც ფუმულა ლევეს. ისიც მორჩილად იტანდა ალერსს.

ხარბად ესნავლობდი ნახატის თითოეულ დეტალს.

აი, ადამიანები მხიარულობენ; მინდორში კი ღამეა, რომელსაც უხვი ვარსკვლავები და ფერადი ქალადებებით შემკული ფარნები ანათებს. ვიღაცას კოცონიც დაუნია... ნაპერნკლები მაშხალებით ცვივა პაერში.

ვაშლის ტოტები ნაყოფის სიმძიმისგან მიწაზე დევს. ღორი ზარმაცად განილილა ხის ძირში და კალოდ დაყ-

რილ ყვითელ მსხლებს ყურადღებას არ აქცევს.

გზაჯვარედინთან, ბოძზე გამობმულ უზარმაზარ ნა-თურას ლიმონისფერი პეპელა უტრიალებს. ბოძთან კი შეყვარებულები ქვეყნის დასანახად კოცნიან ერთმანეთს. უფრო მოშორებით, ერთ-ერთი ბილიკი მდინარისკენ უხ-ვევს... მდინარიდან თევზები გადარეულებივით ხტებიან ხიდზე, სადაც მეთევზეს ჩასძინებია.

რა საოცარი ლამე იყო...

ეს მე ვიდექი გვირგვინით შემკული, გადაპარსული თავით და ჩემს ირგვლივ მრავლად ირეოდნენ ადამიანები: მოხუცები, შუახნისანი, ყმანვილები; შურიანნი, კეთილნი, გულუბრყვილოები და ანგარებიანნი, თავხედნი და ზრდილნი...

ეს იყო ჩემი ცხოვრება...

ხელის კანკალით მოვიძე ნახატს თან დართული მო-ნაცემები:

„ლხინი სოფლად“ — უცნობი ავტორი.

უცნობი კოლექციონერის კუთვნილება.”

ღმერთო ჩემო, ეროვნება მაინც დაეწერათ. კავკასიე-ლი მაინც!..

ცხადია, მაშინვე დავუკავშირდი ჩემს ნათესავს. ორი-ოდე კითხვა დავუსვი.

— რაო?.. რაში გაინტერესებს? — ძლივს გასაგონად მითხრა ტელეფონში, — ახლა თათბირზე შევდივარ... რო-მანი? ეგ ხომ გარდაიცვალა... გასვენებაშიც ვიყავი, მისი ბიჭი ჩემი თანამშრომელი არ არის?.. რა ნახატები? ნარ-მოდგენა არ მაქვს... ააა, მოიცა, გამახსენდა, ასე ამბობდა: ყველა ერთმა უცხოელმა იყიდაო. ბედი არ გინდა?.. ჰო, ყველა... მაგრამ შენ რატომ დაინტერესდი?.. კი, უკლე-ლივ ყველა... ისე, თვითონაც უცხოეთში აპირებს ნასვ-ლას... კარგი, ახლა არ მცალა!

არც მე მეცალა მისთვის — ვტიროდი...

აი, რა გამახსენდა, თანამედროვე მხატვრის კეთილ-მოწყობილ სტუდიაში, ულტრამოდურ საქანელა სავარ-ძელში მჯდარს. და რა დასმიალია, იმასაც ვფიქრობდი, რომ ჩემი ცხოვრება როგორლაც უფერულად, ფუჭად მი-დიოდა, რადგან ჯერ არსად გადავყროდი მეკობრესავით თვალახვეულ, გზნებით მოცეკვავე, ფეხშიშველ ბედისნე-რას... არც არასდროს შევგებეივარ მას და უკანმოუხე-დავად არ გადავშვებულვარ ნამდვილი, „სიცოცხლით სავსე სიცოცხლის“ სახიფათო მორევში...

სიჩუმე შეწყდა; შემინული ფართო კარი ზარის წკრია-ლით გაიღო და სახელოსნოში დიასახლისი შემოვიდა, მტვერსასრუტით ხელში.

— ჩემი ბიჭი ამ საღამოს ჩამოდის, მეგობრებთან ერ-თად! ახლა დამირეა... აღარ ვიცი, რომელი ოთახი გავა-თვისულო... იქნებ ის, პირით ზღვისკენ რომაა, ყველა-ზე დიდი; მაგრამ იქ ისეთი კარგი ოჯახი ჩამომდის... ნეტა აქ დაიძინებდნენ. მაინც არ ძინავთ მაგათ... ახლა ამ მტვერს ავიღებ, მეტი რა უნდა, მინკრიალებული მაქვს ყველაფერი... ერთი ამ ცხენის თავს შეხედე, რა გამოძერ-ნილია. ცოცხალი გეგონება... მეორე კურსზე გააკეთა, გა-დარია თურმე პედაგოგები... სასწაულად ნიჭიერია. ნახე, თუ არაა სხვანაირი და გამორჩეული... ხომ არის ნიჭიერი?

— ო, დიახ... — ვუთხარი წყნარად, — უდავოდ, უდა-



### დალილა ბედიანიძე

ზეცამ თქვა თოვლი, თოვლმა თქვა მიწა და ჩუმი თრთოლვით მზე გადაირნა.

წყალმა თქვა ქვიშა, ქვიშამ თქვა წყალი და როგორც რიქშა, რბის მიწა-მყარი. გულმა თქვა სიტყვა, სიტყვამ თქვა „ლმერთი“ და ლმერთი მიყვარს მისი სიკეთით.

არა მაქვს მოცლა სათქმელთა შორის. ამაოდ მოცდა ტყუილი, ჭორი და თქვა მართალი ბუნებამ ჩემით, მარტში ვარ ქალი, მერე — ირემი.

\* \* \*

როცა ჩიტები კვდებიან ცაში, არ ისმის ირგვლივ ვაშა და ტაში. უხმოდ კვდებიან ცაში ისინი და ისმის მხოლოდ ქარის სისინი და ფრთებგაშლილი ჰევანან ჩიტები ჯვრებს და ყვავიან, როგორც ტიტები. ვით მოწყვეტილი ყვავილი — მიწას, ჩიტი ცას სწყდება, ეცემა იმ წამს. უკანასკნელი საგალობელით ციდან ჩამოდის მხხარიბელი. როცა ჩიტები ცაში კვდებიან, საფლავის ჯვრები მათი ფრთებია. ლალი, ლამაზი და ბედნიერი მიწიდან მოჩანს ჩიტი ციერი. დიდება ციდან მოწყვეტილ ჩიტებს დედამიწა რომ როგორლაც იტევს! დიდება სულებს აფრენილ ცაში! რა საჭიროა ვაშა და ტაში!

\* \* \*

მიწყდა ფეხისხმა, ჩამოწყდა ზარი, არ მინდა, იყოს ახლა რაც არის. გულს მერამდენე გაუჩნდა ბზარი, ცეცხლი ჩამქრალა, დარჩა ნაცარი. არ მესმის რეკვა, არ მესმის რეკვა, დადუშებულან ცისერის ზარები. არ არის ყოფნა — ეს არის ცეკვა უკანასკნელი, შემაზარები. დანგრეული ჩემი ტაძარი და ნანგრევებში ვარ ჩამარხული. სიტყვა ვერ ვპოვე, ხმა ვერ დავძარი, დამეზძო გულის კარი ჯახუნით. და წინათგრძნობა მაქვს რაღაც ცუდის,

ლმერთმა ქნას, იგი არ გამიმართლდეს!  
 როგორც ჩიტუნა დანგრეულ ბუდეს,  
 ვცილდები მინას, მზის ნაცნობ ნათელს  
 და სადლაც შორს, შორს მივექანები  
 და გზას მივიკვლევ ხელის ცეცებით.  
 ო, გადამწვარან სიტყვის ყანები  
 და მაფრთხობს ქარი — ქრის გამხეცებით.  
 მინყდა ფეხისხმა, არავინ მოდის,  
 როგორ მჭირდება მშეელელი ახლა!  
 ზურგზე მყიდია საფლავის ღოდი  
 და დღის სილრმეში თავს თვითონ ვმარხავ.

## ლია სტურუას

დავყურებ შენს სურათს,  
 როგორც ამოუხსნელ ამოცანას,  
 რომლის პასუხიც შენს ლექსებში წერია.  
 საიდან მოდის შენი ნიჭი,  
 ნიჭი, რომელმაც წალეკა სული?  
 შენ ხარ უცნობი უცნობთა შორის,  
 ცნობილთა შორის უცნობილესიც.  
 დავყურებ შენს სურათს  
 და ვცდილობ, დაიჭირო შენი მზერა,  
 მზერა, რომელიც სინათლეს აფრქვევს მომაჯადოებს.  
 დღეს შენ ხარ ლექსის დიასახლისი,  
 აღტაცება და ტაში შენია.  
 ო, როგორ წყდება პაგეს სტრიქონი,  
 ვით ჩიტი — ბუდეს,  
 რომლის წინაშეც ტყე უსიერი გადაშლილია.  
 მიდი, იფრინე! გაგაოცე მაგ შენი ფრენით!  
 დაგვაპყრობინე მიუღწეველი მწვერვალები,  
 სადაც სიტყვების ქარბუქი ბრუნაეს  
 და დედამინის ბრუნვას გვავინცებს,  
 რომელიც გვითვლის დღეებს, საათებს.  
 ათიათასი სიცოცხლე შენდა,  
 რადგან შენია, ის რაც სიცოცხლის მიღმა ტრიალებს!  
 რამდენი ლექსიც დაგინერია,  
 იმდენ წელინადს კიდევ იცოცხლე!

\* \* \*

მოვიდა ლექსი — სიტყვების სეტყვა  
 და შევეგებე გახარებული  
 და ვთქვი, რაც ასე მინდოდა მეთქვა  
 და ყვავილების შევქმნენ კრებული.  
 სიტყვა ჰგავს სეტყვას, სიტყვა ჰგავს ყვავილს,  
 დაზება, წაგა, დაჭენება, ხმება.  
 მინდა, ამაყად ავნიო თავი —  
 გამახალისეს მე ლექსის ხმებმა.  
 პაუზა. ჰანგი. ისევ პაუზა...  
 მე მელოდიას მივყენები ლექსის.  
 არ გამოდგება ლექსის კაუზად  
 მშრალი სიტყვებით შექმნილი ტექსტი.  
 ლექსი სულ ითხოვს და გულისცემა  
 გადადის ლექსში, როგორც ნუგეში  
 და ლექსის თავში, როგორც რამ გემბა

ზის სათაური — ჩიტი — ბუდეში.  
 მოვიდა ლექსი და მედგრად დაეხვდი,  
 გადამიარა, დამსეტყვა სიტყვით.  
 ოცნებავ ჩემო, ო, როგორ ახდი —  
 რაც მსურდა მეთქვა, ყველაფერს ვიტყვი!

## ციკლიდან „ლექსები მარსზე“

მაქს! მიიღია ეს გაზაფხულიც.  
 ვგრძნობ, უშენობა რარიგ ძნელია,  
 სიტყვები შენთვის გადანახული  
 თავისუფლებას როგორ ელიან.  
 მაქს! ისე შორს ხარ, რომ ხარ, თუ არა  
 მე აღარ ვიცი — ვზივარ. გიგონებ.  
 სულს ქარტეხილმა გადაუარა,  
 შენზე უფიქრობ და ვაწყობ სტრიქონებს.  
 მაინც რა იყო შეცვედრა ჩვენი!  
 რა ღვთის წყალობა, ანდა რა ბედი!  
 მყავს სიყვარული გადასარჩენი,  
 ვით თოთო ბავშვი — დედის იმედი.  
 არც შეცდომა და არცა ცოდვა...  
 არც — გაუღენთილი ცრემლით ბალიში...  
 რა მოელოდა, ვინ რა იცოდა,  
 ამური თავის ოინს არ იძლის.  
 შეცვდით. დამთავრდა აქ ყველაფერი  
 და ყველაფერი ასე დაიწყო.  
 ამას არ უნდა სიტყვები ბევრი —  
 ჩვენი სათქმელი გრძნობით აიწყო.  
 მაქს! მიიღია ეს გაზაფხულიც,  
 თუმცა მარადი მჭირს ყვავილობა.  
 ახლა შორიდან ხარ დანახული  
 და ახლა შენ ხარ გულში ჭრილობა.

\* \* \*

აღარ არის ბელა ახატოვნა,  
 აღარც ჩევნი ოთარია, ჭილაძე.  
 ან და მარად იყოს მათი ხსოვნა  
 სიკვდილის და დავიწყების ჯინაზე!  
 ო, ერთი დრო ნეტავ, ვის შერჩენია!  
 ყველა წავალთ, ალბათ წავალთ ცაში.  
 ო, სიკვდილი ყველას განაჩენია  
 და ვაცილებთ ჩევნ ერთმანეთს ტაშით.  
 ყველას რჩება ქვეყნად მომგონებელი,  
 ყველას რჩება გატანილი კვალი.  
 დროა ქვეყნად ო, ყველაზე ბებერი,  
 ყველაფერი ხდება დროის ძალით.  
 წამსვლელ-მომსვლელს ყველას უნდა პასუხი,  
 ერთი მიდის და მეორე მოდის  
 და სიცოცხლე მძლავრია და არს უხვი,  
 ვერ ამარცხებს მას საფლავის ღოდი.  
 მოვიგონოთ ბელა ახატოვნა,  
 მოვიგონოთ ჩევნი ოთარ ჭილაძეც,  
 ოლონდ — ცოცხლად! ასეთია თხოვნა...  
 ზღვის ნაპირას კვალი ყვავის სილაზე.

\* \* \*

დაკეტილია ზეცათა კარი,  
კარი სამოთხის დაკეტილია.  
დაღლილს კაუნით მაღვიძებს ქარი,  
ო, გაღვიძე, რა დროს ძილია!  
დაკეტილია ზეცათა კარი.  
მზე გამოაგდეს, ვით ცელქი ბავშვი  
და ისიც რეკავს, როგორც რამ ზარი  
მაცდუნებელი, როცა ფრთებს გავშლი.  
დაკეტილია ზეცათა კარი  
და მე ვაწყდები ზეცას ამაოდ.  
ლრუბლის ჭიშკარი მხვდება, ავდარი,  
მთვარე ლოცულობს, როგორც მამაო.  
დაკეტილია ზეცათა კარი,  
სამარადისოდ დაკეტილია.  
ჯერ ვარ ცოცხალი. ჯერ არ ვარ მკვდარი  
და ქარის მარში აწყვეტილია.  
დაკეტილია ზეცათა კარი  
და ვევედრები — გაიღე, კარო!  
გაიღე, მერე თუნდ შეიკარი,  
ოლონდ მაცალე, ჯერ შევიყვარო!

\* \* \*

გათენდა და გაზაფხულდა,  
აენილა მინას თვალი  
და მზე ახლოს მოდის გულთან  
ნაავადარ-ნაზამთრალი.  
ნასესხებიც ჩასესხა  
აპრილმა მარტს, მეტიც მისცა.  
გაიხსენა ხემ, რა ესხა,  
გაიხსენა შობა მინამ.  
ჩიტმა ჩიტი შეიყვარა  
და ფუტკარმა — ყვავილები.  
საზეიმოდ შეიყარა  
ო, სამყარო უფლის ნებით.  
აღმსდგარი და განწმენდილი  
არის სული ნააღდგომებს  
და მზის სხივი გამოწვდილი  
ნათლავს შვლებს და ნათლავს ლომებს.  
გათენდა და გაზაფხულდა,  
სიზმარ იყო ზამთრის ძილი.  
დამარცხდა და ტოვებს გულთა  
სიძულვილი და სიკვდილი.

\* \* \*

ცარიელი დღეები,  
როგორც ბორკილები,  
ჩვენ კი — როგორც ტყვეები  
მტრის გათოკილები.  
რიგ-რიგობით მივდივართ,  
რიგ-რიგობით ვკვდებით.  
სულ ფეხებზე ვკიდივართ  
დროს, გათანგულს ვნებით.  
და მინაზე იშლება

ჩვენი მერთალი კვალი.  
ვით სულის გაშიძვლება,  
ჭირს ამოხსნა ხვალის.  
და უფალთან ქარს მიაქვს  
გალობანი ჩვენი.  
როგორ დაუნამქრია  
დროს მზე — უფლის ძლვენი.  
ცარიელი დღეები  
მწარე ცრუმლით რწყული...  
ვხმებით, როგორც ხეები,  
გულს გვაჩნია ნყლული.  
ვითვლით ცაზე მთვარეებს  
და მზეებსაც ვითვლით...  
ვითვლით სიტყვებს მწარეებს,  
მერე გვრჩება მითი.

## სადღაც შორს

სადღაც შორს, სადაც არავინ არის,  
სადაც არ წვდება ხმა მწუხრის ქნარის,  
სადაც ჩამკვდარა მშფოთვარე ქარიც,  
დახურულია ლრუბლების კარი...  
სადღაც შორს, მიღმა უსიერ ტყეთა,  
მიღმა უსახურ, უდაბურ დღეთა,  
მიღდინება მდინარე ლეთა  
და არემარე მორთულა თეთრად...  
სადღაც შორს, უცნობ, უხმო მხარეში  
სძინავს ო, ბაზუს ლვინით გალეშილს,  
როგორც ერთგული პირისფარეში,  
თავს დასდგომია მთვარე ო, მრეში.  
სადღაც შორს გელის სადგური ბოლო,  
არავის დედა, არავის ცოლო,  
მხოლოდ მიდიხარ, მიდიხარ მხოლოდ,  
ან — რა, ან — ვინ გყავს, რომ გაიყოლო!  
სადღაც შორს, რასაც არყოფნა ჰქვია,  
გზას მივუყვები წვიმიანს, ქვიანს...  
დრო გაყინულა, წუთნი არ ქრიან  
და არის გვიან, ძალიან გვიან.

\* \* \*

ერთსა კაცსა მელექსესა  
ლექსთ კალათით ლექსთ ხიდზედა  
ლექსი გააქვს და გამოაქვს.  
ეფინება არემარეს  
მისი ხმა და მისი ჭექა,  
ღმერთო, მისა დაქმბარე,  
ვისაც რომ პოეტი ერქვას!  
არ მოაკლო სიტყვის ძალა,  
სიყვარული არ მოაკლო!  
გამოავლე პირში ჩალა,  
ვინც მას უმტროს, საარაკოს!  
ათქმევინე და ბოლომდე  
მოისმინე ლექსი მისი.  
ვინც თქვა, დღემდე დარდი მოსდევს  
დაუმარხავ ცამცუმისი.

ერთსა კაცსა მელექსესა  
ღმერთო, ხელი მოუმართე!  
ზეცას სწვდება მისი კვნესა,  
კორტნის არწივისა მართვე.  
ხსოვნა იყოს, მოგონება  
ვინც შესწირა ლექსებს თავი  
და მეც მომეც შთაგონება —  
მქონდეს ძლიერ ლექსთა ხვავი!

\* \* \*

მე შევეჩიე სიცივეს ზამთრის,  
გაზაფხულდება? ალარც კი მჯერა.  
დროს უკულმა თვლის ჩემი საათი  
და მზის სხივების არ მესმის ჟღერა.  
მზად ვარ, დავბრუნდე უკან, ზამთარში  
და გამოვტოვო ეს წელიწადი.  
ნუთუ დამთავრდა, ნუთუ გადავრჩი..  
ცეცხლზე შიშხინებს აღდგომის მწვადი.  
ისე ველოდი გაზაფხულს, ისე,  
რომ ვერ შევნიშნე — შემომეპარა  
და გააცილა ზამთარი მყისვე...  
გაზაფხულია? არ მჯერა, არა!  
აჯანყბული ო, ქარი როკავს,  
როგორაც ბრასის უნგრული ცეკვა...  
წყალს უერ მოიტანს ყოველთვის კოკა —  
თუმცა დღეს ავცდი ყინვათა ეკალს.  
მე შევეჩიე ზამთარს, ახალი  
მზე შობა ზეცამ ამ გაზაფხულზე.  
როგორც მძინარე მზეთუნახავი,  
ვიღვიძებ, ვკვირვობ და დილას ვუმზერ.

\* \* \*

ანდამატივით რად მაგონდები  
სულის მეუფევ, მიყვარხარ დღემდე.  
მოვინანიე ჩემი ცოდვები  
და განნებნდილი უფალს მივენდე.  
ჩემს მხსნელად ღმერთმა გადმოგავლინა,  
სულში შემოგაქვს ნათელი დილის.  
ისევ მიყვარხარ, ო, როგორც წინად,  
ამ სიყვარულში ღმერთს უდევს წილი.  
ნელა წყდებიან ძაფები სულის,  
ნარსულს ნელ-ნელა განვეშორები.  
დრო დწება თოვლი ვით გარდასული,  
აღმსრულებელი ჩემი ცხოვრების.  
მხოლოდ შენ შემრჩი, მხოლოდ შენ დამრჩი  
წინაგამძლოლი ო, სიზმარ-ცხადის.  
მიწა ჭრელია ყვავილთა ფარჩით  
და გაზაფხული ჩევენს შორის დადის.  
ჩემი ბავშვობის პირველი გრძნობა  
ხარ და ბავშვობას კვლავ მიმეორებ  
და სიყვარულის ასე განგრძობა  
მე სისხლს მიდუღებს, როგორც რომ მორევს.  
რად მაგონდები ანდამატივით  
ჩემო წასულო ბეჭინიერებავ?  
პასუხი არის მეტად მარტივი —  
რომ სიყვარული ყოველს ერევა.

## მონადირე

ნინ — წყალი, უკან — მეწყერი,  
მოვინადირე მე მწყერი  
სიტყვა და გულის კარები  
გამელო ძნელსაკარები.  
გადავიარე მთა-ველი,  
ვიზილე მწიფე თაველი  
სიტყვებით დანაღმული და  
სიტყვა აფრინდა გულიდან.  
მივალ და მიმინარია,  
სიტყვა ყევარი ხარია  
შებმული ლექსის ურემში,  
მშრომელი კაცის ნუგეში.  
ბეჭინიერება მეწვია,  
თავს დამჭირებებს მზენვია  
სიტყვა — ცხვრის ტყავის ბეწვია,  
გულს — კალო გაულენია.  
ნინ — წყალი, უკან — მეწყერი,  
მესიტყვე ვარ, მონადირე.  
მოვინადირე მე მწყერი  
და მისი ცოდვა მატირებს.

## ციკლიდან „ლექსები გაძსზე“

უეჭველად გაწვიმდება, მაქს! ვუმზერ, როგორ მისდევს ფოთოლს ფოთოლი.  
დაბადების დღე ათასი მაქს,  
ჯერ-ჯერობით ვუძლებ დღეებს მოთოვილს.  
ღრუბელ-ღრუბელ მე მივლია ცაში,  
ტალღა-ტალღა მე ზღვა გადამივლია.  
არ მღალატობს მე ზღაპრული რაში,  
ნატერის ჩიტი, ანუ ჩიტი ნიბლია.  
სადაც შენ ხარ, მაქს, მეც იქით ვიჩქარი,  
სადაც მე ვარ, იქ ისწრაფე შენც!  
ფრთები ჩემი გაშლილია მთის ქარით  
და ვადარებ ქარს გამონვრთნილ მხეცს.  
ცალი თვალი მზეა ქვეყნიერების  
და მეორე თვალი ლია — მთვარე.  
ვუყურებ და მჯერა ბეჭინიერების,  
იმ ნაშვ ვლოცავ, როცა შეგიყვარე.  
უეჭველად გაწვიმდება, მაქს!  
მომე ხელი და გავასწროთ წვიმას.  
აბა, მარჯვედ! გავაჩერებთ ტაქს...  
შევხდით, რადგან ბედმა გაგვილიმა.



უეჭველად  
გაწვიმდება

პაატა ჩხეიძე

## ფიშარ ეიგსი და დემოკრატიის საცრთხე

ამერიკის კონსტიტუციისა და სახელმწიფოს შემქნელებს დამფუძნებელ მამებს უწოდებენ. ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ ორიოდე მათგანის სახელია ცნობილი და, ვეჭვობ, ფიშერ ეიმსის შესახებ ბევრს სმენოდეს ჩვენში.

ქართველებს რას ვერჩი, ამას ნინათ ერთმა ამერიკულმა, თავისი ქვეწის ისტორიის შესახებ რომ მოგვითხრობდა ქართულ სულურაზე, ფიშერ ეიმსის სსენატზე ოსტატურიდ შეცვალა საუბრის თქმა. ვერაფერს ვიტყვი, არ ჩავიძიებივარ, ეგებიცის კიდევ და ლიბერალურ სწავლულებივით ათვალწერებული ჰყავს, როგორც „ექსტრემისტი“, ამერიკული რევოლუციის „იდეალიზმის“ დამგმობი, ისტრიული და პარანოიდული ტიპი, ვის ფისტიკურ სისაღეშიც ბევრს ეპარებოდა ეჭვი.

ფიშერ ეიმსის საუკეთესო პოლიტიკური თხზულებანი გაუდენთოლია იმ სამარის სასოწარკვეთით, რომელიც მის უსიცოცხლო სხეულს ელოდა, ნერდა პენრი ადამისი.

მაგრამ რასელ კერკი გვეცნებოდა, ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ფიშერ ეიმსის ცხოვრებიდან, მისი რიტორიკიდან, თუნდაც მისი მოსწრებული რეპლიკებიდან და თხზულებებიდან; ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისას, ფრაზას, ყველა ადამიანი თანასწორადაა შექმნილი, მიაძახა, — მაგრამ მას მერე დიდად განსხვავდნენ; „კონსტიტუცია მხოლოდ ფარატინა ქალალდია; ხელისუფლების საძირკველი საზოგადოებაა“, ნერდა იგი.

ეს კაცი დიდხანს კედებოდა, წერს რასელ კერკი. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზით იყო ავად, ყმანვილობიდან გაცილებით მეტ იმდებს იძლეოდა, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოღვაწენი; იგი განასახიერებდა კონსერვატიზმის ორ ნარუსონცელ დოგმას, რომ: სიცოცხლე წარმავალია და ყველაფერი ამაოა.

ფიშერ ეიმსი (1758–1808) დაიბადა დედპეტემში, მასაჩუსეტსის შტატში. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ იზრუნარომ კლასიკური განათლება მიეღო, ყმანვილობიდან სწავლობდა ლათინურს. თორმეტი წლისა პარვარდის კოლეჯში მიაბარეს, რაც დაამთავრა 1774 წელს და მასწავლებლობა დაიწყო. ამავე დროს შეისწავლა იურისპრუდენცია და 1781 წელს მიიღო ადვოკატური პრაქტიკის უფლება.

1788 წელს იყო მასაჩუსეტსის კონგრესის წარმომადგენლთა პალატისა და იმ კონვენციის წევრი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციი მოიწონა.

იყო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის პირველი მონვევის წევრი და კონგრესმენად დარჩა 1789 წლიდან 1797 წლამდე. 1793 წელს აირჩიეს ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრად. კონგრესის მოტოვების შემდეგ განაახლა იურიდიული პრაქტიკა, მაგრამ პოლიტიკისათვის თავი არ დაუნებებია; იყო მასაჩუსეტსის

გუბერნატორის მრჩეველთა საბჭოს წევრი; მისი სიტყვა, წარმოთქმული პრეზიდენტ ვაშინგტონის დაკრძალვისას, ორატორობის ჩინებული ნიმუშია. აკრიტიკებდა პრეზიდენტ ჯეფერსონსა და მის მიმდევრებს. დაწერა შესანიშნავი ესეები და სიკვდილამდე ფედერალისტური პარტიის წევრად დარჩა. 1805 წელს პარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს, მაგრამ უარი თქვა თანამდებობაზე სუსტი ჯანმრთელობის გამო.

პარვარდი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეების აღმზრდელი იყო და სხვა მონინავე უნივერსიტეტებთან ერთად ეს ფუნქცია დღემდე არ დაუკარგავს. ფიშერ ეიმსი პარვარდში აღიზარდდა. იგი ყველას აჭარბებდა იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც მგზნებარედ უჭერდნენ მხარს ამერიკულ რევოლუციას და რადიკალური მოწოდებებით გამოდიოდნენ ინგლისის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სწავლისაკენ მათი მიპრენება ძალზე გაუჭირდა.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისი საყვარელი სიტყვები იყო. როდის უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი მინა ამ კალიებისაგანო, მრისხანებდა იგი და ციცერონის ციტატებს ახლიდა პირში მტერს. მაგრამ, უნდოდა თუ არა, კონსერვატიზმის გაკვეთილებსაც მაშინვე იღებდა და მალე დაინახა თუ როგორ მოექცა გამარჯვებული ბრბო „თავისუფლებას“ და ეს კი აღარ მოეწონა.

თვალი 80-იანი წლების ბოლოს აეხილა, როცა რევოლუციურ, გამარჯვებულ რესპუბლიკაში კრიზისი დაიწყო. განსაკუთრებით ახალინგლისელი ფერმერები დაზარალდნენ. მათ ხომ ყველაფერი სასწორზე შეაგდეს, სახლ-კარი მიატოვეს, იარაღ აიღეს ხელში, თავგანწირვით იბრძოლეს და რა მიიღეს სანაცვლოდ?! — მაღალი გადასახადები, ფულის გაძირება, ჭირნახულის გაიაფება, ვექსილების ტვირთი და ახალ-ინგლისელებმა კვლავ იარაღს მოკვიდეს ხელი, წინ კონტინენტური არმიის ყოფილი კაპიტანი დენიელ შეისი გაუძღვათ. აჯანყებულებმა იერში სასამართლობზე მიიტანეს, მრავალი სასამართლო შენობა დაანგრიეს, რითაც ახალი კანონმდებლობისადმი უნდობლობა გამოხატეს...

ამბოხება მალე ჩაახშეს, მაგრამ მომხდარს რა ეშველებოდა? რა ეშველებოდათ ცივილიზაციულ ახალინგლისელებს „ბარბაროსებად რომ იქცნენ... თავისუფლება რომ მოსწყინდათ და მერქელურ ხელებში იარაღი აიღეს იმ თავისუფლების წინააღმდეგ სისხლით რომ მოპოვეს და ერთ დროს სიამაყით სავსე ჰქონდათ გულები?“ ეიმსის სწამდა, რომ მასაჩუსეტსის კონსტიტუცია იყო „ხალხის თავისუფალი ქმედების შედეგი... და ამგვარი კონსტიტუციის ლალატი ზნების უკიდურეს დაცემას ნიშნავს“. და ისიც სწამდა, რომ ზნებირვივი დაცემა გარდაუვალი იქნებოდა, ვიდრე „ბრძენი პოლიტიკოსები“ არ ამძირკვავდნენ „იმ დამანგრეველ შეხედულებებს, მეამბოხებმა რომ ჩანერგეს ხალხში“.

„ბრძენი პოლიტიკოსებით“, წერს ეიმსი და უკვე ეჭვი ეპარება რევოლუციის სიკეთეში, მისი ოპტიმიზმი ამერიკის განსაკუთრებულ მისიისადმი ქრება და წერს არა როგორც წინასანარმეტყველი, არამედ როგორც გამოსავლის მძებნელი პოლიტიკოსი: „თუ დაგმარცხდებით, ჩვენი სისულელის ბრალი იქნება და არა ბედისწერისა“; და ორწლიანი საარჩევნო ვადის განსაზღვრისას „ხალხის მეორე, ფხიზელი განსჯა“ ეიმედება. ასეთი იმედი მას შემდეგ აღარ გაჭაჭანებულა მის ნაწერებში.

თუკი ოდნავი ოპტიმიზმი შემორჩენოდა შეის ამბოხების შემდეგ, საფრანგეთის რევოლუციამ სულ გაუქარწყლა. იქაური ტერორის შესახებ მოსულმა ამბებმა გამოჰკვეთა ეიმსის კონსერვატული ფილოსოფიის კონტურები; კოლეგა კონგრესმენთა საქმიანობამ კი საბოლოო სახე მისცა. ქვეყნის დედაქალაქისაკენ — მაშინ ნიუ იორკი გახლდათ — მიმავალი, მგზნებარე ფიქრებითა და იმედებით იყო აღვისილი; კონგრესიდან ნამოსულმა კი იცოდა, რომ ეს ვითომ დიდი ორატორები და სახელმწიფო მოღვაწენი არც „ნახევრადღმერთები“ იყვნენ და

არც რომაელ სენატორებს ჰგავდნენ. მისოვთის თაყვანსაცემ ჯეიმზ მედისონზეც კი შეეცვალა აზრი; მმართველობისათვის მეტისმეტად „პედანტად“ და „არაპრაქტიკულად“ მიიჩნია.

ფრაქციული რუზრუზისა და ინტრიგების მხილველს აღმოხდა, პოლიტიკა შემძულდა; საფრანგეთში მიშვებულმა სისხლის ლვარებმა კი დაანერინა: „ანგელოზთათვის შექმნილი თეორიები ხელში ჩაუვარდა ბრძოს და თვითმმართველობის განხორციელება მოინდოეს იმათ, ვისაც ადამიანებს ვერ უწოდებ“.

სწელიც იყო და სკეპსისიც იპარებოდა მის სულში, მაგრამ მაინც შეძლო და გაიმარჯვა არჩევნებში, თან ადამსების გვარის კაცი, სემუელ ადამსი დამარცხა. კონგრესში პირველი შესწორების (უფლებათა ბილი) ავტორი გახდა. ელიგზანდერ ჰამილტონის ფინანსურ პოლიტიკას უჭერდა მხარს; როცა პრეზიდენტი გადადგა, დანერა ქვედა პალატის მიმართვა პრეზიდენტ ვაშინგტონისადმი. ენინააღმდეგებოდა ჯეფერსონის მომხრე რესპუბლიკელებს. მისი სიტყვები მაშინაც შემძვრელი იყო და დღესაც არ დაუკარგავს მგზნებარება:

„რა არის პატრიოტიზმი? ნუთუ ეს უბრალო სიყვარულია მიზის იმ ნაჭრისადმი, სადაც კაცი დაიბადა? განა ის ბილიკები, რასაც ჩვენ ვთელავთ, იმიტომაა სხვისი მჯობი, რომ უფრო მწვანე? არა, ბატონებო! სიქველე აქ არ სუფევს და თავის საგანზე გაცილებით მალლა დაფარფატებს. ის თავმყვარეობაზე ვრცელია, მაში სიცოცხლის ყველა სიხარულია შერწყმული, და გულის უწვრილეს ძაფებშია ამიქსოვილი. საზოგადოების კანონებს იმიტომ ვემორჩილებით, რომ სიქველეს შეიცავს. მათ ძალაუფლებაში ვჭერეტთ არა მძღვანელობასა და საშიშროებას, არამედ ქვეყნის ლირსების პატივსაცემ ხატს. ეს ყოველი კეთილგონიერი მოქალაქის ლირსებაა და იმიტომ კი არ უფრთხილება, რომ ძვირფასია, არამედ იმიტომ, რომ წმინდა. სურს სიცოცხლე განიროს მის დასაცავად და იცის, რომ თავს იცავს, როცა სიცოცხლეს სწირავს.“

გავლენანი კონგრესმენი გახლდათ, მაგრამ იძულებული იყო ხელახალ არჩევაზე უარი ეთქვა და 1797 წელს შინ

დაბრუნდა. არც არაფერი აკავებდა კონგრესში. ამერიკა იცვლებოდა. ფედერალისტური პარტია დაკინიდა. რესპუბლიკელები, ან როგორც ეიმსი უწოდებდა „ჯეფები“ ძლიერდებოდნენ. მალე ომი დაიწყებოდა ბრიტანეთთან. საფრანგეთში ნაპოლეონი მძღვარებდა და ესეც დამატებითი საფრთხე იყო ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის. ლირებულებებს ივიწყებდნენ, უფლებებზე მსჯელობა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა და ჯეფერსონის აჩრდილი იტოტებოდა სახელმწიფოს მთელ სუვრცეზე.

ფიშერ ეიმსს კი სულ უფრო და უფრო იცყრობდა პესიმიზმი, აღარ სჯეროდა, რომ ტირანის შეკავებას შეძლებდა, თუნდაც თანამოაზრე ფედერალისტები გაერთიანებინა. მისი პროგნოზებისა სულ უფრო ცოტას სჯეროდა და თვით კონსერვატორებიც კი პანიკორს უწოდებდნენ. რასელ კერქ მიაჩნდა, რომ ფიშერ ეიმსი შეცდა, როცა ზომიერ ჯეფერსონელებს გაემიჯნა და უკადურესი რადიკალების მოსვლას წინ არ აღუდგა, მათთან ერთად.

ფიშერ ეიმსის ფილოსოფია მოკლედ შეიძლება ასე შევაჯამოთ: „თუ ხალხის ძალაუფლება არ დაოკდება, უზნეო ბრძოს ძალაუფლებას მივიღებთ. მაგრამ თუ ძლიერსა და სწორად ნარმართულ სახელმწიფოში მოქცევა, შეიძლება მივიღოთ ქველი საზოგადოებას, სადაც საზოგადოებასა თუ თვითეულ პიროვნებაში გაბაზონებულია ქვეყნის სიყვარული, რაც ყველას განაწყობს წინ დააყენოს ქვეყნის ინტერესები და არავის მისცეს უფლება მისი შელახვისა.“

მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ რესპუბლიკური სახელმწიფო და დემოკრატიული სახელმწიფო ერთი და იგივე არაა და ყველას აფრთხილებდა დემოკრატიისაკენ მივექმნებითო; დემოკრატია სამოქალაქი სიქვედეს ვერ აღზრდის და, როცა დაინახავს, რომ ზნეობა ხელს უშლის თავაზნეტილ რბოლაში ძალაუფლების მოპოვებისა და ტკბობისა, თავიდან მოიშორებს; მოკლედ, არ არსებობს ზნეობა სამართლიანობის გარეშე, ამბობდა ეიმსი, და შესაძლოა სამართლიანობა დემოკრატიის შემწე გამოდგეს, მაგრამ დემოკრატია არასოდეს შეერევა სამართლიანობასო.

არასოდეს გაუზიარებია ვალების გაუქმებისა და ქონების გათანასწორების სქემები. მისი სიმართლე მწარე იყო: „ჩვენი ქვეყანა მეტისმეტად დიდია ერთიანობისათვის, მეტისმეტად უსუფთაოა პატრიოტიზმისათვის და მეტისმეტად დემოკრატიულია თავისუფლებისათვის. რა ელის მას? — ვინც შექმნა, უკეთ იცის. ნაკლოვანებანი გაუძღვებიან წინ და წინდაუხედობა იმოქმედებს. ასეთია დემოკრატების ხედირი.“

და ამ უაღრესად პესიმისტური წინასწარმეტყველებითაც არ კმაყოფილდებოდა ეს პირქუში აჩრდილს დამსგავ-



ფიშერ ეიმსი

სებული კაცი. „ჩვენი ავადმყოფობა დე-მოკრატია“, მოთქვამდა იგი; არც კანი გვაქვს დაწყლულებული, არც ძვლები გვეშლება და არც განგრენა მოგვდებია, დემოკრატია გვჭირსო, დარღობდა; ვწუხვარ, რესპუბლიკა მოკვდება, და თუმცა იმედები აღარ შემრჩენია, მა-ინც მსიამოვნებს ვიკამათო ქალბატონ თავისუფლების სახლში, ვინც, თუმცა თავისუფლებან წართვეს და აღარც გასათხოვარია და აღარც ქალწული, ქალლმერთად ჯერ კიდევ რჩებაო.

სიკვდილის პირას მისულსაც არ მოუშლია პირქში იუმორი და თავის მეგობრებს სწრდა, ჩემი ჯანმრთელობა უკიდურესად ფაქიზია, თუ ბუხართან ვზიგარ და ფეხები თბილად მაქეს, სწრებას აღარ ვგრძნობ და ოდნავ უკეთა ვარ ამ „არყოფნის“ ყოფნაშიო.

პესიმისტიც გახლდათ და სკეპტიკოსიც, მაგრამ სასიკვდილო სარეცელ-ზეც კი მხნედ რჩებოდა და თავისუფლება ჯერაც ქალლმერთი იყო მისთვის.

ფიშერ ეიმსი გარდაიცვალა 4 ივ-ლისა. ალბათ გახსოვთ, რომ ჯონ ადამსი და ტომას ჯეფერსონიც 4 ივლისს წავიდნენ ამ ქვეყნიდან, თუმცა ფიშერ ეიმსზე დიდხანს იცოცხლეს და ამერიკის დამოუკიდებლობის ორმოცდამეათე წლისთავს მოესწრნენ.

სულ ახლახან იზეიმეს ამერიკელებმა დამოუკიდებლობის დღესასწაული. გაიხსენეს და ადიდეს ტომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსიც ახსენეს, ალბათ, მაგრამ, დარჩმუნებული ვარ, ფიშერ ეიმსი არავის გახსენებია ტრადიციონალისტ კონსერვატორთა გარდა, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იმატებს ამერიკაში, თუმცა ტელევიზიონში ჯერაც ვერ აღნევნონ ატერიურად. და მაინც, თუმცა ფიშერ ეიმსი პრეზიდენტი არ ყოფილა, იგი მაინც გასახსენებელია მათ შორის, ვინც უარი თქვეს მოზრუქიაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და მერე შიშით შეცყურებდნენ დემოკრატიის მძლავრობას.

რას იზამ, დემოკრატებს ვერ აიძულებ გაიხსენონ ის, რაც არ სურთ ახსოვდეთ, არ სურთ უკან მიიხედონ და დაინახონ, საიდან მოვედით. დემოკრატია ვერ მოითმენს დამაოკებელ ზნეობას, შემზღვედავ ინსტიტუტებს პოლიტიკური იქნება თუ სხვაგვარი. თუ ფიშერ ეიმსის მემკვიდრეობას ჩავხედავთ, მაშინვე თვალში გვეცემა, რომ გვაფრთხილებდა, ნუ ენდობით, მოტყუვდებით!

## მალკოლმ ჯონსი

# ფოლკლერი ხსნის ყველაფერს

ვირჯინიის უნივერსიტეტის ახალ აუდიოფაილებში, სამხრეთის ლიტერატურის ტიტანი ინდიან ფანგებს ესაუბრება. მაგრამ რას ამბობს იგი?

უილიამ ფოლკნერი ლაპარაკობს! 52 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან ორი წელი გაატარა ვირჯინიის უნივერსიტეტში და ახლა სკოლამ გამოაქვეყნა ონლაინ ჩანანერთა ორი მისამართი, ათზე მეტი საკითხავი, 1400 შეკითხვა, რომლებიც სტუდენტებმა, ფაკულტეტმა და ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტვილის მცხოვრებლებმა დაუსვეს ავტორს. ფოლკნერის ფანგებისათვის ეს 28-სათაოი საუბარი და საკითხავი წამდვილ საშინაო საჩუქარს წარმოადგენს ივლისში.

ნიუ იორლეანში, ნიუ იორქსა და ევროპაში მცირე დროით ყოფნის გარდა, ფოლკნერი მხოლოდ ორ ადგილას ცხოვრობდა, მისისიპის შტატის ქალაქ ოქსფორდში და ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტვილში. როგორც ჩანს, საუნივერსიტეტო ქალაქები უყვარდა. ოქსფორდში, სადაც გაიზარდა და 64 წლის უმეტესობა გაატარა, ფოლკნერს, როგორც აუცილებლობას, ისე იღებდნენ, არაფრად აგდებდნენ ან დასცინოდნენ. შარლოტვილში მას მეფესავით ექცე-ოდნენ, ამას ემატებოდა ისიც, რომ მისი ქალიშვილიც იქ ცხოვრობდა. მწერალს უყვარდა ადგილობრივი წადირობის სცენები (ვარდისფერი ქურთუკები, რქის საყვირი და მნევრებთან ერთად ჯირითი), რასაკირველია, ამან გავლენა მოახდინა მის ნატვრაზე, სიკვდილის წინ იგი სამუდამოდ დასახლდა შარლოტვილში. მას გულობრივი დახვედრა მოუწყეს, ეს ისეთი გასაგებია ამ აუდიოჩანაწერებში და ადვილია იმის მიხვდორაც, თუ რატომ.

უფრო რეალისტი კრიტიკოსი შეგვეკამათება, ჩანაწერები კარგია, მაგრამ ნუთუ ისინი მართლა მატებენ ბევრს ამ წიგნს, იმას, რაც ვიციო, მაგრამ რასაკირველია, უმნიშვნელოვანესაო? პასუხად ერთადერთის თქმა შემიძლია, როდესაც ჯერი ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს მნერალზე მიდგება, მსურს რაც შეიძლება ბევრი ვიცოდე, როგორ ცხოვრობდა, რა დანერა და რას ფიქრობდა ყველაფერ ამაზე. როდესაც მის ხმას ვუსმენდი ამ ჩანაწერებში, ვუსმენდი მის ხმამაღალ ფიქრებს, მე ბევრი რამ შევიტვე.

სიყარნევილისას უილიამ ფოლკნერის მოთხორბებისა და რომანების კითხვა აკვიატებად მეტცა. მაშინ გამოვიმუშავე ჩვევა, როდესაც მნერალი მომენტობოდა, მისი დანერილი ყველაფერი უნდა წამეტითხა. ისეთი წაყოფერი მნერლის შემთხვევაში, როგორიც ფოლკნერია, ამას მეტი დრო დასჭირდა, მაგრამ მე არ დაწერდი. რისი გაკეთებაც არ შემეძლო, ამ ადამიანზე მეტი ინფორმაციის მოპოვება იყო. ბევრი კრიტიკა გახლდათ ხელმისაწვდომი, მაგრამ არცერთი ბიოგრაფია არ გამოქვეყნებულიყო მაშინ, 1960-იანების ბოლოს. თუმცა ერთ შემთხვევაში გადავანყდი რბილტანიან წიგნს, რომელსაც „ფოლკნერი უნივერსიტეტში“ ერქვა და საკლასს ითახოს იმ ინტერვიუებს წარმოადგენდა, რომელიც ავტორთან ვირჯინიის უნივერსიტეტში 1957-1958 წლებში შედგა. ამ წიგნის პირველი ეგზემპლარი მაშინ წავიკათხე, ვიდრე ხელებში დამეშლებოდა.

და ამ ისიც, თავისი უფლებად მოლაპარაკე სამუშაოსა და მუშაობის ჩვევებზე. არავინ შეეცდებოდა იქ და მაშინ მის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას, მაგრამ მე შევამჩნიე, რადგანაც იგი ისე ახლო იყო თავის სამუშაოსთან. ეს პირველი შანსი გახლდათ, რაც მქონია, უსმენდი, როგორ ლაპარაკობდა მწერალი იმაზე, რაც გააკეთა. უილიამ ფოლკნერის შემთხვევაში გაკვეთილი მარტივი და სუფთა იყო: იგი ფიქრობდა თავის პერსონაჟებზე, როგორც წამდვილებზე. გონიერები, სიმორცხვისა და ჭირველუბის გარეშე, სამყაროს კი არ ქმნიდა, იგი ამის შესახებ მოგვახსენებდა.

ყველა ზრდილობას იჩენდა. სტუდენტები პატივისცემით გამსჭალულები, მაგრამ არა მამებლურები-მათი პატივისცემის ყველაზე აშკარა დადასტურება იყო ის, თუ როგორ კარგად მომზადებულნი იყვნენ. თავის მხრივ, ფოლკნერი უც-

ვლელად დახვეწილი იყო და ყველა შეკითხვას, რაოდენ გულუბრყელი უნდა ყოფილიყო, სერიოზული გულისხმიერებით ეკიდებოდა. სიყმანვილის მიუხედავად მივხვდი, რომ ამ ადამიანში იყო უფრო მეტი, ვიდრე ადამიანია. იმზანად სიცოცხლის უმეტესობას საკლასო ოთახებში ვატარებდი, და თუკი ექსპერტობის რამე გამეგებოდა, ის იყო, რომ ვიცოდი, როგორ იყენებდა მასნავლებელი ოთახს. არავინ მენახა ფოლკერის მაგვარი. იგი პასუხებს სცემდა მხოლოდ იმ შეკითხვებს, რომლებზეც სურდა პასუხის გაცემა. ინარჩუნებდა არაჩეულებრივ წინასწორობას. ტაქტიანად აღიარებდა, რომ მისი მიღწევა რეალური და მნიშვნელოვანი იყო (წობელის პრემია იმ დროისათვის მიღებული ჰქონდა), მაგრამ ამასთანავე ახერხებდა საკუთარი პასუხებით პატივისცემის გამოხატვას. იგი საუბრობდა როგორც არა-უვიცი ხელისანი, რომელიც ამაყობდა საკუთარი ხელსაწყოებით და პატივისანი შრომით და, თუ გსურდათ მისთვის დიდი ხელოვანი ან გენისი გენოდებინათ, მაშე ეს მხოლოდ თქვენი საქმე იყო. ეს ნამდვილი შეუ გახლდათ.

მე ბევრჯერ მივუბრუნდი ფოლკნერს უნივერსიტეტში სწავლისას. გამოვალნინგ მისი საყვარელი წიგნები ("დონ კიხოტი", ბევრი კონრადის ნარმანები, "მობი დიკი", ძველი აღთქმა) და მისი ჩვევა: სიძერები შესული უბრუნდებოდ ცალკეულ რომანს, უბრალოდ პერსონაჟთა გარემოცვაში რომ ყოფილიყო. მას, როგორც მახსოვს, ძალიან მოსწონდა დიკენისის სარა გამპი, საჩეუბრად ქოლგამომარჯვებული ქალბატონი მისი ნარმანსახვით და მისივე აზრების გამომხატველი მეგობრით წიგნში "შაზლუითი."

უნივერსიტეტში ყოფნისას ფოლკნერი ჩემთვის ზეშთაგონება გახლდათ, რადგანაც ავტორებს არ ვიცონდდი. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ნაუპიარსვილში, ჩემი პერსპექტივით, ლიტერატურული ცხოვრების ნარმასახვა საკმაოდ ზედაპირული იყო. ინტერვიუების იმ წიგნმა დიდი სამყარო ჩემთვის უფრო მინიატურული გახადა, რადგანაც აქ იყო დიდი ავტორი, რომელმაც დიდ ლიტერატურა ნაკლებ შიშისმომგრელად აცირია.

ფოლკნერის პასუხებში არ ყოფილა გალიზიანება, მაგრამ კვლავ და კვლავ უბრალოდ მიანიშნებდა, რომ საუბრობდა არა როგორც მყვლევარი, არამედ როგორც ავტორი, და როდესაც იგი იყო, როგორც ერთხელ აღნიშნა, "მხოლოდ მფლობელი და მესაკუთრე" იმისა, რაც შექმნა, მოვიდა არა ასახსნელად, რაც შექმნა; იმაზე კარგად, რაც ერთხელ თავის წიგნებში გააკეთა, ვერ აისხნებოდა და აისახებოდა. ფოლკნერი არ გახლდათ მიამიტი და მარტივი. უბრალოდ ამბობდა, რომ სხვაგვარად ფიქრობდა თავის ნაშრომზე, ვიდრე მკვლევარები.

ამ შთაგონებით აღნიშნა, რომ არაუშავდა, თუკი პერსონაჟიზე, როგორც ხალხზე, ისე იფიქრებდა, და ბევრს არ იდარდებდა სიმბოლიზმზე, და არ იჩიორკედელავებდა ლიტერატურულ იდეებზე.



უილიამ ფოლკნერი

შეკითხვა: ბატონი ჩემო, რა ზომით ცდილობდით აგე-სახათ ერთიანობაში სამხრეთი და სამხრეთ ცივილიზაცია, და არა მხოლოდ მისისაპი?

ფოლკნერი: სულაც არ ვცდილობდი. მე ხალხზე საუბარი მსურდა იმ ერთადერთი იარაღის გამოყენებით, რაც ვიცოდი, ერთადერთი ქვეყანა, მე რომ ვიცონდი. არა, მე არ ვცდილობდი...არ ვნერდი სოციოლოგიას საერთოდ [სიცილი აუდიტორიაში]. მე ვცდილობდი ხალხზე მეწერა, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია[...] მხოლოდ ადამიანური გული. არა...ეს არაა აზრები. მე არაფერი ვიცი აზრებზე, მათი ბევრი არაფერი გამეგება.

რაც ვერ შევძელი წიგნის კითხვისას, იყო იმის მოსმენა, თუ როგორ თქვა ეს. არ იყო ინტიმაცია, პაუზები, იყო მხოლოდ სიტყვები წიგნის გვერდზე. და როდესაც ისინი ვჭთანთქვა, ამის იქით ვეღარ წავედი. რასაკირველია, დროდადრო აზრადაც არ მომსლია, რომ უფრო შორს წასვლაც შეიძლებოდა, რომ საკლასო ოთახის ინტერიუებებს შესაძლოა აუდიონუარობიც ჰქონდა. მე არ ვიცოდი, რას ვიკლებდი. ახლა კი ვიცი.

იმ სამყაროშიც კი, რომელშიც ინფორმაციაში ვიხერიბით და ჩვენი ყურადღება ათასობით მხარეს არის მიმართული, ძალიან კარგია, როდესაც ეს ჩანანერები მზამზარეულდ ხელმისაწვდომია. 16 წლის წიგნიერი ახალგაზრდაც კი 50-ჯერ უფრო განსწავლულია, ვიდრე მე ვიყავი ამ ხნისა, ვეღარაფერს უშველი, მაგრამ ვიცი, რომ ასეა.

ტებილმოუბარი, არცთუ ძალიან ნელი, მაგრამ დაფიქრებული, პუნქტუაციებს გრძელი პაუზებით (ადამიანი, რომელიც ნებას არ რთავდა თავის ქალიშვილს რადიო ჰქონდა საძინებელში, უცხოდ არ თვლიდა სიჩქმეს), ხოლო პასუხებს რთული და თან მარტივი მოთმინების, მახვილგონიერებისა და გულმოდგინების თანაბარი დოზით აღწევდა. ზოგიერთი პასუხი რაფინირებულია (იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახდა 1949 წელს, ნობელის პრემიის მიღების შემდეგ და, შესაბამისად, ბევრი დრო ჰქონდა პასუხები ჩვეულებრივ შეკითხვებზე დასვენება, მაგალითად, როგორ დაინტენტება წიგნში "გარდავედ, მოსე". უმეტესად ისე ჩანს, თითქოს იგი სიამოვნებასაც იღებს, და ესაა შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა ფორმულირებული იყოს ჩანანერთა მოსმენისა. იგი ნასიამოვნებია, მაგრამ არასოდეს თვითგმა-ყოფილი, თითქოს იქ ყოფნითაა აღტაცებული. ამ 28-საათიანი საუბრების ჩანერით, ახლადა მივხვდი, თუ რამდენი რამ უნდა შევიტყო თავიდან.

ინგლისურიდან თარგმნა  
6060 თოსაძე

სარა ბოლი

# სალინჯერი, ისათი, როგორიც არასოდეს გინახავთ



თი კოლოფი სიგარეტი. ბაგრაძ ცველაზე ძრავლის შეტყველი  
დეტალი კარის მარცხენა კიდეზეა: ოთახის ფოლადის საკე-  
ტის ალაპლაპებული ანარეკლი. იგი შეგვახსენებს მისი ბი-  
ნადრის ურყევ მანქრას: არ შემოხვიდეთ.

მაგრამ ეს საკეტი არა მხოლოდ აჩერებდა არამენთხე-  
ებს. მკითხველო, იგი კიდევ რაღაცას დარაჯობდა. ამ ა-  
კეტური საძინებელი ოთახის პატარა კუნძულში სელინ-  
ჯერი სეიფს ინახავდა. დატენილ სეიფს, რომელიც სავსე  
და გამოჭედილი იყო გამოუქვეყნებელით...

უნივერსიტეტ ამასა ანონსი, ვინაიდნ უფრო მეტის გასაგებად ლოდინი დაგჭირდებათ, ვიდრე შეინ სალერნო მზად იქნებოდეს გიამბოთ. ამ ჰოლოვუდელმა სცენარის სტამა 6 წელი და მილიონობით დოლარი დახარჯა ავტორის საიდუმლოებებით მოცული სამყაროს კვლევა-ძიებაში, თუმცა დეტალები, როგორიცაა, მაგალითად, ამ ფორმის მიღმა არსებული ამბავი, ჯერ არ გაუხმაურებია. ფრენი გლასის მსგავსად, რომელიც “პილიგრიმის გზის” ერთ ეგზებ-პლარს თილისმასავათ ჩაებლაუჭა, სალერნოს სულიერი კავშირი აქვს სელინჯერის “თამაში ჭავის ყანასთან”. მას წესებიც გააჩნია. “არ ნაიკითხოთ სელინჯერი კინდლში”, აცხადებს იგი გამორჩეული ზიზლით. “ზელში ჩაიგდეთ გაუბედურებული რბილყდანი ნიგნი.”

სალერნის არავთენტურობის ასეთი პატჩია დაგდება-  
თუკი კინდლი ასეთად ითვლება-მეტ-ნაკლებად მის მო-  
ნოდებას წარმოადგენს იმისა, რასაც იგი „მგზნებარე  
პროექტის ზუსტი დეფინიცია“-ს უწინდებს: წერა, დაფი-  
ნასება და გადალება 2-საათიანი დოკუმენტური ფილმის

“სელინჯერი” და 800-გვერდიანი ბიოგრაფიის „ჯ.დ.სელინჯერი და პირადი ომი“ დაწერა, რომლის თანაავტორიც დეივიდ შილდსია.

მომავალი სამუშაოს შემ-  
სრულებელი წყვილი ისევეა  
საიდუმლოების ბურუსში გა-  
ხვეული, როგორც მათი საქ-  
მე, მაგრამ სალერნო იმე-  
დოვნებს, რომ ისინი ნათელ  
სიტყვას იტყვიან ავტორზე.  
“ჩვენ ყურადღებით ვსწავ-  
ლობთ ყველა ახალ მასალას  
უზარმაზარი ამერიკული ლი-  
ტერატურის კონტექსტუა-  
ლიზაციის მიზნით”, ამბობს  
იგი იმ 15000-გვერდიანი ინ-  
ტერენიუსა და 100-ზე მეტი პი-  
რადი ფოტოს შესახებ, რაც  
მოუგროვებია. „ჩვენ იმის-

გან სრულიად განსხვავებულ სელინჯერს ვიზილავთ, როგორსაც 5 ათწლეულის მანძილზე ვკითხულობდით.” “პირადი ომი” არაერობოლოგიურად არის დალაგებული, რათა მწერლის „გამოტოვებული“ წლების შევსებაში დატემაროს. სალერნო კი აცხადებს, რომ ორივე პროექტი ზრდის ვარიანტს სახელწოდებით “პირველად მხოლოდ აქ” ფოტოკოლექციასთან ერთად, რომელშიც შესულია ასევე ინტერვიუები სელინჯერის ახლობლებთან და ნიუ იორკელ კოლეგებთან, რომელთავან ზოგიერთს არსაოდეს უსაუბრია “ჯერის” შესახებ. “როდესაც ზიხარ ნახევარი შეტრის მოშორებით იმისგან, ვისაც ამის შესახებ 5 თუ 6 ათწლეული ხმა არ ამოუღია, არსებობს მხოლოდ ელექტრობა, რომელიც ოთახში მატულობს”, გვეუბნება სალერნო, თუმცა, რასაკირველია, იგი სახელებს არ იტყვის.

ძნელია თავი იდნავ მაინც არ იგრძნო დამნაშავედ სელინჯერის იმ სამყაროში როდესაც იჭყიტები, რომლის დამალვასაც ასე თავვამეტებით ცდილობდა, მაგრამ მოტივი სუჯითა: “პირადი ომი” არსებითად გადაეწერს ჯ.დ.სელინჯერის ცხოვრების ჩანაწერს და შეასწორებს მრავალ არასწორ ამბავს, რომელთაც ათწლეულთა მანძილზე გვიამბობდნენ”, გვეუბნება სალერნო. როგორც თვითონ ჰოლდენმა შეიძლება თქვას, არანაირი თაღლითობა არაა, თუკი ადამიანს გსურს ჩანაწერს სიმართლის შუქი მოეფინოს.

მოამზადა  
ნინო თორჩაპე

გიორგი ყაჯარიშვილი

## მომავალ ნადირობის საზონამდე ტკილ ძილს გისურვებთ!

რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას მიერ ბოლო სპექტაკლ თ. ჭილაძის „ნადირობის სეზონს“ მაყურებელი და მთლიანად თეატრალური საზოგადოება არაერთგაროვნად შეხვდა. ამ წარმოდგენას რეჟისორის გარშემო მომხდარი ხმაურიც დაერთო და სპექტაკლმა „მაგიურ-წინასარმეტყველურ-საბედისწერო“ ელფერი შეიძინა, დადგმისთანავე განსჯისა და განხილვის საგნად იქცა. მაყურებელთა სამსჯავროზე მისი პარველი გამოტანა მოხდა გასული წლის ივლისში, როცა რეჟისორმა წედლი მასალის სპეციალური ჩვენება საღამოს ათ საათზე დანიშნა!..

„ნადირობის სეზონი“ ივლისის თვეში, გაცხარებულ ნადირობის სეზონში ვნახეთ, იმ დროს, როცა მონადირეთა აზარტი აპოგეას აღწევს, მსხვერპლთა რაოდენობაც მოქარბებულია, ფაუნა „განმეოდას“ მოთხოვს, თანაც ახლომახლო სასურველი მსხვერპლიც წინასწარ თუ გყავს მოთვალიერებული და სხვა დროს მასზე ნადირობა აკრძალულია, ახლა ამის ნებას თვით „სახელმწიფო მანქანები“ გადლენს.

დიდი ხანია ქალაქშიც ისედაც „გამოცხადებული სიკვდილის ქრინიკის“ სული სუფევდა, „სანტიაგო ნაზარმაც“ დიდი ხანია იცოდა რომ მოკლავდნენ და რისთვისაც, აქამდე არას-დროს არ ყოფილა ისეთი მკელელობა, რომლის შესახებაც წინასწარ ამდენ ხალხს სცოდნოდეს“ (გ. გ. მარკესი).

სტურუას არჩევანი — თ. ჭილაძის ახალი პიესა „ფანტასმაგორია..., რომელსაც... თავის ე.ნ. იდეური პათოსი გააჩინია... რომ დღევანდელ უკიდურესად დრამატულ პოლიტიკორებულ მსოფლიოში... ყველაზე აქტუალური, ალბათმთავარი პოლიტიკა ადამიანის პიროვნების შენარჩუნებისათვის, თუ გადასარჩენად ბრძოლაა!..“ (თ. ჭილაძე).

მწერალს უყვარს თეატრის თეატრში. მაგ. მისი „როლი დამწევი მსახიობი გოგონასათვის“ თავის დროზე გადაიქცა რობერტ სტურუას მეტაფორული თეატრის ერთერთ საწყისად. მისი ახალი პიესა კი შემოქმედ ადამიანზე ნადირობას ეხება, დრამატურგის რემინისცენციებით გაჯერებული, ახალგაზრდა მსახიობის, დრამატურგის, რეჟისორის ცხოვრებას ასახავს.

სპექტაკლის შესახებ კამათში ზაფხულის თვეებმა განვლო და 2012 წლის სეზონიც ამ წარმოდგენით გაიხსნა. მის სტრუქტურასა და იმაზე, რაც სცენაზე ხდება და არ ხდება

წერა რთულია, თუნდაც იმ მიზეზებისა გამო, რომ ნანახიც და გაგონილიც ღრმა, სერიოზულ ანალიზს იმსახურებს. ჩვენ მოწმენი გაეხდით, მე მგონია არ შევცდები ამ ხმამაღალ განცხადებაში, ახალი თეატრალური მიმდინარეობის, ან თუ გნებავთ ასალი თეატრალური სტილის დაბადებისა, რომელსაც „ასოციაციურ თეატრს“ უუწოდებდი.

ასოციაციურ თეატრსა და ფსიქოლოგიურ თეატრს შორის ისეთსავე განსხვავებას ვხედავ, როგორც შეგრძნებებსა და გრძნობებს შორის არსებობს, თუმცა ორივე თეატრი ერთმანეთის საპირისპირო მხარეს კი არა, პირიქით, ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. ფსიქოლოგიურ თეატრს, რომელიც ზუსტად მიჰყება დრამატურგოულ ტექსტს, პერსონაჟთა ქცევებისა და ხასიათების სრულყოფილი ანალიზის გზით და მსახიობთა თამაშის ფსიქოლოგიური სტილის მეშვეობით თანდათანობით მიჰყევს მაყურებელი კათარზისისაკენ. ასოციაციური

თეატრი ტექსტით და უტექსტით, ქმედებებით და რეჟისორული სელექტით ჩვენში და შემსრულებელში ჯერ ინკვევს სხვადასხვა ტიპისა და სახის შეგრძნებებს მასთან დაკავშირებულ საკუთარი ცხოვრების „ლირშესანიშნავი“ მომენტების განვლილი გზის გახსენებას და მხოლოდ ამის შემდეგ უერთდება და ერწყმის წარმოდგენას, რომელმაც ჩვენში ეს შეგრძნებები დაბადა (მახსენდება ვს. მეირხოლის სიტყვები გველის ამოცანის შესახებ: სტანისლავსკის მიხედვით დაინახა გველი, შეძინდა და გაიქცა, მეირე შეუშინდა აქედან მისი ცნობილი ბიომექანიკა).

„ნადირობის სეზონი“ ისეთი წარმოდგენაა, რომლის ცერერა ნიშნავს მთლიანად შეუერთდე სცენიდან მოწმოდებულ „თამაშის წესს“. მისი მსვლელობისას ჩაუღრმავდე, საკუთარი ასოციაციების მეშვეობით შეიგრძნო, დაინახო და განიცადო ის, რაც იქ, ფიცარნაგზე ხდება. ფიცარნაგი შემთხვევით არ მიხმარია, რუსთაველის თეატრის უშველებელი სასცენო ფიცარნაგი ავანსცენის, მთელი ზედა სივრცის ჩართვით ამ სპექტაკლში, დრამატურგის, რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის, მსახიობთა და მაყურებელთა ასოციაციათა უდიდეს სამყაროდ იქცა, სადაც ბატონობს შეგრძნებები, მასთან დაკავშირებული მოგონებები, განვლილი გზა, ნარსულის შემოქმედებითი ძიებები, მშობელ-



ზუკა პაპუაშვილი (მათხოვარი), გიორგი ბარბაქაძე (აღე) და სუხიტაშვილი (ია)

თა აჩრდილები, საკუთარი თავის კრიტიკა, მოვლენათა და საქციელთა გადაფასების მცდელობა. თავისითავად ცხადია, რომ ამ ასოციაციების გრძელი მწკრივი, შემქმნელი კოლექტივისა (თ. ჭილაძე, რ. სტურუა, თ. ნინუა, გ. ყანჩელი, კ. ფურცელაძე) და მაყურებლისთვის სხვადასხვა და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია.

როდესაც სპექტაკლი პირველად ვნახე, მომეჩვენა რომ დიდ აკვარიუმში ვიჯექი, რომელიც სცენის უკანა კიდესთან თავდებოდა და რომლის ზედაპირზეც გედი გენრიტა (სახელი შემთხვევით არაა არჩეული — უსსოვარი დროიდან ჰერიტა შემოქმედებითი პიროვნებაა, რომლისთვისაც ნაცნობია შემოქმედებითი წვა და განცდები, უყვარს თეატრი, კინო, ლიტერატურა) დაკურავდა. როცა ჩემი ამ ასოციაციის შესახებ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს ვუთხარი, შემეგამათა — „სად ნახე იქ აკვარიუმი?“ ჩემი აზრით, სტორედ ესაა ის ცოცხალი შეგრძნებები, რასაც ეს წარმოდგენა იწვევს და რაშიც მდგომარეობს თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებულობა — „აქ და ახლა!“

ამის შემდეგ „ნადირობის სეზონი“ კიდევ ორჯერ ვნახე, ვიცოდი, მხოლოდ იმიტომ მივდიოდი, რომ ახალი შემეგრძნო, სხვა რამ განმეცადა, სხვა ასოციაციები გამზღვიყო ჩემი შემდგომი ფიქრის საგანი.

ავილოთ მაგალითად, სატელეფონი ზარი იას სახლში: ფსიქოლოგიურ თეატრში სატელეფონო ზარმა უნდა გამოიწვიოს ის, რასაც არისტოტელე პერიპეტიას დაარქევედა — „ბედნიერებიდან უბედურებაში ან უბედურებიდან ბედნიერებაში გადასვლა“. ამ ზახლში ამ ზარს ეს დანიშნულება არა აქვს. აქ სხვა ტიპის ზარი გაისმის, იგი ინფორმაციულიც კი არ არის, მას არაფერს ატყობნებენ, არც ელაპარაკებიან, შესაბამისად იას ცხოვრებაში ამ ზარით არაფერი იცვლება, მაგრამ ეს ზარი მასში და მასთან ერთად ჩენენში იწვევს მთელ რიგ შეგრძნებებს: შიშს, შინაგან მოუსვენობას, მოლოდინს, ინტერესს, გაბრაზებას ხელახალი ზარების გამო და ამ ასოციაციათა სისტემაში ჩადებულ მოგონებათა და ქცევათა მთელ რიგს.

ასოციაციური თეატრი აგბულია სიმბოლოებზე, ნიშნებსა და მეტაფორაზე. ეს მისი ენაა, სადაც ტექსტი მეორე პლანზე გადადის და მხოლოდ იმ შეგრძნებებს გამოხატავს, რომელიც რეჟისორული ჩანაფიქრის განხორციელების შემდეგ ჩიდება. ისევ სატელეფონო ზარის მაგალითს რომ დაუუბრუნდეთ, რას აკეთებს ია — ია სუხიტაშვილი, მას შემდეგ რაც ზარი მოესმის. პირველი, რაც ამ ზარის შემდეგ მასში იძადება, შეშფოთების გრძნობაა, მეორე ზარის შემდეგ საწოლის ქვეც ექცებს რაღაცას და პოულობს „მოჩვენებას“ — შიშის გრძნობა მატულობს, რომელიც მალე გაბრაზებაში გადადის. თანადათან მასში იძუდებს აზრი, რომ უთვალთვალებენ და „მეშინია!“ — ამბობს ია.

არსებითად სატელეფონო ზარი პირების ტექსტი არაა. ის მხოლოდ ავტორისეული რემარკაა, რაშიც რეჟისორი ასოციაციათა მთელ კონას სდებას.

„უტექსტო პიესათა“ განხორციელება, სადაც არაა ნარატივი (თხრობა), ხელვინიფერა რ. სტურუას. გავისხმოთ თუნდაც პოსტმოდერნისტული რეჟისურის გარიურაუზე მის მიერ დადგმული სპექტაკლი „იაკობის სახარების“ პირველი მოქმედება, სადაც „სასცენო მეტყველების“ გაკვეთილების სცენური ვერსიის უკან იაკობ გოგებაშვილის მთელი ნააზრევი იკითხებოდა.

ახალი სპექტაკლი, ჩემი აზრით, ცდება პოსტმოდერნისტულ რეჟისურას, უფრო სწორად, აგრძელებს მას პოსტმოდერნისტული, მეტამოდერნისტული მიმართულებით — სადაც, განსაკუთრებით მის მეორე ნაწილში, რწმენა, ნდობა, დიალოგი და გულაბდილობა თავისუფლდება პოსტმოდერნის ირონისგან და ერთგვარად სჯაბნის მას. ტექსტისა და რეალობას შორის ზღვარის მოშლა — ვირტუალური კვაზირეალურობა — ხდება ნამყვანი და დომინანტი. (კვაზირეალობა — ენის და გამოთქმათა კონსტრუქტორებით ხატის (მხატვრული სახის) შექმნა სინთეტური გზით).

დეკონსტრუქცია — პოსტმოდერნიზმის ნიშანი, თავისი სუფთა ფორმით, (გავიხსენოთ რ. სტურუას „დარისპანის გასაჭირი“, სადაც რწმენის დეკარგვა ეკლესის გამუდმებული რემონტითაა გადმოცემული), „ნადირობის სეზონში“ (მაცხოვარი — „მათხოვარი“ — ქრისტე, ია იატაკზე ჯვრის ფორმით განვილილი) „სულის“ დეკონსტრუქციის ფორმას ღებულობს.

სპექტაკლი მეტაფორათა მთელი ენციკლოპედიაა, ასოციაციათა მთელი რიგი: „ბავშვები ხომ თვითმევლები არიან... იმიტომ, რომ ბავშვება ჯოჯოხეთია“; ხელში მომწყვედებული ტბა, ია პარში რიოტ ააგდებს; გედი გენრიტას გაფრენა და ფინალში მისი დაბრუნება. მეტაფორათა ასეთი სიუხვის მიუხედავად, სტურუას ეს სპექტაკლი ამ კუთხით ყველაზე „გასაგები“ ალმონჩდა მის სხვა სპექტაკლებთან შედარებით, ვინაიდან აქ, ყოველ მათგანში ცხადად იკითხება რეჟისორის ზაფხულსეული გუნება-განწყობა და განცდება. „ჩენენთან კი პოლიციელები შილერის „ყაჩაღებს თამაშობებები“, „დალიერ კოკა-კოლა და დატკებით ცხოვრებით“, „გენრიტა აორთქლდა, გაქრა“, „დმტროო, როგორ ჰგავს გენრიტას წითელი ნისკარტი სარეცხის სამაგრს“; ამერიკული გემის შემოსვლა და იას იაპონური ქოლგა (მადამ ბატერფლაი პინკერტონის მოლოდინში), ფიქტია, კეთილი მზრუნველი, რომელმაც არ იცის, რომ მასზე ნადირობაა გამოცადებული, თუმცა ხედება საფრთხეს — „დარჩი და მითვალთვალე“; თეატრი — თამაში, მონადირე ანგელოზთა თავებით; ანანასი — უცხოური საჩქარი და იას კიდევ ერთი ოცნება; ლიმონათი ქალალდის ჭიქებში — პლასტმასის ჯამ-ჭურჭელი — უსიამოვნო გრძნობას რომ ინვენს ყველაში; მანქანის სავარელი — საქორნინო სარეცელი და სექსის დროს მოპარული წითელი „ადიდასი“; სიტყვა „ალბათ“ და ალეს სკეტიციზმი — „ალბათ. ამ სიტყვები მოტელი სამყარო ეტევა. ტყუილიცად და მართალიც“ და ა.შ. და ა.შ.

ია სიზმარში თუ ცხადში, ნანა და უნახავ, მოყოლილ და არმოყოლილ სიზმრებს შორისაა გაბარეული: „ფიქტიასა და შეიდი ჯუჯას“ ზღაპარმა, მისთვის უცნობა ადამიანის დახვრეტამ, ნადირობის სცენამ მონადირეთი და პატარა ანგელოზების თავებით საერთოდ დააბნია და ველაც მიმხდარა, სად არის: „ღმერთო, იქან ვარ? ჯოჯოხეთია?“ საკუთარ სახლს დეკორაციად აღიქვამს, რეალობას სიზმრად, სიზმარს რეალობად. „აი, თქვენ გძინავთ ... მეც მძინაეს, მაგრამ იქნებ მე მძინაეს და თქვენ მესიზმარებით“ — მიმართავს მაყურებელს და მისგან შველას ითხოვს.

ასევე ალოგიზმის მაგალითია შეიდი კეთილი ჯუჯა (ზ. ბარათაშვილი, გ. თავბერიძე, კ. კუპატაძე, გ. სვანიძე, ბ. სონლულაშვილი), ფიქტია რომ „Some Day My Will Come“ უმღერდოდა, ახლა თეთრებში გამოიწყობილი მოჩვენებებს, „საშინელებათა ფილმების“ პერსონაჟების თუ ზომბებს რომ პარ

ნან, შავი ფეხსაცმელებით და შავი ხელთათმანებით უძრავი ქანდაკებებივით ჩასაფრებულან მის საწოლთან, მასში შეშეს იწვევენ, შინ უვარდებიან და მასზე ძალადობენ. ია აზრთა, მოვლენათა, ქცევათა ალოგიკურობამ გადაღალა — „მე ხომ ბუნებამ თავისუფალ ადამიანად გამარინა“ — ისეთი ტონით აცხადებს, რომ წარმოთქმული სრულიად საპირისპირო შინაარსს იძენს, უაზრო სლოვანად ალიქმება, ვინაიდან „თავისუფალი მხოლოდ თავისუფლების ქალმერთია“.

ია — ია სუხიტაშვილს თეთრი შარვალი, ზოლიანი მა-სური და ასევ ზოლიანი კომბინე-ზონი თუ ლამის პერანგი აცვია, ოს-ვენციმის გამხდარ ტყვეს რომ მოვ-ვაგონებს, ფეხშემველი დაფარფა-ტებს უშველებელ საწოლიან საძი-ნებელ ოთახში — „საწოლი აი, ჭეშ-მარიტი თეატრი!“ ვერავითარი სცენა ურ შეედრება საწოლს, შე-ხედეთ და დატებით, რა საოცრე-ბაა... ხან კი მთვარეულივით დადის ჭერზე.

იას საძინებელი იმავდროულად მისალებიცაა, გარჩევების ადგი-ლიც“, „ხაფანგიც“. მხატვარი თ. ნინუა ერთნაირი წარმატებით იყე-ნებს ავანსცენასაც და საპარო სივრცესაც, რომელიც სცენას დაჰ-ყურებს.

სპექტაკლი სამ დონეზე მიმდი-ნარეობს: პირველი ოთახი რეალუ-რი „მიწიერი“, მეორე, სადაც მოჩვე-ნებები თუ წარმოსახვითი „პრეზი-დენტები“ დასეირნობენ, მესამე ზე-და, არარეალური, ოცნების სამყა-რო, ფიფქიათი, მერლინ მონროთი, სადაც გედი გენრიეტა და ალე დაფრინავენ, სადაც წითელმოსასახამიანი უფლისნუ-ლი იას „ელოდება“. თემურ ნინუას მანექენებმა „სტიქსიდან“ (ისევ ციტატა!) ამ სპექტაკლში „ახალი სიცოცხლე“ შეიძინეს და იას „მოთვალთვალეთა“ ფუნქცია მიენიჭათ. მესამე სარ-თულზე, მაღალ კიბეზე შესრულებული სცენებიდან განსა-კუთრებით შთამბეჭდვია გაგი სცანიდის მიერ დახვენილი პლასტიკით შესრულებული (ქორეოგრაფი კ. ფურცელა-ძე) მარიონეტების — ფიფქიას და უფლისნულის — გაფრე-ნის სცენა.

ამ თითქოსდა პატარა სპექტაკლში, მისი ყოველი შემად-გენელი კომპონენტი ზუსტადა გათვლილი და დახვენილი შემოქმედებითი კოლექტივის მიერ. გია ყანჩელის ულამა-ზესი მუსიკა ინტერმედიურ ხასიათს ატარებს, სპექტაკლის ფონურ და აზრობრივ მუსიკალურ გაფორმებას „მარსელი-ოზას“, აშშ ჰიმნს, „Some Day My Prince Will Come“ (ფრენკ ჩარჩელი, ლარი მორეი), „I Wanna be loved by You“ (ჰერ-ბერტ სტოსარდი, ჰარი რაბი) ოსტატურად ერწყმის.

სპექტაკლში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ფრა-ზების წარმოთქმას, ინტონაციებს, მახვილებს სიტყვებზე და აქცენტებს, რომლებიც ღრმა აზრობრივ დატვირთვას იძენენ. ამ ფრაზების მუსიკალურობა, მათი წყობა ახალ ემოციებსა და ასოციაციებს პადებს. ია სუხიტაშვილი მთელი წარმოდგე-ნის განმავლობაში მრავალჯერ იცვლის სმას, ტემპს, სხვა-

დასხვა ინტონაციით ტვირთავს ყოველ წარმოთქმულ წინა-დადებას. ამ ხერხებით ცდილობს მაყურებლამდე მიიტანოს თავისი იმწუთიერი სულიერი განწყობა, პერსონაჟის გრძნო-ბათა ბუნებაში ჩაახედოს ისინი. ხმამაღლა სწავლობს, რამ-დენჯერმე იმეორებს იმ ახალი პიესის ტექსტის ყველაზე ალოგიურ ფრაზას: „საოცარია როცა წვიმდა, ის პატარა ტბა კიდევ უფრო პატარავდებოდა“, — რომელსაც მხოლოდ ფრაზეოლოგიური სილამაზე შერჩენია და აზრი და შინაარსი კი არა. მისი წარმოთქმისას იგი ყოველთვის პათეტიკუ-რია, „ბაძავს“ წარმანტიკულ სტილს ერთგვარად დასცინის ამაღლე-ბულს, ემოციურტრაგიკულს, ხაზ-გამით აძლევს მას ხელვნურობის ელფერს — ამავე ინტონაციით ახსენ-დება ინგლისიც — „მონასტერში, ოფელა მონასტერში!“

ვინც გარკვეულია თეატრის „შიდა სამზარეულოში“, წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორ მზადდება სპექ-ტაკლი, მიხვდება რაოდენ დიდი შრომა იყო ჩადებული „ნალირობის სეზონში“. აյ ყოველი წარმოთქმუ-ლი ფრაზა და მისი ინტონაციი ხდე-ბა შემდგომი ქმედების საფუძველი, გარეგნი და შინაგანი რიტმი განა-პირობებს მსახიობთა მიერ ამ თუ იმ ეპიზოდის შესრულების გასა-ლებს, არა თვითონ სიტყვა და მისი შინაარსი, არამედ ის, თუ რა უსტი-კულაციით, როგორაა ნათქვამი, რა ემოცია და შეგრძნებაა მასში ჩადე-ბული. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ეს სიტყვა და ფრაზა ქმედითი და მხო-ლოდ შემდეგ ზემოქმედებს მაყურებელზე. ამ სქემითაა აგე-ბული მთელი სპექტაკლი, გაზომილი და ანონილი რიტმით, მუსიკალობით, უსტით, მოძრაობით, სხვადასხვა პოზით, მრავალჯერ გამეორებული და დახვენილი. ამიტომაცაა, რომ იას ყოველი უსტი, ყოველი მოძრაობა ზუსტად შეესა-ბამება რეჟისორის ჩანაფიქრს.

მსახიობის თამაშის ეს მანერა, როლის მომზადების ეს სტილი ახალი არაა. ალ. ახმეტელის რეპეტიციის ჩანაწერები მეტყველებს, რომ დიდი რეჟისორი ამ მიმართულებით მიდი-ოდა. „ანზორში“ ცეცხლოვანი „ლეზგინკა“, რომელიც ექს-ტაზში გადადიოდა, ნინ უძღოდა გ. სარჩმელიძის პერსონა-ჟის მიერ თავგანწირვის სცენას. როდესაც მსახიობის სხეუ-ლი, შინაგანი რიტმი უკვე მზადყოფნაშა და უტოლდება პერსონაჟისულს, როდესაც მოძრაობა, პლასტიკა განაპი-რობებს შემდგომ ქმედებას. ია სუხიტაშვილთან და ზუგა პა-პუაშვილთან გასაუბრების შემდეგ რჩმუნდები, რომ მსახი-ობები სწორედ ამას გრძნიობდნენ, ამბობენ, რომ სპექტაკ-ლის ასეთმა „პარტიტურამ“ საშუალება მისცათ ზუსტად და-ენახათ ის ამოცანა, რასაც რეჟისორი სთავაზობდა. დღეში 8-10 საათიანმა მომქანცველმა რეპეტიციებმა ის შედეგი გა-მოიღო, რაც 7 ივლისს ვნახეთ. ია სუხიტაშვილი იხსე-ნებს, რომ თუმც შემდგომ ბევრჯერ, „მაესტროს“ გარე-შე ითამაშეს, ის პირველი მაინც სულ სხვა იყო, თავისი ალ-მაფრენით, ემოციურობის უმაღლესი გამოვლენით.



ზუკა პაპუაშვილი და ია სუხიტაშვილი

რ. სტურუამ შეძლო რუსთაველის თეატრის დარბაზში კვლავ ის „ექსტაზი“ გამოიწვია, რითაც ცნობილი იყო თუნდაც აღ. ახმეტელს დადგმები, როცა მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და მხურვალე, ხანგრძლივ რვაციებს უმართავდა დამდგმელ ჯგუფსა და შემსრულებლებს.

საუბრობენ იმაზე, რომ მსახიობის ასეთი „მანერულობა“ უქსტი, პლასტიკა, ფრაზის მუსიკალობა, აღმავალი და დალმავალი ტონები, ქართული ენისთვის ცოტა უცნაური მახვილები გავიხსენოთ ნინო კასარაძე ბ. ბრეჭტის „სეჩუანელ კეთილ ადამიანში“, უ. შექსპირის „მაკბეტში“ და თუნდაც „პამლეტში“ (აյ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს რ. სტურუას იგივე სპექტაკლი „სატიროკონში“). რაკინის შესრულებით საღაც სულ სხვა რიტმია, სულ სხვა ინტონაციები და ა.შ. მორგებული უკვე ამ თეატრის და თუ გნებავთ ამ რუსი მსახიობებისათვის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს), რასაც მოითხოვს რეჟისორი, ბადებს მსახიობურ „შტამპებს“. ხელს უშლის მათ ზრდას, აყრიგინებს ინდივიდუალობას და სხვ. რომ ხდება მათი ტირაჟირებაც კი. მაგ. ახლა ია სუხიტაშვილის სახით. მიმართია, რომ თუ მართლა ასე ნებავთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორული „შტამპებია“ და მას თეატრალურ ენაზე რეჟისორული სტილი ჰქვია. რობერტ სტურუას თეატრის სინტაქსისი.

არ შევცდებით თუ ვიტყვი რომ ამ თეატრს აქვს თავისი მორფოლოგია სამეტყველო ენა, და თავისი სინტაქსისი — თუნდაც მიზანსცენათა განსაკუთრებული წყობა და თანამიმდევრობა სხვა დანარჩენთან ერთად.

ია ცოცხალი იუმორით, ხშირად ცინიკურად აღიქვამს მის თავზე დატრიალებულ მოვლენათა თანამიმდევრობას, იჯერებს ტყუილს — „თქვენ უფრო გახსაროთ მამაჩემს, ვიდრე მამაჩემი მამაჩემს“, ზოგჯერ ებრძევის სიმართლეს — „თუ ასეთი ურჩხული ვარ, შენ, შენ რატომ არ გაიხიხარ, რას უცდი, ვინმე გაკავებს?“ ოცნებობს უფლისწულზე, მაგრამ აღიარებს რომ „არ უყვარს კეკლუცი და მოვლილი ბიჭები“, მაგრამ ფიფქიას ზღაპარს ერთადერთი „ენდური დასასრული აქვს. უფლისწული (ს. მიკუჩაძე-დაღანიძე) მაინც მოვა „ნითელი ადიდასით“.

თეატრის დიდ სცენაზე, სადაც მაყურებელი შორსაა ძირითადი ქმედების არენიდან, რთულია ინტიმურობის შექნა, მსახიობის სახეზე ასახული და სულმი მიმდინარე შეგრძნებების „ახლოს მოტანა“ და მისი გაზიარება. ამ მიზნით რეჟისორი და მხატვარი (თ. ნინუა) ერთგვარად აუქმებენ ამ დისტანციას და ია „წყალზე“ გადებული ხიდის მეშვეობით პირდაპირ დარბაზში ჩამოყავთ, მაყურებელი მის სახეზე ასახული ნებისმიერი კუნთის შეთამაშებას ხედავს, გრძნობს და იმ ასოციაციათა ბადე-ქსელში „ეხვევა“, რომელიც ამ დროს მსახიობის სულმია გაბმული. მისი სხვადასხვა ინტონაციებით წარმოთქმული ფრაზები და სიტყვითა აქცენტები იმის მცდელობაა, რომ მაყურებელში ზუსტად ის ემოცია გამოიწვიოს, რაც ნათელს მოჰქონდა ასერსონაუის ბუნებას, ხასიათს, მის იმწუთიერ სულიერ განწყობასა და შეგრძნებებს. მაგალითად, მესამე სცენა: პრემიერიდან დაბრუნებულ იას საღამოს კაბა აცვია და შლაპა ახურავს, ხელში ყვავილების თაგიული უჭირავს, რომანტიკული სპექტაკლების პრიმადონას მოგვაგონებს (ამაღია — ფ. შილერის „ყაჩალებიდან“). მისი ტექსტიდან, ქცევისგან, პლასტიკიდან იკითხება, რომ იმ ნაქირავებ ბინასაც ვერ სცნობს, სადაც ცხოვრობს, ისევ გაორება, გზა-

აბნეულობა, „აქაც დეკორაცია და იქაც“, მაგრამ აქ მთავარი ის ინტონაცია, ფრაზის იმ მუსიკალობა და მახვილებია, რითაც ხვდები, რომ იას ის დროც დაუკარგავს, ის მოგონებებიც, რომელიც ბავშვობის სახლს აკავშირებდა: „იყო კი ნამდვილად ის დრო, თუ ესეც სიზმარია, ზმანება...“ ამ ფრაზაში ხაზგასმული განსაკუთრებით აქცენტირებულია, მანიშნებელი იმისა, რომ მისი არსებობაც საერთოდ „ზმანება“ მისთვისაც და ჩვენთვისაც. იას სხვა არაფერი დარჩენია — სტოვებს ოთახს „მორენებების“ თუ „მოთვალეულეთა“ თანხლებით, რომლებიც ხელს ჩაჰკიდებენ, მაგრამ ია მათ ვერ ხედავს.

იასა და შლაპიანის (ზ. პაპუაშვილი) ურთიერთობა ღრმა და ხანგრძლივია. შლაპიანი მას ხან საზმარში ეცხადება, ხან ბრმა მოჩვენებაა და ხან კი „მამად“ მოევლინება. მათ დამოკიდებულებაში არის რაღაც თბილიც, მზრუნველობითიც, მშობლიურიც, შიშნარევიც და დაუჯერებელიც „რატომ იყო ის კაცი ბედნიერი?“ ნუთუ აქ, მათ „საქართველოში“ ვინმე არის ბედნიერი? — ანუხებს იას. არტურ მილერივით ჩაცმულ-დახურული შლაპიანის გამოჩენა მისტიკურიბის ნიშანს ატარებს. სიზმრადმოვლენილი, გამოჩენისთანავე მაგანთა და მაგნითა ნადირობის მსხვერპლი ხდება. დამსჯელთა რაზმი ბრძანებას პირნათლად აღასრულებს, თუმცა შლაპიანის სიკედილს ერთი „ანტიგმირის“ საქციელის გამო, რომელსაც გულმა თუ ხელმა უმტყუნა გასროლის შესრულების დროს (დამსჯელთა რაზმშიც კი არის „ერთი ნამდვილი ადამიანი“), კვეთა შეეწირება.

შლაპიანი, ბრმა მოჩვენება, „მათხოვარი“ არტურ მილერი, მერლინ მონროს ქმარი, იას „მამა“ ზ. პაპუაშვილი ერთაირი ოსტატობით ასრულებს სხვადასხვა როლებს, სხვადასხვა ელფერს ანიჭებს თვითეულს, თუმცა მთლიანობაში ერთს დრამატურგს, რეჟისორს და ზოგადად შემოქმედ ადამიანს ასახიერებს. იგი თვით რობერტ სტურუაცაა, ის, ვისტეც ნადირობაა გამოცხადებული და რომელიც შლაპიანის მსგავსად სპექტაკლის ბოლოს მსხვერპლად შეეწირება ნადირობის სეზონს.

„მათხოვარი“ — არტურ მილერი ბედსშეგუებული და მორჩილია. ცხოვრებისგან გათელილს, პრეზიდენტების-გან მოტყუებულს, თავისუფლებისთვის მებრძოლს საკუთარი ცოლის დათმობაც კი უწევს, მთელ თავის „არტისტულ“ ნიჭის სარჯავს, რომ ერთი კათა ლუდის ფული და როვოს.

იას „თავისუფლავი“ არჩევანი — აღე, თუ პირიქით — დრამატურგია, ყველთვის სუფთად, საზეიმოდ ჩაცმული, აფასებს სიტყვებს, ფრაზებს, არ უყვარს „ხმამაღალი თა-ატრი“, ცინიკოსა: „მამის აჩრდილიც დავირტყით. ნაღდი თეატრია!“ „სულ თამაში გაგონილა?“ სულ არ აღლელვებს და არც ანუხებს იას ფეხმძიმობა. თანამედროვე „პროგრესული აზროვნებით“ გამოირჩევა „კლასიკა ზარ-ზეიმით სამუდამოდ გამოეთხოვა მკითხველსა და მაყურებელს. მორჩა მარტო კლიპების სცენარები უნდა ვწერო“, რომელმაც ოსტატურად აართვა ია ბოლო საყვარელს. ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ინტელიგენტის ტიპია, რომელსაც ცხოვრება კარგად მოუწყვეთა: ცოლიც ჰყავს, ოჯახიც, მსახიობის საყვარელიც და პიესების ნერითაც იას შეკითხებაზე — „შენ დედა გყავს („დოქსოპულო, შენ დედა გყავს? ვარლამ არავიდება“)? — ფარისეველურად ტირის, დედა უმტყუნად ტირონთა თავშესაფარ-

ში მიუბარებია. მაღალი ზნეობით მაინც და მაინც არ გამოირჩევა — „რადგან მოხვედი, ბარემ გაიხადე და დაწექი ჩვენთან“ — სთავაზობს შლაპიანს, იასთან ერთად გაიზიაროს სარეცელი. დროდადრო იას შემოსავლითაც „სარეცელობს“. მისთვისაც ნადირობის სეზონი დამდგარა. ხელის ერთი აქენევა ჰყოფნის და საკუთარ მსხვერპლებს თავებს წააცლის და საერთო გროვაში გადაუძახებს. გ. ბარბაქაძე დახვეწილი პლასტიკით ასრულებს საწოლში ცეკვის, გედით გაფრენის სცენებს, გარდასასვეის მაღალი ოსტატობით წარმოგვიდგენს ალეს, რომლის სულიერი სამყარო მართალია ცარიელია, თუმცა ადამიანურობის რაღაც ოდნავი ნიშნები მაინც შემორჩენია. იასა და მის მიერ გათამაშებული „მკვლელობის“ სცენებიც, როცა ხან ალე იას დანას ურტყამს, ხან კი ია ალეს თავში ქვეს უთაგაზებს, ასევე ნადირობის სეზონის შემადგენელი ნაწილია.

სპექტაკლის ავტორები, როგორც დრამატურგი, განსაკუთრებით კი რეჟისორი რ. სტურუა მსახიობებთან ერთად ხშირად მიმართავენ საკუთარი შემოქმედების და სტილის ციტირებას, საყვარელი მსახიობების პაროდირებას. მაგ. დრამატურგი არტურ მილერი — მერლინ მონროს ქმარი (სტურუას ცნობილი სპექტაკლი „სეილების პროცესი“) — „ჰოლივუდის შავი სიის“ წევრი, „კუდიანებთან ბრძოლის“ ერთ-ერთი მსხვერპლი, „როლი დამწყები მსახიობი გოგონა-სათვის“ (თ. ჭილაძე რ. სტურუა) — ნამყვანი მსახიობი ქალის წარუმატებელი და ტრაგიკული რომანი დამდგმელ რეჟისორთან, იას მმართველის „ინ ტირანოსიდან“ — კარლ მოორის (ა. ხორავა) როლის შემსრულებელი ა. ახმეტელის პერიოდა-რომანტიული სპექტაკლი, დრამატურგი ალე თუ ალი — კურბან საიდის „ნინოს და ალის“ მთავარ პერსონაჟის ასოციაციას რომ იწვევს, ახლანდელი ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ ფართოდ რეკლამირებული რომანიდან ქართველი ქალისა და თურქი ვაჟის სიყვარულის შესახებ. რეჟისორის მიერ ასევე სხვა თეატრების სტილის: ფსიქოლოგიური, რომანტიკული — „ქარიშხალი და შეტევა“, ქალაიცისტური, ჩომლდე რანზაისეს („ლოგინი სცენაა. აქ სიყვარულით საგეს გულები ფეხქავენ. ამ სარეცელიდან, ამ წმინდა სცენიდან სიყვარულის ხმა უნდა მოეფინოს ქვეყნიერებას!“), „ნატურალისტური“ (ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი) თეატრების პოსტმოდერნისტების დამახასიათებელი პაროდიება ფანტასტიკურ სიმაღლეებს აღნევს.

მაგრამ რომანტიკის, პათეტიკის, ოცნებების, happy end დრო დასრულდა, „საშინელებათა“, სისასტიკის, ძალადობის ეპოქაში ცხეოვორობთ, სადაც ჩვენზე ერთდროულად ზემოქმედებენ სამყაროს თვითგადარჩენის მკაცრი კანონები, პოლიტიკური ამბიციები, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩინოვნიკურ-ნომენკლატურული კანონები, ანტიკულტურული და უზნეო პირადი ინტერესები, როცა ყელაფერს შეიძლება „უკანალს გამობმული ერთი ქაჯი“ წყვეტდეს.

ულამაზესი და გამოგონებლობით აღსაგესა ტრიის — იას, ალეს და შლაპიანის — შესრულებით ალეს გაფრენის (მსგავსი სცენა გიხილეთ რ. სტურუას ეთ სეტერას თეატრში დადგმულ „ქარიშხალში“), როდესაც იგი მსოფლიოს ზე-ვიდან გადმოხედავს.

ასოციაციური თეატრის განსხვავებული ესთეტიკა გვეკანახობს, რომ იმავე კანონებით საუბარი, როგორიცაა ექსპოზიცია, კოლიზია, კონფლიქტი აქ უადგილოა. ამი-

ტომაც ამ სპექტაკლის ფინალიც ამ ეტაპების გავლის გარეშე ილუზიურ-მისტიკიური და მოულოდნელია და მხოლოდ წერტილს უსამს ყველაფერს.

სპექტაკლის ფინალიც ხომ უკვე დასაწყისში ენახეთ. შლაპიანის სიკვდილს თითქოსდა ია უნდა შეეცვალა, მართლა ახეილა მისთვის თვალები, ახლა იგი ჯუჯების, მოჩვენებების ზემოქმედებისაგან განთავისუფლებული უკვე საბალეტო, ჰაეროვან კოსტუმშია გამოწყობილი, „მე ხომ ქვრივი ვარ!.. ბედნიერი ქვრივი“ (უკვე ნახსენები კვაზიორეალობა), მაგრამ ეს ხომ იას „ჰალუცინაციური“ ზანებებია.

ალე პიესის ტექსტს გადაყრის, როგორც უკვე უფუნქციოს, და სპექტაკლის ფინალური სცენა — ხიდზე გამოსული „წითელ ადგადასიანი“ ია და ისევ უცნაური, მაგრამ მეტყველი ინტონაცია: „მომიღლოცეთ, ამისაულდა, რასაც ამდენი ხანი ველოდი“ — ყველა გენრიეტას უხმობს, რომელიც არ დაახანებს და ისევ მოფრინდება...

მინდა დაუგუბრუნდე იმას, რითაც დავიწყებ რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლის არაერთგვაროვან აღქმას მაყურებლის მიერ. „პროლეტარული“ თეატრის დრო დიდი ხანია დასრულდა. გვინდა თუ არ გვინდა უნდა ვალიაროთ, რომ არსებობს „ელიტარული“ ხელოვნება, რასაკვირველია, არა იმ გაგებით ხელოვნება ელიტისთვის, არამედ ის, რაც მაყურებლის განსაკუთრებულ მომზადებულობას მოითხოვს. მაგ. თუნდაც ელიტარული კინო, თავისი განსაკუთრებული კინოენილი შეემნილი ჟ. ლ. გოდარის, ბუნულის, „დოგმას“ ფილმები, ჰოლივუდური პროდუქციისგან განსხვავებული. რობერტ სტურუას თეატრის მორფოლოგიაც ასევე ხშირად მოუწვდომელია იმათვის, ვინც ამ თეატრზე არაა აღზრდილი. კარგ მთემელს კარგი გამგონი უნდა — ამბობს ქართული ანდაზა.

შესაძლებელია ჩემი ეს აზრი მაღალფარდოვნად მოგეჩვენოთ, ან გამოჩნდეს ვინმე, რომელიც რაღაც „ფაბიის“ იარლიყს მომანებებს. მახსოვს, რომ სიციალურ ქსელებში, ფორუმებზე გამოჩნდა მოსაზრება, რომელიც კვერს უკრავდა ზოგიერთ ჩემ მეგობარ კრიტიკოსს, რომელიც ვერიკ ანჯაფარიძის ხმით გაპკიონდნენ: „მოგვამორეთ ეს ბებერი თეატრიდან!“ (მაშინ კ. მარჯანიშვილი რომ ჰყავდათ მხედველობაში), მაგრამ ეს სტატია სტურუას დასაცავად არაა დაწერილი, ისე სიტყვამ მოიტანა. ერთი ცხადია, მხოლოდ თეატრალური მაყურებლის განსაკუთრებული მზაობების და გაგებას, იმ მთავარის აღმოჩენას და დანახვას, რისი თქმაც და ჩვენებაც უნდა შემოქმედს.

ნოემბრის ბოლოს ნადირობის სეზონი თავდება ხოლმე. ნადავლის დათველის პერიოდი იწყება — „ფეხებით ჩამოკიდებული, სისხლში ამოსვრილი, პანანინა ანგელოზები, როგორც პატიმრები დილეგში. პრეზიდენტები ანგელოზების თავებს ითვლიან“. ნადირობის მოყვარულები მომავალი სეზონის დაწებებამდე იარაღ ინახავენ და „ძილს“ ეძლევიან, სიზმარში კი ჯერარნაზული, ჯერარდაჭერილი და მოკიდებული ნადირობის დასაცავების ამ რეჟისორის აზრის მოძრაობის აღქმას და გაგებას, იმ მთავარის აღმოჩენას და დანახვას, რისი თქმაც და ჩვენებაც უნდა შემოქმედს.

ნინო ჯაველიძე

## მზე — უგძლეთა გძლეთა მძლე

წერილის სათაურისთვის შერჩეული, სადიდებლად აღვლენილი მზის აზმა საგულისხმოა თავისი პოეტური უღერადობით და, რაც მთავარია, კოსმოგონიის სილრმისეული გააზრებითაც. ლექსად თქმული ეს მსოფლგანცდა შინაარსით გამჭვირვალეა. მზე, ვითარცა მნათობი, უაღმატებულეს ხარისხამდეა აყვანილი, იგია არა უბრალოდ მძლეველთა მძლე, არამედ მძლეა იმ მძლეთა, რომელთაც უძლეველთა დამარცხება ძალუბით. აღმოჩენების ხანაში შექმნილი ამ ლოცვით უპირველესად ასტრალური ხედავა წარმოჩნდება და მზე მოაზრებულია როგორც „ყოვლად გამარჯვებული მნათობი, ვარსკვლავური ლვთაება თავისი ქალდეური დახასიათებით“.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ უძველეს ხანაში ცის მნათობის გაღმერთება ყველგან იყო გავრცელებული და ეს ფაქტი, მკვლევართა თქმით, კულტურის განვითარების ერთ-ერთ მაღალ სფეროს ნარმოადგნდა. რაც შექება ქართული წარმართობის, კერძოდ კი მნათობთა კულტის შესწავლას, იგი სრულყოფილი ვერ გახდება, თუკი მცირე აზის (ხათები, ხურიტები, ურარტელ-ქალდეველნი და სხვ.) თუ შუამდინარეთის (შუმერ-ქალდეველნი) მნათობებისა და ქართული ასტრალური ლვთაებების გენეტური კავშირები არ იქნება გათვალისწინებული.

ქართული და მცირეაზიულ-შუამდინარეთის წარმართული ღმერთები ერთ კონტექსტში შემთხვევით არ გვიხსენებია — არაერთმა ქართველმა და უცხოელმა მკვლევარმა გამოითქვა საკუთარი მოსაზრება ქართველთა, ხათების, შუმერთა, ქალდეველთა, ურარტელების, ხურიტების და სხვათა რასიული ერთობის თაობაზე. თუმცა ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ მიხაკო წერეთლის ნააზრევიდან ერთ ამონარიდს მოვიყვანთ, სადაც საერთო წარმართული სამყაროს თაობაზეა საუბარი: „ხეთური სარწმუნოების ელემენტები ჩანს ძეველ სანარმართო ქართულ სარწმუნოებაში და რაც დღეს მასალა მოგვეპოვება, იმის მიხედვითაც შეგვიძლია ხილული ძაფები გავაბათ ხეთასა და სხვა ქვეყანითა და, კერძოდ, საქართველოს შორისაც“... (ზ. წერეთელი, გვ. 106). როგორც ვხედავთ, მკვლევარი საერთო ძირებს უქებნის მცირეაზიურ და ქართულ ცის მნათობთა ლვთაებებს. ამასთან იქვე აზუსტებს, რომ საკუთრივ მცირე აზის სარწმუნოებივ წარმოდგენებში უქველად არსებობს რაღაც ერთობა და მათ საფუძვლად უდევთ ერთი უძველესი და უპირველ-ყოფილესი სარწმუნოება, ალბათ უძველეს არაინდოგრმანელ ხეთელთა-ო (ანუ ხათების — ნ. ჯ.).

სანამ ორიოდე სიტყვით მცირეაზიურ მნათობთა შესახებ მოგახსენებდეთ, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მნათობთა თაყვანისცემის დროს მზის გაღმერთება სხვა-დასხვა ეთნოსისთვის საერთო, ზოგადი ხასიათისა იყო და პირველყოფილ კულტურაში ამ ხანას მზე-ღმერთის ხანა

ეწოდება. თუმცა დასავლეთეროპელ მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის პირველი ღმერთი იყო მთვარე და იგი იყო მამაკაცი ღმერთი, მფარველი და უფალი დედაკაცთა. მთვარის ღმერთობის ხანა იმ პერიოდისაა, როცა ადამიანი ნადირობითა და მწყემსხმით ირჩენდა თავს. თანაც ცხელ ქვეწებში მზე მისთვის ხელისშემსლელი იყო და იგი ღამით, მთვარის შუებზე ნადირობდა. მზე კი მას შემდეგ გააღმერთეს, რაც ეთნოსებმა სასოფლო მეურნეობას მიჰყევს ხელი (ვ. ნოზაძე, გვ. 21). ახლა არ შევუდგებით ზემოხსენებული თვალსაზრისის განხილვას, ოღონდ საპირწონედ გვსურს შუმერულ-ბაბილონური, ძველინდური და ეგვიპტური მზის საგალობლებიდან, რომელთა „ასაკი“ ქრისტეშმბამდე სამი ათას წელზე უფრო ადრეული ხანითაც განისაზღვრება, მცირედი ამონარიდები მოვიხმოთ:

**შამაშ! (მზე)**  
განმანათლებელო უკუნისა, გამაშუქებელო ცისა,  
დამამხობელო ბოროტთა ცათა შინა და  
ქვეყანასა ზედა!..  
მწყემსო... ქვეყანისა, მფარველო ზესთაისა,  
გამგებელი და  
ნათელი ხარ ქვეყნისა შენ, შამაშ, მხოლომ!  
(შუმერულ-ბაბილონური საგალობელი)

**ყველა ღმერთი ლხინობს, ოდეს ისინი გიმზერნ შენ,**  
**ცათა მეუფეო...  
...ო, მზეო! რომელსა არა გყავს ვინმე ბატონი,**  
**დიდება შენდა, ამმონ-რა, უფალო მსოფლიოს**  
**საყდარისა...  
უდიდესო ცათა შინა, უხუცესო ამ ქვეყნად,**  
**უფალო არსისა...  
(ეგვიპტური გალობა)**

**შენ ხარ, ოპ, მზეო, თვალი მსოფლიოსი,**  
**წყარო ყოველივესი, რაც არის, სათავე ყველაფრისა...**  
**ყველა შვიდ ქვეყანაში არაფერია შენზე უზენაესი.**  
**არ ერთი არსება ცისა არ გეთანაბრება შენ**  
**შენს დიდებაში,**  
**შენ ხარ უფალი უფალთა... და მეუფე მთელი უამისა.**  
**(ინდური საგალობელი)**

ისტორიის აკვად წოდებული შუმერის, აგრეთვე უძველესი ცივილიზაციის მქონე ეთნოსთა ამ „პირველმნილ“ საგალობლებში ნაჩვენებია, რომ მზის მნათობი — ლვთაება იყო უზენაესი ღმერთი და უფალი არსისა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მცირე აზისა და შუამდინარეთის მოსახლეობისთვის ასევე უჩვეულო არ იყო სხვა ასტრალური მნა-



თობების გაღმერთებაც, რომელთა შორის ზოგიერთ ქვეყანაში მთვარე ერთ-ერთ უმთავრეს მნათობად მოიაზრებოდა. მაგ. მთვარის კულტი მთავარი იყო ფრიგიაში, კარიაში, პიზიდის ანტიოქიაში, ასურელებისთვის, საბილთათვის და სხვ. ხეთელთათვის უპირველესი დათაება ჭექა-უზილის ღმერთი თეშუბი იყო, მას რიგითობით მოსდევდნენ მზე, შემდევ მთვარე და ა.შ. ასე რომ, უნინარესი ცივილიზაციის შემქმნელი ეთნოსებისთვის „ცის გვამთა“ - გან მზეც, მთვარეც და ღრუჟელთ მეუფეც მთავარი დათაებები ჩანან, რომელთაც გამორჩეული ადგილი ეკავათ ას-ტრალურ საუფლიში.

აქვე უნდა გავიხისენოთ ქართველი ეთნოსის ჩრდილოეთით განსახლებულ ტომთა წარმართული წარმოდგენებიც, კერძოდ, მათი მნათობათაყვანება. ეა-ეგრისის სასაზღვრო მინები უძველეს დროს მდ. მცირე ხაზარეთის (მდ. ყუბანი) ქვემონელამდე და კავკასიონის ქედის დასავლეთი მთების ძირებამდე აღნევდნენ, აქ გადიოდა სამეფოს საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი. კავკასიონის მთავარი ქედის მიღმა, ე.ნ. პირიქითა საქართველოს მინა-წყალზე ასევე მკვიდრობდნენ ქართველი ტომები (ჰენიოხები, კერკეტები, კოლხ-ლაზები, მოსხები, მაკრონები, ბასილები, სვანები და სხვ.), რომლებიც უშუალოდ ემეზობლებოდნენ სკვითებსა და სხვა ტომებს. ანტიკური ხანის წყაროებში ზოგიერთი მათგანის ასტრალური თაყვანების ამსახველი ცნობებია დაცული. ასე მაგ., მასაგეტები, რომლებიც კასპიის ზღვასთან მკვიდრობდნენ, მზეს ეთაყვანებოდნენ (Платышев, თ. I, 4, გვ. 38). ტავროსკვითები თაყვანს სცემდნენ არტემიდეს დათაებას, იგივე მთვარეს (Платышев, თ. I, 4, გვ. 328, 402). „არგონავტების“ სქლოლიოებში კი ვხვდებით ცნობებს იმის თაობაზე, რომ პიპერბორეებისთვის ყველაზე მთავარი აპოლონის, იგივე ფებოსის კულტი ყოფილა, რომელიც სხივთმფენელ მზესთანაა ასოცირებული (Платышев, თ. I, 4, გვ. 428).

ამგარად, მნათობთა კულტის ხანაში ქართველი ეთნოსის გარშემო დამკვიდრებული ტომების წარმართული წარმოსახევისთვის ჩევეული იყო ვარსკვლავური ღვთაებების არსებობა. მცირე აზიასა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი მოსახლე ტომები თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ა.შ. ვფიქრობთ, გეოგრაფიულად ერთმანეთისგან მოწყვეტილ ამ ორ სივრცეში მნათობთა ერთნარინი კულტის არსებობა უძველეს კულტურათა გავრცელებისა და ურთიერთკავშირების შედეგი უნდა იყოს, რადგანაც აპოლონის და არტემიდეს კულტები მცირე აზიაში აღმოცენდა. ხოლო გზა ამ კავშირებისა, ჩანს, კავკასიაზე გადიოდა იქ, სადაც თავდაპირველად ქართველი და ალბაზელი, გაცილებით გვიან კი არმენი ეთნოსები სახლობდნენ.

უნინარესად გვსურს მიმოვიხილოთ ის ცნობები, ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ქვეყნებში მცხოვრებთა მნათობთაყვანებას რომ ეხება. ალბანელთა შესახებ სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ისინი თაყვანს სცემდნენ მზეს, ზევსა და მთვარეს, განსაკუთრებით კი — მთვარეს. იბერიის სიახლოეს მისი ტაძარიც ყოფილა, სადაც ქურუმები მსახურობდნენ და მისნებიც იმყოფებოდნენ (Платышев, თ. I, 4, გვ. 143). როგორც ვხედავთ, ალბანელები ორივე მთავარ მნათობს — მზეს და მთვარეს ალმერთებდნენ, თუმც კი მათთვის მთვარე უმთავრესი ღვთაება ჩანს. მართლაც, წყაროში საუბარია მთვარის ტაძრის შესახებ, ალ-

ბანეთის მიწაზე სხვა მნათობთა ტაძრების არსებობა არ დასტურდება. ალბანელებს მხოლოდ მთვარის ღვთაების-თვის განკუთვნილი საკურთხეველი ჰქონიათ.

ძვ. ნ. IV ს.-ში მოღვაწე ქსენოფონტან ვხვდებით ცნობას არმენის შესახებ. უნდა ალინიშნოს, რომ არმენთა ქრისტეგანობამდელი რწმენის ამსახველი მასალა ერთობ მნირია და ამას თავისი ახსნა აქვს. აი, რას წერდა მიხაკი წერეთელი ამ საკითხის გამო: „სომხეთში სპარსელებმა ისე ალმოჰვეთეს სომხური ეროვნული წარმართობა, რომ თითქმის სრულიად არა ვიცით რა დღეს წმინდა სომხური წარმართობის შესახებ“ (მ. წერეთელი, გვ. 79).

მართლაც არმენთა პოლიტეზმის შესახებ მასალები, შეიძლება ითქვას, თითებზეა ჩამოსათვლელი. და მაინც, რას გვაუწყებს ქსენოფონტი? მოკლედ გადმოგცემთ „ანაბაზისი“-დან მის მონათხრობს: ერთ-ერთ სოფელში ქსენოფონტი შეუერთდა ბერძენთა ჯარის ერთ ნაწილს და დაინახა, რომ სუფრაზე მათ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი არმენი ყმანგილები ემსახურებოდნენ. შეიტყო, რომ ამ ქვეყანას ენოდებოდა არმენია, ხოლო მის მეზობლად მდებარე ქვეყანა ხალიბებს ეკუთვნიდათ. ქსენოფონტმა მის მეგზურ მამასახლისს ცხენი უბოძა, რომელიც მას ღმერთებისთვის უნდა შეერია. ქსენოფონტმა იცოდა, რომ ეს ცხენი მზის ღვთაების სამსხვერპლო იყო. ესე იგი, ბერძენი ავტორის ნაამბობიდან ვგებულობთ, რომ არმენიად წოდებულ ქვეყანაში მზის ღმერთს ალიარებდნენ, რომელსაც მსხვერპლს სწირავდნენ (Платышев, თ. I, 4, 1, გვ. 70). ამ მონათხრობიდან ერთი შეხედვით ჩანს, რომ არმენთა ღვთაებაზეა საუბარი. თუმცა ვფიქრობთ, ეს პასაუი, შესაძლოა, სხვა სახის ცნობასაც შეიცავდეს. ცნობილია, რომ არმენები ანტიკავკასიონის არეალში ძვ. წ. VI ს-დან ჩნდებიან. უფრო ადრე ეს ინდოგვერმანული მოდგმა ამ რეგიონში წყაროებით არ დასტურდება. ქსენოფონტმა თავისი ნაარმობები ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში შექმნა. ე.ი. სულ ორი საუკუნე იყო გასული არმენების აქ გამოჩენიდან, სადაც მანამდე ქართველი და ქართველთა მონათესავე ტომები (ურარტელ-ქალდეებელი, ხურიტები, ჭანები, ხალიბები, სასპერები, ბიძერები, კოლხები, მოსინიკები, მოსხები, მაკრონები და სხვ.) სახლობდნენ. არმენები ზოგიერთ ქართველ ტომს შეერივნენ, განსაკუთრებით მათ, ვისი მიწებიც მყარად აითვისეს და დაისაკუთრეს (ხალიბები, ჭანები). პროცესი ისე შორს მიდის, რომ გვიანანტიკიური ხანის წყაროებში (პლინიუს უფროსი) „არმენო-ხალიბების“ ეთნონიმს ვხვდებით, რაც არმენიზაციის გზაზე მდგმო ხალიბთა აღმიშვნელი ცნებაა.

მიცუბრუნდეთ ქსენოფონტის მონათხრობს. მამასახლისის თქმით, იქიდან, სადაც იგი იმყოფებოდა, მალევე იწყებოდა საკუთრივ ხალიბთა ქვეყანა. თანაც მრავლის-მეტყველია შემდეგი ფაქტი. ქსენოფონტი სოფელში ყოფილისას ალნიშნავს, რომ მან ერთ-ერთ სახლში „არმენი ყმანგილები“ ნახა. მაგ ვინ უნდა ეხილა ბერძენ სტუმარს არმენიად წოდებულ ქვეყანაში? ეს იგივეა, ვინმეს ქართულ სოფელში სტუმრობის თაობაზე რომ ეთქვა, იქ ქართველი ყმანგილები ვნახეო. თუკი ამ მონაყოლის თავისებურებას გავითვალისწინებთ და იმასაც გავისეს სახლში სტუმარს არმენია-ხალიბების ეთნონიმს ვხვდებით, რაც არმენიზაციის გზაზე მდგმო ხალიბთა აღმიშვნელი ცნებაა.

დენ მათთან თანაცხოვრებას, მაშინ შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, ხომ არ იყო აქ ნახსენი მზის თაყვანის-ცემა ქართველი ტომების კულტი? საკითხის გარკვევისთვის ერთობ წაგვადგებოდა, თუკი ქსენოფონტთან აღნიშნული იქნებოდა მზის რაობა, ანუ რა სქესის იყო ეს მნათობი. ქართველთათვის მზე-ღვთაება მდედრობითი სქესის იყო („მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი“; „მზე დაწვა და მთვარე შობა“ და სხვ.), არმენთათვის კი — მამრობითისა (არმენთა ერთ ხალხურ ტექსტში მზე-ღვთაებას გამოხატავს სასიძო-მეცე, სხვაგან კიდევ ობოლ ბავშვს სააკვნო სიმღერით მიმღრთავენ, რომ იგი მთვარეზ თავისი გაღლობით უნდა დააძინოს, მზემ კი — დაიფაროს). როგორც ვხედავთ, არმენთათვის და ქართველთათვის მთავარი მნათობ-ღვთაებები განსხვავებული სქესის მატარებელია. მაგრამ ქსენოფონტი არმენიაში ნახსენი მზის კულტის სქესის შესახებ არაფერს გვაუწყებს. ასე რომ, მისი „ნარმობოვლობის“ თაოპაზე გადაჭრით ვერაფერს მოგხსენებთ. იგი შეიძლება არმენიაში შემორჩენილი ქართველი ტომების ღვთაებაც ყოფილიყო და საკუთრივ არმენთა ღმერთიც. აქვე გვსურს საერთო შინაარსის ქართული და სომხური ხალხური ლექსები მოვიხმოთ, რომლებიც საოცრად ჰქვანან ერთმანეთს:

#### ქართული:

**მზეო, ამოდი, ამოდი!**  
**ნუ ეფარები გორასა,**  
**სიცივეს კაცი მოუკლავს,**  
**საწყალი აგერ გორავსა.**

#### სომხური:

**მზეო, მზეო! ნუ იმაღები შენ!..**  
**მოვიდა ღრუბელი და დაჲფარა ყოველივე...**  
**გვნადია გიხილოთ შენ... ოჲ, მოვიტყუოთ მზე!**  
**გამოვიყვანოთ იგი ღრუბლიდან.**

ჰქვანან და იმავდროულად არც ჰქვანან ეს ლექსები ერთმანეთს ისევე, როგორც განსხვავებულია მათი შემქნელი ეთნოსებისთვის სამყაროს აღმის ესთეტიკა. ქართულ ვედრებაში თხოვნა საზოგადო სატკივარიდანაა ამოზრდილი (სიცივეს კაცი მოუკლავს), მას საფუძვლად საერთო წუხილი უდევს (საწყალი აგერ გორავსა). სომხურ ვედრებაში თხოვნის გარდა სხვა რამ ვხებებიც იკვეთება. მავედრებელს სურს მზე ღრუბლებიდან გამოიტყუოს და ღვთაება-მნათობის ხილვას იგი ზაკვით ცდილობს. შესაძლოა სომხური ლექსი ქართულითაც საზრდოობდეს, ოლონდაც თავის ქურაშია გატარებული. იქნებ იგი მაშინ იქმნებოდა, როცა არმენები ქართველი ტომების საცხოვრისებში დაფუძნდნენ და მომზდურმა მკვიდრის ასტრალური სამყარო გაითავისა?

ახლა კი საკუთრივ ქართველ ტომებში მნათობთა კულტის შესახებ არსებული ცნობები მიმოიხილოთ. ნ. მარის თქმით ქართველი ეთნოსის წარმართობისდროინდელი მნათობთა თაყვანება აირევლება ქართულ მატიანეებში, როცა საუბარია შეიძინ კერპის შესახებ, რომელთა სახელქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ძველ-ქართველთა კულტი

შვიდი მნათობისა და მათი თაყვანება (H. Mapp, გვ. 4). ქართველი ეთნოსი რომ მართლაც 7 მნათობის კულტს აღიარებდა, ეს კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრებიდან“, სა-დაც წერია: „იქნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა“.

ქართველთა ასტრალური თაყვანების თაობაზე მკვლევართა მიერ გამოთქმულია ორი განსხვავებული თვალსაზრისი. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ქართველთათვის უმთავრესი იყო მთვარის კულტი. მის თქმით, „მზე ქართველებს ისე არ სწავდათ, როგორც მთვარე... და მთვარ ღვთაებად მზე კი არ ითვლებოდა, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, არამედ მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 97, გვ. 100).

მკვლევარი ამ თეზის გასამყარებლად შემდეგ არგუმენტებს ასახელებს: 1. მცირე აზიის იმ ქვეყნებში, სადაც ერთ დროს ქართველი ტომები ბინადრობდნენ (პონტო, ფრიგია, კარია და ა.შ.) მთვარე უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა. 2. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული წმინდა გიორგი — წმ. გიორგი) თავისი შინაარსითა და რიტუალის წესებით მთვარის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული, ეს კი მთვარის კულტის უპირატესობაზე უნდა მიანიშნებდეს-ო.

მაგრამ არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის თანახმად ქართველ ტომთათვის უმთავრესი მნათობი იყო არა მთვარე, არამედ მზე. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ვ. ნოზაძე, ვინაც ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა „ვეფებისტყაოსნის“ მნათობთმეტყველებას. ვ. ნოზაძე იმონმებს გერმანელი მეცნიერის ვ. ნესტლეს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ წმ. გიორგი არ არის მთვარის კულტის წარმომადგენლი და იგი სწორედ მზის კულტის გამომსახველია და შემდეგ ვრცლად საუბრობს ქართველთა მზის კულტის შესახებ (ვ. ნოზაძე, გვ. 204-217). საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი რევაზ სირაძე ასევე აღნიშნავს, რომ „ქართველთა ღმერთი იყო მზე... ვერავინ დაივინება მზე... ის კი არადა, შემდეგაც, როცა მისი ღმერთობა აღარ სწავდათ, სილამაზისა და მშვენიერების წყაროდ მაინც მზე მიაჩნდათ“ (რ. სირაძე, გვ. 21-22).

ქართველთა ასტრალური თაყვანისცემის ამსახველი მასალიდან, თავდაპირველად ანტიკური ხანის ბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები განვიხილოთ. ირკვევა, რომ მზის და მთვარის კულტის არსებობა ქართველი ტომებისთვის ჩვეული მოვლენა ყოფილია. არგონავტების თქმულებაში, რომლის სიუჟეტი ძვ. XIV ს-ის ეა-ეგრისში ვითარდება, პირდაპირა ნათევამი, რომ კოლხებს „ადგილობრივი ღმერთები“ ჰყოლიათ (ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 124). რომელი იყო მათ შორის მნათობთა ღვთაება? თქმულებაში ვკითხულობთ, რომ აიეტის ასული მედეა ემსახურებოდა ჰეკატეს — მთვარის ქალმერთს, იგი ჰეკატეს ქულუმი იყო, ე.ი. ქართველებს ჰექონდათ მთვარის კულტი და ამ ღვთაების მსახურ-ქულუმებიც ჰყოლიათ. ამას გარდა ვგებულობთ, რომ კოლხები თაყვანის სცენების საზღვანო მნათობთა ღვთაება აირევლება ეთნოსის წარმართობისდროინდელი მნათობთა თაყვანება აირევლება ქართულ მატიანეებში, როცა საუბარია შეიძინ კერპის დაფუძნდნენ და მომზდურმა მკვიდრის ასტრალური სამყარო გაითავისა?

უპირატესობას უნდა მიანიშნებდეს. ამასთან, აიეტისა და მისი სასახლის აღნერისათვის მოხმობილი ეპითეტებიც მზის კულტის არსებობის ირიბ დასტურად უნდა მივიჩნიოთ: „და შესცეკეროდნენ გაოცებულნი (ელინები) კოლხთა მპრძანებლის მზიურ სასახლეს“ (აპ. როდოსელი, გვ. 122) ანდა კიდევ: „ოქროს პეპლოსის ათინათებულ ელვარებით ჰელიოსის დარად ბრნყინავდა აიეტი“ — ვკითხულობთ ამ მითის უფრო გვიანდელ ვერსიაში (ორფიკული არგონავტიკა, გვ. 105). გარდა ამისა, არგონავტების კიდევ სხვა ვერსიიდან ირკვევა, რომ ეს-ეგრისიში „ზღვის სანაპიროზე მზის ტაძარი იდგა“ და თურმე მედეა, რომელსაც მამის მიერ მიჩნილ თვალყურისმდევნელთაგან თავის დაღწევა სურდა, მათ მზის ტაძარში დაემალა — ეს პასაუი დიოდორე სიცოლიელმა შემოგვინახა (K. გან, გვ. 89).

ე.ი. ძ.წ. XIV ს-ში აიეტის სამეფოში არა მხოლოდ მთვარის საკურთხეველი არსებობდა, არამედ პონტოს სანაპიროზე მზის ტაძარიც იდგა, ზღვის აკატორიიდან და ხმელეთის სივრციდანაც ერთნაირად საჩინო რომ იყო. ასე რომ, აპ. როდოსელის მიხედვით ეს-ეგრისიში მზისა და მთვარის ღვთაებები გამორჩეულად იკვეთებიან. მზის კულტთან დაკავშირებით ერთობ ყურადსალება II ს.-ის ავტორის ლ. ამპელიუსის ცნობა. თავისი ენციკლოპედიური ხასიათის წიგნაკის IX თავში ამპელიუსი ღმერთების, ქალღმერთების, ზეგვის რაოდენობას მოითვლის და შენიშვნავს: „...მზე იყო ხუთი; ...მებუთე — კოლხის ვაუი, რომლის შვილები არიან კირკე, მედეა და ფაეტონთი“ (Латышев, Т. II, 4, გვ. 261). ამ ცნობიდან ჩანს, რომ არსებული ხუთი მზიდან ბოლო, მებუთე მზე ყოფილა ძე კოლხისა, რომელიც თავის მხრივ მამა იყო კირკესი, მედეასი და ფაეტონთის. და-ძმა მედეა და ფაეტონთი, იგივე აფსილტე, აიეტის შვილები არიან სხვადასხვა ცოლებისგან. რაც შეეხება კირკეს, არგონავტების თქმულების საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიის თანახმად, იგი აიეტის და გახდავთ. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, სადაც ნათქვამია, რომ კირკე ასულია აიეტის და ჰეკატესი. თუ ამას გავიზიარებთ, მაშინ გასაგები ხდება მიპელიუსის ნათქვამი კირკესა და მედეა-ფაეტონთის და-ძმის შესახებ. თუმცა ამ ცნობაში სხვა რამა საყურადღებო. ცნობილია, რომ, მითის თანახმად, კოლხებმა სახელწოდება კოლხისგან მიიღეს, რომელიც ღვთაება ფასიანეს შეიღია. ამას გვაუწყებენ თეოკრიტე (ძვ. III ს.), არიანე (II ს.), ფილოსტრატე უმცროსი (III ს.) და ევსტათე თესალონიკელი (XII ს.). მაგრამ ამპელიუსის ნათქვამი სიახლე ისაა, რომ კოლხის ვაუი დასახელებულია, როგორც მზე, ერთ-ერთი მზეთაგანი, რაც სხვა ავტორებთან არ გვხვდება. თუკი ანტიკური წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობების საფუძველზე ერთიან გენეალოგიურ ხაზს ავაგებთ, მაშინ ამგვარი სურათი ნარმოჩნდება:

ფასიანე → კოლხი → მზე → კირკე, მედეა, ფაეტონთი.

აქედან ჩანს, რომ გენეტური კავშირი არსებობს ცნობილ ფასიანეს, კოლხთა ეთნარქ კოლხსა და მზეთაგან რიგით მებუთე მზეს შორის. აქ მზის ღმერთი კოლხის ვაუია, მაგრამ სხვა ვარიანტით უპირველესი მზის ჰელიოსის ძეა აიეტი. ანუ ერთი ვერსიით აიეტი მზე-ჰელიოსის შვილია და აფსილტეს, მედეასა და ქალკიოპეს მამა, მეორე ვერსიით იგი თავად არის ხუთიდან ერთ-ერთი მზეთაგანი, რომელიც ასევე კირკეს, მედეას და ფაეტონთის მამაა. ამ გენეტურ კავშირზე ერთი ფაეტიც მიუთითებს. ფაეტონთი

იგივე აფსილტეა. ეს სახელი თავისი ძირით (ფს) უკავშირდება წყლის ღმერთის ფასიანეს სახელს. ორივე ამ სიტყვის ფუძე „ფს“- „ფას“ არქაული ხანის ქართულ ენაში არსებობდა და და ეს სიტყვა წყლის ცნებას გადმოცემდა. ე.ი. გამოდის, რომ აიეტი და მისი ოჯახი ქართულ ღვთაებებთან — მზისა და ცნლის ღმერთებთან არიან წილადაც რასაც მათი საკუთარი სახელები მეტყველებენ.

ამრიგად, ანტიკური ხანის მნერლობაში ნახსენები ქართველთა „ადგილობრივი ღმერთების“ პანთეონი სხვადასხვა ღმერთებს მოიაზრებდა და სხვათა გვერდით მზისა და მთვარის მნათობთა კულტი გამორჩეული ჩანა: ეს-ეგრისში მათი საკულტო ნაგებობები არსებობდა. ამასთან, თქმულებაში აიეტის მზიური წარმომავლობა ხაზგასმული. უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, მეფის სახელს უდველესი ღროიდან მზის ცნებას უკავშირდება. მეტიც, ხეთის სამეფოს მპრძანებლები „მზის ქვეყნიერ განსახიერებას“ წარმოადგენდნენ და მინაზე საკუთარი ხალხისა და უცხო ეთნოსთა მიერ მზის დარ პერსონებად უნდა აღქმულიყვნენ და აღიქმებოდნენ კიდევაც (ალ. წერეთელი, გვ. 96).

მეფეთა დინასტიების ეს ფერომენი მოგვიანებით მცირეაზელთაგან (ხეთები, ქალდეველნი) დასავლეთში, კერძოდ რომსა და ბიზანტიის შეითვისეს და მყარად დაამკვიდრეს. ის კი არადა, ავგუსტუსმა მზეს რომში, პალატინზე ტაძარიც აუგო.

საფირებელია, აიეტის მზისგან წარმომავლობა სწორედაც ძ. მცირეაზიული ტრადიციიდან მომდინარეობს და ქართველების ხეთებთან და ურარტელ-ქალდეველებთან საურთო ძირების მარცენებელია. აქვე გვახსენდება მიხაკო წერეთლის მიერ ქართულ ღმერთებად მიჩნეული არმაზისა და ზადენის გამო გამოთქმული თვალსაზრისი: „საქართველოში, როგორც ქართული წყაროებიდანა სჩანს, ერანის სარწმუნოებასა და კულტს ვერ აღმოუფხვრია ძველი „ქართული“ ანუ, უკეთ ვსთვეათ, „ხეთური“ წარმართობა“-ო. ე.ი. ხეთური ღვთაებები, მისი აზრით, იგივე ყოფილა, რაც ქართველ ტომთა წარმართული ღმერთები და ეს იგივეობა, ვფიქრობთ, აიეტის ღროიდელი მზის კულტითაც წარმოჩნდება.

თუმცა მიუუბრუნდეთ ძეველბერძნულ წყაროებს. არგონავტების თქმულებაში მზის კულტის თაობაზე სხვა, ირიბი ცნობებიც მოიპოვება. როდესაც იაზონი კოლხთა მეფეს გაანდობს მოსვლის მიზანს, აიეტი საწმისის დათმობისათვის ერთადერთ წინაპირობას დაუთქვამს — იაზონმა „მძიმე საგმირო საქმე“ უნდა შეასრულოს, რისთვისაც მან უპირველესად არესის ველზე მინა უნდა მოხანას. ნუ მიკაქცევთ ყურადღებას ზღაპრულ წალსვლებს იმის თაობაზე, რომ აიეტი ხელში „დემეტრეს თესლის“ წაცვლად საზარელი ურჩეულის კბილებს თესლავდა და ა.შ. აქ მთავარია, კოლხთა მეფის მიერ წარმოყენებული ერთადერთი პირობა — ხოდაბუნების ხვნა, რაც მინათმოქმედებაა.\*

\* შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ელინურ მითებში ჰერაკლეს „საგმირო საქმეთა“ ჩამონათვალი: აქაა ლომის მოკველა, ჰიორას მოშონობა, ტახის დაჭრა, ფურ-ირმის შეპყრობა, ხარის მოთვინიერება, ბედაურების გახევდვნა, ოქროს ვაშლების მოპოვება, იპოლიტეს სარტყელის ხელში ჩაგდება, ავგიას თავლის გამენდა და მისთ. ამ უამრავ ჩამონათვალში ვერ ნახავთ მინის დამუშავებასთან დაკავშირდებულ ვერცერთ დავალებას, რითიც, ალბათ, ელინთა და ქართველთა განსხვავებული მსოფლგანცდა ჩანს.

ამრიგად, მეფე აიეტის წინაპირობის შესრულება იმთავითვე მიწათმოქმედებას უკავშირდება. ოქროს ვერძის მოსახელთებლად გრძელი გზაა გასავლელი და იგი მიწის დამუშავებით იწყება. აქ ერთმანეთთანაა შერწყმული მითოლოგიურ-საკურალური წარმოსახვანი. ჰელიოს-მზის შვილისა და თავადვე მეტუთე მზედ წოდებული აიეტის საუფლოში ოქროსძევიანი ვერძი ძევს, რომელიც სიმბოლურად მზესთანაა დაკავშირებული, იგი მზის ბრწყინვალების მაჩვენებელია. აიეტი ვერძს ერთადერთი პირობით თმობს და მის შესასრულებლად, უპირველესად, ხვნის რიტუალი უნდა აღსრულდეს. ხვნის რიტუალი კი მიწის ღვთაება გაას კულტს ეძღვონება. აქ უკვე მზისა და მიწის კულტები ერთიანდებან. ამასთანვე, აიეტის ეს დათქმა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კოლხთა ფიცის გამოძილი. ანუ მეფე აიეტი ტრადიციული ფიცის დადებით მომზღვება თავის პირბას უსაზღვრავს. ჩვენ ვიცით, როგორი იყო კოლხთა ფიცი. ანტიკური ხანის წყაროები მის შინაარსს გვაუწყებენ: კოლხები ცას და მიწას იფიცებდნენ (Πλάτიშე, თ. I, 4, გვ. 432). ამას გარდა, ისიც ვიცით, რომ ხეთებისთვის ცა მზის ღვთაების სახელწოდების ეპითეტს წარმოადგენდა და ხეთურ დამწერლობაში მზის ღვთაების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ცის იეროგლიფი იყო (ნ. ხაზარაძე, გვ. 90). თუკი გავითვალისწინებთ, რომ არაინდოგერმანელი ხეთებისა და ქართველი ტომების წარმართული ღვთაებანი საერთო ძირებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კოლხთა ფიცის პირველი კომპონენტი — „ცა“ მზის კულტის მანიშნებელი იყო. ე.ი. ამ ფიცით წრე შეიკრა და მზისა და მიწის კულტები გაერთიანდნენ, რაც ემთხვევა აიეტის წინაპირობის შინაარსს.

ყოველივე ზემოთქმულს თუკი შევაჯამებთ, დავწანავთ, რომ ანტიკური წყაროების თანახმად ქართველ ტომთა წარმართულ ღვთაებებს შორის მნათობებს სათანადო ადგილი ეკავათ. მზისა და მთვარის ღმერთები ქართველთათვის სათაყვანონი იყვნენ. ქართველი ტომები მათ კულტს აღიარებდნენ, ორივე ღვთაების სახელზე აგებული ჰქონდათ ტაძარი თუ საკურთხეველი. თუმცა ამ წყაროები არაორაზროვნად იკითხება ქართველთა ტომებში მზის კულტის პრიმატი. კერძოდ, მეფის მზებრი წარმომავლობა, საერთ ფიცის შინაარსი, მიწათმოქმედების ხაზგასმული მნიშვნელობა, რაც მზის კულტს უკავშირდება, ოქროს ვერძის სიმბოლურ-საკურალური დატვირთვა და ა.შ. გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ტომებში მზის კულტი გამორჩეული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ერთია უცხოენოვან წყაროებში წარმოჩენილი ქართული სინამდვილე და სხვა საკუთრივ ქართულ კულტურაზე ასახული კვალი ამ წარმართული სამყაროსი. უპირველესად უნდა ითქვას, რომ მნათობთა შორის მზის გამორჩეულობაზე მეტყველებს ეთნოგრაფიული მასალა. კერძოდ, დედაბოძზე, „ცხოვრების ხის“ ამ განსახოვნებაზე მოთავსებულია მზის ქართული სიმბოლო — ბორჯლალი. თავისი ცენტრიდან გამომავალი სხივებით იგი ნიშანი იყო იმისა, რომ მაღალი მზე დედაბოძიდან მუდამ დაპყურებდა სახლს და ოჯახში მზეგრძელობა იქნებოდა (რ. სირაძე, გვ. 23). „ცხოვრების ხეზე“ თავისი საპატიო ადგილი მხოლოდ მზეს ჰქონდა მიჩნილი, რაც მზის ძლიერი კულტის არსებობის დასტურია.

ქართველთა ასტრალური წარმოდგენების თაობაზე ცონბებს არქეოლოგიური მასალაც შეიცავს. კერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII ს.ს.-ის დროინდელ (ე.ი. აიეტის მეფობის ხანის) საქართველოს კერამიკაში გავრცელებული იყო ტალ-ლური ორნამენტი წრიულ ხაზებთან ერთად (ქ. ბერძენიშვილი, გვ. 97). სწორედ ეს წრიულ-ტალ-ლური და სპირალური დეტალი გახლდათ ბარბარეს (ბარბოლ, ბარბლაში) ღვთაების ერთ-ერთი ატრიბუტი, რომელიც ქართველი ტომების წარმართული ღვთაება იყო და მზის კულტს განასახიერებდა. სვანებთში გავრცელებულია ამავე დასახელების ხალხური ღვეუსი „ბარბოლ“, რომელიც ვ. ნოზაძის აზრით მზის კულტის რიგიდან უნდა იყოს:

**ხარებს არჩევს მოედანი  
გადათხრილი ჰქონდათ დანაკლავი ხარებისა,  
შენირულ მის ხარებს...**

ამ სვანური საგალობელის გარდა არაერთი ხალხური ლექსი არსებობს მნათობებისადმი მიძღვნილი და მათგან მხოლოდ ერთი ლექსი გვსურს მოვიხმოთ, რომელიც შინაარსით სხვათაგან გამორჩეულია:

**მზე ელოდება, მზე ელოდება  
დაისარეცლებს მალე,  
მთვარის დედობა დაეპედება  
ლოცავს არმაზის მხარე.**

ამ საოცარ ლექსში მნათობთა ღვთაებების თაყვანიცაა და სადიდებელიც. თანაც პირდაპირაა გაცახადებული მზის, ამ სიცოცხლის საწყისის უწინარესობა. იგია მთვარის დამბადებელი და მისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი (გავიხსენოთ, რომ ძველი ასტრონომოსების თანახმად მთვარე მზისგან ნასესხები ნათელით ანუ „ბუში ნათელით“ ბრწყინავს). ე.ი. მზე რომ არ იყოს, მთვარე ვერ დაიბადება, უმზეოდ მთვარე ვერ განათდება. მთვარის ღვთაება აქ სივრცული არალითაცაა შემოფარგლული და მას „უამიერი“ რეალიც საზღვრავს. არმაზის მხარეა მთვარის კულტის მთავარ მიმდევრად წარმოჩენილი. არმაზია ის სივრცული (ქართლის) და დრო-უამის (არაუწინარეს ძვ.წ. IV-III ს.ს.-სა) შუაგული, როდესაც და სადაც მთვარე მეტოქეს ტოლს არ უდებს. „ფრიადი ქვეყნიდან“ მხოლოდ არმაზი ღვთაების მზეს მთვარის დაბადებისა გამო. შესაძლოა ვცდებოდეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ ღვეუსით მთვარის კულტისადმი არმაზის თაყვანება უფროა აღვლენლი, ვიდრე თავად მზის საგალობელია გაუდერებული, რომლის უწინარესობას ღვეუსის შემზენელი ეჭვეჭვეშ არ აყენებს.

რა თქმა უნდა, ხალხური პოეზიით არ ამოინურება მნათობთა კულტის გავლენა ქართულ აზროვნებაზე. ამის თვალსაჩინო ნიმუში გახლავთ საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელებიც. ქართულ ენაში აღნუსხულია ქალთა ორ ათეულზე მეტი საკუთარი სახელი, რომელთა ძირი სიტყვა „მზე“ გახლავთ (ამ ორ ათეულ სახელს ერთი მამაკაცისაც უნდა მივუმატოთ — მზეჭაბუკი), მთვარის კულტთან დაკავშირებული კი სულ ორიოდე სახელი გვაქვს (მთვარისა, პირიმთვარისა). რაც შეეხება ტოპონიმიკას, აქ ალბათ არა რაოდენობრივი ფაქტორია მთავარი, არამედ ის სემანტიკა, რომელიც ამ ერთადერთი სოფლის სახელში ძევს და

რომლის მსგავსი არა გვგონია სხვაგან, გნებავთ „შინ“ და გნებავთ „გარეთ“, შეგვხვდეს. ესაა სოფელი მზეთამზე ბორჯომის რაიონში, წალენჯიხასთან ახლოს.

გარდა ამისა, ქართული ენისთვის დამახასიათებელია ისეთი გამოთქმები, რომლებიც მზის კულტის დროს ან მისი გავლენით უნდა შექმნილიყო. ესენია:

1) მზით გაიხარე, მზის ყურებით გაგაძლოს ღმერთმა (ლოცვა)

2) მზე დაგიბნელდეს, მზის კულტის დამარგასაშვებო (წყევლა)

3) სამეტყველო გამოთქმები: მზიანი პირი, მზეგრძელობა, მზისიერი, მზის თვალი, ცხრათვალა მზე, და, რაც მთავარია, ქართველი გლეხაცის ნათქეამი „თვალი ჩასულა მტევანში“, რომელიც, ვ. ნოზაძის თქმით, „ნამდვილი პოემაა“ (ვ. ნოზაძე, გვ. 213, 216).

აქვე უნდა გავიხსენოთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა ხატობაც. ივ. ჯავახიშვილი სათანადო არგუმენტების მოხმობით ასკვნის, რომ შე. გიორგის ხატობა, რომელიც საქართველოს მრავალ კუთხეში გარკვეული სახეცვლილებით აღინიშნება, მთვარის დვთაებისადმი მიძღვნილი საზეიმო რიტუალსა ჩანაცვლებული. თუმცა ამასთან დაკავშირებით ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთაში არსებული ზოგიერთი ხატობა მზის კულტის ამსახველია. ასე მაგ., ფშავებურნი ხმალთა მოურავს კვირიას ეძახიან, კვირა არის ბჟაჩხა, ბჟაშხა, მიშლადელი — ანუ მზის დღე, კვირია მზის დვთაებაა.

თუშ-ფშავ-ხევსურნი ლოცვისას შემდეგს წარმოთქვა-მენ: „დიდება ღმერთსა, მზეს, მზის ყველა ანგელოზსა!“

ხევის დეკანოზები ასე ლოცვულობენ: დიდება მზესა, იმის მყოლ ანგელოზსა!

ხევსური და ფშავი ხუცები საკუთარ ლოცვას ასე იწყებენ: „დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზის მყოლთ ანგელოზთა“ (ვ. ნოზაძე, გვ. 208).

ამრიგად, თუკი ზემოთ განხილულ მონაცემებს გავაანალიზებთ, მაშინ დაგინახავთ, რომ ქართველი ტომები მას შემდეგ, რაც მათ წარმართულ წარმოდგენაში ვარსკვლავთაყვანება თავის ადგილს იკავებს, შვიდი მნათობის დვთაებებს და მათ კულტს აღიარებდნენ. ამათგან მზისა და მთვარის კულტი გამორჩეული იყო. ქართველთათვის უხუცესი ანუ უნინარესი დვთაება მზის მნათობია, რომელიც სხივთმფენელი გახლობა სხვა დანარჩენ ცის გვამთავისაც და, რაც მთავარია, მისი დვთაებრივი ნათელი მიწიერ არსებობს, კაცთა მოდგმაზეც გადმოდიოდა. იყი იყო მდედრი საწყისი, მომნიჭებელი სიცოცხლისა, რაც ქალღმერთ გაისა საუფლოში — მინაზე ისახებოდა და ღვივდებოდა. არც ერთ ვარსკვლავურ დვთაებას ქართულ სულიერ თუ ყოფით კულტურაში კვალი ისე ძლიერ არ დაუმჩნევია, როგორც მთელი თავისი „წარმართული სილამა-ზით“ გამორჩეულმა მზემ დატოვა.

დაბოლოს, პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. „უმძლეთა მძლეთა მძლე“ — ამ რუსთველისეული ფრაზით მზის ასტრალურ-საკარალური გააზრებაა წინ წამონეული. თუმცა შემდგომ მითოსური მზე ქრისტენული გაგებით „ხატისებურ განსახოვნებაში“ გადადის და ქართული მწერლობის-თვის იგი „ვითარცა შედარება და განსამარტებელი ცნება ხდება, ხოლო თეოლოგიურ ფილოსოფიაში — როგორც

სიმბოლო“. ქრისტეანობაში მზემ არაერთი სახიერი დატვირთვა შეიძინა და მათ შორის ერთ-ერთი დვთისმშობლის სადიდებელიც იყო. ქართველი მარადქალწულ მარიამს გაბრწყინებულ მზედ მოიაზრებდა და მის სადიდებლად მზის მითოსურ სიმბოლოს მიმართავდა. ამდენად დვთისმშობლის ეს მეტაფორული სახე თავის თავში წარმართობისდროინდელი მნათობის კულტსაც გულისხმობდა, რომლის საწყისც, როგორც ვთქვით, მცირე აზიაში, ხათების დვთაებათა პანთეონშია საგულვებელი. ა, რას წერდა მისაკო წერეთელი ამის თაობაზე: „ჩვენებური კულტი „დვთის-მშობლისა“, ვარდობასთან შეერთებული, აგრეთვე უძველესი ნაშთია ხეთის დიდი ქალ-ღმერთის, „ცის-დედოფლის“, „ღმერთთა-დედის“, ბუნებისა და მცენარეულობის ამ უძველესი დვთაების კულტისა, რომელიც ევროპაშიც ყოფილა გავრცელებული და დღესაც არის დარჩენილი, როგორც კულტი მადლნისა და სხვ.“ (მ. წერეთელი, გვ. 78). მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია, აქედან სხვა თემა იმლება, რაც ჩვენი მსჯელობის საგანს სცილდება. მხოლოდ ერთს დავძეოთ:

მზის ქრისტეანული გაგება სულის ამაღლებას მოასწავებს, მზე სულიერი განწმენდის და ამაღლებულობის სიმბოლოა. მაგრამ ცარიელი ადგილიდან ვერ ამაღლდები. სულის სიცარიელე სულიერი ამაღლების საწყისად ვერ ივარგებს. წარმართული მზის მნათობი მითოსური „სულიერი მზე“ რომ არ ყოფილიყო, ქრისტეანობის ხანაში იგი ვერ გახდებოდა სიმბოლო დვთისური ძალის ყოვლისმომცველობისა. იქნებ, უმძლეთა მძლეთა მძლის შენევინით შეიქნა შესაძლებელი სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვა?!

#### დამონვებული ლიტერატურა:

1. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბილისი, 1975.

2. ქ. ბერძენიშვილი, წებელის გვიანანტიკური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს და კავკასიის არქოლოგიისათვის, ტ. II, თბილისი, 1959.

3. ვ. ნოზაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, „ვეზნისტყაოსნის“ მზისებულებები, ტ. III, თბილისი, 2006.

4. ორფიკული არგონავტიკა, თარგმანი და გამოკვლევა წალელადგვილის, თბილისი, 1977.

5. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბილისი, 1982.

6. ს. ყაუხებიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძენის საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964.

7. ალ. წერეთელი, ხეთელები და მათი სამყარო, ტფილისი, 1931.

8. მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინებოლი, 1924.

9. ნ. ხაზარაძე, ძველანატოლიურ-კავკასიური კოსმოლოგიის ისტორიის ერთი ასპექტისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და კავკასია“ მასალები, თბილისი, 2011.

10. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1979.

11. К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, часть I, Тифлис, 1884.

12. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, С-Пб, 1893.

13. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. II, С-Пб, 1893.

14. Н. Марр, Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, ЗВОИРАОБ., т. X IV, вып. II-III, С-Пб, 1902.

დაინტერესებული მკითხველი მალე მიიღებს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულს „გალაკტიონოლოგია VI“. გთავაზობთ ერთ მონაცემთს ნინო დარბაისელის ვრცელი კრიტიკული წერილიდან, რომელიც ამ კრებულშია შესული.

## ნინო დარბაისელი

# QUI PRO QUO

2004 წელს გამოვიდა ზაზა შათირიშვილის მონოგრაფია „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“. ამ დააბლობით ორსავერდიანი გამოცემის გარეეანის ბოლო გვერდზე ვკითხულობთ:

„ზაზა შათირიშვილის წიგნი, გამორჩეული – კონცეპტუალური სიახლით, დახუნძლული – მოულოდნელი (ანდა მოსალოდნელი) მიგნებებით, შთამბეჭდავი – კონტექსტური თვალსანიერით, ზუსტი – მეთოდოლოგური გააზრებით, სანდო – დასკვნებითა და განზიოგადებებით, ასახავს არა მარტო თანამედროვე ლიტერატურულ კვლევათა გაფართოებულ შესაძლებლობებს, არამედ წარმოადგენს ტექსტის ანალიზის ნიმუშს, შესრულებულს აზრობრივი დამუხტულობითა და სრულყოფილი ფორმით, და ეს წიგნი – არა ოდენ თანადროულ მკვლევართათვის, და არა ოდენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შემსნავლელთათვის – კიდევ დიდხანს გამოდგება ნიმუშად“ (მერაბ ლალანიძე).

როცა წიგნს ამგვარი ზეალმტაცი წარდგნება ახლავს, მიმნდობი მკითხველი კი, მონადინების მიუხედავად, ბევრს ვერაფერს გაუგებს, კითხვას მიატოვებს, ვერგაგებას თავს დააბრალებს და კიდევ უფრო ირწმუნებს ცნობადი რეკომენდატორის ქება-დიდებას.

მანიც რას ნარმოადგნებს ეს წიგნი? გადათვალიერებით გამოწვეული პირველი შთამბეჭდილება ასეთია: მონოგრაფიას, გარდა შენიშვნებისა და ბიბლიოგრაფიისა, ერთვის საკუთარ სახელთა, გალაკტიონის პოეზიის რჩეული ინვარიანტული ხატებსა და მოტივების, აგრეთვე – ცნებათა საძიებლები. ეს ყოველივე, როგორც მოგვიაზებით, წიგნის კითხვისას გამოჩენდება, ნაელულოვანი კი არის, მაგრამ დასაწყისისთვის ნაშრომს მაინც სოლიდურ იქრს ანიჭებს. წინათქმაც, ერთი შეხედვით, შთამბეჭდავია: რა და რა მეთოდი და მიდგომა არ არის მასში მოხსენიებული! ახლა ავტორებს არ იკითხავთ?! მაგრამ პირველი ეჭვიც სწორედ აქედან იბადება: როცა ერთ მცირე მონოგრაფიაში წამოქრილია ამდენა სხვადასხვა დონისა და სპეციფიკის საკითხი, მოხმობილია ამდენი განსხვავებული მეთოდი, ხომ არ არის ეს ნიშანი იმისა, რომ მკვლევარმა ან პრობლემა/პრობლემები ვერ დააყენა მართებულად, ან მეთოდი ვერ მიუსადაგა – ერთი სიტყვით, ვერ შეძლო, სწორად განესაზღვრა კვლევის სტრატეგია...

ამ ეჭვს საფუძვლიანად აძლიერებს წინათქმაშივე დაფიქსირებული ფაქტი:

„რიფატერის თანახმად, ჰიპოგრამა შემდეგნაირად განიმარტება:“ – წერს ზ. შათირიშვილი და ამ სიტყვებს მოზრდილი ინგლისურენოვანი ტექსტი – ყოველგვარი თარგმანის ან ახსნის გარეშე. მკვლევარი ციტირებულ ტექსტში ერთგან ქართულად ერთვება, მხოლოდ იმის სათქმელად, რომ „(კურსივი ავტორისაა – ზ.შ.)“, თითქოს ამ ნიუანსის

გარდა, სხვა ყველაფერი უკვე ცხადი შეიქნა. ქართველი მკითხველი, რომელსაც სულაც არ მოეთხოვება ინგლისური ენის იმ დონეზე ცოდნა, რომ უთარგმნელად გაიგოს, რისი თარგმნაც თავად წიგნის ავტორს გასჭირვებია, ალბათ, წიგნის ბოლოში დართულ შენიშვნებს მიაშურებს, იმედით, იქნებ ტექნიკური ხარვეზი გაიპარა — ციტატას განმმარტავი შენიშვნის ნომერი არ ეთითებათ. იქ კი — არაფერია!

სამაგიეროდ, შენიშვნებში იგივე ქართველი მკითხველი ასეთ რამეს წააწყდება: „*mise en abyme* ესაა“ — და აქაც კვლავ „განმმარტავი“ მოზრდილი ინგლისურენოვანი ტექსტი, ციტირებული პრინციპის „ნარატოლოგიის ლექსიკონიდან“, თუმცა ეს შემთხვევა მაინც განსხვავებულია. თუ მკითხველი გამოკვლევაში ამ შენიშვნის შესაბამის ტექსტს მოიძიებს, თავში „რუსთაველის რეცეციია ქართულ კულტურაში“ ასეთ რამეს წაიკითხავს: „პოემა მშვიდობის წიგნი მოგვითხრობს, „მშვიდობის წიგნის“ დაკარგვისა და დაბრუნების შესახებ: *mise en abyme*-ს მეშვეობით აქ ზღვრული სახითაა გამოხატული მეტანარატიულობა და მეტატექსტუალობა“.

ნაიკითხავს და დარწმუნდება, რომ ამჯერად ეს ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა ავტორის მიერ მოხმობილი „რიტორიკული“ ხრიკი — ტექსტის სამშვენისად უადგილოდ გამოყენებული უცნობი *mise en abyme*-ს კიდევ უფრო უცნობით „ახსნა“.

მაინც რას ნიშავს ამგვარი ბურუსით შემოსილი ტერმინი — *mise en abyme*?

ფრანგული წარმოშობის ეს ცნება, რომელიც სათავეებით ჰერალდიკას უკავშირდება და ძირითადი გაგებით გერბში ჩახატულ პატარა გერბს აღნიშნავდა, სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების სხვადასხვა დარგში გავრცელებული ხერხი – ე.წ. „მატროშკას პრინციპი“: ამბავი — ამბავში, სიზმარი — სიზმარში, ფილმი — ფილმში და ა.შ. ამ ხერხს უძველესი დროიდან იცნობს მსოფლიო და ჩვენი მშობლიური ლიტერატურაც, — მაგალითად, სულ-სან-საბას „წიგნი სიპრძნე სიცრუისა“, — მაგრამ საკუთრივ გალაკტიონის მშვიდობის წიგნი“ მის ნიმუშად ვერაფრით გამოდგება. ამ პოემის „ვეფხისტყაოსანთან“ კავშირი ლიად ინტერტექსტუალურია, თავად კონცეპტი — „მშვიდობის წიგნი“ კი „ვეფხისტყაოსნისგან“ დაშორებული, უცხოური ლიტერატურულ კულტურული სივრციდან მომდინარეობს. ეს გარემოება ნაწარმოებს, რომლის გმირთა მეტყველება, ლექსიკა და ფრაზეოლოგია პოეტის მშობლიური — იმერული დიალექტით არის შეფეროლი, არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ გაცილებით ფართო — გლობალურ ინტერტექსტუალურ კავშირებში რთავს.

ნვალობს ჩვენი წარმოსახული გულმოდგინე მკითხველი, ვიდრე წიგნს საფუძვლიანად ჩაუკადებოდეს, ამასობაში კი, თურმე, ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში — მეტადრე, აკადემიურ წრეებში რა ხდება:

„დროთა განმავლობაში ზაზა შათირიშვილის წიგნის — „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკის“ — მნიშვნელობა, ალბათ, ემოციური დამოკიდებულებიდან უფრო

მეტად რაციონალურში გადაიზარდა, — ანუ იმ საკითხების გააზრებასა და შეფასებაში, რაც ამ ნაშრომშია განხილული. და ეს იმის გათვალისწინებით, თუ გავიხსენებთ, რომ წიგნის გამოქვეყნებამდე, პერიოდულ გამოცემებში სტატიების სახით დაბეჭდილი ნაშრომის ფრაგმენტები აკადემიურ წრეებში ერთგვარ გაოგნებას თუ დაბნეულობას იწვევდა. შესაძლოა, წლების წინ იმავე აკადემიური წრეებისთვის უჩვეულო იყო თანამედროვე ლიტერატურისმცოდნებითი ლექსიით თავისუფალი ოპერირება, ან იქნებ უცნაური ეჩვენებოდათ გლობალური პერსპექტივიდან დანახული საკითხები და მათი მასშტაბური ანალიზი. ამ თვალსაზრისით, იქნებ ზაზა შათორიშვილის „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“ ამბობად თუ არა, ერთგვარ რევოლუციად მაინც მივიჩნოთ ქართულ ლიტერატურის-მცოდნებაში“ — წერს გაგა ლომიძე 2009 წელს მისადმი მიძღვნილ წერილში „ინტერტექსტუალური ანუ გლობალისტური კრიტიკა“.

იმ დროს, როცა ამ წიგნის ფრაგმენტები აკადემიურ წრეებში, თურმე, ჯერ კიდევ „ერთგვარ გაოგნებას თუ დაბნეულობას იწვევდა“, ლიტერატურული კონკურსის — „საბას“ უფრო სულაც არ დაიბნა: ელვის უსწრაფესად აუღო ალლო, — კიდეც წაიკითხა, კიდეც გაიგო! — და „წლის საუკეთესო კრიტიკული ნაშრომის“ პრემიაც მიანიჭა.

ვახოთ, რა ნაყოფი მოაქვს ამ „ერთგვარ რევოლუციას“ კონკრეტულად გალაკტიონოლოგისათვის — ქართული ლიტერატურათმცოდნებითი მეცნიერების დარგისთვის, რომლის ფუნდამენტურ პრობლემათა შესწავლა თანამედროვე დასავლური ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მონაპოვართა გათვალისწინებით, მართლაც, საჭიროა.

\*\*\*

საკვლევი საკითხების შესახებ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას ზ. შათორიშვილი რომ არ იცნობს ან არ სცნობს, ამის დანახვა თანადართული ბიბლიოგრაფიისა და პირთა საძიებლის გადათვალიერებითაც ადვილია. თავისთავად, ამში კარგი რა შეიძლება იყოს, მაგრამ ფაქტი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, მინდა, სწორედ ამ მიზეზით ავხსნა და პლაგიატად არ მოვიხსენიო.

წიგნი ავტორს პრობლემები — „გალაკტიონი და ბრიუსოვი“ და „გალაკტიონი და ბლოკი“ ცალკე ქვეთავებად გამოუყვაი და შესაბამისადაც დაუსათაურებია. ამ მიმართულებებით საკვლევი გალაკტიონოლოგიაში მცირე როდია, მაგრამ აქ 10-დან მთელი 7(!) გვერდი ქართული და რუსული პოეტური ტექსტების სრულ ციტირებას ეთმობა!



გოგი თოთიბაძე გალაკტიონის პორტრეტი

რამდენად მნიშვნელოვანი, ახალი და, ამავე დროს, მყითხველისათვის გამაოგნებელი უნდა იყოს აღმოჩენა, რომ მკვლევარმა ლამის მთელი სათქმელი მხოლოდ თვალსაჩინოდ წარმოდგენილ ფაქტს მიანდოს, თავად კი „პირველამომჩენის“ ღირსებით ესლა აუზყოს მკითხველს:

„დავიწყებთ ერთი კურიოზული ფაქტით: გალაკტიონის თორმეტტომეულის მე-7 ტომში „დაუმთავრებელი ლექსების“ რუბრიკით (ტაბიძე გ. 1966-75, ტ. 7, 151-152) დაბეჭდილია შემდეგი ტექსტი (ამას მოსდევს ერთგვერდიანი ქართული ტექსტი — ნ.დ.). ეს ტექსტი სხვა არაფე-

რია, თუ არა ალექსანდრ ბლოკის ქრესტომათიული ლექსის **Пушкинскому дому**-ს დაუმუშავებელი თარგმანი. თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს ბლოკის შედევრის სრული ტექსტი... ამას მოსდევს ერთგვერდიანი სრული რუსული ტექსტი.

სანამდვილეში, ზ. შათორიშვილის წიგნის გამოცემამდე ზუსტად ოცდაათი წლით ადრე, პოეტის თხზულებათა თორმეტომეულის მეშვიდე ტომის ლამის გამოცემისათანავე ეს ფაქტი ირაკლი კენჭოშვილმა უკვე აღმოჩინა და მალევა გამოცემულ საკუთარ გალაკტიონოლოგიურ წიგნშიც შეიტანა:

, 1934 წელს მას უთარგმნია ბლოკის ლექსი „პუშკინის სახლს“ (1921). გ. ტაბიძის თხზულებათა თორმეტომეულის მეშვიდე ტომში (1972, გვ. 15) ეს ლექსი შეცდომით არის წარმოდგენილი პოეტის ორიგინალურ, „დაუმთავრებელ“ ლექსთა შორის. გალაკტიონისეული თარგმანი საკმაოდ ახლოს არის დედანთან. სანიმუშოდ მოგვაქს დედნისა და თარგმანის პირველი და ბოლო სტროფები“.

ახლა ზ. შათორიშვილის მეორე „აღმოჩენაც“ ვახოთ — მის წიგნში იმგვარადვე რეპრეზენტირებული, როგორც უკვე განხილული შემთხვევა:

„ამავე კრებულშია მოთავსებული ლექსი ვილანელი, რომელიც როგორც თემატურ-მოტივურად, ისე სათაურითა და სტროფიკით აშენებს ინტერტექსტუალურ კავშირშია ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ლექსთან“.

აქ მართლაც არის ერთი დიდი სიახლე!

გასულ საუკუნეში ჩვენში ტერმინები ინტერტექსტი და ინტერტექსტუალური, გასაგები მიზეზების გამო, შემოსული არ იყო და ამგვარ შემთხვევებში მკვლევარები სხვანაირად, მაგალითად, ასე წერდნენ:

„ვფიქრობთ, ბრიუსოვის ვილანელა „Все это было со мгновенныи“ წარმოადგენს იმ წიმუშს, რომლის მიხედვითაც გ. ტაბიძემ შექმნა ლექსი „ვილანელა“ — ამ სალექსო ფორმის პირველი წიმუში ქართულ პოეზიში... ბრიუსოვის ვილანელას გალაკტიონისეული ჰგავს თემითა და რეფრენით — „ყოველივე ქარია და ჩვენება“, არსებითად კი დამოუკიდებელი და დახვეწილი ლექსია... ისევ კენჭოშვილი!

ცნობისათვის: ზ. შათირიშვილს არც ბიბლიოგრაფიაში, არც საუთარ სახელთა საძიებელში საერთოდ დასახელებული არა ჰყავს ირაკლი კენჭიშვილი — მკვლევარი, რომლის შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მონოგრაფიაში განხილული საკითხების გაშუქებას ეძღვნება და რომელიც, თითქმის ნახევარი საუკუნეა, იღვწის გალაკტიონის შემოქმედების დასავლური ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვით გაშუქებისა და დასავლურ ლიტერატურულ-ულტრულ კონტექსტში ჩართისათვის, ანუ მისი წინამორბედია. მაგრამ ზ. შათირიშვილს, როგორც წიგნში არაერთგან ჩანს, სწორედ იმ ქართველ ავტორთა მიმართ სჭირო ღრმა გულმავინყობა, ვისი ნაშრომებითაც ყველაზე მეტად სარგებლობს. მას „ავინიუდება“ ისიც, რომ ნებისმიერი პრობლემის შესწავლას მეცნიერებაში აქვს განვითარების დიდ თუ მცირე ისტორია, რომელსაც მკვლევარი უნდა იცნობდეს. თუ იყო დამკვიდრებულ აზრს არ იზიარებს, ვალდებულია, საკუთარი, ახალი თუ განსხვავებული იდეა, პოზიცია დამაჯერებლად დასაბუთოს. მაგალითად, იმისათვის, რომ გალაკტიონის შემოქმედება და პიროვნება ნაუცბათევად, ჰაიპარად გაცნობილ ჰაროლდ ბლუმის ფრონდისტულ „მამაშვილობის“ მოდელს მოარგოს, ზ. შათირიშვილს ჰაერივით სჭირდება, რომ გ. ტაბიძე შემოქმედების პირველ პერიოდში გამოიყვანოს აკაკის ეპიგონად, მაგრამ რა უყოს რეალობას, რომელიც ამ სურვილსა თუ ახირებას მეტისმეტად „უძალიანდება“?

პრობლემის შესწავლის დინამიკა ძალზე მოკლედ ასე-თია: ადრეულ სტადიაზე გალაკტიონის შემოქმედების პირველი პერიოდის შესახებ არსებობდა აზრი, რომ იგი „შეგირდობის ხანას“ წარმოადგენდა (რ. თვარაძე), რომ ეს იყო „სტილური სისტემით“ აღბეჭდილი „დიფუზიური პოეზია“ (თ. ჩხენეკლი), რომ ამ პერიოდში გალაკტიონი ძირითადად ბარათაშვილის წყობის „სევდის პოეტად“ გვევლინება (ა. ხინთიძე) და ა.შ., გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში კი თეომურაზ დოთაშვილის გამოკვლევაში „გალაკტიონის პოეტიკის სათავებთან“ საკითხი ამგვარად იქნა დაყრენებული:

„გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკა (1908-1914წ.წ.) მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი კი არ არის პოეტისათვის, როგორც ამას ჩვეულებრივ აღნიშნავენ, არამედ განსაკუთრებული ეტაპია მისი შემოქმედებისა. თავისი პირველი წიგნის მიხედვით, გალაკტიონი გარკვეული მსოფლალებმისა და სტილის დასრულებული პოეტია“.

შემდგომმა კვლევებმა, მართლაც, გამოავლინა ამ პერიოდის რეალური მნიშვნელობა და მრავალფეროვნება. მაგალითად, ზ. შათირიშვილის მიერ ტაბუდადებული ავტორი ი. კენჭოშვილი მიიჩნევს, რომ: „გალაკტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის ლირიკაში გარკვეულწილად შესუსტებულია კვშირი უშუალო წარსულის პოეტიკასთან, მათ შორის — „შინაარსთანაც“ [...] შენარჩუნებულია მხოლოდ რომანტიკული ელემენტები, მაგრამ ამასთანავე ჯერ კიდევ ძლიერა კავშირი წეორომანტიზმთან. [...] შეხება, ახალ პოეზიასთან ყველაზე ნათლად და ოვალსაჩინოდ ბალმონტიზმის (აქ ედგარ პოლ იგულისხმება) სახით არის გამოხატული“.

ამ საკითხის ფუნდამენტურ გაშუქებას ეძღვნება თ. დოთაშვილის გამოკვლევა „გზა „არტისტული ყვავილები-საკენ“, რომელიც, დაწყებული 2001 წლიდან, სამჯერ გა-

მოქვეყნდა. დღესდღეობით დამაჯერებლად დასაბუთებულია, რომ „დიდი პოეტური რეფორმის წინარე პერიოდს არ შეიძლება ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის ზედაპირული აღქმის გამო „შეგირდობის“ იარლიყი მივაწებოთ (ხაზი ჩემია — ნ.დ.). რეალურად, ეს იყო ეროვნულ და უცხო ზოგად-პოეტურ ტრადიციებთან ურთიერთობის გარკვევის — ძიების, უარყოფისა და სიახლეთა ათვისების — ურთულესი პროცესი, რომელმაც გალაკტიონი უნივერსალური პოეზიის ევროკულტურულ მაგისტრალზე გაიყვანა“ (თ. დოიაშვილი).

ამ ყველივეს გათვალისწინებით, რა საბუთი აქვს ზ. შათირიშვილს იმის სამტკიცებლად, თითქოს გალაკტიონ ტაბიძე შემოქმედების პირველ პერიოდში, ანუ აკაკის გარდაცვალებამდე მისი ეპიგონი იყო? არ შველის ამ აზირებას თ. სანიკიძის „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონიდან“ გადმოწერილი ნიარ-ნაირი ციტატების დახვაცება და ბუქს დაყრენება; არც წინარე მკვლევართა აზრის „მევინიუბა“ და, მობოდიშებასავით, გამოკვლევის ბოლოს, კომენტარებში საერთო ადგილის მიჩნენა. განსხვავებულ თვალსაზრისს დასაბუთება, თანაც კარგი დასაბუთება სჭირდება, მაგრამ ეს რომ ბიბიქტურად, რეალური სურათის გამო, შეუძლებელია?! სად არის გამოსავალი? სად და — ასეთ რიტორიულ აპრუნდში: საკმარისია, ამ პერიოდის ლექსებიდან მკითხველი საზოგადოებისთვის ყველაზე ცნობილი ნანარმოებები, ვითომც გაკვრით, ერთი ხელის მოსმით დამცირო და დაუყოვნებლივ სხვა „მნიშვნელოვან“ საკითხებზე გადაიტანო ყურადღება, რომ ილუზორული შედეგიც არ დაყრენებს. მაგალითად ასე:

„არტისტულ ყვავილებამდე“ გალაკტიონი უშევებდა მედიაციის გარკვეულ ფორმებს და ქმნიდა მედიატორულ ფიგურებს. შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე ადრეული კიჩი მისი პირველი 1914 წლის კრებულიდან — გურიის მთებს, მედამე, მესაფლავე — სადაც მეეტლე, მესაფლავე და ლამე ფლობენ მედიაცურ სიბრძნეს საიდუმლო ცოდნის, საღი აზრის თუ სწორი მიმართულების სახით“.

რა მაღალი პილოტაჟია: თან — მედიაციური სიბრძნეებით, თან — კიჩი!

კიჩის ბუნების გათვალისწინებით, სხვა რა უნდა ვთქვათ: აფერუმ ქართველ მასობრივ მკითხველ-მომხარებელს, რომ გასული საუკუნიდან დღემდე, თურმე, გალაკტიონის ამ ლექსებში სულ მედიაციურ-მედიატორულ სიბრძნეებს დასაწყისია, კიჩის სახელით!

თანამედროვე, პოსტმოდერნისტული ეპოქის ესთეტიკური ხედვით, კიჩი, იქნება, ზოგჯერ კომპლიმენტიც კაია, მაგრამ მკვლევარს ძალზე მწირი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაზე, არამედ ზოგადად — გასული საუკუნის ათი-ოციანი წლების ლიტერატურის კონტექსტზე და თვით ტერმინ კიჩზეც, რომ, როგორც იტევიან, „უკანა რიცხვით მიანერის“ ამ ქმნილებებს კიჩობა; ან იმდენად უნდა ეფამილარულებოდეს გალაკტიონისა და თავის მკითხველებსაც, რომ აქ სლენგის მნიშვნელობით იყენებდეს ამ სიტყვას. გავიხსენოთ: ლექსები „მერი“ პოეტი თავის ორ ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებას ასახელებს და ორივე ზ. შათირიშვილის ვალის არა მაგრამ გამოხატული გარკვეული საფლავეს“ რისთვის ვმდეროდი, /ან ვინ ისმენდა ჩემს „მე

**და ლამეს“.** (აქ „გურიის მთები“ რომ არ „დაგვეჩაგროს“, იმასაც აღვნიშნავ, რომ „მერის“ მოგვიანო ცუბლიკაციებში „მესაფლავეს“ ნაცვლად იკითხება „გურიის მთებს“).

ლექსის „მე და დამე“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ცოტა როდი თქმულა და დაწერილა, მაგრამ საკვლევი და სათქმელი კიდევ ძევრია. ჩვენ რამდენიმე ავტორის აზრი გავიხსენოთ: მაგალითად, ა. ხინთიბიძე მას მაღალი ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს და კიდევ ასაბუთებს, რომ „ქართული ლექსის განახლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის 1913 წელს უკრანალ „ოქროს ვერდის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული „მე და ლამე“; ამავე ლექსის გამორ. თვარაძე წერს: „აქ დასრულდა მეცხრამეტე საუკუნის ხელნერა და შეიქმნა ახალი ეპოქის „სული ობოლი“; ი. კენჭოშვილის აზრით, „მე და ლამე“-ს საიდუმლოს ესთეტიკა ერთგვარი მიახლოვება მოვლენათა არსის გამოხატვის შეუძლებლობის სიმბოლისტურ იდეასთან“.

ზ. შათირიშვილს ეს აზრები სხენებად და გათვალისწინებადც არ უღირს. დასჭირდა, ლექსისთვის ეზოდებინა „კიჩი“? – უწოდა და მორჩა!

მაგრამ ეს რიტორიკული აბრუნდი მაინც მერთალად გამოიყურება ლოგიკური ჩიხიდან თავდასალწევად მოხმობილი ამგვარი უკიდეგანო „მეცნიერული ეგზალტაციის“ ფონზე:

„გალაკტიონი ნარმოადგენს ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ლიტერატურის (და არა მხოლოდ ლიტერატურის) ერთადერთ უნიკალურ სხეულს („როგორც ერთია ქვეყანა მთელი...“) – ერთადერთ ტექსტის – ყველა სხვა ტექსტი არის მხოლოდ მისი მოდუსი. ე. ი. თუ შესაძლებელია ქართული ლიტერატურა, მაშინ შეუძლებელია გალაკტიონი, ხოლო თუ შესაძლებელია გალაკტიონი, მაშინ შეუძლებელია სხვა დანარჩენი ლიტერატურა (გავიხსენოთ ცნობილი მითოლოგიური გადმოცემა მეორე პოეტის შესახებ, სადაც პირველიც და უკანასკნელიც – ალფა და ომეგა – გალაკტიონია, ე. ი. იგი ისევე აღინიშნება, როგორც აპოკალიფის ქრისტე). მაშასადამე, თუ აკაკის სიკვდილის შემდეგ გალაკტიონი იქცა „ძლიერ პოეტად“, 1927 წლის კრებულის გამოსვლიდან მოყოლებული და, განსაკუთრებით 50/60-იან წლებში, ის ხდება „ერთადერთი პოეტი“ – „მეორე რუსთაველი“.

ამ ერთ ფრაგმენტში იმდენი ნონსენსია შეწყვილი, მათ გამოცალევებასა და ანალიზს ცალკე წერილი არ ეყოფა და, როგორც ილია იტყოდა, „მთქმელიც ტყუილად მოცდება და მსმენელიცა“.

ასეთი წიაღსვლებს თუ გულისხმობდა მ. ლალანიძე, როცა გვპირდებოდა, ეს წიგნი – არა ოდენ თანადროულ მკვლევართათვის, და არა ოდენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შემსწავლელთათვის – კიდევ დიდხანს გამოდგება ნიმუშადონ!?

„და არა ოდენი“ – რამხელა სტილური თანხვედრაა ავტორისა და ავტორიტეტად შერაცხული მისი რეკომენდატორის ტექსტებს შორის. ნუთუ ასეთი გადამდები სენია „მეცნიერული ეგზალტაცია“...

\* \* \*

რაკი ცნობადმა რეკომენდატორმა ამ წიგნს ტექსტის ანალიზის ნიმუში უწოდა, ვნახოთ, რამდენად სანდოა ეს ანალიზი.

ეძიებს რა „არტისტულ ყვავილებში“ აკაკის, როგორც დაღუპული მამის კვალს, ზ. შათირიშვილი მიმართავს ლექსს „ჭიანურები“, რომელშიც გარკვევით არის ნათქვამი:

### ხინრად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას.

იგი წერს:

„მოცუმული ტექსტი მკვეთრი „მონტაჟური ბმების“ მეშვეობით იგება, რაც აძნელებს ინტერპრეტაციას. მაგრამ მოხმობილი მასალა საშუალებას იძლევა გავმიტოროთ ერთი ასეთი მკვეთრი ბმა. ამ ხატამდე ერთი სტროფის ზევით ჭიანურებში შემდეგი სურათი გვაქვს: „განა მეზუთე სართულს / განა მეათე მთვარეს / უხმო, მჭვარტლიან სანთელს / გადავავლებდი თვალებს?“ მიუხედავად იმისა, რომ აქ სანთელი, ერთი შეხედვით, სავსებით „რეალისტურად“ შემდიდის ტექსტში, ცხადი ხდება, თუ რატომ იგონებს სტროფის გამოტოვებით ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას, ლირიკული გმირი. ამ უკანასკნელი ხატის (დაღუპული მამა) პროვოცირება სწორედ „უხმო“ სანთელმა მოახდინა“.

შენიშვნა, რომელიც მონოგრაფიის ამ ფრაგმენტს უკავშირდება, „აზუსტებს“: „შეადარე აკაკის ლანდში: „არ მოგვაკლებას... შეუქს უსიტყვოს / ... პოეტის... მაღლით ან-თება“ ე. ი. პოეტი, როგორც სანთელი“.

ყველაფერი თითქოს მშვენივრად უდერს, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს – სინამდვილეს არ შეიფერება. არასრული ციტირების გამოყენებით ზ. შათირიშვილი მკითხველს უმაღავს, რომ ლექსში „აკაკის ლანდი“ არსადაა ნახსენები „პოეტი, როგორც სანთელი“. რეალურად მგოსნის ლანდს სანთელი/სანთლები ხელში უჭირავს და „ჩუმად / დალლილ სანთლებით მოდის / მწუხარე ლანდი... მაღლი ლანდი“, გალაკტიონს კი სჯერა:

**ოპ! ასეთია დღეს განსაცდელი  
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
დავიწყებული ხატის მახლობლად.**

იმაში გასარევევად, თუ სათავისოდ როგორ ცვლის ტექსტს, როგორ „ასხვაფერებს“ ფაქტებს მონოგრაფიის ავტორი, მოვიყანოთ მის მიერ „განაღალიზებული“ კიდევ ერთი სტროფი „ჭიანურებისა“, რომელიც უცვლელად მეორდება „არტისტულ ყვავილებსა“ და ყველა სხვა გამოცემაში:

**განა მეზუთე სართულს,  
განა მეათე მთვარეს,  
უხმო, მჭვარტლიან სანთელს  
გადავალებდი თვალებს?**

მაშასადამე, ლირიკული სუბიექტი ამბობს (ვილაცას მიმართავს), განა შენს ლოდნში უხმო, მჭვარტლიან სანთელს თვალებს გადავალევდიო. ხომ ძალზე ნააგავს უდერადობით ეს ორი სიტყვა: გადავალებდი და გადავავლებდი? ხომ შესაძლებელია, რომ მონოგრაფიაში კორექტურა გაპარულიყო და ასე გაჩინილიყო შათირიშვილთან „გადა-

ვავლებდი?“ ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ავტორს თავისი „თეორიისთვის“ ძალიან სურს და სჭირდება, აქ დაინახოს აკაკი-პოეტი, როგორც სანთელი, ეს კი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ ხატს მოითხოვს. ამის გამო ჩნდება წინააღმდეგობა: როგორც კი დავუშვებთ, რომ ეს პოეტი-სანთელი არა მხოლოდ უხმოა (როგორც შათირიშვილმა წარმოგვიდგინა), არამედ მჭვარტლიანიც (როგორც ეს მკვლევარმა „მიგვავრწყა“ თუ მიგვიჩუმათა ციტირების შემდგომი მსჯელობისას) და თანაც ლექსში „სანთლისადმი“ ლირიკული სუბიექტის (და შესაბამისად – გალაკტიონის) დამოკიდებულება სულაც არ არის იმგვარად ამაღლებული („გადავალევდი თვალებს“), როგორც ავტორის ლოგიკა მოიხდენდა, – ეს ხუსულასავათი დაშლის მთელს ნაწვალებ კონცეფციას! – სწორედ ამის გამო, ნეგატიური „გადავალევდი“ თვითნებურად იცვლება სასურველი სიტყვით „გადავავლებდი“, მთელი მსჯელობა კი შემპარავ ევფემისტურ იერს იღებს: „აქ სანთელი, ერთი შეხედვით, საგვარეთ „რეალისტურად“ შემოდის ტექსტშიონ“. იქნებ ვცდები და ასე არ წერია? მაშინ გამოდის, რომ შათირიშვილის გაეგბითა და ნება-სურვილით, „სავსებით „რეალისტურად“ აკაკი გალაკტიონისათვის... „მჭვარტლიანი სანთელი“ (!) ყოფილა.

\* \* \*

ზ. შათირიშვილი, რომელიც ჰ. ბლუმის, რ. ბარტისა და სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით თითქოს გზასაც იგნებს თავისივე ნება-სურვილით შექმნილ სააზროვნო ულრანში, ვერა და ველარ ინარჩუნებს საკვლევი ობიექტისადმი დისტანციასა და წინასწორობას. მისი მუდმივი ძალადობების მოგერიებით გადაღლილი კვლევის ობიექტი – გალაკტიონის პოეტური ტექსტი კი, სადაც მოიხელთებს, შურს იძიებს მკვლევარზე – თამაშობს მისით, როგორც იტყვიან, „თამაშობს, ანუ ისვენებს!“

აი ასე:

„მაშასადამე, გალაკტიონი ერთდროულად ფლობს და ვერ ფლობს თავისი საკუთარი უნიკალურობის ერთადერთ ნიშანს, რომელიც სიმბოლიზებულია გრაფემა „კ“-ს მეშვეობით. სახელი გალაკტიონი, მთელი მისი უნიკალური და ერთადერთი სხეული მოთავსებულია იმ სივრცეში, რომელსაც ქმნის კ/კ. კ მიუთითებს ფუნდამენტურ „ნაკლულობასა“ და „უკმარობაზე“, რომელიც ამასთანავე პოზიტიურად ქმნის გალაკტიონს გალაკტიონისაგან. ქ-ს ნაშლა და გადაწერა, კ-ს მიერ მისი ჩანაცვლება უნდა წავიკითხოთ, როგორც კონტაქტის შეუძლებლობა, როგორც მკვდარი მამის ტოპოსში შესვლა, როგორც ფრთების მოკვეცა, როგორც სიკვდილი.

ამიტომაც ქ., როგორც საქართველო, მოგალე, რომ ნატრობდეს კ-სთან, როგორც გალაკტიონთან, მეგობრობას უფრო მხურვალედ, ვინემ ის (ე.ი. გალაკტიონი) საქართველოსთან.

ამიტომაც მას სულაც არა აქეს ქარი მკერდს მიდებული, ისე, როგორც უნდა. ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, აკაკი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც მკვდარი მამის სახელი“ (ხაზგასმა ზ. შათირიშვილისაა).

ვის და რას ენდოს ამის წამკითხველი? – ზ. შათირიშვილს თუ გ. ტაბიძის საარქივო მასალებით არაერთგზის და-

დასტურებულ ჯიუტ ფაქტს, რომ აკაკის გარდაცვალებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც პოეტის სახელი ორივე ფორმით გვხვდება, თან გ. ტაბიძისავე ხელით ნაწერი? ცხადია, გალაკტიონს საკუთარი სახელის უფრო გამორჩეული – გაეროპულებული ფორმა უჯობდა ქ-გრაფემიანს, რომელიც საქართველოში ბევრს შეიძლება რქმეოდა... (აქ ხელი გამირბის, ზემოთ ციტირებულიდან გადმოდებული ინერციით, სიტყვაში – „რქმეოდა“ ქ გავამუქრ). განა ამავე მოტივით, სამწერლო ასპარეზზე იმ პერიოდში გამოსულ მის თანამოკალმეთაგან ჰავლე – პაოლო არ გახდა? ტიტე – ტიციანი? ნიკოლოზი – ნიკოლო? მეორე ნიკოლოზი, იგვევე კოლია – კოლაუ? (სხვათა შორის, იმ დროს ცნობილი ექმის – გალაკტიონ ნადირაძის ძე) და ა.შ.? მათგან განსხვავებით, გ. ტაბიძეს საკუთარ სახელში არავითარი(!) ცვლილება არ შეუტანია. უბრალოდ, უკვე არსებული სახელის ორი პარალელური ვარიანტიდან ლიტერატურულ ასპარეზზე გასულ ადამიანი რომელიდაც ხომ უნდა ამოერჩია. ამოირჩია უფრო მშობ-ლიური – კ-გრაფემიანი, რადგან, როგორც თავადვე წერს, დედა და შინაურები ასე მიმართავდნენ, თანაც – ნაკლებად გავრცელებული იყო. პოეტის ჩანაწერებში ამგვარი ფრაზაც არის დაცული: „რატომ დამსაჯეს ასე – არაქართული სახელი დამარქებს.“

ადასანიშნავია, რომ პოეტის ხელით გალაკტიონი აწერია მის არქივში დაცულ უცდათათანი წლების ერთ იფიციალურ დოკუმენტსაც.

დაცულება, ზ. შათირიშვილს თავისი ძალადობრივი კვლევითი სტრატეგიის განუხრელი დაცვით დაცერებუნებინეთ, რომ სახელში „გალაკტიონი“ კ გრაფემა აკაკის, როგორც დალუპული მამის ნიშანია, რადგან ა.ნერეთელს სრულიად გამორჩეული ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა პოეტის არსებაში. არის კი ეს „მოულოდნელი“ (ანდა მოსალოდნელი) მიგნება „რაიმე არსებითი ნიშნით ახალი და ლირებული გალაკტიონოლოგიაში? განა გ. ტაბიძეს ან ვინმე სხვას როდესმე, რაიმე მოტივით უცდია ამის დაფარვა? ნუთუ იმისთვის დაიხარჯა უცხოური თეორიული წყაროებიდან მოზიდული ეს ვეგბერთელა მეთოდური არსებალი, რომ ხელთ შეგვრჩენოდა ერთი მაგალითი დასავლური კულტურული სივრციდან სახელდახელოდ იმპორტირებული მეთოდების ქართულ ნიადაგზე აპრობაციისათვის მეცნიერული ძალ-ლონის არაპროპორციული ხარჯვისა, ანუ, როგორც ეს მკვლევარი იტყოდა, „პოტლაჩისა“.

თუმცა, სინამდვილეში, საქმე ამაზე ცუდადაა!

არსებობს ურყევი ფაქტი, რომელიც მთლიანად აუქმებს ზ. შათირიშვილის წავახანირევ კონცეფციას და აზრს უკარგავს ყველა შემდგომი საფეხურის მსჯელობებსა და დასკვნებს, რომელსაც ეს კონცეფცია საფუძვლად ედება: აკაკის გარდაცვალებამდე, ანუ 1915 წლამდე გამოიცა გალაკტიონის პირველი პოეტური კრებული, რომელმაც 1914 წელს იხილა დღის სინათლე. წიგნის პირველივე გვერდზე, ბიოგრაფიულ ცნობაში შავით თეთრზე წერია:

„გალაკტიონ ტაბიძე – დაიბადა 1892 წელს, სოფ. ჭყვიშიში“.

აი, სადამდე მიიყვანა მკვლევარი რეალური ფაქტების არცოდნამ თუ უგულებელყოფამ, სანაცვლოდ ყველგან სასურველი ასოების ძიებამ, „მოულოდნელი“ (ანდა მოსალოდნელი) მიგნებების „ნდომამ!“

როსტომ ჩხეიძე

# გადამცვარი მზე

□

## უშანები ჩხეიძის პიოგრაფიული ნათებები

თითქოს დამხვარი  
ჩეროში ზიხარ,  
ზიხარ, დაეძებ დაკარგულ სურნელს,  
მნამს, დაისეტყვებ შექსპირის მზისგან  
და სიგრილისგან იკურნავ წყლულებს.  
სიმონ ჩიქოვანი

### პიოგრაფის მიმართ

— თვით მზედ რომ გაეჩინილიყავი, მაინც ადამიანად გადაქცევას ვინატრებდი, რომ მზისთვის მეცქირნა...

ამ ფრაზას უჩა არგვეთელი იტყვის ედიშერ ყიფიანის მოთხოვნაში „მწვანე ფარდა“, რომელიც უშანგი ჩხეიძის ხსოვნას მიეძღვნებოდა და ისე ხელშესახებად გამოიკვეთებოდა მისი პორტრეტი, ისე კანონიელად გადაიღელვებდა მისი ბიოგრაფია, პერსონაჟში ისედაც ამოიცნობდა მკითხველი ლეგენდარულ მსახიობს.

თანდათან დაკარგავდა ჩვენი ცხოვრების მდინარებაში თავის ნამდვილ შინაარსს ეს სიტყვა „ლეგენდა“, დაცემულ ყოფაში სიტყვებიც გაუფასურდებოდნენ და შეიძლალებოდნენ, უპირველესად კი ამაღლებულ, იდუმალ, შარავანდმოსილ სიტყვებს დაემუქრებოდათ დანენების, დამცრობის საშიმროება და „ლეგენდაც“ ამ ტრაგიულ სიტყვათა რიგს შეუერთდებოდა.

ვითომ სამუდამოდ გაინირებოდა?

ვითომ ვერ დაიბრუნებდა ძველებურ სიდიადესა და შთამბეჭდაობას, ძველებური ზემოქმედების უნარს?

დაიბრუნებდა, რატომაც არა, და ეს მაშინ, როდესაც შესაფერისად მოიმარჯვებდნენ.

ღირსეული პიროვნება, ღირსეული ამბავი თვითონვე გაანათებდა შიგნიდან ამ სიტყვასაც, განუკურნავდა წყლულებს, გაამრთელებდა და კვლავ აღავსებდა გამოცლილი სულით.

უშანგი ჩხეიძის სახელსაც შეეძლო ლეგენდის დაკნინებული სხეულის გამოცისკარება, თუნდაც უჩა არგვეთელად გარდასახულს, ამ გვარ-სახელში გამჭვირვალედ რომ ირეკლებოდა პროტიპის ვინაობა: უჩა უშანგის ასოციაციას აჩენდა ძალდაუტანებლად, არგვეთელი კი იმ არგვეთშე მიანიშნებდა, საჩეხიძოდ რომ ინოდებოდა და ამ გვარის ცალკეული შტოები იქიდან განტოტვილიყო.

რთული შემოქმედებითი ამოცანა დაესახა მწერალს ამ მოთხოვნაში — „მწვანე ფარდას“ უნდა წარმოესახა დიდი მსახიობის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, ორი სამყაროს საზღვრად მდგარის, როდესაც მას ერთდროულად უნდა შეებიჯებინა სიკვდილსა და უკვდავებაში.

დიდი მსახიობის, ვისაც ოცი წელია აღარ ეთამაშა სცენაზე, საითენ მიმავალ გზასაც ის ავი სნეულება ჩაუკეტავდა, სულსა და გონებაზე მაჯლაჯუნასავით რომ დასწოლოდა და სიცოცხლეს უძნელებდა, არამცთუ კვლავინდებურად აეტრიალებინა სცენა გამაოგნებელი ხელოვნებით და ხან კიდეც აეცრებლებინა, სულიერი კათარზისი გამოეტარებინა მაყურებლისათვის, და ხან გულიანადაც ეცინებინა, და ეს იმისდა მიხედვით, ვისი ნიღაბი მოერგო იმ საღამოს — ჰამლეტისა თუ ურიელ აკოსტასი, იაგოსა თუ უკარყვარ თუთაბერის... ან კიდევ... ანდა...

ავი სნეულება ჩაუკეტავდა — მწვანე ფარდად გასიმბოლობული. და სწორედ ეს მწვანე ფარდა უნდა ჩამოვარდნილიყო, რათა უჩა არგვეთელს გარდაცვალებისწინა წუთებში მთელი არსებით განეცადა დახშულ ოთახში შემოჭრილი ქალაქის სუნთქვა და ერთაბაზად მოეკლა სცენაზე დგომის წყურვილი, ამდენი ხნის გამტანჯველ-გამწამებელი მისი ამქვეყნიური არსებობისა.

ნიშანდობლივია, რომ კიდეც ერთი პერსონაჟისათვის — ლევანისათვის — ვისაც უამრავი მომაკვდავი ავადმყოფი უნახავს და უამრავი ახლობელი ადამიანი მიუცილებია საფლავის კარძღვე, უჩა არგვეთელის ბინა უნდა აღმოჩნდეს ყველაზე მძაფრი და ხელშესახები გარემო სიკვდილის სიახლოების განცდისათვის.

რას მოაგონებს დიდი მსახიობი?

თიხისაგან გამოიძერილ საკუთარ ქანდაკებას.

ეს ხილვა, ეს მიგნება აღმოჩნდებოდა მწერლისათვის ის ბიძგი, რომელსაც უნდა გაეყოლიებინა სიუჟეტის ასაგებადაც და მსახიობის სული შესაღწევადაც.

ჯერ ედიშერ ყიფიანს უნდა გადაეხსნა მწვანე ფარდა და შემდეგ უკვე პერსონაჟად გადაქცეული უშანგი ჩხეიძისათვის გადაეხსნებინებინა.

თიხისაგან გამოიძერილ საკუთარ ქანდაკებას...

— ამ თიხისათვის სული ჩაებერათ, მაგრამ ისე ძუნწად, ისე-თი სატანური გამოიანგარიშებით, რომ ესუნთქა და ვერც ესუნთქა, ეცოცხლა და ვერც ეცოცხლა. ეს სატანა ტვინში ჩაფრენოდა, სულ ოდნავ, ოდნავ გადაეკვიფინა უკარედები და ამით დაეთრგუნა მსახიობი, დაერწმუნებინა, რომ აღარ შეეძლო ჩაბ-ნელებულ დარბაზთან ბრძოლა, სცენის ფერად სინათლეებთან გამოჩენა და კულისებიდან მონაბერი გრილი სიოს ატანა.

შემთხვევით არ გაიელვებდა ფაუსტური პარადიგმის შორეული ანარეკლი მოთხოვნაში. ჰამლეტიად გარდასახულ არტისტის, უჩემებულ ტალანტის წყალიბითი სრულყოფილად რომ შეეთვისებოდა და შეერწყმოდა შექსპირულ გმირს, დაშვენდებოდა, ვითომ რატომ არ დაშვენდებოდა ფაუსტურ პერსონაჟთა რკალში მოქცევაც, რაც უშანგი ჩხეიძის — როგორც პიროვნებისა და ლიტერატურული გმირს — მონუმენტურობას მიანიშნებდა და ხელშესახებს ხდიდა ამ გარდამავალი წუთების, სიკედლი-სიცოცხლის ზღვაზე ყოფნის განსაკუთრებულობას არა მარტივენ ერთი კაცის ბიოგრაფიაში, არამედ კეცენის საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაში, კიდევ ერთი ლეგენდა რომ უნდა დაფერფლილიყო, რათა იმავ ნამს ფერისებრ განახლებულიყო და ქარიშხალთა ტალღებზე აცურებულიყო.

...ნეტა რას კითხულობდა ხელმწიფის შვილი, პოლონიუსი რომ წაადგებოდა თავზე წიგნით ხელში განმარტულებულს?!.

რას ჩაჰერერებულ ჰამლეტი, რის ამოცნობას მიეღოდა თუ... ხელის ჩაქენევას აღარაფერი უკლდა?!

## | ლაპირითობაზ ამპირზე|

ოგიუსტ როდენი მარტოდენ დიდებული მოქანდაკე არა ყოფილა.

ასე რომ ყოფილიყო, რაინერ მარია რილკე ვერ გაძლებდა მის პირად მდივნად — არც მონადომებდა, და თუკი უნებურად შეუცდებოდა ფეხი მის სახელოსნოში, მალევე გამოეცლებოდა და მარტოდენ მისი სკულპტურული ქმნილებით დატკბებოდა.

როდენის ღრმა ინტელექტი და ანალიტიკური კონება, მისი მსჯელობის ხელოვნება და მახვილგონიერება გახლდათ ის ანდამატი, რითაც სახელვანი მოქანდაკე თავისკენ იზიდავდა ყველას, ვინც აღმრთებდა ხელოვნებას, იმის მიუხედავად, თვითონაც იყო თუ არა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდობული. და თუკი იყო, ამას ხომ რაღა სჯობდა...

მონაფები ხომ ეხვინენ და ეხვინენ.

და მიყურადებოდნენ, კრებდნენ და ითავისებდნენ ყველა მის რჩევას, მოსაზრებას, გამოცდილების ნატეხებს.

იაკობ ნიკოლაძე უფალს უმადლიდა, როდენის სახელოსნოში რომ მოახვედრა და ერთი წელი გაატარებინა ამ განსაკუიფრებელ გარემოცვაში.

ასეც დაასათაურებდა მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის წიგნს: „ერთი წელინადი როდენთან“.

დიდი მოქანდაკის არაერთი ფრაზა ჩარჩებოდა ხსოვნაში და მოხდენილადაც შეურევდა ოხობას, მათ შორის კი განსაკუთრებით ეს სიტყვები აღებეჭდებოდა გულისფიცარზე:

— ისე გააკეთე, როგორც არის, მხოლოდ უფრო ხმა-მაღლა იმღერე, ბუნება მღერის, იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა!

თვითონ ასდევდა ბუნების სიმღერას როდენი, იმავეს იმეორებდა, ოღონდ უფრო ხმამაღლა და უკვირდა, სხვანი ან რატომ არ ასდევდნენ ამ სასწაულებრივ გალობას, ანდა მის გადაჭარბებას რატომ არ ლამობდნენ.

იქნებ აყოლაც სურდათ, იქნებ ლამობდნენ კიდეც გადაჭარბებასაც, მაგრამ განა ყველას შესწევდ საამისო ძალლონე?! თუმც ისიც რაღაცას ნიშნავდა, თეორიულად თუ მაინც გაიზიარებდნენ როდენის ამ შეხედულებას, და ეორიენტირად სწორედ ეს სიტყვები დასახულიყო და ახალბედებს იმთავითვე სკოდნოდათ, რას მოითხოვდა მათგან უზენაესი, ამჯერად როდენის ბაგით ამეტყველებული.

იაკობ ნიკოლაძე რომ აღტაცებულიყო ამ ჩრევით, თავს არ იზიგავდა მის ხორცშესასხმელად და... ამიტომაც იგრძნობა მის ქანდაკებში ბუნების სიმღერის განმეორებაც და მისთვის ნაჭარბების წადილიც — არაერთხელ კიდეც მიღწეული.

ბუნება მღეროდა.

და შენც რომ გევალებოდა მისებური სიმღერა, მთლად მის ჩარჩინშიც არ უნდა ჩარჩენილიყავი.

უშანგი ჩრეიდეც აღტაცებულიდა ფრანგი მოქანდაკის ამ რჩევით, იაკობ ნიკოლაძის წიგნში რომ ამოიკითხავდა, და ძალდაუტანებლად განაზოგადებდა.

— ამ სიტყვებში ხელოვნების მთელი არსია მოცემული.

და თუკი ხელოვნების არსი გადახსნილიყო, მაში თეატრალური სამყაროც ამ წრეში მოქცეულიყო თავისთავად და

რეჟისორსაც და მსახიობსაც მართებდათ ბუნების სიმღერის შეგრძნებაც და მისი განმეორებაც, და თან აუცილებლად უფრო მეტი ტონალობითაც.

უშანგისათვის ამ განსაზღვრების ხორცშესხმის საუკეთესო ნიმუშად კოტე მარჯანიშვილი წარმოდგებოდა და, თავისითაც რომ მიაგნებდა თვალსაჩინო რეჟისორის ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას, რაღაც ამგვარს იგუმანებდა, როდენის ფორმულაში ძალდაუტანებლად რომ ჩანურულიყო.

მისი სპექტაკლების ერთი განმასხვავებელი თვისება გახლდათ დაფგმის ტონი.

— მარჯანიშვილი, საერთოდ, ისეთ ხელოვანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენიმე ტონით ჩვეულებრივზე მაღლა რომ მღერიან.

ეს კი გულისხმობდა, რომ სცენისათვის — საერთოდ ხელოვნებისათვის — კოტე მარჯანიშვილს უნდა ეცქირა არა როგორც ყოფითი სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვისათვის, არამედ როგორც მისი მხატვრული ანარეკლისათვის, სინამდვილისაგან გაცილებით განსხვავებულისა და თავისებურისათვის, გამდიდრებულისათვის ხელოვანის შემოქმედებითი ფარავაზით.

— მისი სცენიური სიმართლე იყო ბევრად უფრო მახვილი, ხაზგასმული და ზეაწეული, ვიდრე სინამდვილე. მას პქონდა თავისი თვალთახედვა, რაც მისი აზრით იყო მთავარი, არსებითი, იმას გიჩვენებდათ ხაზგასმით, პირველი პლანით.

და უშანგი ჩრეიდე აგრძელებს და აგრძელებს კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი პორტრეტის დახასიათებასა და მისი თეატრალური დღანლის წარმოჩენას... საამისოდ კი დიდად გაირჯებოდა, არ იკარა მდებარებდა მონოგრაფიულ თხზულებებს — „ათ წელი კოტე მარჯანიშვილთან“ და „კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი“ — და მემუარულ ჩანაწერებსა თუ თავისი როლებისადმი (ჰამლეტი, ურიელი თუ იაგო) მიძღვნილ ჩანახატებშიც კვლავ და კვლავ დაუბრუნდებოდა მის სახებას... დიახ, დიდად გაირჯებოდა და მწერლური უნარითაც გამოჰკვეთდა მის მონუმენტურ სახებას, ხელოვანისაც და პიროვნებისაც, ნიუანსობრივად რომ ჩაჰვებოდა მისი ხასიათისა და შემოქმედებითი წარმოსახვის თავისებურებებს, და უსათუოო აუძგერდებოდა გული, როდესაც კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლთა ტონალობის მნიშვნელობას ჩაწვდებოდა და, თვალსაჩინოებისათვის, იგიუსტ როდენის მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსიც ასერიგად გამოადგებოდა... და თუმც იმ წუთებში სრულიად არა ფიქრობდა საკუთარ თავზე, უნებურად თავის შემოქმედებით კრედოსაც და უმთავრეს თავისებურებასაც გამოახვევდა ამ პასაჟში.

სულთა ნათესაობა ძალდაუტანებლად გამოიწვევდა ამ უნებლივ ჩანაცვლებას, უფრო ზუსტად — განზოგადებას.

თვითონ უმანგიც ხელოვანთა იმ ჯგუფში იგულისხმებოდა, რამდენიმე ტონით ჩვეულებრივზე მაღლა რომ მღერიან.

და იგულისხმება იმისდა მიუხედავად, თვითონაც ამ წრეში ხედავდა თუ არა საკუთარ თავის.

ალბათ ვერც წარმოიდგენდა კოტე მარჯანიშვილთან შეთანაბრებას.

ვერ მისცემდა თავს უფლებას, როდენის განსაზღვრების პერსონაჟად საკუთარი თავიც მიერნია.

უაღრესი თავმდაბლობა შეუზღუდავდა ამ მიმართულებით ფიქრს, და მხოლოდ ის გაჰქირდა გულში: რა ბედნიერი იყო კოტე, თავისი ხელოვნების სრულყოფას რომ მიაღწია.

ის, რაც ოგიუსტ როდენს ფორმულადაც ჩამოეყალიბებინა, კოტე მარჯანიშვილი აღლოთიც და სრული შეგნებითაც ასდევდა, ეგაა, ასეთი სხარტი და ტევადი სიტყვიერი გარსი ვერ მოეძებნა მისთვის.

საერთოდ კი სხარტი გამონათქვამები მასაც სჩვეოდა, განა არა.

ტევადი, შთამბეჭდავი ფრაზები უჩიეულო არ არის მის-გან.

ფორმულებადაც არაერთი გამოგვადგება.

ამ ერთ შემთხვევაში კი დაე დიდებული მოქანდაკის ფორმულას მისადაგებოდა მისი შემოქმედებითი პიოვრაფის სტილი.

ბენგაბა მღეროდა?

ისიც ასდევდა ამ სიმღერას, იმეორებდა მის მელოდიას, ოლონდ უფრო ხმაბალია, და ამიტომაც მიაღწევდა ისეთ სცენურ სიმართლეს, ყოფით რეალობას საქამაოდ რომ წააჭარბებდა შემოქმედებითი ფანტაზიის უშრეტობის წყალობით.

თუმც ყოვლად წარმოუდგენელია სცენური სიმართლის ამგვარი დიდებულება, თუკი მის შუაგულში გმირი არ იდგებოდა, კოტე მარჯანიშვილის ესთეტიკისა და ფილოსოფიის სრულქმნილად გამომსხატველი, ვის გარშემოც დატრიალდებოდა თეატრალური კარუსელი თავისი დღესასწაულური არსითა და გაქანებით, უმძაფრესი დრამატიზმითა და ვნებათა შეხლა-შემოხლით, მაყურებელს იმ ძალით რომ განაცდევინებდა კათარზის, არისტოტელე ნიმუშად რომ სახავდა და მოითხოვდა სპექტაკლებისაგან.

იმ მასხიობს, ვინც მარჯანიშვილისული თეატრის შუაგულში იდგებოდა, უსათუოდ უნდა ჰქონდა მომადლებული ტონალობის ეს განსაკუთრებული გარჯით აელვარებულიც, ისიც რეჟისორივით აცყოლოდა ბუნების სიმღერას და კიდეც გადაეფარა თავისი ხმიანობით.

რაღაც დიდი და ახალი ინტერიერი კართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

დამოუკიდებლობადამხიბილ საქართველოს მთელი ძალ-ღონე კულტურის ფრონტისათვის უნდა მიებჯინა და თეატრიც ყოფილიყო არა მარტოდენ ხელოვნება, არამედ პოლიტიკური მოვლენაც.

კიდევ უფრო ზუსტად:

კვლავაც უნდა შეენარჩუნებინა ტაძრის დანიშნულება, ილია ჭავჭავაძეს როგორც განესაზღვრა მისი დაიმიშნულება და საბოთო ვალი, და კიდევ უფრო მეტადაც უნდა დამგვანებოდა ტაძარსა და ღვთისმსახურებას ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული უსასტიკესი დევნა-განადგურების სანაში.

ჯერ მხოლოდ ინტებოდა ეკლესიების შემუსვრაც და სამღვდელოების შევიწროებაც, ცოტა ხანში სულაც სისხლიანი ვაკებანალით რომ უნდა დაგვირგვინებულიყო.

და უშანგი ჩხეიძე თავისთავად მოექცეოდა დიდი მოვალეობის შუაგულში, როგორც თეატრალური განახლების ერთი მთავარი გმირთაგანი — ჯერ ჩუმი ოხვრითა და შემდგომ ტრაგიული ღალადისით, ამბიონზე გადმომდგარი სულიერი მამის შარავანდით გასხივოსნებული.

შინაგანი მონოდება მანიც მიიყვანდა თავისი სიცოცხლის უმთავრეს საქმედე და სარტყელამდე, თორემ 1919

წლის ზაფხულში, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თავის სახლს რომ მიაკითხავდა დასასცენებლად, ზესტაფონის თეატრში კი მოუხსირებდა სიარულს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მსახიობის კარიერაზე ეოცნება, არამედ ამ გარემოს სიყვარულითაც და უფრო იმიტომაც, რომ მისი გულითადი მეგობარი დოდო ანთაძე იმ დასში ჩართულიყო. მისგან გაიცნობდა სხვებსაც და უკვე რეპეტიციებსაც აღარ გამოაკლდებოდა.

იჯდა და შეპყურებდა სცენაზე გათამაშებულ ამბებს — სხვა კი არაფერი.

ზესტაფონის დაით უმთავრესად სცენის მოყვარეებს აერთიანებდა, მაგრამ პროფესიონალი მსახიობებიც ერივნენ — ეს ვასო ურუშაძეო, ეს მარო მდივანიო, ეს შალვა ხონელიო, და უკვე ცნობილი ახალგაზრდა არტისტები: შალვა ღამბაშიძე და ემანუელ აფხაძე. ამასთან, თითქმის ყოველ წარმოდგენაზე ჩამოჰყავდა ვასო ურუშაძეს ესა თუ ის ცნობილი მსახიობი მთავარი როლებისათვის.

ერთხელაც ისე მოხდებოდა, რომ ია ეკალაძის პიესაში „21+“ დაკლდებოდათ პატარა როლის მოთამაშე. მისი შემსრულებელი სადღაც წავიდოდა თუ როლს დაინტენდა, უშანგის აღარ დაამახსოვრდებოდა, მთავარი და უმთავრესი კი ისაა, რომ საგონებელში ჩავარდნილი რეჟისორი გამოსავალს იმით იპოვნიდა, რომ ამ როლს უშანგის შესთავაზებდა: იქნებ თავი გაართვასო.

მემუარებში გაკვრითა აღნიშნული სპექტაკლში მისი პირველი მონაწილეობის ამბავი:

— ის როლი მე მათამაშეს და კმაყოფილი დარჩნენ.

არადა, ეს ფრაზა იტევს გარდამტეს წუთებს ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, მის შემობრუნებას სახელოვანი არტისტის დაბადებისათვის იმ ბიძგის მინიჭებით, ურომლისოდაც იგი იქნებ ვერც ვერასოდეს გასცილებოდა მაყურებლობას.

სახელოვანი არტისტის დაბადებისათვის...

თუმც ამდენს იმ თამაშით რას შეატყობინებ, თავიანთ კმაყოფილებას კი იმით დაადასტურებდნენ, რომ უკვე ვევლა პიესაში შესთავაზებდნენ ასეთ პატარ-პატარა როლებს, რომელთაც ყმანვილკაცი დიდ ხალისითა და მონდომებით ასრულებდა და ასე გაგრძელდებოდა ზაფხულის მინურულამდე.



უშანგი ჩხეიძე

ზესტაფონის მახლობელ სოფლებშიც რომ მიღიოდნენ საგასატროლოდ, უშანგი იქ უკვე ალარსად ითამაშებდა, რადგანაც ვასო ურუბაძე ცდილობდა სოფლებში ისეთი პი-ესების წალებას, რომლებშიც ცოტა მოქმედი პირი იყო. თუმც მერე რა, რომ იმ დადგებში არ მონაწილეობდა — წაყოლით ყოველთვის მიჰყვებოდა. ვეღარ ძლებდა უიმისოდ და რა ექნა?!

და თუმც ჩაბარებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებდა და გულმოძგინებას არ აკლებდა მეცნადინეობას, მაგრამ იქ დამრჩენს თურმე არა ჰგვადა და არა.

— სცენის „მტვერით“ ერთხელვე მონამლულს გულის-  
ყური მაინც თეატრისაკენ მრჩებოდა.

ყველაზე სასურველად საკუთარი თავის გამოსაცდელად ჯაბადარის დრამატული სტუდია ესახებოდა, მაგრამ თან გაბედვითაც ვერ გაეძედა, რადგანაც იქ უკვე პროფესიონალ მსახიობებს მოეყარათ თავი. არადა ეს ჯაღოსნური მტვერიც არ ეშვებოდა და გულისტიდილი საბოლოოდ მაინც იმ სტუდიის კარს მიაყენებდა. ალალბედზე ხომ არ მიდიოდა — იქ ეგულებოდა მიხეილ ჭავჭავაძი, თავისი ყოფილი რეჟისორი გიმჩაზიდან, სტუდიაში მსახიობად რომ გამწერებულიყო. და იგი წარუდგენდა ჯაბადარს ამ მონადინებულ ახალგაზრდა კაცს.

სტუდიაში აღარავის ლეპულობდნენ, რადგანაც დაგვი-  
ანებული იყო და არც სათანადო ფული გააჩნდათ. თან ისე-  
თი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა, მგონი, ვერ მოვხიბლე  
ხელმძღვანელიო. გამოცდით კი არ გამოუცდია და... და-  
თანხმებულა მის ჩაირჩხას.

უშანგი მოუთმენლად ელოდებოდა სტუდიური ხასიათის მეცალინერის, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა.

მიზეზს მალევე მიხვდებოდა.

სტუდია ერქვა, თორებ სინამდვილეში ეს გახლდათ  
პროფესიონალ მსახიობთაგან შემდგარი დასი, რომელიც  
პიესებს ამზადებდა.

იმშანად იქ რეუსისორობდა მიხეილ ქორელიც, ვინც ამზადებდა შალვა შარაშიძის (თაგურას) „ავგარიზმ“ — სიმბოლურ პიესას, მისტიკიცი მმით დამიმდევრულს, სავსეს ეშმაკებით, ავი სულებითა და ჯადოებით. ერთ-ერთი ეშმაკის შესრულება უშანებისაც მოუწევდა — ყოველდღე პატიოსნად დაიარებოდა რეპეტიციებზე და ერთ და სან ორ საათსაც სხვებთან ერთად დახტუნაობდა ჩაცუცქული, რის შემდეგაც ყველა „ეშმაკს“ მუხლები საგრძნობლად სტკიოდა ხოლმე.

— ერთ-ორ თვეს ვიხტუნე ასე მაიმუნივით და ბოლოს და ბოლოს მომბეზრდა ეს ერთფეროვანი გართობა.

უმნიშვნელობა უმნიშვნელობად და ერთფეროვნებად ერთფეროვნებად, მაგრამ უკეთესი გარემოც მაინცადამა-ინც ვერ დააკმაყოფილებდა, რადგანაც უკვე იმუამად სწყუროდა დიდ როლების შესრულება, ნამდვილი სცენა ნამდვილი მაყურებლით, ესთეტიკურად ისე დახვეწილით, არტისტებზე შესაფერის ზეგავლენას რომ მოახდენდნენ.

იქამდე ჯერ შორი იყო?

მაგრამ ნაბიჯები ხომ უნდა გადადგმულიყო იქით, მე-ცადინეობას ხომ უნდა ჩაეთრია და გაეტაცა.

არსად ჩამოთვალი, გატაცების შთამაგონებელი არსად მოიპოვებოდა.

ასეთ სტუდიას როდემდე შერჩენოდა?! ამიტომაც დაპ-კრავდა ფეხს და არტისტ პავლე ზრანგბილთან ამოპ-ყოფდა თავს ეგრეთნოდებულ ავჭალის აუდიტორიაში.

ვინ ურჩია იქ მისვლა, ვეღარც გაიხსენებდა — ამ ყველაზე პატარა მუშაათა კლუბში, მითუმეტეს, სტუდიოდან იქ გადასვლა ცენტრიდან უდაბურ პროვინციაში მოხვედრას უდრიდა, მაგრამ რომ აღარ იცოდა, რა ეღონა, ისიც მღელვარედ აწყდებოდა აქეთ-იქით.

ქართულ თეატრს რატომ არ მიაკითხავდა?

## ეს დაწესებულება თურმე:

— იმხანად თბილისში სრულიად წყალწალებული იყო და მხოლოდ შემთხვევითი წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე. ვინ იყო ამ „მოძრავი“ წარმოდგენების ინიციატორები, ანტრეპრენიორები, ან ხელმძღვანელები, ამას მე რას გავიკებდი, მგონი მონაზილებაც არ იცოდნენ.

რა — ქართულ თეატრს ავტალის მუშათა კლუბიც კი სჯობდა?

## ასე გამოდის და...

„მოძრაობა“ წინიალს გულისხმობს და თეატრიც დაეწინებოდა — ხან ქართული კლუბის შენობას რომ მიაკითხავდა, ხან ოპერას, ხან არტისტულ (შემდგომ რუსთაველის სახელი) რომ დაერქმეოდა) თეატრს და მომხდარა ისიც, რომ ხან ავლაბარშიც ამოუყვიათ თავი და ხან ნაძლადადევშიც. ან ეს რაღა იყო — ერთ თვეს თუ ათი წარმოდგენა შეიძლება გამართულიყო, მეორე თვეს... არცერთი.

ესთეტიკა? მხატვრული მისწრაფება?

ესთეტიკა და მხატვრული მისწრაფება კი არა!.

— ამ წარმოდგენების გამამართველებს არავითარი  
მხატვრული ინტერესები არ ამძრავებდათ. აյ პირველ  
პლაზმუდ მატერიალური კეთილდღეობის საკითხი იყო,  
რადგან ცხოვრება ამ ხალხსაც უნდოდათ, როგორც დანარ-  
ჩენ მოქალაქეებს.

ავჭალის კლუბი ხომ რა!.. იქ უშანგი რამდენიმე თვეს თუ დაჟყოფდა. აპრილში წარმოდგენებზე ხალხი დაიკლებდა და სეზონიც შეწყდებოდა, თუმც ის ხანა უკვალიდ არ ჩაივლიდა მომავალი დიდი მსახიობისათვის, ჯერჯერობით სცენისმოყვარებად ხელოსნები, მუშები, მოსამსახურები და სტუდენტები რომ ამოსდგომოდნენ გვერდით, ზოგი მასთან ერთად მისული: დოლო ანთაძე იქნებოდა, დავით ჩხეიძე (ყოფილი სამხედრო პირი) თუ შალვა ბოჭორიშვილი: ზოგიც — იქ დამხვდური: ვოვა გვაზავა იქნებოდა, შალვა გომართელი თუ კიდევ სხვანი და სხვანი. რეზუსორობდა პავლე ფრანგშვილი, მთავარ როლებსაც რომ თამაშობდა ხოლმე და ზოგჯერ ცნობილ მსახიობებსაც ინკვევდა — ეს დავით ჩარკვიანიო, ეს ლიზა ჩერქეზიშვილიო...

ମାୟୁର୍ବେଦୀତା ଏହି କାନ୍ତିଶିଳ୍ପିଙ୍କ ତାଙ୍ଗିଲ୍ସେବୁର୍ଗେବା ଫା — ସାକ୍ଷିମାନଙ୍କ ମଧ୍ୟରେ ତରାଦାତ୍ତୁଲ୍ଲି ତାଙ୍ଗିଲ୍ସେବୁର୍ଗେବା — ମିଶାକିନ୍ଦିଶ ଏବେ ହିନ୍ଦିଶେବୋନାନ୍ଦ ଖେଳିବାକିମିଳି ଯୁଦ୍ଧରେତ୍ତିବିଶ୍ଵାଦ ଗାନ୍ଧିଚିନ୍ତିତ ନିମାଶ, ରାଜି ଶର୍ଣ୍ଣନାଥୀ ବନ୍ଦିବୋନାନ୍ଦ.

კიდევ რაღაც რომ სურდა, იმ ზამთარს ხშირად აკითხავდა დავით ჩარგვიანთან ერთად ავლაპრის თეატრს, სადაც პატარა როლებს გამოჰკრავდა ხელს. იქ გაიცნობდა დროდადრო მოწვეულ ცნობილ მსახიობებს: შალვა დადიანს, ვალერიან გუნიას, ვიქტორ გამყრელიძეს, მარგარიტა ქილარჯიშვილსა თუ სხვებს.

თვითონ რაც აწუხებდა, სხვა მასავით სცენისმოყვარე-  
თაც ამსახურ ატყობნა, რომ ყველას სურდა შესანავლა აქ-  
ტიორის შემოქმედებითი მეთოდი, აეთისებინათ თეატრა-  
ლური კულტურა, შეეცნოთ თეატრის ყოველგვარი საი-  
დუმლობება...

მაგრამ იყო კი ერთი კაცი მაინც, ვინც მოუკლავდათ ამ  
წყურვილს?

არავინ, არავინ...

ნიგნები?

ჯერ შემდგომაც ცოტა თუ შეგროვდებოდა შესაფერისი  
ლიტერატურა, თორებ იმშამად იშვიათად იშმოვებოდა.

მაშ ეს ახალგაზრდული ენერგია და უზომო თავისუფა-  
ლი დრო?

იყარგებოდა ქუჩაში, თეატრთან დგომაში.

ერთი გზა კი რჩებოდათ და მას მიაჩნდებოდნენ — ახ-  
ლოს ყოფნა უფროს აქტიორებთან, მათი საუბრის მოსმენა,  
მათი თეატრალური საიდუმლოებების გაეცება.

საამისოდ კი: — ეს გზა მიდიოდა რესტორანში.

აქ, სუფრაზე ისმენდნენ ქართულ თეატრთა წარსულს,  
ცნობილ მსახიობთა ბიოგრაფიებს, ათასგვარ ეპიზოდს  
ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებიდან... კარგი და შესანიშნა-  
ვი!.. მაგრამ შეიძლება კი ეს გზა მაინცდამაინც სასარგებ-  
ლო ყოფილიყო? თავიდან მის უარყოფით მხარეს სრულიად  
ვერ ამჩნევდნენ ამ სიახლით გაბრუებულნი და არტისტე-  
ბის უფროს თაობასთან საუბრითა და სიახლოვით მოხიბ-  
ლული, ამას სულაც ნეტარებაში ჩაძირულია... მაგრამ  
გარდა იმისა, რომ იქ ხშირად თვრებოდნენ და მშვენიერ  
დორს კარგავდნენ, ისე შეეთვისებოდნენ ბოჰემურ ყოფას,  
რომ რესტორანში ჯდომა და ღამების ტეხვა ბევრ ახალ-  
გაზრდას ჩვეულებად გადაეცეოდა და ველარც ველარა-  
სოდეს დააღწევდა თავს.

— მამინდელი ქართული თეატრის მესვეურებს არ აღმო-  
აჩნდათ შენ და უნარი, რომ გამოეყენებინათ და კულტურუ-  
ლად აღზარდათ ახალგაზრდების ის მშვენიერი მასალა...

და რა გასაკვირია, რომ ასეთ გარემოში ახალგაზრდა  
თაობა თეატრალური კულტურის მხრივ უვიცობაში თუ ჩა-  
ძირულიყო.

პერსპექტივა?

თუ რაღაც მევეთრი ცვლილება არ მოხდებოდა, თუ რე-  
ჟისორთა კონკრეტაში ვინმე არ გამოჩნდებოდა ისეთი, აქა-  
ურობას რომ აამლელვარებდა და თამასას ერთპაშად მაღ-  
ლა ასწევდა, სხვათაც რომ მოანდომებდა ამ სიმაღლეზე  
შეწვდომას, დიდ სივრცეთა დასაპყრობად მონადინებული  
და შემართული ახალი თაობა არტისტებისა ფუჭად გალევ-  
და სიცოცხლეს და თითო-ოროლა შემთხვევით გამოსული  
როლი თუ დარჩებოდა სანუგაშებულად.

რეჟისორთაგან ვიღაცას ხომ მაინც უნდა ჰქონოდა სა-  
კუთარი, დამიუკიდებული თეატრალური მსოფლმხედვე-  
ლობა, რათა ქართული თეატრისათვის მიერიქებინა ორი-  
გინამდებარებული სახე, თორემ რა სასიკეთო ცვლილებას უნდა  
დალოდებოდი, როდესაც ერთი წყება რეჟისორებისა სამ-  
ხატერო თეატრის მიმდევრობაზე სდებდა თავს, მეორე კი  
— მცირე თეატრისა. საერთოდაც რუსული თეატრალური  
სინამდვილე განსაზღვრავდა ქართული სცენის ბედს, იქა-  
ურ სიახლეებს ეჭიდებოდნენ, მაგრამ იმასაც დაგვიანებით  
და ზედამირულად და იქ მოყირჭებული სცენური მეთოდე-  
ბისა და ხერხების გადმოღება, აბა, რა ხეირს დაგვაყრიდა!..

არადა, გამოცდილი რეჟისორები თითქოს არ გვაკლდა  
და უშანებიც თვალს რომ მიმოავლებდა, მხოლოდ პატივის-  
ცემით მოიხსენიებდა ალექსანდრე წუნუნავასაც და მიხე-  
ილ ქორელსაც, აკაკი ფალავასაც, კოტე ანდრონიკაშვილ-  
საც და სანდრო ახმეტელსაც... მაგრამ ჩიხიდან გასასვლე-  
ლი კი ვერცერთს ვერ ეპოვნა, ძიების პროცესი კი ძალიან  
ჭიანურდებოდა და ერთმანეთთან თანამშრომლობა-ურთი-  
ერთობას ხომ გაურბოდნენ და გაურბოდნენ.

— ძალიან უნდობლად ექცევოდნენ ერთმანეთს. ყოველ  
მათგანს ჰყავდა თავის ახლობელთა ჯგუფი, თავისი საყვა-  
რელი მსახიობებისაგან შემდგარი. ეს რეჟისორები თით-  
ქოს არც კი ამჩნევდნენ ერთმანეთს. როდესაც ერთი რეჟი-  
სორიდან მეორესთან მოხვდებოდ სამუშაოდ, ისეთი შთა-  
ბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სხვა თეატრში მოხვდი.  
ყოველ მათგანს რომ ჰქონოდა თავისი თეატრალური მი-  
მართულება უფრო გარევეული და დაზუსტებული, ზემოხ-  
სენებული შთაბეჭდილება მაშინ სავაებით სხვა იქნებოდა.

დისციპლინა რომ მოისუსტიქებდა, რის გამოც გამოცდილი  
აქტიორები თავაშვებულად გრძნობდნენ თავს და არ ეშინო-  
დათ არავითარი სასჯელისა, ახალგაზრდა მსახიობებიც ისე  
გათამამებულიყვნენ უფროსების შემუურენი, რომ აღარც  
მათ ერიდებოდათ თეატრის ხელმძღვანელობისა, უშანები  
ჩხეიძე თვალსაჩინოებისათვის არა სხვისი, არამედ საკუთა-  
რი ბიოგრაფიიდან გაიხსენებდა იმ ეპიზოდს, თუ როგორ ეს-  
ტუმრებოდა შალვა ლამბაშიძესთან, მიხეილ ლორთქიფრი-  
ძესთან, ფოდი ანთაძესა და ვაჩე ჯიქასთან ერთად მაშინ  
ცნობილ ციტნავას დუქანს და საკმაოდაც შეზარხოშებოდ-  
ნენ, არ დაგიდევდნენ, რომ იმ დღეს ყველა თამაშობდა  
„ოიდიპოს მეფეში“. გზაში ჩხეიძი მშეუბიც მოუვიდოდათ და ბოლოს  
ყველას კომისარიატში წარეკავდნენ. მეორე კომისარიატში  
ხშირად უწევდა სტუმრობა ამ ჯგუფს და ამიტომაც დაჭერა  
ოდნავადაც არ შეაწებდათ, ის კი არა, ძალზე მხიარულა-  
დაც გაჰყენებოდნენ კანონის დამცველს, იცინებდნენ და არც  
მილიციელის გაჯავრებას მოეშვებოდნენ. იქამდეც კი  
გა-  
თავებდებოდნენ, რომ კომისარიატში შესვლისას ვაჩე ჯი-  
ქია მილიციელს გააჩერებდა და სავაებით სერიოზული კი-  
ლოთი ეტყოდა: ერთი, თუ ძმა ხარ, ჩვენი მოსვლისა ისრო-  
ლეო, — და წონასწორობასაც დააკარგვინებდა.

საღამომდე იქ იყურებულებდნენ, მაგრამ არ ინაღოლებ-  
დნენ და მხოლოდ მაშინ მოეგებოდნენ გონს, როდესაც თე-  
ატრში წასვლის დრო მოაწევდა. მაშინ კი იკადრებდნენ თა-  
ვიანთ ხელმძღვანელობასთან დარეკვას და „ტყვეობის“ ამ-  
ბავს შეატყობინებდნენ. ისინიც სასწრაფოდ დაფაცურდე-  
ბოდნენ და ჩვენს გმირებს გამოიხსნდნენ, მაგრამ ადვილი  
წარმოსადგენია, რა დღეც დაადგებოდა სპექტაკლს, სადაც  
ქოროში მონაწილეობდნენ.

წამდაუწეულ დააგვიანებდნენ სიტყვის წარმოთქმას და  
ოიდიპოსის როლის შემსრულებელს ალექსანდრე იმედაშ-  
ვილს რეპლიკებს დროზე ვერ მიაწვდიდნენ. ისიც მთელი  
საღამოს განმავლობაში, გაგულისებული, ლანძღვას არ  
დაიშურებდა მათდამი. წაცვლად იმისა, ერთად ელაპარა-  
კათ, როგორც ქოროს წესია, ზოგი წააღრევად იწყებდა,  
ზოგი დაგვიანებით და ზოგი სულაც არ ძრავდა კინიტს.  
გარეგნულადაც ვერ დაიგეხებინდნენ. უშანების დაამასხოვ-  
რდებოდა შალვა ლამბაშიძის ძალზე „ხალტურული“ გრიმი,  
ულაზათო ჩაცმულობა, მოშვებული ჯდომა, ჯობზე დაყრ-  
დნობილ ხელებზე თავი რომ ჩამოედო და თვალებს მხო-

ლოდ მაშინ ახელდა, როდესაც მისი სათქმელი მოაწევდა — ბუსართან მიმჯდარ მთვლემარე ადამიანს უფრო ჰეგვდა, ხანდახან რომ წამოილულულებდა რაღაცას, თითქოს სიზმარშიაო. შალვა ღამბაშიძეს კი ალბათ უშანგი დაამახ-სოვრდებოდა, გამოფხილების გაელვებებში თვალმოკ-რული, და მხოლოდ ასე თუ მოიგონებდა: რა იყო, ეს რას ჰეგვდა, ასეთი არაფერი მინახავსო!..

აუტანელი ქორო მაყურებელსაც საგრძნობლად შეაწუ-სებდა და, როდესაც თვალებდათხრილ ოიდიპოსს შვილები გააცილებდნენ და პარტერში სამარისებური სიჩუმე დაი-სადგურებდა, ხოლო ქორო წინ წამოდგებოდა, ავანსცენას-თან ერთ რიგად გამწყრივებოდნენ, წარმოთქვამდნენ უკანასკნელ სიტყვებს, შეტრაილდებოდნენ ერთ მხარეს და ნელი ნაბიჯით გაემართებოდნენ, ქანდარიდან ვიღაც, თითქოს ძალზე გულდანწყვეტილი, შეწუხებული ხმით დაუ-დახებდათ: მაშ მიდიხართ? მიდიხართ რაღა!

ეს სიტყვები ისე მაფიოდ გაისმოდა სიჩუმეში და თა-ნაც ისეთი დამცინავი ტრინით იქნებოდა ნათქვამი, რომ პარტერში ხარხარი ატყდებოდა. არადა როგორია — ასეთი მძიმე ტრაგედიის ასე მხიარულად დასრულება!..

მაყურებელს არამცუთა არ გამტყუზებდა გვიანი გადა-სახედიდან, მის უკეთეს კულტურულ დონეს წარმოაჩენდა, ვიდრე თეატრალური დასი გახლდათ — მონოდებული მა-ყურებლის აღმზრდელად, არადა, აუდიტორია უფრო გა-მოიყრებოდა ამ როლში. ადმინისტრაცია არ სჯიდა მსახი-ობებს ამგვარი თავაშვებულობისათვის და ისევ მაყურე-ბელს უნდა ეტვირთა ეს მოვალეობაც.

ასეთი აღრევა, ასეთი უსისტემობა და, უშანგის უკვირ-და, რომ ზოგიერთი მსახიობი მაინც ახერხებდა საგულისხ-მო, კოლორიტული სახეების შექმნას, განსაკუთრებით მა-ინც ქართულ პიესებში: შალვა დადიანის „გუშინდელი“ იქ-ნებოდა, დავით კლდიაშვილის „ირინეს ბეგნიერება“, „და-რისპანის გასაჭირო“ და „უბედურება“, ვალერიან გუნიას მიერ გადმოკეთებული „აღლუმი“, ავესენტი ცაგარელის კომედიები თუ სხვაც კიდევ არაერთი.

იმუშინდელი თეატრალური ყოფის არსში ჩასაწედო-მად, ზოგადი სურათის გადმოსაკვეთად უშანგი ჩეხიძე ამ-გვარ შედარებას მოიშველიებდა: ამ მსახიობთა ნახევარიც არა ჰეგვდა შემდგომ კოტე მარჯანიშვილს, როდესაც დიდ სპექტაკლებს ქმნიდა.

რაოდენ სხარტი და შთაბეჭდავი დახასიათებაა.

ორგანიზაციულად დაშლილი, მხატვრულად მოძველე-ბული, ტრაფარეტული, პროვინციული ყაიდის, ანაქრონის-ტული თეატრის შემყურე ახალგაზრდა თაობა ცალკე გაი-ნევდა და მარტოდენ საკუთარი ძალ-ღრინის იმედად შეეც-დებოდა სპექტაკლების დადგმას თბილისის განაკირა უბ-ნებში. ასე მომზადებოდა ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“, რომელიც დაიდგმოდა ავლაბრის თეატრში; და თუმც ეს ჯგუფი მაღლე დაიშლებოდა, ცოტა ხნის ერთობლივი გარ-ჯაც საგრძნობლად შეაკავშირებდათ და მას შემდეგ თით-ქოს ყოველთვის რაღაც საერთოს გრძნობდნენ თითქმის ყველა საკითხში, რაც თეატრში წამოიჭრებოდა.

— თეატრის მოდუნებული და უსიცოცხლო მუშაობა არ გვაკამაყოფილებდა და გამოსავალს ვეძებდით. ჩევენ რომ მაშინ მეტი თეატრალური კულტურა გვქონდა, ან ვინმე პატრონი გამოგვიჩნიოდა, მე მჯერა, ახალ საქმეს დავინიჭებ-დით.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახალგაზრდების ეს გუნ-დი შეადგენდა შემდგომ კორპორაცია „დურუჯის“ მთავარ ბირთვს, და რომ ეს პირველი ჩანასახი გარკვეულ თეატრა-ლურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდებოდა.

უფროსი თაობა როგორ ეგუებოდა ამ თვითდინებას?

სხვაგვარად ვეღარც წარმოედგინათ და მიჰყვებოდნენ უსიცოცხლო ყოფას, ალექსანდრე წუწუნავა კი, რუსთავე-ლის აკადემიური თეატრის იმუშამინდელი ხელმძღვანელი, ერთადერთ ხსნად მიიჩნევდა... თეატრის დროებით დახურ-ვასა და რამდენიმე სპექტაკლის მომზადებას სტუდიურ გა-რემოში.

გაოგნდებოდნენ ამის მოსმენისას?

და უკეთესი რჩევა თვითონ შეეთავაზებინათ, თორემ მწვავე ვითარებას გარდუვალი კატასტროფაც მალევე მოჰყვებოდა და დანგრეულის აღდგენა უკვე ძნელზე ძნე-ლი შეიქნებოდა. ამ მოსაზრებას აკავი ფაღავაც გაიზია-რებდა. განათლების სახალხო კომისარსაც დაარწმუნებდ-ნენ.

და თეატრალური საზოგადოების თავყრილობასაც მო-ინვედნენ განათლების კომისარიატის დარბაზში, შემდ-გომ საჯარო ბიბლიოთეკა სადაც დაივანებდა.

და იქ დასწრებას კოტე მარჯანიშვილსაც სახოვდნენ, ახალჩამოსულს თბილისში რუსული თეატრის ხელმძღვა-ნელის მანტიით.

კიდეც მივიდოდა და თეატრის დახურვასაც მტკიცედ შეენინაალმდეგებოდა: როდის ყოფილა, დახურვას გადარ-ჩენის როლი ეთავაო.

მაშ რა?

მუშაობა უნდა გაძლიერდეს და გადახალისდეს. არან ნიჭიერი არტისტები, მაგრამ არ არის ნამდვილი ხელმძღვა-ნელობა და ნამდვილი რეჟისურა. ეს თუ მოგვარდება, ქარ-თული თეატრის აღმონიშვნებას წინ რაღა დაუდგება.

ეჳ, ადვილი სათქმელია გაძლიერდეს და გადახალის-დეს... ადვილი სათქმელია, მოგვარდეს... მერედა ვინ არის ეს გამძლიერებელი და გადახალისებელი?! ვინ არის ეს მომგვარებელი?! შორიდან მსჯელობა და აზრების გამოთ-ქმა რომ ეიოლება, და თვითონ იწვიოს, თუ რას ნიშნავს ქართული თეატრის განახლების მცდელობა. არა, ამ პრო-ცესის სათავეში ჩადგომას ასე პირდაპირ აღბათ ვერ გაბე-დავს, და ამიტომაც ეგებ ერთი დადგმის ხორცშესხმა სთხოვონ... საცდელად... ვნახოთ, რა გამოვა... რა პერსპექ-ტივა გამოიკვეთება... რა სინათლე აციაგდება... თეატრის დახურვას ყოველთვისაც მოესწრებიან... ჰა, ცოტას დაახა-ნებენ და ეგაა.

იქნებ ერთი დადგმაც ვერ იკისროს გარდუვალი მარ-ცხის მოლოდინში.

არა, ასეთი მფრთხალი არა ჩანს.

და კიდეც — დაშლილ გარემოსაც არ შეეპულდებოდა და სპექტაკლის მომზადებასაც მაშინვე დაყაბულდებოდა.

1922 წლის ზაფხულია.

უშანგი ჩეხიძე დედაქალაქში არ იმყოფება და არც არა-ფერი იცის მარჯანიშვილის მოწვევისა თეატრში. ცნობით სრულიად არ იცნობს და მარტოდენ სმენია, რომ არსებობს ასეთი რეჟისორი რუსეთში, ეროვნებით ქართველი და... ეგაა და ეგ.

ასე რომ, როდესაც შეიტყობს მისი მოსვლის ამბავს, სრულიად გულგრილად აღიქვამს.

მემუარისტებს ახასიათებთ გაზვიადებანი თუ წინათგრძნობებზე, იდუმალ მიხვედრებზე სიტყვის ჩამოგდება — თითქოსდა გულმა უგრძნოთ, რაღაც დიდი შემოპრუნება რომ უნდა მომხდარიყო მათ ცხოვრებაში.

მითუმეტეს, რომ ცალკეულ პიროვნებებს ხან მართლაც წინასწარვე უწინდებათ უცნაური განცდა, რაც მალევე უნდა აუხდეთ.

გასაკვირი არ იქნებოდა, უშანგისაც რომ ეგრძნო კოტე მარჯანიშვილის ხსენებისას რაღაც უცნაური შინაგანი თრთოლვა, ჯერ სახელშეურქმეველი... თუ ხსენებისას არა, მერე მაინც აპევიატებიდა აუხსნელი განცდა, გარდამტებ ცვლილებას უნდა ველოდე ჩემს კარიერაში...

რომ გასჩენოდა ამგვარი განცდები, კიდეც აღნიშნავდა მემუარულ ჩანანერებში, როგორც ბუნებრივ დეტალს თავისი სულიერი ყოფისა — თავმოსაწონებლად და თავგამოსადებად კი არა.

არაფერი უგრძნია და ამიტომ არც მიიჩერს — გარდა დიდი ხელოვანისა, წრფელი და ალალი პიროვნებაცაა და სწორედ ასეთ ადამიანთა მოგონებანი გვევლინება გზამკვლევებად რთულ და აბურდულ, არცთუ იშვიათად სულაც ქალტურ რეალობაში.

კიდეც შეხვდებოდა კოტე მარჯანიშვილს, მის სპექტაკლშიც თამაშებდა... და კიდევ ვერაფერს იგრძნობდა უჩვეულოს, და ახალგაზრდულ სიანცეს აყოლილი — აკი აქამდე დამშლელი არავინ ჰყავდა — ოინბაზობას არც მასთან შეეშვებოდა.

ჯერ კი, იმ ზაფხულს უქმად ვერც თვითონ გაძლებდა და ვერც სხვა ზესტაფონელი მსახიობები — ცაცა ამირეჯიბი იქნებოდა თუ ვასო არბიძე, სანდალა გარეჩილაძე, შალვა ღამბაშიძე თუ დოდო ანთაძე, ეს კიდევ მხატვარიონ, ეს კიდევ მოკარნახეო, ეს კიდევ სცენისმოყვარენიონ, და მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულნი იქაურ სცენას არ მოაცდენდნენ.

პატარა ქალაქისათვის ამდენი კოლორიტული არტისტი ბევრს ნიშნავდა და საზოგადოების დიდ თეატრალურ ინტერესზეც მეტყველებდა.

იქ მიიღებდნენ რუსთაველის თეატრის დირექციისაგან დეპეშას, დასის შეკრების დროს რომ ატყობინებდათ, თბილისში დაბრუნებულებს კი დახვდებოდათ შალვა დადიანის პიესის „ვარამი“ რეპეტიციები კოტე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, და ლაპარაკი იმის თაობაზე, ერთ-ერთ დადგმას კოტე მარჯანიშვილი განახორციელებსო.

უშანგისა არ იყოს, ახალ რეჟისორზე მსახიობთა უმრავლესობას მეტად ბუნდოგანი წარმოიდგენა ჰქონდა, და მის გამოჩენას სენსაცია რომ არ მოჰყოლია, ანკი რატომ უნდა მოჰყოლოდა.

რომელიმე მსახიობს ესა თუ ის პროვინციული თეატრი ცოტა მეტ ჯამაგირს შესთავაზებდა?

სხახულით გარბოდნენ რუსთაველის თეატრიდან იქ.

შემდგომ კი გაუხვდებოდათ სანახებლად, კოტე მარჯანიშვილის დასში ყოფნა სანატრელი რომ გახდებოდა ყოველი აქტიორისათვის.

— და ბევრ ქართველ აქტიორს ასცდა განეცადა ის ბედნიერება, რასაც ხშირად გვანიჭებდა მარჯანიშვილი მისი უდიდესი მხატვრული ნიჭის წყალობით.

„ვარამის“ პრემიერაც გაიმართებოდა და... თეატრში კვლავ სიცარიელე დაისადგურებდა.

რამდენიმე მაყურებელს თუ შეიტყუებდნენ იმ — მემუარისაც სხვა სიტყვები ველარც მოეძებნა — უმწეოსა და საშინელ გარემოში, სადაც რეჟისორები უაქტიორობას ჩიოდნენ, აქტიორები — ურეჟისორობას, საზოგადოება კი — უთეატრობას.

და პა — ნაგრევებიდან ახალი სინამდვილე, ახალი სივრცე და ესთეტიკა უნდა ამოზრდილიყო.

კოტე მარჯანიშვილის პირველი ნაბიჯი არაჩვეულებრივი დისციპლინის დამკვიდრებას მოასწავებდა.

შემდეგ და შემდეგ კი:

პიესისა და როლების უჩვეულო გახსნას, მხატვრის სულ სხვაგვარ გამოყენებას, დადგმში მუსიკის შეტანას, თვითეული როლის, სახის დეტალურ გარკვევას, მოხდენილ მიზანსცენებს, ცოცხალ დიალოგებს და უჩვეულო რიტმულ მოძრაობებს.

და რიტმის ხსენება მემუარისტს ისე აღანთებდა, დითორამბად დაიღვრებოდა:

— ყველაზე გასაოცარი იყო ქართული თეატრისათვის რიტმი, სპექტაკლის შინაგანი რიტმი. ეს საიდუმლოება მარჯანიშვილის დიდი დადგებითი მხარე იყო, როგორც რეჟისორისა, მე არავის სპექტაკლში არ მინახავს გამომულავენებული ნაწარმოების რიტმი ისეთი სიძლიერით, როგორც მარჯანიშვილის სპექტაკლებში. შინაგანი რიტმით სალტესავით იყო ხოლმე შეკრული მარჯანიშვილის სპექტაკლები.

ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ თარგმნას კოტე მავაშვილს დაუკვეთავდა.

ამ პიესას რომ შეარჩევდა, უპირველესად მის აქტუალურობას გაითვალისწინებდა, მის მნიშვნელობას თანამედროვეთავის, რადგანაც იმთავითვე მტკიცედ ეწამა, რომ თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობდა.

და მსახიობებს შეაგონებდა, რომ ლოპე დე ვეგას პიესა იმით კი არ იყო საგულისხმო, რომ ფუნქცი ოვეხუნას (ცხვრის წყაროს) გლეხებს ავინრებდა ტირანი, რომლის მკვლელობასაც კეთილმოწყალე მეფე აპატიებდა ხალხს, არამედ ამ სიუჟეტს თანაფროული მაყურებელი უნდა დაერაზმა და შეეკავშირებინა იმ სულისკვეთებით, რომ თუ ხალხს რაიმე საფრთხე მოელოდა, მას ერთობლივი პასუხი უნდა გაეცა მტკიცება თვითონ გომეც? — მაყურებელს ერთბაშად სპექტაკლის მონაწილედ უნდა განეცადა თავი და პარტერიდან დაძრულიყო გულმრფელი შეძახილი: ფუნტე ავეხუნამ! ფუნტე ოვეხუნამ!

აი, ჩემი დადგმის მიზნობრივი მხარეო, — ყველას წინაშე გულაბდილად გააცხადებდა კოტე მარჯანიშვილი.

და თუმც სპექტაკლის მზადების პროცესში მსახიობები იმედიანად განეწყობლენენ, უდავო წარმატება მოგველისო, აი, გენერალურ რეპეტიციაზე ცოტა არ იყოს შეფიქრიანდებოდნენ — მგონი სავებით დახვეწილი და საბოლოოდ განმეოდილი ვერ უნდა იყოსო. აბა, თუ ასე არ იყო, მაშ რატომ აჩერებდა რეჟისორი ყოველ წუთას მსახიობებს ისეთი შენიშვნებით, ან განათებას რომ ეხებოდა, ან ორკესტრს ანდა თავისივე თანაშემწებას?

თან ეს ყვირილი რაღა იყო, ეს ლანძღვა?.. განა ასერიგად რას გაეგულისხმობარებინა და გაეცხარებინა?

მხოლოდ მოგვიანებით, კოტე მარჯანიშვილის პირველი და შემოქმედებითი ხასიათის ამოცნობის კვალობაზე მიაგნებდნენ უშანგიც და სხვა დაკვირვებული მსახიობების

ბიც, რომ რეჟისორი ხშირად სულაც განვებ იქცეოდა ასე, განვებ ასტეხდა ხოლმე აურზაურს გენერალურ რეპეტი-ციებზე, და ეს იმიტომ, რომ პრემიერისათვის არც არტის-ტები და არც დანარჩენი პერსონალი არ მოშვებულიყო და, ნაცვლად მოდუნებისა, დაჭიმული ნერვებით შეხვედროდ-ნენ პირველ წარმოდგენას, რათა ბოლომდე ამორქეულიყო.

— მე მირჩევნია ათას ზომიერს ერთი ანთებული სპექტაკლი.

იტყვით ერთხელ, იტყვით მეორედ და ამ ფრაზაში ჩასტევდა იმ მაგიურ ფორმულას, შემოქმედებითი მრნამსის გამოხატვა რომ შეუძლია... და მოისმენდნენ თუ არა ამ სიტყვებს, გენერალურ რეპეტიციათა მღლვარე ატმოს-ფეროს შინაარსსა და მიზანდასახულებასაც გახსნილენ.

რეჟისორის სულიც სულ სხვა რაკურსიდან გადაშუქდებოდა.

და რაც მთავარია, მოიარებითი რჩევაც გახლდათ ყველასთვის, ვისაც ყურნი ასხდა სმენად — ათას ზომიერს ერთი ანთებული როლი გერჩივნოთო.

უშანგის მაშინვე გულზე დაეჭირობოდა ეს სიტყვები, და არა როგორც თეორიული მინიდება, არამედ მისთვისაც სულიერად მახლობელი, თვითონ ფორმულაში რომ ვერ მოექცია, მაგრამ ახლა სრულყოფილად გაითავისებდა და ზედ თავის გულისთქმასაც დააშენებდა.

მგონი სავსებით დახვეწილი და საბოლოოდ გამენდილი ვერ უნდა იყოსო... .

„ცხვრის წყაროს“ პრემიერაზე კი სასწაული მოხდებოდა და 1922 წლის 25 ნოემბერი ნიშანსვეტად დაიდებოდა არამარტო ჩვენი სათავატრო, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაშიც.

— მის შემდეგ განა ცოტა დღესასწაული ჰქონია ქართულ თეატრს? ან მომავალში განა აღარ ექნება? მაგრამ ის დღე იყო უაღრესად თავისებური, ბედნიერი დღე ქართული თეატრისა. როდესაც ყველასაგან გამოტირებული, დაბერივებული, ილაჯგანყვეტილი და მეტისმეტად პროვინციალური ქართული თეატრი უცბად, ერთი დაკვრით, ერთ შევენიერ საღამოს გადაიქცა ძლიერ, სრულიად თავისებური და ორიგინალური სახის თანამედროვე და მონინავე თეატრად. ყველა ერთმანეთს ულოცავდა ქართული თეატრის მკვდრეთით აღდგომას.

ვის უფრო უხაროდა ის დღესასწაული — მაყურებელს თუ სპექტაკლის მონაწილეებს?

დაბეჯითებით ვერც ვერავინ გაარკვევდა.

თუმც სარკვევიც რა უნდა ყოფილიყო — ერთსულ და ერთხორც გარდაქმილიყო სცენა და პარტერი, და პარტერის ყიუწინა და მძლავრი შეძახილები სცენისაკენ ისე დაამახსოვრდებოდათ მსახიობებს, როგორც გამარჯვებული ჯარით სავსე ბანაკის აღტერება.

იოსებ გრიშაშვილი თვითონაც ვერ გაიგებდა, თუ როგორ აღმოჩნდებოდა სავარდებულზე შემდგარი ან სტრიქონთა ის ნაკადი როგორ დაიძვროდა, მშვენიერ ექსპრომტად რომ ჩამოიქნებოდა: გახეული დრამის ფარდა გაპერეთ და აგვირისტეთ და მე გიუჯად ვინ მომნათლავს, რომ მიგილოთ ახალ ქრისტე!.. შენმა ნიჭმა ჩვენს სცენაზე თვით ქვებიც კი ათა-მაშა, და მეც მეტი რაღა მეტქმის: ვაშა! ვაშა! ვაშა!

ტაშის გრიალსა და ოვაციში ამოცურდებოდა პაოლო იაშვილიც, ვინც ჩვეული მგზებარებით მიმართავდა კოტე

მარჯანიშვილსა და დასას, და როდესაც რეჟისორს მოუწოდებდა აქ სამუდამოდ დასარჩენად, ამ თხოვნასა თუ დავალდებულებაში ყველას გულისთქმა გამოეხვევიდა.

ახმაურდებოდნენ გაზეთები და კოტე მარჯანიშვილი, აღმტაც ეპითეტთა კასკადში, შეირაცხებოდა ქართული თეატრის ახალ მესიადაც.

ალექსანდრე სუმბათაშვილი კი, აი, ის, თავისი „ლალატით“ თავისივე დალატი რომ გამოესყიდა, ასე განაზოგადებდა ამ დადგმის მნიშვნელობას:

— იმ ერს, რომელსაც ასეთი ხელოვნება აქვს, რასაკვირველია, სასიცოცხლო ნიშანწყალი უხვად მოეპოვება.

თორემ სპექტაკლის ზომიერების გრძნობასა და შინაგან რიტმს რომ აღნიშნავდა და სხვა სპეციფიკურ დაკვირვებებსა და შეფასებებსაც გამოთქვამდა, ეს ხომ თავისითავად.

უშანგი ჩხეიძის ადგილი სად განსაზღვრულიყო სცენაზე?

ბერი არაფერი ადგილი რგებოდა — მოსამართლის სრულიად უმნიშვნელო როლს შესთავაზებდნენ და რეჟისორი მასზე არავთარ შრომას არ დახსარჯავდა. ეგაა, რეპეტიციებზე ძალზე სწრაფად მოხვდებოდა პიესის საერთო რიტმში და ისიც ისეთივე ექსპრესიოთ ითამაშებდა, როგორც მნიშვნელოვან (თვითონ ამ სიტყვას ამჯობინებდა: ბასუხისმგებელ) როლთა შემსრულებელი.

— მე გადამედვ პიესის საერთო ტონი, მე ის შეუგნებლად, ინტუიციით ავითვისე.

პატარა უკამაყოფილებას რომ განიცდიდა?

ასეა ყველა ის მსახიობი, ვინც საკუთარ არსებაში გრძნობს მეტ სცენურ შესაძლებლობებს და, საკუთარი თავისადმი საკმაოდ კრიტიკული და მომთხოვნი, გრძნობს არანაკლებ ძალას, ვიდრე სხვები ამჟღავნებენ.

თითქოს აგერ, ზოგიერთი მისა კოლეგა ვერ ერევა როლს, უშანგის კი მისი ხორცშესმა გაცილებით უკეთ შეუძლია და... აბა, როგორ არ განაწყენდეს!.. თავისთვის, გულში, ხომ არავის არაფერსა სთხოვს.

ხანი რომ გამოხდებოდა, უშანგი, თავისი დიდების მნვერვალიდან, სულ სხვაგარად გაიაზრებდა პატარა როლების მნიშვნელობას ახალგაზრდა მსახიობისათვის... და, თუმც რჩევა-დარიგებას, მენტორულ ტონს გაურბის, მაინც არ შეუძლია არ გაუზიაროს ახალუხლებს სულსწრაფობის მანკიერება, არიქა და მალე გავხდეთ გამოჩენილი აქტიორებით: რომ იცოდეთ, თუ რა შედეგი მოსდევს უძრონდ დიდი როლების თამაშს, მაშინ, რასაკვირველია, ეცდებოდით დიდხანს შეჩერებულიყავით პატარა ეპიზოდურ როლებზე, რათა მომაგრებული, წელგამართული, სცენური ტექნიკით შეიარაღებული შეხვედროდით დიდი და პასუხსავები ტვირთის დაძლევასო.

მომდევნო სპექტაკლში, ზურაბ ანტონოვის პიესის „მზის დაბენელება საქართველოში“, მიხედვით რომ დაიდგმიდა, რეჟისორი, ამდენ ხანს თავის სამშობლოს მოშორებული, მართლაც იშვიათი სიმარტილითა და მხატვრული ზომიერებით აღადგენდა ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების ყოველ წვრილმანსა და სინამდვილეს.

ამ სპექტაკლის პირველი დადგმისას უშანგის ერგებოდა მახარებლის როლი, სულ რამდენიმე სიტყვა რომ პეტრ და ნარმოსათქმელი უკანასკნელ მოქმედებაში, მეორე მოქმედებაში კი მასობრივი მასა მართავდა პარტავით ამჯობინებდა ეთევა: სალიანგი სცენებში მონაწილეობდა.

— მუშაობა, რასაკვირველია, არაფერი არ გამიწევია ამ როლზედ და არც არაფერი იყო სამუშაო.

არც ოსეარ უაილდის „სალომეას“ დადგმისას გაანებივ-რებდნენ — პირველი ჯარისკაცის პატარა როლი შეხვდებოდა, და მიუხედავად მისი უმნიშვნელობისა, მაინც სია-მოვნებით შეასრულებდა. ეგაა, მთელი პიესის გაანავლობაში სცენაზე მდგარი, ახლოდან დაკვირვების წყალობით უფრო ადვილად შეამჩნევდა აქტიორთა არაბუნებრივსა და ყალბ თამაშს, და ჩახვდებოდა კიდეც სპექტაკლის წარუმატებლობის მიზეზებს, უმთავრესს კი იმას, რომ არ ყოფილა სწორად გაგებული და გახსნილი მოქმედ პირთა ცალკუ-ლი სახეები, ამიტომაც მსახიობები იქნებოდნენ ზედმეტად დაჭიმული, ყოველგვარ სისადავეს მოკლებული და მათი თამაშიც ვერ გასცალდებოდა ყალბ პათოსს.

ონბაზობას არც მასთან შეეშვებოდაო...

თორემ აბა, ის რა იყო:

1924-25 წლების სეზონის მიწურულს „მზის დაბნელებას“ კიდევ ერთხელ რომ ითამაშებდნენ, უშანების, თავადის როლის შემსრულებელს, მეორე მოქმედებაში სალაპარაკო არაფერი ჰქონდა — იჯდებოდა სცენის მესამე პლანზე სხვა თავადთან ერთად, მაყურებლის მხედველობიდან საგრძნობლად მოშორებული, ნინ ედგმებოდათ მაგიდა, დამჭერა-რი მწვანილი რომ ეყარა და ღვინით სავსე ხელადითაც დამ-შვენებულიყო. უსაქმოდ ჯდომა მოსწინდებოდა და... გა-სართობსაც გამორახავდა. რეჟისორის ხელის სიმტკიცე და დისკიპრინია მასაც ეგრძნო, მაგრამ შეჩერეულისათვის გა-დაჩვევა რაკიდა ყოველთვის გაძნელებულა, უშანებიც პირში ჩაიგუბდა წყალს, და მასობრივი სცენის მონაწილე მსახი-ობი რომ წინ დაუდგებოდა ფილის შესასმელად, ეს... დაგუ-ბებულ წყალ-დვინოს მოულოდნელად სახეში შეასხამდა.

ახალგაზრდა ლანძღა-გინებით გავარდებოდა, ხოლო ახლო მდგომნი სიცილს დააყრიდნენ.

რა სახალისოა, არა!..

თვითონ კი ძალზე ემაყოფილი დარჩებოდა და თავს მხოლოდ იმისთვის შეუწყრებოდა, აქამდე რატომ არ მომა-ფიქრდაო. ეგაა, მოქმედების დასრულების შემდეგ გრიმს რომ მოიხსნიდა და წასვლას დააპირებდა, რეჟისორის თა-ნაშემნე გამოეცხადებოდა: კოტე გიბარებსო!..

ვაი შენს უშანების!..

შეწუბდებოდა და რას შეწუბდებოდა, ახლა კი გვარია-ნად გამომდლანდავსო.

სარეჟისორო ოთახში არ დახვდებოდა და ქალების სა-პირფარეშოს კარის შეღება მოუწევდა. შევიდოდა და მოწი-ნებით და დარცხვენილი აეყუდებოდა იქვე.

იმას... სრულიად არ ეტყობა გაჯავრება.

ეს ცოტა თავისუფლად ამოისუნობებადა — საყვედუ-რით, მსუბუქი გაკიცხვით გადავრჩებით.

ის... სკამს გაუწევდის.

მოიკითხავს.

მცირე პაზარა და... მეხის გავარდნა ისე არ დაუუბებდა ყურებს და არ გამოალენჩებდა, როგორც ეს სიტყვები:

— მე შენ ძალიან სერიოზული და დიდი საქმისათვის დაგიძახე, და თვალები ეშმაკურად აუციმციმდებოდა, — პამლეტი უნდა ითამაშო.

ეს გაბრუებული დგას.

როგორ ალექსა რეჟისორის წათევაში — სერიოზუ-ლად თუ ხუმრობად? ერთაშად ათასი ფიქრი გაურბენს

გონებაში, მიჩერებით კი რაღაც გაურკეველი ღიმილით მისჩერებია.

— ჰა! რას ფიქრობ, რას იტყვი? — ისევ რეჟისორმა უნ-და დაარღვიოს სიჩუმე.

— ხუმრობთ ალბათ, ბატონო კოტე, — უშანგის კილო-ში წყენა უფრო შემჩნეოდა, ვიდრე სიხარული, ასეთიც გა-ნა რა დავაძავე, ასე რომ ამიგდოო.

— კი არ ვხუმრობ, ნამდვილად გეუბნები, — რეჟისო-რის სახე მაშინვე დასერიოზულდებოდა.

ეს მხრებს აიჩეჩავდა: სადაური ჰამლეტი ვარო.

გუნებაში რომ დაედარებოდა, ისეთ უცხობას იგრძ-ნობდა, გამორიდებოდა კი არა, ლამის მთლად სირბილით გამოცლოდა ამ ტრაგიკულ გმირს; თავისოვის რომ ოცნე-ბობდა მთავარ როლებზე და წარმოსახვაში კიდეც ირგებ-და თვითეულის სამოსს, ოტელოსაკენ უფრო მიუწევდა გუ-ლი, ჰამლეტი კი იმთავითვე ამოეგდონ ნანატრ როლთაგან იმ უმთავრესი მიზეზით, რომ გარეგნობით, როგორც თვი-თონ ეგონა, სრულიად განსხვავდებოდა დანიელი პრინცი-საგან. ასეც განუცხადებდა რეჟისორს: ჯერ ერთი, მოუხე-შავი ვარ, მეორეც, ჩემი გარეგნობის პატრონმა როგორ ვი-თამაშო კეთილშობილი ადამიანის როლიო.

ის ამ შეფიქრიანებას ერთბაშად გაუქარწყლებდა:

— შენი გარეგნობა ჩემი საქმეა და არა შენი. ჰამლეტი შენ ალბათ წარმოგიდეგნია სუფთად დავარცხნილი კულუ-ლებიანი პარიკით, თავზე ლენტგაკურული, შეპუდრულსაზა-ნი და მანედილი თვალებითა და წაზი რხევით მოისარულე?

მოგვიანებით გამოტყდებოდა: მთლად ასეც არა, მაგ-რამ დაახლოებით მართლაც ამგვარად წარმომედეგინა და-ნიის პრინცი, გარეგნულადაც და სულიერი ბუნებითაც სა-თუთ პიროვნებადო.

კი მაგრამ, თავისი განვრთნილი და მოქნილი სხეული?

უხეში და, ამდენად, შეუფერებელი მოეჩვენებოდა ჰამ-ლეტის სახის გასახსნელად.

საგულისხმოა, რომ ამ პიესაში მანამდეც ეთამაშა, ლა-დო მესხიშვილის დადგმაში, ოღონდ ველარ გაეხსენებინა, გილდენსტერნის როლი თუ როზენკრაცისა. სპექტაკლი-დან კი სხვა არაფერი ჩარჩენოდა ხსოვნაში, გარდა ერთა-დერთი სურათისა — ჰამლეტი პოლონიუსს რომ ჰკლავდა.

და ახლა...

და იმ ყოვლად უმნიშვნელო როლების შემდგომ ამ ახა-ლი რეჟისორის ხელში...

რა იყო მაინც, როგორ ამოიცნო იმ პატარა როლებში უშანგის ჩემიძინის ტალანტი, რომელიც თავისითავიდი მადლის გარდა კოტე მარჯანიშვილისათვის გახლდათ ბედნიერი აღმოჩენა, რადგანაც უკვე შეეძლო თავისი თეატრი ამ მსა-ხიობის ირგვლივ აეგო, მთავარი ძარღვი, ბურჯი თუ შეკ-რავდა იმ კომპოზიციურ მთლიანობას, იმ ჰარმონიას, წარ-მოსახვაში როგორც ესახებოდა საკუთარი თეატრი და... აგერ მასოვეისა ერთ-ერთი წევრი, ცოტა თავაშვებული, თინბაზი ბიჭი, რომელზეც პირველ რიგში ალბათ იმას გაი-ფიქრებდა: მგონი გასაშვებია აქედან, მაგისგან მაინც არა-ფერი გამოვა. ეგაა, უკვე გასასტუმრებინა თუ ცოტა კიდევ ეცლია, ვიდრე ნამეტანს იზამდა ეს ახალგაზრდა კაცი, რა-თა რეჟისორს სრულიად დამშვიდებული სინდისით მიებრ-ანებინა სპექტაკლიდანაც და სცენიდანაც.

და აქ უნდა განათებოდა გონება რაღაც უჩვეულო სი-კაშკაშით.

მისი ღრმადმნევდომი მზერა რაღაც დეტალს უნდა მიეზიდა უშანების არსებაში, რაღაცას უნდა მიეცვედრებინა, მოუხეშავი, გაურანდავი, მაგრამ ძვირფასი მასალა შენს წინ და, თუ უნარი შეგნევს, შესაფერისი გზაც გაუხსენიო.

ზუსტად იმ რეალობის წინაშე წარმდგარიყო, მიქელანჯელო თუ როდენი ლოდებს რომ შეჰქურებდნენ და, ნაცვლად მათი გარეგნული იერისა, დიდებულ ქანდაკებებს ჭრეტდნენ მათ გულისგულში.

ასეთი „ლოდი“ აღმართულიყო კოტე მარჯანიშვილის წინაშეც.

რეჟისორის მზერას საიდანლაც შეეღწია მის სულში.

და გუმანიც დაუდასტურებდა თვალის ნაკარნახევს, მტკიცედ დაუბეჯითებდა, ნელ-ნელა ნუ მოინდომებ ამ აქტიორის წანევას სრულიად უმნიშვნელო როლებიდან შედარებით და შედარებით მნიშვნელოვანი როლებისაკენ, აქ ერთი აკვრა სჯობს, ერთაში ამაღლება მთავარ როლამდე, და თანაც რომელილაც დრამატურგის რომელილაც პიესის მთავარი პერსონაჟის გამოსახველობამდე კი არა, მსოფლიო ხელოვანის საუკეთსო ქმნილების იმ გმირამდე, თვით შექსპირის სულშიც რომ გვახებდა და არამცთუ რენესანსის ეპოქის, არამედ ისე განვითარებოდა, ადამიანის სიმოლომდე აიზიდებოდა, საკაცობრიო ტკივილებასაც მოიცავდა და შემწედ მოგვევლინებოდა საუკუნიდან საუკუნეში.

რისკი და ასეთი?

რეჟისორს სულაც არ მიაჩნდა, რომ რაიმეს რისკავდა, ეგაა, „ლოდისათვის“ ზედმეტობანი უნდა ჩამოეშორებინა და წარმატებით დაწყებული შექმნა ახალი ქართული თეატრისა მეტი ძალმოსილებით გაეკრძელებინა.

რომ იცოდეთ რას სჩადისო, — ამცნობდნენ სასწრაფოდ, უშანების სცენა სამასხარაო რომ გადაექცია, და თანაშემწე რომ მიაკითხავდა, მარჯანიშვილი გიბარებსო, გულში ალბათ ფიქრობდა: მე რა გიშველო, შენს თავს დააბრადლო.

...გაბრუებული მიეშურებოდა შინისაკენ უშანები, ფიქრაზენწლი: ძალზე ნაადრევი ხომ არაა ჩემთვის ჰამლეტი, ეს ხომ მწვერვალია, კულმინაციური წერტილია აქტიორული შემოქმედებისათვის და ჰამლეტით დაწყება მსახიობისა უცნაურობაა და სხვა არაფერით... და კიდევ გაელიმებოდა გუნებაში: რა მიკირს, კოტე ხომ სწორედაც უცნაური ადამიანია და მეც უცნაურად მომექცაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ქორს რას ვერჩით?!

„ჩვენი მწერლობის“ წლევანდელი 20 აპრილის ნომერში (8) „ესეისატიკის“ რუბრიკით, გამოქვეყნდა დიდი ფრანგი პროზაიკოსის გუსტავ ფლობერის წერილი „ეტიუდი რაბლეზე“.

მთარგმნელი ბრძანდება ბ-ნი გურამ გოგიაშვილი, ვინაც ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ფრანსუა რაბლეს რომანის დიდად გახმაურებული თარგმანით. მეითხველისათვის ნამდვილად საგულისსმოა არჩეული თემის, სტილისტიკის, საერთო ენობრივი მრნამსის ის ერთგულება, რომელსაც გოგიაშვილი წლების მანძილზე იჩენს. ეს ლიტერატურული მოლოდნი და ცნობისწადილი ამ ახალ ნაშრომსაც ახლავს, რომ ფლობერის XIX საუკუნის 30-იანი წლების წერილი საკმაოდ ცხოვლად მოგვაგონებს ჩვენი ახალი ათასწლეულის ადამიანების, ხალხების სულიერ განხნებილებას, ტკიფილებს. ციტაციით აღარ გადავტვირთავ უურნალს. ვისაც უკვე წაუკითხავს, თვითვე მოაგონდება, ვთქვათ, 31-ე გვერდის შუა მონაკვეთი („მიმოიხედეთ ირგვლივ: სადა ხართ? მწერებია ეს თუ ალიოზი? ქრისტიანობა უკვე აღარა გაქვთ. მაშ რა გაქვთ? რა და, რკინიგზები, ფარიკები... და ა.შ.), ვიდრე ესეის დასასრულამდე.

და ეს მონაკვეთიც, ცხადია, ქართულად გადმოცემულია მთარგმნელისათვის ჩვეული სიმძაცრით, სიმახვილით.

შეიძლება მთარგმნელის საერთო სტილს, ენობრივ პოზიციას ყველა განზომილებაში არ ეთანხმებოდეს ამ პრობლემატიკით დაინტერესებული მავანი ლიტერატორი თუ ენათმეცნიერი, მაგრამ ეს სხვა თემაა, მე კი, პირადად, ამჯერად ერთი შენიშვინის უფლებას მივცემ თავს. საქმე ეხება მთარგმნელისეულ სიტყვათშემოქმედებით პროცესში უკვე არსებული სიტყვიერი (ფრაზეოლოგიური) მასალის მიმართ ერთგვარ „თვითნებურ“ დამოკიდებულებას. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: მოვიყვან წინადაღების ნაწყვეტს: „...რამეთუ რომანის გმირნი მუცელალორებულაქორებული არიან...“ არადა, ქართულ ფრაზეოლოგიას თუ ყურს ვათხოვებთ, „მუცელალორებული“ და „მუცელაქორებული“ დაპირისპირებული ცნებები უნდა იყოს. მოვიგონოთ ქართული ანდაზა: „მუცელს აღორებ — ღორია, აქორებ — ქორია“. ჩემი აზრით, მთარგმნელს სწორედ ამ ანდაზაზე დაყრდნობით შეუქმნია ერთიანი, უარყოფითი შინაარსის შემცველი კომპოზიტი — „მუცელალორებულაქორებულნ(ნი)“, რომელიც ღორმუცელობას, მუცელალორების გამოხატავს (განვაგრძობ მრავალნერტილით შეწყვეტილ წინადაღებას: „...იმდენსა ყბორავენ, ღმურნდავენ და ქანქლავენ, რომ ქვეყანაზედ სიყმილი ჩამოვარდება“). მომიტევეთ და ერთხელაც გავიმეორებ, „მუცელის აქორება“, „მუცელის აღორების“ ანტიპოდი უნდა იყოს, სწორედ ნაყროვანების გამციცხველი, და მასთან დამაპირისპირებელი; თითქოს ხალხური პატივის ქორ-შავარდნებსაც მოუხმობს თავისა ანტილორული სულისკვეთების განსამტკიცებლად. „კაცია-ადამიანის“ ცბიერი (და დეტექტივი) მკითხავი დედაბერიც მოვიგონოთ: „ — ძერას პკითხეს: შვილები გირჩენია, თუ ორი თვეს წყალუსმელობაო. — წყლის უსმელობაო. ჯორსა პკითხეს, — შენ რალა? — უშვილობაო...“

ძერაც ქორისებრთა ოჯახის ფრინველია. რას ერჩის ბ-ნი გურამი ცხოველთა და აგრეთვე, კაცთა ბუნების ღრმა ცოდნაზე დაფუძნებული, არაა გამორიცხულ უძველეს ხალხთა და კულტურათა მითოსური წარმოდგენებიდანაც მომდინარე, ერთგვარად ცხოვერების წესის (Modus vivendi) გამომხატველი ამ მშვენიერი ანდაზის მეტაფორულ გმირს, რატომ გაიმეტა თავისი სიტყვათშენების ინერტულ მასალად ნამდვილად ხალხური მარგალიტი! ჩემთვის გასაგებია, რომ მათ ღორმის ღორმობას ქორის მტაცებლება, აგრესიულობა შეუწყველეს (გავიხსენოთ საბას იხვსა და კაკაბზე ერთხელობად მონადირე ქორის არაკი), მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხური მონადირე ხედვა, გაგება ასეთ შეჯვარებას უნდა ენინაალმდეგებოდეს.

ცოდარ ეპრალიდა

დაიპარა 1934 წელს ხევსურეთის სოფელ ხახაბოში. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა მართვის სისტემების ინსტიტუტში, თბილისის ელექტრონიკულ პრინციპები. ამჟამად პრენისონერია. ეს ამბები ჩანარილია მოხუცი ხევსურებისაგან ბავშვობაში — დაახლოებით 1944 ან 1945 წელს და ახალგაზრდობაში — 1952 წელს.

## გიორგი ხახიაური

# ମନ୍ଦିର ଆଶ୍ରମ

ჩვენი ოჯახი პირიქითი ხევსურეთის სოფელ ხახაძოდან 1940 წელს საცხოვრებლად თანეთის რაიონის სოფელ ევფენ-ტში გადმოსახლდა. სოფლის დაბლა ჭალაში, სადც პატარა მდინარე ჩამოდიოდა, ცხოვრობდნენ ჩვენზე გაცილებით ად-რე ჩამოსახლებული ხევსურები, გვარად შეითვაკაურები.

კარგად მასხოვეს, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ხალხი სა-  
მამულო ომზე და მის მიმდინარეობაზე ყოველდღიურად ლა-  
პარაკობდა. მე ვიქენებოდი 10-11 წლისა... ერთხელ, როდესაც  
სოფლის ახლოს მინდორში ბავშვები ვთამაშობდით, ჭალაში  
მცხოვრები შეთევკაურების პაპამ, რომელსაც ტუჩი ერქვა,  
ცხვრები ამორევა საძოვრად. ტუჩი პაპა მაშინ ძალიან მოხუ-  
ცებული იყო. თეთრი თმა-წვერი ჰქონდა და გადმობრუნებუ-  
ლი (ჩამობლევილი, როგორც ხევსურები იტყოდნენ) ჩანით-  
ლებული თვალის ქუთუთიერებათ. იქვე ჩამოჯდა. შემოდგომა  
იყო, სათიბი გათბობული და ყანები მომკილი. როდესაც ძმებ-  
ძმებით ცხვრები შორს წვიდნენ, დაგვიძახა: ბალღებო, ნა-  
დით ის ცხვრები მომბორუნეთ და ზღაპრებს მოგიყებითო.  
ეტყობოდა, მხედველობაც დაქვეითებული ჰქონდა და სიარუ-  
ლიკ უჭირდა.

ჩევენ, რა თქმა უნდა, ზღლაპრებიც რომ არ მოეყოლა, ისეც მოკურეებავდით ცხვრებს... როდესაც ცხვრები მოკურეეკეთ, გვთხოვა ახლოს დამტკიცდარიყავით. ისიც მოგვიყვა რამდენიმე ზღლაპარს და ასე დამთავრდა ის დღე. ასე კრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ჩევენ თხოვნაც აღარ გვჭირდებოდა, როდესაც ცხვრები შორს წავიდოდნენ, უთქმელად მოკურეებავდით, ახლოს მივუსხდებოდით ტუჩი პაპას და ვუსმენდით მის მიერ მოყოლილ ზღლაპრებს.

ერთხელაც, ეტყობა ზღაპრები შემოელია, როგორც იტყვიან, ზღაპრების გუდა დაუკარისტლდა, თანაც დიდი დაინტერესება ნახა ჩვენი მხრიდან და მაშინ მოგვიყვა ვაჟა-ფშაველასთან ერთი შეხვედრის შესახებ.

არც ერთი მისი მოყოლეობი ზღაპარი აღარ შემორჩა ჩემს სსოვნას, გარდა ვაჟა-ფშაველაზე მოყოლეობი ამბისა, ალბათ, იმიტომ რომ, სკოლიდან ვიცოდი, ის დიდი მწერალი იყო. გვას-ნავლიდნენ მის ლექსებს და მოთხრობებს და მეორეც, ჩვენს ოჯახში ხშირად, განსაკუთრებით სტუმრიანობის დროს, ახსე-ნებდნენ ვაჟა-ფშაველას და ამბიბდნენ მის ლექსებს.

გარდა აღნიშნულისა, დედაქემსაც უთქვამს: მამაქემი და კაუზა-ფშაველა ძმობილები იყვნენ.

ცხადია, პირიქით და პირაქეთ ხევსურეთში. ხევსურული რჯულის, ანდრეზების, ხალხური ზეპირისიტყვიერების კარგ მცოდნება და სტუმართმოყვარეობით განთქმულ პიროვნებას, ხახაბორელ ლეკი მინდიკაურს (ტურათ ლეკოს) ვაჟა-ფშაველა გვერდს არ აკლიდა.

ტურქი პაპა კი სემილეგა ამბავს მოგვიყენა: მე და ჩემი ბიძაშვილი სოფელ ზენამხარში წავედით მოსაკითხით. მანამდე, წასვლის წინ, პატრი ვაჭამო, არაყი დავლილთ და კარგ ხსიათზე გა-

ევგებაზარეთ ცხენებით. თიანეთის ბოლოში რომ მივედით, უკვე ისე იყო შეპინდებული, რომ, თუ შემხვედრ ადამიანს კარგად არ დააკირდებოდა, ვერ იცნობდი. ამ დროს თიანეთიდან ერთნასკენ მიმავალი ორი ცხენოსანი შემოგვხვდა. ისინი მოგვესალმწენ, მე გამარჯვებაზე გამარჯვებით ვუპასუხე, ჩემმა ბიძაშვილმა კი შეაგინა. ორივენი შეჩერდნენ, ერთი ჩამოვიდა ცხენიდან, მეორე არ ჩამოსულა. რომელიც ჩამოვიდა, იმან დაგვიძახა, გაჩერდითო და რომ მოვიდა ჩვენთან, რომელმა შეიგინეთო, გვკითხა. ჩემმა ბიძაშვილმა უთხრა: მე შეგაგინეთო და კიდევ შეაგინა, ეს კაცი მივიდა ჩემ ბიძაშვილთან, მოჰკიდა ხელი და ცხენიდან ძირს ჩამოაგდო. ჩემი ბიძაშვილი უცემ წამოხტა და მივარდა, მაგრამ ამ კაცმა ისე დაარტყა, რომ წაიქცა და წილიც მიაყოლა. ამასობაში მეც გადმოგხტი ცხენიდან და სანამ დამარტყამდა, ხელდახელ შავიყარენით (დავიხიორხლენით). ცოტა ხანს კი გავუძღლი, მაგრამ წამომილო და დაბლა დამცა. ამ დროს დავინახე, რომ ჩემი ბიძაშვილიც წამოდგა, ხანჯარი იშიშვლა და წამოვიდა დასაკრავად. ამ კაცმა მე თავი დამანება, მიუბრუნდა, მალო აქეულ ხანჯრიან ხელში სწვდა, გადაუძღლუჭა (გადაუგრიხა) ხელი, ხანჯალი ხელიდან გააგდებინა და ისეთი დაჟკრა, რომ მივხვდი, დიდხანს ველარ ადგებოდა.

ამასობაში მეც მოვასწარი წამოდგომა და ხელახლა წელში  
ვეცი, რომ როგორმე წამეცია, მაგრამ ვერ შევძლი და ისევ  
იმან ამომიღო ფეხებქვეშ, გამნარებულმა ისე შამანუს ცემით,  
რომ ვუთხარ: კარგივ; გეყოფავ, ან მამალივ; ან თავ დღმანებევ.  
ეს რომ ვუთხარ, უკიბ გაჩირდ და მკითხ:

— ՀԵՅՆ, ՔԵՐ ՔԻՂԻՇԽԱՆ ԵՐԵՎԱՆ ԿՐՈՎ ՎՐԱՐՈՅ?

— ମେ କି ପାରିବ ତୁମିରେ ଏହା ଶୁଣ ରଖିବାକୁ ବାରିବାକୁ?

აი, ასე მიტყობა ვაჟა-ფშაველად ორი ხევსური, ორივე შეთეკაური. ერთი იყო ტუჩი შეთეკაური და მეორე მისი ბიძაშვილი, რომლის სახელიც არ მასხვილი\* მეორე მოგონებაც, რომელიც ასევე ვაჟა-ფშაველას უკავშირდება 1952 წელს, ხევსურეთიდან მომავლებს თიანეთის რაიონის სოფელ ძირხვნიანში (ევფუნტობა ახლოს იყო ეს სოფელი, ახლა ნასოფლარია) მცხოვრებმა, სოფელ მიცუდან ჩამოსახლებულმა მოხუცებულმა, თათო დაიაურმა გვიამბო: ახალგაზრდობაში ერთი ღმევ გაატარა ჩვენთან, ვაჟა-ფშაველამ; სალამოთი კარგად დავლიერ და დილით სანამ ადგებოდა ლოგინიდან ნაიკაფიავაო: „გუშინლამ ნაქეიფარი მთის ქორი გახდა ავადა, არ მინდა ექიმ-ნამალი რომ დამახვილონ ჯარადა, გადავპკრავ ერთ-ორ არაყსა გამოვკეთდები თავადა“.

\* ტურქის ერთ-ერთი შეილთაშვილი — გენადი შეთეკაური დღე-საც იქ (ჩხოვარბეს).

# ერთი მცირებული როი ნორმები

ნანა კუცია

## შამის ეტაზორია

(ზვიად კვარაცხელია,  
„ხარი ხანისთვის“)

ზვიად კვარაცხელიას ნოველას „ხარი ხანისთვის“ („ჩვენი მწერლობა“ №25, 2010) რედაქციის სარულიად ამომწურავი წინასიტყვაობა (უფრო — ტექსტის ლაკონიური, დახვეწილი ანალიზი) უძღვის:

„ხარი წიქარად იცნობს ჩვენი ზღაპრული ეპოსი, გერგეტის სამების ისტორია — ლაბად, მნექმს თევდორესთან ერთად რომ აღმართავდა ასეთ მხელადმისას სვლელ ადგილას ტაძარს, შვინდად — შიო არაგვისპირელის ნოველის-ტიკა.“

„ჩემი შვინდავ!“ — ჩვენს ბაგშვილასაც ყმანვილის ეს გულისშემძრელი შეძახილი მოსდევდა, მწერლის ხელოვნებას ბიჭისა და ხარის მეგობრობის ასეთ მგზნებარე საგალობლად რომ ეციდა.

„ნიქარას“ სახელი ხშირად მოვცესმის ჩვენი ლიტერატურიდან, „ლაბაც“ გახმაინდა ერთი-ორჯერ, „შვინდა“ კი მარტოდენ იმ ნოველის ბინადრად რჩებოდა.

და აი, ზვიად კვარაცხელია სწორედ ამ სახელით შემოიყვანს ხარს თავის ნოველაში „ხარი ხანისთვის“, რომელიც წარმატებით დაწყებული ციკლის კიდევ ერთ ჩინებულ ნიმუშად წარმოგვიდგება, რაკი მნერალი ახერხებს, შეინარჩუნოს მიუკერძობლობა და ასერიგად მღელვარე ამბები ისე გადმოსცეს, მკითხველზე სურათებმა იმოქმედონა და არა პუბლიცისტურმა კომენტარებმა, რაც ერთბაშად დააკინებდა და გააუჯასურებდა დიდ ტკიფილებს.

შიო არაგვისპირელის გმირის სიხარული ხარის პოვნით იცვლება ზვიად კვარაცხელიას პერსონაჟის ნუხილით, ასე საყვარელი ხარი მრბეველთა ნერა რომ უნდა შეიქნეს. და ეს კონტრასტი — სახელის ასოციაციით გამჭვირვალედ მინიშნებული ნოველაში — ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ მცირე თხზულების მხატვრულ მრნამს — როგორ შეიძლება გაქრეს ის, რაც ტრადიციის გამძლეობის სიმბოლოდაც კი გესახება, თუკი არ დაიცავ და თავადვე გაზირაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად. რაღაც ძარღვი ისე შეიძლება ჩანყდეს, ვეღარაფერმა გაამრთელოს (ხაზი ჩვენია — 6. კ.).

დიახ, მაინცდამაინც შვინდა — ახალგაზრდა კაცის გადაძახილი საუკუნის წინათ თავის დიდ წინამორბედთან“.

(სხვა „დიდი წინამორბედნიც“ მოგვაგონდება, ხარის საკრალური დვრიტის მგზნები: ნოდარ დუმბაძე („კორიდა“), შოთა წიშნიანიძე („ხარი“), გოდერძი ჩოხელი („ხარავანი“), ოთარ ჩხეიძე („ზღაპარი“)...)

წინასიტყვაობაში, თუ ლაკონიურ რეზიუმეში, მხატვრული ტექსტისაგან განსხვავებით, პუბლიცისტის კანონთა შესაბამისად, ფრჩხილები გახსნილია — მრბეველს „მრბეველი“ ჰქვია, მსხვერპლს — „მსხვერპლი“, საკუთარი ტყავის გადამრჩენს — „საკუთარი ტყავის გადამრჩენი“ — ის, რაც ბელეტრისტულ ტექსტში „ასოციაციით გამჭვირვალედა მინიშნებული“, პუბლიცისტურში განმარტებულია („ყურნი გულისა განკმარტენით სმენად“).

ხარი იქნებ საბაბია იმ სირცხვილის, ტკიფილის გასახსენებლად, სიყრმიდან რომ გაუცნობიერებული შემის მაჯლაჯუნად ასდევენბია ნოველის პერსონაჟს (თხრობის პირველი პირიც საცნაურია. ტრაგიფარსმი ყველანი ვმონანილეობდით — ზოგნი „ხანებად“, ზოგნი — „ხანთა“ მფრთხოალ მრევლად, „ხანთა“ „ხანობის“ განმაპირობებლებად).

უნინიდურებას შეწირული სინინდის ტრაგიკულ სვეზე ჰყვება ლირიკული გმირი, ყრმობის საზარ ხილვებს იმსთავის თუ გამოხმობს ხსოვნიდან, სიყრმის ტკიფილის არსი და დვრიტა უკვე წლებმომატებულმა (თუმც — ჯერაც სარულიად ახალგაზრდამ) გაიცნობიეროს, მტანჯველი ფიქრით განინმინდოს („არც რა საჩქაროა, არც რა საგვანო დალოცვილ წუთისოფელში... ფიქრია წუთისოფელი და, როდესაც ფიქრობ, მაშინდა ცოცხლობ“ (ოთარჩხეიძე, ზღაპარი).

ფიქრმა პასუხი უნდა აპოვნინოს, მაშინდელი (ოდინდელი) შიშის არსი შორიდან (დროის მანძილიდან) გააცნობიერებინოს (შიშისა — კაცთა მოდგმის ყველაზე დაი ჯალათის — მაკა ჯოხაძე).

ვინ ვინ იყო იმ საზარ უამს, „დიდი განევ-გამონევა რომ შეიქნა და ტანები დაიძრნენ დასავლეთისკენ“, უამს, „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი“ შორიდან რომ დირიქორობდნენ მარადიულ „ქართლის ჭირს“, ქართულ სოფლებს ქართველებსვე არბევინებდნენ როგორც ოდითგან, როგორც ყველთვის!

მავანი აკვედებოდნენ მარბილო, მავანი — პერსონაჟის მამასავით „ბრძენი კაცის ჩაღიმილებით“ („არც ისე გამოვჭრებულვარ, ზედ შევაკვდე იმათ ტანებებსო“) ისტუმრებდნენ, მეფურ სუფრას გაუშლიდნენ „ელარჯით, სურნელვანი გებულიათი, ქორფა ყველით გამოტიქნული ხაჭაპურებით“...

მაგრამ მთავარი „კერძი“ ხარია — მრბეველთათვის მირთმეული შვინდა, კრემისფერ თეფშებზე ხორცის ნაჭრებად დალაგებული.

ალბათ, დიდი დრო და მრავალი წყალი ჩაივლის, ვიდრე მამის კოლაბორაციონისტულ „სიბრძნეს“ თავის სახელს დაარქებულებს ყმანვილეაცი, ჯერ კი (ჯერაც!) გამჭვირვალე ტექსტის ფინალში მაინც გამართლებას უძებნიდეს თითქოს მშობლის ქმედებას (მამა და არ ემეტება ლაჩრიბისათვის, ქედისმოხრისათვის): „სხვებმა ვერ ივარგეს, ქცევაში შეეშალათ, ჩვენ დაგვინებეს ლანძლვა — ჩვენი მტერი და დამაქცევარი შეიფარაო, არადა, რომ გაეგოთ, იმ კაცმა, „ყველაზე განათლებული და სიტყვიანი რომელიც იყო“ („ყველაზე განათლებული და ყველაზე

ტუტუციო”, იტყოდა ნიკო ლორთქიფანიძე — ნ. კ.) მამარემს რა დაუბარა, ალბათ, ჭურულების შეიძლებოდნენ: აქაურობას უნდა მიხედო თავიდან ბოლომდე, ჯერ სადა ხარ, ათასი წურბელა და ვიგინდარა გამოჩნდება კიდევ, ხელში იარალი უნდა გეჭიროს და სქელ შუბლს უხვრეტდე დაუნანებლად, ჩემგან მხარდაჭერა არ მოგაკლდება.

მომხდარს იაზრებს პერსონაჟი და, თუმც „გააზრება უკვე ინტერპრეტაცია“ (მიხეილ ანთაძე), მონათხრობი ინტერპრეტაციის როდი, სრული ობიექტურობის მტანჯველი ხიბლით აღიბეჭდება.

ქედდაღრუებილი ქართველის საზარი დიალოგი უამიერ აღლაღებულ ქართველ „ხანთან“ უახლესი ისტორიის შემაძრნუნებელი სტენოგრამა.

ამ ლაკონიური, დამზაფრავი დიალოგის (უფრო „ხანის“ მონოლოგი რომ ეთქმის) გახსენება-გაცნობიერებისას ხარიც წამოელანდება მთხრობელს — გადამრჩენი ვიზიონი, წმინდა ხილვა, უწმინდურების მოგონებებს ამოყოლილ — თვითმკმარი ხარი ნაკლულ, არშემდგარ ხანს უნდა შეენიროს, იარალით გადიდგულებულმა კაცუნამ რომ უამიერ მაინც დაიკმაყოფილოს მდაბალი უინი, სისხლიანი ვნება, შიში თესოს და დამფრთხალნი იმსახუროს, მარადი დანაშაული შეახსენოს, სინაული გაულვიძოს ყმანვილს, რომელსაც მამის ქმედებებისაგან ჯერაც არ გაუმიჯნავს საკუთარი (ნაცვალსახელი „ჩვენ“ გამჭვირვალეა და ტევადი!).

არაკაცობის, ძალადობის, დამაჩიავებელი შიშის, სულიერი ცვედანობის საპირწონედ მეხსიერებიდნ შეინდას — სილალის, სილამაზის, ძლიერების ხატებას გამოიხმობს ყმანვილებაცი, სიყრმის სევდიან მოგონებას — ზვარაკას, ტარიგას:

„ნინაღამით ხარი ჩამოიყვანეს სოფლიდან, ვეება „პრიცეპზე“ დაებათ, თოკები, ლვედები წაეჭირათ თურმე. ისე შემეცოდა, ისეთი ღონიერი და გაბრაზებული ჩანდა, გულში ვიფიქრე, ნეტა ვინ მოდის ეგეთი, ჩვენს შეინდას რომ სწირავენ-თქო...“

ათას რამეს ვეძახდო: შეინდა, ჯორა, ჯაკუნა. სულ პატარა იყო, ზარი რომ ჩამოვკიდე და მთელ სოფელს ესმოდა მისი წერიალი, ზოგჯერ განგებაც აუღარუნებდა — ცხოველი ეძახე და ჭურა ჰქონდა ერთი კაცის ფასი! რომ წამოზარდა და იერი მიეცა, მამაჩიმს ვთხოვე, თუ გიყვარდე, ამას კაცობას ნუ გამოაცლი, არ დაყვერო-მეთქი. ცოტა კი იჭოჭმანა, მეზობლებიც ურჩევდნენ, გარე-გარე წანნალში იქნება, შენ კიდევ სოფელში მრუშა კი არა, მუშა ხარი გჭირდებაო. მანც ჩემი გავიტანე და იმ დღიდან ახლოს არ მინახავს ჩემი შეინდა, გადაიკარგებოდა და თვეობით არ ბრუნდებოდა ხოლმე. ხან რას აეკიდებოდა, ხან რას. ერთი-ხანობა საერთოდ გადაიხვენა ისე, რომ ხელიც კი ჩავიქნიეთ და მამაჩიმა ბრაზით თქვა მაშინ, ალბათ, ჩემ გასაგონად, რა უჭირდა პაპაცხონებულს, ყოფილიყო სოფლის ხარებივით დაკოდილი, წყნარად და ბედნიერად იცხოვრებდაო...“

ურჩობისა და ბლავილის ნებაც არ მისცეს, ითხმა კაც-მა მიათრია უზარმაზარ კუნძთან. კუნძს სქლად, შინდის-ფრად ეტყობოდა შემუსრული ქათმების, ინდაურების, გოჭების გამხმარი და ჩაკირული სისხლი. მუხლზე დას-ცეს და ერთმა ისეთი სისწრაფით გამოუსვა დანა, გეგონე-

ბა, მოსისხლე მტერს კლავსო (ციტატა ზურაბ კანდელა-კის შემაძრნუნებლად მართალი პიესიდან „სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო“, „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგიკული ამბიდან რომ მარადი თავისუფლების ძიების ალეგორიამდე მაღლდება: „ტორო! ტორო! თვალში უნდა გაუყარო ხარს, მერე უნდა გაულიმო, უნდა დააკერო, აფიქრებინო, დამინდობსო, და როცა დაგენდობა, ე, სწორედ მაში უნდა შვლიპო!“

შვინდამ უცნაურად დააცემინა და სისხლმა იფეთქა ნესტოებიდან, ოთხფად გაჭრილი არტერიიდან, ამღვრეული თვალებიდანც კი. სიკვდილიც არ აცალეს საბრალოს, რაღაცნაირი ხერხებით გამოუნასკვეს თოვი აქედან იქით, იქიდან აქეთ და კავლის უშველებელ ტოტზე გამოპეკიდეს უსულო სხეული. მერე ჭიანჭველებივით დაესია ხალხი: ერთი ატყავებდა, მეორე შიგნეულობისაგან ასუფთავებდა, მესამე ნაჭრებად აფასოებდა, მეოთხე ხარშავდა და, ჭიშკარს რომ მოადგნენ [„სტუმრები“], ცოცხალი შვინდა-საგან ნატამალი აღარ იყო დარჩენილი... ასო-ასო, ნაჭერნაჭერ დაკეპილი შეინდა სუფრის ყველა კუთხეში კრემის-ფერ (ალბათ, მსხვერპლის სისხლისფრის გასამკეთრებლად — ნ. კ.) თევზებზე ელაგა, თითქო ცოცხალი იყო და ნიშნს გვიგებდა, შეხედეთ, ბედოვლათებო, ამოდენა ხარი ამ პატარა თევზე რა იოლად დავეტიეო.

ხარი, ქართველთა ტოტემი, „პირნათლიერი, ანგელოზთაგან ორთავ თვალზე დაკოცნილი“ (**ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია**) ნოველაში მსხვერპლია, ოლონდ — არა საღვთო ზვარაკი, არამედ — მსხვერპლი ხანისა. სათაური გამჭვირვალეა და ტრაგიფარსის აბრისა შეიცავს, რადგან საღმრთო ზვარაკი აქ „ნაირგვარი ულუსობის“ (ილია) არჩივი ხდება, ულირის დაინარჩუნებს.

„ხანი — თურქული და მონღოლური ტიტული, თავდაპირველად აღნიშნავდა ტრიმის ბელადს ირანულ და ავღანურ მომთაბარე ტრმებში. სელჩუკთა და ხვარაზმშაპების დროს — თავადის ტიტული, მონღოლთა იმპერიაში XIII—XIVსს-ში — ულუსის გამგებელი. სახელმწიფოებში, რომლებიც წარმოშენენ მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ, ხანი ხელმწიფის ტიტული იყო, ირანში სეფიანთა დროს ხანი ლექის გამგებელია. ხანი ასევე სამხედრო-ფერდალურ დიდგვაროვანთა ერთ-ერთი ტიტულია“ (**ქება**).

უცხო ტიტულის მოშველიებით, პერსონაჟისთვის სახელის დაურქმევლობით („კაცმან ვინმე ლმრთისა მტერმან“ — უსენენბლის რუსთველისეული დეფინიცია) ბოროტის უარსობის ფსევდო-დიონისე არეობაგელისეული (მარადეკართული) დოქტრინის აბრისიც მოიხაზება.

„ხანი“ არაა ქართული „ხელმწიფის“ (გრიგოლ რობაქიძისეული განსაზღვრებით) სინონიმი, „ულუსობის“ პროდუქტია — ხანი „უნდობარი ხანის ა ს ა“, „უხვად რომ მოიტანა სისხლი და ცხედრები.“

ნოველის ტევადმა, ტრაგიკულმა სათაურმა ქართული მითოლოგიის ერთი პასაჟი მოგვაგონა, ისიც — ტევადი და ტრაგიკული (წნევება უნებლივ პარალელი — სიტყვის თამაშზე ნაგები): თუ ზვიად კვარაცხელიასთან ხარი ხანისთვისა (ანუ სინმინდე უნმინდურების არჩივია), არსებობს ფრაზის პოსტმოზიური წყობაც — ხანის ხარიც, სრულიად სხვა შინაარსის, მაღალი ტრაგიზმის დამმარხველი ლეგენდაც.

ზურაბ კიკნაძე მოგვითხრობს „ქართულ მითოლოგია-

ში“ ხანის ხარზე (ხანი სოფელია ბალდათის რაიონში). მდინარე ხანისწყალი რიონს ერთვის სოფელ ვარციხესთან): „წმინდა გიორგი რომ ანამეს, მისი სხეული სამას სამოცდახუთ ნანილად დააქუცმაცეს. მარჯვენა ხელი ილორის ეკლესიას შეხვდა სამურზაყანოში, მარცხენა ხელი — ხანის ეკლესიას იმერეთში. ამის შემდეგ ამ ორ ეკლესიას შორის სულიერი ძმობა დამყარდა. ოცდაორ აპრილს, გიორგობის ჩინა დღით, ილორის წმინდა გიორგის ეკლესია ხანის წმინდა გიორგის ეკლესიას ყოველწლიურად ხარს უგზავნიდა. მოვიდოდა ხარი დილაბინდზე, შევიდოდა ეკლესიის გალავანში და დასაკლავად თავისი ნებით დაწევებოდა. ხარს დაკლავდნენ და ხორცს მთელ თემს უნანილებდნენ.

ერთხელ ხარს დააგვიანდა — იმ დროს მოვიდა, როცა წირვა უკვე გამოსული იყო და, ერთი მონაზონის გარდა, ეკლესიაში არავინ დარჩენილიყო. ისიც თავის სენაკში მიდიოდა. ნისლიანი დღე იყო და მომავალმა ხარმა უერ გაარჩია მონაზონი, დაფრთხა და რქა მოუქნია. მონაზონიც შეშინდა და ზამოიძახა, ღმერთმა დასწყევლოს, ეს რა არისო. ხარის დაწყევლაზე წმინდა გიორგი განყრა და წყევლა მონაზონს შეუბრუნა — შენი მოგვარე ამ დაბაში არც მოშენდეს და არც გადაშენდესო. მონაზონი იქვე ქვად იქცა. ხარიც ამის შემდეგ ილორის წმინდა გიორგის არ გამოუგზავნია“.

პარალელი, რა თქმა უნდა, ხელოვნურია, სიტყვის თამაშე ნაგვები, მაგრამ...

რაც „უნდობარი ხანის“ „ხანებმა“, უცხოთა წასისინებით საკუთარ სისხლს და ხორცს დაღირებულებმა, „ნისლიან ჟამს“ არბიეს და „გადინაზღირეს“ ჯერ აღმოსავლეთი — დედაქალაქი, მერე — „დასავლეთი“, მერე — „ჩრდილო-დასავლეთი“, ანუ სრულიად საქართველო, რაც წმინდა ხარი უშმინდურმა „ხანმა“ („ხანებმა“) იგემა, არც ილორის წმინდა გიორგის გამოუგზავნია ხარი ხანის ტაძარში...

P.S. „ადამიანი თანდათან დაშორდა ხარს. სხვანაირი ხასიათი გაუხდა, სხვანაირი ლექსების წერა დაიწყო. სიტყვა „ხარს“, ლექსის მიძღვნის ნაცვლად, „კარგი სახორცე“ დაემატა. კაცი ხარს ახლაც ზრდის, მაგრამ ახლა იმ

ხარს ერთი ძმისგან მეორესთან ციხესიმაგრის საგები ქვები აღარ მიაქვს“ (გოდერძი ჩოხელი, ხარისა და გუთნის მაღლითა).

ნინო ვახანია

## ვერისცვალება

(„შეკვეთილი ნილვის“ ეპო)

რაც მეტია სიყვარული, მით უფრო მიმზიდველია სამყარო, — ქრისტესმიერი ეს შეგონება კაცობრიობის დიდმა ნანილმა იცის, უმრავლესობა იზიარებს, მაგრამ, აი, ცხოვრებისულ კრედოდ, ყოველდღიურ დევიზად თუ ორიენტირად ქცევა მრავალთაგან მრავალს ვერა და ვერ მოუხერხებია. ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორია გაჯერებულია ურთიერთმტრობით, შუღლით, ომებით. ჩვენს ბედერულ ქვეყნას ხომ, ერთი საუკუნე რაა, სულ რაღაც ასიოდე წელიც კი არასოდეს გაუძლია უმრად. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ხოცვა-ულეტას კაცი თავიანთ სამართლიანობას ან რამე სხვა მიზეზს უძებნიან სარჩულად და საყრდენად.

ვიცა, რა მნიშვნელობაც აქვს (არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის) ნარმატებულ თავდაცვით ომებს, მაგრამ კაცომიყარე გული მუდამ ღმერთს შეპდალადებს: „სცვალე დრონი სხვებრ იმგარად, რომ ეს კარგი ხელოვნება უქმად დარჩეს და უხმარად“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ომებში გამოვლენილი მხეცური ბუნება ადამიანისა — დუნდობლობა, სისასტიკე, შეუბრალებლობა — განსაკუთრებით საზარელია, როცა ძმები, ერთი დედის შევილები ხოცავენ ერთმანეთს. ფართო თვალსაზრისით, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ყველა ადამიანი, ღედამინის ნებისმიერ კუთხში მცხოვრები ერთმანეთის ძმა, ნათესავი, საერთო წინაპრის შთამომავალია; თუმცა რადგან ხალხებს შორის განსხვავება (გარევნულიც და სულიერიც) თვალნათლივია, ძმებად, ტრადიციულად, ერთი ერის შეილები მიიჩნევიან. მოებში სწორედ ამიტომაც, ყველაზე ტრაგიკული შინაომებია, რომლებიც საქართველოშიც მრავლად ყოფილა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ამშები კი (ე. ნ. თბილისის, სამეგრელოს, აფხაზეთის ომები) ჯერაც ღია ჭრილობად აჩნევია სულს, თითქოს ჯერაც არ დამთავრებულა... ამ ომების მონაწილენი თუ თვითმხილველი ცოცხალ მემატიანებად გვევლინებიან, რა გასაკვირია, რომ არაფერი დავიწყებიათ და უემოციოდ ვერ იხსენებენ თავს გადამზდარს. ორივე „ბანაკის“, ორივე დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელი



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

დღესაც თავისი სიმართლით ყვება, თავისი გადასახედიდან ზომავს, თავისი პოზიციიდან აფასებს მომხდარს. საზოგადოების გათაშულობა ისეთი მკვეთრი და თვალშისაცემი აღარაა, როგორიც იმ ავადსახსენებელ წლებში, მაგრამ გარდასულის გახსენებისას მთხოვბელთა სხვადასხვა პოზიცია მაინც აქარაა. კვალი იმდენად ღრმა და შესამჩნევი დატოვა მაშინდელმა შინაომებმა, რომ არც ახალი თაობა (რომელსაც არ უნახავს და არ ახსოვს ის ამბები) რჩება გულგრილი მომხდარის მიმართ. ინტერესდება და თავისებურად, სხვა ჭრილში, სხვა სამზერიდან ხედავს ყველაფერს. განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ ეს ნაფიქრი მხატვრულ სიტყვად გარდაიქმნება და ლიტერატურაში აისახება. უამისოდ, ვინ იცის, იქნებ გაჭრიბაც ელოდეს გამოუთქმელ ან თუნდაც მხოლოდ ზეპირად გამოთქმულ აზრს. ეს საუბარი მხოლოდ იმისთვის წამოვიწყე, რომ ზეიად კვარაცხელიას შესანიშნავი მოთხოვბა „შეკვეთილი წირვა“ გამეხსენებინა. იგი ურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის 24-ე ნომერში დაიბეჭდა და შევიდა ახალგაზრდა მწერლის სულ ახლახან გამოცემული მოთხოვბის კრებულში „ყიფლიბანდი“. სავარაუდო, შემთხვევითი არა, რომ წიგნის ბოლო ნაწარმოები სწორედ „შეკვეთილი წირვა“ და ეს მარტო მისი დაწერის თარიღით, ალბათ, ვერ აიხსნება.

„შეკვეთილი წირვის“ მთავარი მოქმედი პირი ძია თორნაკეა. ავტორი მწერლური ოსტატობით ისე სახიერად გამოჰკვეთს მის ხასიათს, გარეგნობას, თვისებებს, ისე ცოცხლად ხატავს მის სულს, რომ მკითხველს თორნაკე რეალურ ადამიანად წარმოუდგება, სულაც რომელიმე ნაცნობს გაახსენებს და ილიასეულ „ნაცნობ უცნობად“ დარჩება მის ცნობიერებაში. შეილი მოუკლეს თორნაკეს ბრძოლაში. არაჩეულებრივად ხატოვანი და დასამახსოვრებელია ნაწარმოების დასაწყისი: „ენთო და წამის დახამხამებაში გააქრეს ოქრობიჭი“. ომი იყო ისეთი, ვერც გმირობას და თავდადებას მიანერდი მეომარს, ვერც საყოველთაო დაფასებით ან რაიმე ჯილდოთი ინუგებებდა ჭირისუფალი თავს, თუმცა მშობლის დაჭრილი გულისთვის შვილის დასავინწყებელ-შემცვლელი მაღამო არც არასოდეს არსებულა... ჩევულებრივად გაიმართა ქელები. ფსიქოლოგიური სიზუსტითაა დახატული მამის სულიერი მდგომარეობა: „მხოლოდ თორნაკე ძია იჯდა კუთხები, უბრძოდ, მობუზული და ხმა-ლრიანცელისგან გარიდებული, თავისი სიჩურეში ეპრიოდა ტყივოლა“.

ადამიანურ ამაო ფაციიუცს, ატაუტას გამოცლილი მამა მდინარეს დაიგულებს მესაღიუმლედ, ბუნებას უმხელს თავის დარდსა და ვარამს. ამ პასაჟმა სრულად გამოხატა მწერლის სათქმელი. პერსონაჟის მუდმივ, დაუნებულ განმარტოებას მოსდევს საცსებო ლოგიკური გადაწყვეტილება: „ან შვილის მკვლელს ჩამოვიტან გულგაგლევილს, ან მე ჩამომასვენებენ...“ შერისძიების სურვილი რომ არ გასჩენოდა მამას, არადამაჯერებელი, არარეალისტური იქნებოდა. ცხოვრება დაუნდიბელია და თუ ადამიანს პირადად დაატყდება უბედურება, მაშინ არც „ვეფეხისა და მოყმის ლექსის“ მოტივი ახსენდება, ვერც მტრის სიმამაცესა თუ რაინდობაზე იფიქრებს კაცი და არც შენდობა და მიტევება წარმოესახება უმაღლეს ადამიანურ სათონებად. შერისძიება ერთგვარად საკუთარი შელახული ლირსების აღდგენის ცდაცაა, გაუსაძლის ტკივილის ოდნავ შემსუბუქების სურვილიც და ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. არც გამორჩეულად კარგი კაცია თორნაკე ძია და არც გამორჩეულად ავი.

ერთი ჩვეულებრივი, ყველა ჩვენგანის, ჩვენი ნაცნობების მსგავსია — იდეალურობამდე რომ ბევრი აკლია, იქნებ გასაკიცე-გასაკილიც ბევრი გაუკეთებია, არც კეთილ საქმეს დაიზარებდა, თავისი განუყრელი „კასტუმით“ ხელში მასისგან არაფრით განსხვავდებოდა, რომ არა ის სიზმარი... შეილის მკვლელი დაესიზმრა, მშვიდად, უშფოთველად რომ გამოუწოდა ხელი და, ვიცნობდეთ ერთმანეთის, — უთხრა.

და კიდეც დაესვა წერტილი შერისძიებას. საოცარი ძალით დაეუფლა გმირის სულს ძილში მოლანდებული. ეჭვის ჭიაშეუქრა და არ მოშორდა. სხვა თორნაკემ გაიღვიძა. თითქმის მართლა ენახოს მამის გამოჩენით უქმაყოფილო შეილი და რაღაცნარი კეთილგანწყობით შემოგებებული უცნობი (მკვლელი), დიდხანს მეტებით, ეტყობა, დაქანცულსარით, — სხარულით არა, მაგრამ ერთგვარი თანაგრძნობით რომ უთხრა. ალუდა ქეთელაურის სიზმარი და ის, სიზმრისეული მუცალი აგონდება კაცს უნებურად. „თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელიო“, — მშვიდად გვეუბნება და ისეთი მუნათა გვდეს, რომ როდესმე აუცილებლად დანაწებით გვაფიქრებინოს: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“ ზეიად კვარაცხელიას სათქმელი ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტულია. დიდხანს (სამ თვეს კი არა თორნაკესავით, — წლობით) ვეტებეთ (ახლაც ვეტებთ) დაზნაშავები ძმათა მკვლელ ომში, ჩვენი შეილების, მამების, ძმების მკვლელები. ის კი ვერ გაგვიცნობიერებია, რომ დამნაშავეებიც, მკვლელებიც ისეებ ჩვენივე შეილები, მამები, ძმები არიან. ეს კონკრეტული სათქმელი ისეთ განზოგადებას იძენს მოთხოვაში, რომ კვლავ ვაჟასეული სისხლში ყელამდე ჩამდგარი ადამიანები გველანდება და უნებურად გვეფიქრება: „იქნება, ვეფხვის დედა აჩვენდა შეტეხ მწარედა სტირისა...“

მხატვრული ლოგიკით ნაწარმოებში აუცილებლად უნდა გამოჩენდეს მკვლელის დედა. მისტიკურ თუ რეალურ სოფელში, წარმოსახული თუ რეალური ბავშვი — ბაო-ბაბინა გაუწევს მეგზურობას ტაძრისკენ, დვოტისკენ, განმენდისკენ მიმსწრაფ თორნაკეს (ეს ბავშვი და მისა სახელი შორეული ასოციაციით ეკიზიუპერის „პატარა უფლისნულს“ მახსენებს რატომძაც). ბავშვის გამოჩენაც ღვთაებრივი მადლისა, უბანკუების, სინმინდის გამოჩენასა თუ გადმოღრაზე უნდა მიანიშნებდეს. იმ სოფელში, როგორც საერთოდ ყველგან, დიდ სოფელში, წუთისოფელში, ორი გზაა — ყანისკენ და ტაძრისკენ მიმავალი — სიმბოლურად ადამიანის ხორციელ და სულიერ მოთხოვნილებებს რომ გამოხატავს.

ტაძარში ყოველ თვეში ტარდება შეკვეთილი წირვა. ბევრია შაოსანი, შეილმევადარი დედა. ყველას თავისი თავგადასავალი აქვს, თავისი ბედისენერა და ყველას საერთო ტკივილი, საერთო მწუხარება — გარდაცვლილი შვილი — აერთოანებს. ძია თორნაკე არ ურევის წირვის შემკვეთებში, ის აქ უცხოა. მისი შეილი ბარიკადის სხვა მხარეს, სანინააღმდეგო ბანაკში იბრძოდა... მაგრამ იცის კი სიკვდილმა მხარები და ბანაკები? და განგების ძალით თორნაკე ერთ-ერთი იმათგანია, „პაკლონზე“ „გამოსული მსახიობებივით ჩუმად, უბმა-უროდ, მწყობრად რომ გამოდიობან ეკლესიდან.

დანარჩენს „დამწყები“ შაოსნის, თორნაკეს ძველი და დიდი ხნის უნახავი ნაცნობის, ნათიას ნაამპიობიდან ვიგებთ. ყვება თავისი ერთადერთი ვაჟის, თავისი საბას თავგადასავალს და თუმცა არ იმჩნევს, მაინც იგრძნობა სიამაჟე („არც ჩემ შვილ შეხვდა ჯაბანი...“). გაირკვა, რომ ნათიას საბას თორნაკეს შეილიცა და მისი გიორგის მკვლელი... და ნაწარმოების დასასრული, როგორც აპოთეოზი, რო-

დავით ჭელიძე

## დაუვიცყარი სამი წამი

(ს იყო 40 წლის ნინები)

ამ რამდენიმე წლის ნინათ თბილისში სტუმრად მყოფმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ივან ელევარმ ასე გაიხსენა თავისი თანამებრძოლები და მეგობრები: „მიუნხენის ოლიმპიადის ისტორიულ ფინალში ეს ორი ქართველი – ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია – უსაშეველოდ დაგვეხმარა. მათ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. კონდრაშინის ჩანაფიქრი იყო ქართველებს გამოყვანას სასტარტოზ, იმიტომ, არა აქრიკელებს მხოლოდ სისწრაფით, ქართველებისთვის დამახასათვე-ბეჭი ცეცხლოვანი თამაშით თუ მოვუგებდოთ, და როცა მოედანზე იყვნენ მიშიკო და ზურიკო, ეს თავისითავად სწრაფ კალათბურთის ნიმუშით. გარდა ამისა, მათ გუნდისთვის უნდა გადაეცათ ის ემცია, ის შემართება, რაც მათთვის ბუნებრივი იყო და რაც შეძლეს კიდეც. როცა მიშიკომ და ჯონსმა ჩრჩული და მსაჯმა ორივე გააგდი მოედნიდან, მიშა მივიდა კონდრაშინთან და უთხრა, მზად ვიყვაო, ყველაფერ დამედი მოედაზე, შემეძლო დიდი სარგებლობა მომეტანა გუნდისთვის, ისე კარგად ვგრძნობდი თავს, 20 ქულის ჩაგდებაც კი შემეძლოო, კონდრაშინმა უპასუხა – მიშიკო, ცხოვრებაში ამაზე კარგად შენ ვერ ითამაშებ, რადგან შენ გამოაგდე ამერიკელთა საუკეთესო მოთამაშეო.

ერთი სიტყვით, ისტორიაში საკანდელიძეცა და ქორქიაც სამუდამოდ შევიძენ უზარმაზარ პიროვნებებად, ისევე, როგორც ჩვენს გულში და ჩვენს მახსოვრობაში“.

დიახ, მართლაც, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას, საერთოდ, ქართული, და არამარტო ქართული, კალათბურთის ისტორიაში.

ნინასნარ ეტაპზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ყველას გასაკვირად ქართველ კალათბურთელებს მეტად მნირი მონაგარი ჰქონდათ, რის მიზეზსაც მალე შეიტყობთ...

მეორე ჯგუფიდან ნახევარფინალებისკენ გზა გაიკვლიეს საბჭოთა და იტალიელმა კალათბურთელებმა. ხელი მოეცარათ მსოფლიოს ჩემპიონებს, იუგოსლავიელებს, რომლებიც, ისევე როგორც პუერტორიკოელები, ბურთების უარესი სხვაობის გამო ვერ გავიდნენ ჯგუფიდან. ეს უდავოდ დიდი მოულოდნელობა იყო. იუგოსლავიელთა ასეთ ფიასკოს ნამდვილად ვერავინ ინინასნარმეტყველებდა.

სენსაცია პირველ ჯგუფშიც მოხდა: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ბრაზილიის ნაკრებმა 3 მატჩი ნააგო და 2 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასულ კუბის გუნდს, რომელმაც მხოლოდ ამერიკელებთან ინგინია მარცხი. ბრაზილიელებმა კუბელებთან ერთადერთი ქულის სხვაობით ნააგეს, ავსტრალიასთან კი მათ ფიასკოს ნამდვილად არავინ ელოდა! ნახევარფინალებში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირი – კუბა და აშშ – იტალია.

საბჭოთა კალათბურთელებმა რის ვაი-ვაგლახით მოუგეს კუბელებს 67:61, მაშინ, როცა ამერიკელებმა სულ თამაშ-თამაში გაანადგურეს სამხრეთელები – 68:38.

კუბელებმა კიდევ ერთი სენსაცია მოახდინეს და III ადგილისთვის უმძიმესი ბრძოლა 66:65 მოუგეს იტალიელებს.

სამარცხვინოდ ჩატარებული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ საბჭოთა ნაკრების მესაჭეს, ვლადიმირ კონდრაშინს პირდაპირ მიექრა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სერგეი პავლოვი და ახსნა-განმარტება მოსთხოვა: რატომ არ გამოგყავს საკანდელიძეო (მართლაც, არც საკანდელიძე და არც ქორქია მანამდე გამართულ არცერთ მატჩში პირველ ხუთეულში არ დაუყენები მწვრთნელს. ამას ვინ ჩივის, ორივე კალათბურთელი მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოჰყავდა მოედანზე და ის დაბალი შედეგიანობაც, ზემოთ რომ მიგანაშენეთ, მხოლოდ და მხოლოდ ამან გამოინვია!

მწვრთნელმა იმითღა იმართლა თავი, საკანდელიძე ჩეგნი ფარული იარაღია, ფინალისთვის ვინახავ, ეს მართლაც მოულოდნელი იქნება ამერიკელებისთვისო.

თავისი ჭუკია, იეშმაკა!

კონდრაშინს თავი ჭუდში ჰქონდა – ფინალში გასული იყო, ვერცხლის მედლებს ხომ ვერავინ წაართმევდა. თუ შემთხვევით ოქროს მედლებს გამოჰქირავდა ხელს, ხომ გმირად დაბრუნდებოდა სამშობლოში, თუ არადა, II ადგილისთვის ვინ დასჯიდა, ბოლოს და ბოლოს, წინა რომიბიადას-თან შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯი იქნებოდა.

ახლა კი მწვრთნელის მთავარი მზაკვრობა – მთელი ოლიმპიური ტურნირის განმაღლობაში საკანდელიძეცა და ქორქიაც სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ. ჰოდა, იფიქრა, ფინალში იორივეს სასტარტო ხუთეულში დავაყენებ და, რომ ვერაფერს გააკეთებენ, მერე კიდევ მომვარდეს პავლოვი და მომთხოვოს ამ ქართველების გამოყვანაო!

მას ერთი ვარიანტიც ჰქონდა შემუშავებული: თუ ვინიცობაა, ქართველები მართლაც „გაიგიშებდნენ თავს“ და მატჩს მოიგებდნენ, ესეც მის წისტყილზე დასასამდა წყალს – აკი თქვა, მეამათ ფინალისთვის, მოულოდნელ იარაღდ ვინახავ...

თუმცა ამ მეორე ვარიანტისა ნაკრების მწვრთნელს ნაკლებად სჯეროდა.

... 1972 წლის 10 სექტემბერს, შუაევროპული დროით ღამის 12-ის ნახევარზე ბულგარელმა და ბრაზილიელმა მსახურებმა არაბავიანმა და რიგეტომ მოედანზე იხმეს მეტყე გუნდები.

სერგეი ბელოვი იხსენებს:

– ვლადიმირ კონდრაშინმა და სერგეი ბაშკინმა მოედანზე უზევულ სასტარტო ხუთეული გამოიყვანეს: საკანდელიძე, ქორქია, შარმუხამედოვი და ორივე ბელოვი – ალექსანდრე და მე. თამაშში თავიდანვე „რეაქტიული“ საკანდელიძისა და ქორქიას ჩართვით ჩვენმა დამრიცებლებმა მთავარი იარაღდ სისწრაფე აირჩიეს: შეტევები ისე სწრაფად უნდა განვითარებულიყო და დაგვირგვნებულიყო, რომ მეტოქეს ვერ მოესწრო დაცვის ორგანიზაცია. თეორიულად ეს იოლი განსახორციელებელი იყო. ისეთი გუნდის წინააღმდეგ, რომელიც თავისი დაცვით არის განთქმული, ერთადერთი ეფექტური იარაღი სისწრაფე უნდა გამომდგარიყო.

ზურიკის მართლაც ზღაპრული სპრინტერული მონაცემების ამბავი ყველაზ იცის, და არც მისი სასტარტო ხუთეულში დაყენება გაპკვირვებია ვინმეს, – გომელსკის დროს ხომ იგი ამ ხუთეულის მუდმივი წევრი გახლდათ. თავისთავად მიშიკო ძალიან სწრაფი კალათბურთელი იყო, ამასთან, ფარქვეშ ლომივით იბრძოდა“.

საშუალება მომეცა, რამდენიმეჯერ მენახა მიუნხენის ფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი და კიდევ ერთხელ მერწმუნა ზურაბ საკანდელიძის გენიალობა, მიხეილ ქორქიას შეუპოვრობა და ლომეგულობა!

საკუთარი ჩანანერებით ვიხელმძღვანელებ:

საშა ბელოვმა და კარგა ბურთი, საკანდელიძემ მეტოქეს „მოჰპარა“, მაგრამ შეტევა ვერ განხორციელდა;

საშამ ფარქვეშ მოხსნა, ქორქიამ ააცილა, საშას ეუხეშენე: 1:0. მეორე საჯარიმო სროლა ვერ გამოიყენა;

ზურაბმა ხელით იგდო ბურთი და უსწრაფესი რეიდი განახორციელა. ჯარიმა. ქართველი კალათბურთელი უშეცდომოდ ისვრის – 3:0;

დაცვაში ზურაბმა ბურთი ააწაპნა მეტოქეს და თავისივე უსწრაფესი შეტევა თავადვე დააგვირგვინა – 5:0;

მიხეილი ჯარიმდება, ამერიკელებს ორივე სროლა გაუცუდდათ, ფარქვეშ საშა იბრძვის. სადაცო. საშა ხტება და ჯარიმდება. ჯონსმა მხოლოდ ერთი საჯარიმო გამოიყენა – 5:1;

ზურაბმა საშუალო დისტანციოდან მოათავსა ბურთი კალათში – 7:1;

ზურაბი ჯარიმდება, მიხეილმა ფარიდან მოხსნა ბურთი...

მე მონი, აღარ ღირს გავრძელება. მატჩის დებიუტიდანვე საკანდელიძე ქარივით დაპქროდა მოედნზე, 6 ქულა მოაგროვა და თავიდანვე ქაოსი შეიტანა მეტოქის რიგებში. საწყის წუთებში საგრძნობი ნერვიულობის შემდეგ მშვიდად და უფრო ზუსტად დაიწყო თამაში ქორქიამ, რომელიც უფრო და უფრო სასარგებლობის გუნდის გუნდისთვის.

ზურაბმა მხოლოდ ორი-სამი წუთით თუ შეისვენა ამ შეხვედრაში. რატომდაც კონდრაშინ-მა მას დაცვაში პოზიციური ბრძოლა დაავალა და სისწრაფის ეფექტი სავსებით დაიკარგა.

ამერიკელებსაც მეტი რა უნდოდათ, ამოისუნთქეს, თანდათან გონის მოეგნენ და საბჭოთა სპორტსმენებსაც გაუჭირდათ.

თვითვე განსაჯეთ – 10-ქულიანი უპირატესობა (21:11) თვალსა და ხელს შუა გაქრა და ტაიმი მხოლოდ 5 ქულით მოვიგეთ – 26:21.

საბჭოთა ნაკრებმა მეორე ტაიმი იმავე შემადგენლობით დაიწყო, ოღონდ სერგეი ბელოვის ნაცვლად მოდესტას პაულაუსკასი გამოვიდა, რომელიც ამ მატჩის მთელი პირველი ნახევარი სკამზე იჯდა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ პაულაუსკასი ვერა და ვერ ჩაერთო თამაშში. ასევე შედარებით სუსტად ითამაშა საშა ბელოვმაც.

როცა ტაბლოზე ანგარიში იყო 35:28 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, ერთი მეტად საინტერესო ამბავი მოხდა, რამაც გარკვეულნილად გავლენა მოახდინა მატჩის საბოლოო შედეგზე.

ფარქვეშ ბურთი ვერ გაიყვეს დუათ ჯონსმა და მიხეილ ქორქიამ. მოზევერივით ზანგმა იუხემა, აბა, მიშა რის მიშაა,

ვიღაც გადამთიელისთვის რაიმე დაეთმო და... ორივე მოედნიდან მიაბრძანეს. ჯონსი ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერი იყო და იმ 28 ქულიდან, რაც ამერიკელებმა იმ დროისთვის საბჭოელების კალათში ჩააგდეს, 10 თუ 12 ქულა მის ანგარიშზე მოდიოდა, ანუ ქულათა 35-42 პროცენტი! მიშა საბჭოთა ნაკრების სული და გული კი იყო, იმ დღესაც არაჩეცულებრივად სასარგებლოდ იბრძოდა, მაგრამ არა შეუცვლელი მოთამაშე და, ამდენად, ეს ინციდენტი ჩვენების წისქვილზე უფრო ასხამდა წყალს.

მიხეილ ქორქია:

„როცა ჯონსი და მე გაგვაგდეს, მწვრთნელს თვალს ვერ ვუსწორებ-დი და გადავწყვიტე, ბოლოში, სკამის კიდეზე დავმჯდარიყავი. მე ვთქვი, მორჩა ჩემი კარიერა ნაკრებში-მეთქი! კონდრაშინი თვითონ მოიდა, ბეჭედზე ხელი მომითათუნა, თამაშის-თვის მაღლობა გადამიხადა და გაბრწყინებული თვალებით მითხრა – იცი, შენ ვინ გაგდეო! ამით მეც და მთელი გუნდიც დაგვაწყნარა“.

დუათ ჯონსი:

„მეორე ტაიმი ძალიან კარგად დავიწყეთ და ანგარიშში სხვაობას ნელ-ნელა ვამცირებდით. მე ყველა-ფერი გამომდიოდა – ბურთის მოხსნაც, ზემოდან ჩაგდებაც. მაგრამ მერე ახალი მეურვე დამიყენეს (ქორქიას გულასხმობს). ერთ მომენტში თავში წამითაქა (მამალი ტყუილი!), ვალში არც მე დავრჩენილვარ და მსაჯმა ორივეს სათადარიგოთა სკამისკენ მიგვითითა“.

თუმცა საბჭოთა გუნდს ვერც ამან უშეველა და მთელი მატჩის განმავლობაში ნაგროვები ქულები მეტოქემ სულ გაუცამტვერა. მოთამაშებს დალლა დატყოთ, რასაც ნერვიულობა მოჰყვა, ამერიკელები კი, რომელთაც ხელთ იგდეს მატჩის სადაცები, აღმაფრენითა და აზარტით თამაშობდნენ.

გადამწყვეტი ბრძოლა მატჩის დამთავრებამდე 3 წუთითა და 57 წამით ადრე დაიწყო. კოლინზმა ეფექტურად ჩააგდო ბურთი და სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა – 44:42;

ამერიკელები პრესინგს მიმართავენ და საკანდელიძესთან ბრძოლასას ჯარიმდებიან. დარბაზში ენიო აუნერელი ღრიანცელია. ზურაბი საჯარიმო ხაზზეა და... ვერცერთ ჯარიმას ვერ აგდებს;


37-ე წუთი. ჯარიმდება ჯონის. პაულაუსკასი მხოლოდ ერთ საჯარიმოს ათავსებს – 45:42;

37 წუთი და 24 წამი. ჯარიმდება რედლერი. პაულაუსკასი ზუსტია – 47:42;

37 წუთი და 32 წამი. ჯონის ზუსტად ტყორცინის – 44:47; კოლინზმა ორივე საჯარიმო ჩააგდო – 46:47;

38 წუთი და 21 წამი. ამერიკელები ჯარიმდებიან. საკანდელიძემ მხოლოდ ერთი საჯარიმო გამოიყენა – 48:46;

სუთი პერსონალური შეცდომის გამო მოედანს ტოვებს ბენტომი. სერგეი ბელოვის ჯარიმებიდან მხოლოდ ერთი გამოდგა ზუსტი – 49:46.



მიხეილ ქორქია, ოლიმპიური ჩემპიონი მიუნხენი, 1972

მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე ანგარიში საბჭოთა ნაცერებს მიჰყავს: 49:48. ბურთს ჩვენები ფლობენ, მაგრამ შეტევისთვის განკუთვნილი ნახევარი წუთი იწურება და და...

საშა ბელოვი მარცხნიდან ბურთიანად შევიდა სამწამი-ან ზონაში, მის წინ კი ორი ამერიკელი იყო აღმართული – ფორბი და მაქმილანი. საშამ სროლის იმიტაცია გააკეთა, ორივე მეტოქე ახტა, პაუზის შემდეგ ბელოვმა ორიოდე მეტრის მანძილიდან ისროლა, მაგრამ მაქმილანმა მოასწრო ხელახლა ახტომა და თითის წვერებით მოიგერია ბურთი, რომელიც მოედნის კუთხისეკუნ გაფრინდა. ბურთი ისევ საშა ბელოვმა ჩაიგდო ხელში. მას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა: მის გვერდით, პირისპირ პაულაუსკასი იდგა, გვერდით ხაზთან, სამიოდ მეტოქი – სერგეი ბელოვი. მაგრამ საშამ ყველაზე ცუდი და სახიფათო ვარიანტი აარჩია – გრძელი პასი უკან, საკანდელიდის მისამართით. მაშინ, როცა საშამ პასისთვის ხელი მოიქნია, დუგ კოლინზმა საკუთარი კალათიდან აკრიფა სიჩქარე და ცენტრალურ ხაზთან ხელთ იგდო ბურთი.

გენადი ვოლონტი:

„მაყურებლებში ესროლა, ჰაერში აეგდო და „ვაშა“ დაეყიდირა... არა, მან უკან გადააწოდა საკანდელიდეს! ამას მისგან არავინ მოელოდა. ვიდრე საშას ბურთი ეჭირა, ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში.“

სერგეი ბელოვი:

„მასისვს, ტაბლოს ავხედე – 19.50. მერე საშას შევხედე, ვიფიქრე, ახლა გადმომაწოდებს, მე კი მაისურის ქვეშ დავმალავ-მეტე. და უცებ თვალი ამეჭრა – მან უკან, ცენტრისკენ გააკეთა პასი“. სერგეი ბაშკინი:

„პაულაუსკასისთვის რომ გადაეწოდებინა, არაფერიც არ მოხდებოდა. თან მოდესტასი უყვიროდა, პასი, ბურთი გადმომაწოდეო!“

კოლინზი ცდილობს მოძრაობის დროს ორი ხელით დაიჭიროს ბურთი, მაგრამ ვერ ახერხებს – მისი თითებიდან ბურთი აუტისკენ მიექანება, კოლინზი ინერციით ჰქონდერსონს ეჯახება, მარცხენა ხელით სწვდება ბურთს და პირდაპირ მეტოქის კალათისკენ მიდის. მის პარალელურად მოძრაობს საკანდელიდე. მათი გზები იკვეთება 3-წამიანი ზონის მისადგომებთან, საბჭოელების კალათის მარცხნივ. კოლინზმა დაამთავრა მოძრაობა...“

და უცებ, წამის ამ უმცირეს მონაკვეთში, საკანდელი-ძემ ისეთი რამ გააკეთა, რამაც, როგორც ვნახავთ, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. კოლინზი რომ ფარამდე მისულიყო და თავისუფლად ჩაიგდო ბურთი, ამერიკელები ქულო დაზინაურდებოდნენ და ამათ ბურთის აუტიდან შემოსატანადაც კი არ დარჩებოდათ დრო.

ამიტომ ზურაბმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო – მარცხენა ბეჭი ჩაუდგა მეტოქეს. ამერიკელმა კალათბურთელმა ინერციით დაკარგა ბურთი, თვითონ კი საკანდელიდის ზურგს გადააფრინდა. მასთან მაშინვე გაჩნდენ ჯონისი და ამერიკელთა მეორე მწვრთნელი ჯონ ბაზი. თავის მხრივ, საკანდელიდეც გაფრინდა პირით ხაზს იქით. მსაჯებმა საკანდელიდე დააჯარიმეს და ამერიკელები ორი სროლისთვის მოიწვიეს. მატჩის დამთავრებამდე 3 წამი რჩება.

ამჯერად ვლადიმირ კონდრაშინიც ვერ მალავს თავის მადლიერებას:

„საკანდელიდის ფოლის გარეშე დავმარცხდებოდით“.

ალექსანდრ ბოლოშევი:

„როცა კოლინზი წამოდგა, ისეთი ბოროტი თვალები ჰქონდა, რომ მივხედვი, ორივე ბურთს ჩააგდებდა“.

დუგ კოლინზი:

„როცა საკანდელიდესთან შეჯახების შემდეგ დავეცი, რამდენიმე წამით თავპრუ დამეხვა. მერე ჩემთან ბახმა მოირბინა და მითხრა, უნდა გადავწყვიტოთ, შენს მაგივრად ვინ ესვრის ჯარიმასო. მაგრამ ჰენრი აიბას (მთავარი მწვრთნელი) სჯეროდა ჩემი. თუ დუგი შეძლებს წამოდგომას, საჯარიმო ხაზთან ის დადგებაო. საჯარიმოების შესრულებისას მაინცდამაინც არ მინერვიულია. მე ისევე ზუსტად ჩავაგდე ორივე ჯარიმა, როგორც ამას ჩემს ეზოში ვაკეთებდი“.

0.03. კოლინზი ავტომატიკით ტყორცნის ჯარიმებს, ყველა მოძრაობას სწრაფად ასრულებს, ორიდან ორი – 49:50. უარმუხამედოვმა ლამის ბადიდან გამოაძრო ბურთი, პირით ხაზს იქით დადგა და სერგეი ბელოვს გადააწოდა. მან მოძრაობა დაინტერ, მაგრამ ცენტრალურ ხაზთან რომ მივიდა, სასტერნა შეაჩერა.

სერგეი ბელოვი:

„სამ წამს ასე სწრაფად არ უნდა გაევლო. ამ დროში თითქმის მთელ მოედანს გადავჭრიდი. ეს ტესტი ხომ არაერთხელ ჩამიმდებია. ალმოჩნდა, რომ ორი წამი გასულიყო. ამერიკელებმა კი ეს სირენა მატჩის დამთავრებად აღიქვეს“.

სერგეი ბაშკინი:

„როცა საკანდელიდე დავგარიმდა, კონდრაშინმა დამავალა, ტაბმ-აუტი შეუკეთეო. გადავწყვიტეთ, შესვენება პირველი საჯარიმო სროლის შემდეგ აგველო. მივედი მსაჯების მაგიდასთან და კონდრაშინის გადაწყვეტილება გადავეცი. კოლინზმა წარმატებით შეასრულა პირველი ტყორცნა. ვიდრე ბრაზილიელი მსაჯი რენატო რიგეტო ბურთს ამერიკელ მოთამაშეს გადასცემდა, სამსაჯო მაგიდისკენ მოტრიალდა. მე გავუმეორე, რომ წუთშესვენების აღება გვინდონდა, მაგრამ მსაჯები დუმდნენ. მერე რიგეტომ კოლინზს გადასცა ბურთი და ის კვლავ ზუსტი იყო. მაშინვე დაინტერ ჩვენი შეტევა და გაისმა ფინალური სირენა. სამსაჯო მაგიდისკენ მივერიალდი, სკანდალი უნდა ამეტება, და უცებ თვალი მოვკარი ფიბას პრეზიდენტს უილიამ ჯონსს, რომელიც მიახლოვდებოდა და სამი თითი ჰქონდა ანეული. მივიდა მსაჯებთან და ჰკითხა: რატომ არ მიეცით წუთშესვენება საბჭოთა გუნდს, ხომ დაინახეთ, რომ ისინი ამას გთხოვდნენ. ჯონსმა მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში გარდაუვალი იყო ჩვენი მხარის პროტესტი. ალბათ ეგონა, რომ სამ წამში ბურთის ჩაგდება შეუძლებელია, და მატჩის დაბოლოების გადათამაშება გადაწყვიტა“.

ალექსანდრ ბოლოშევი:

„ტაბმ-აუტის დროს კონდრაშინმა გვითხრა, უამრავი დრო გვაქვს. გულის სილრმეში კი მქონდა სასწაულის იმედი, მაგრამ სამ წამში?!“

გენადი ვოლონტი:

„წუთშესვენების დროს სკამის კიდეში ვიჯექი და კონდრაშინს არც ვუსმენდი. ვფიქრობიდი, მატჩი ფაქტობრივ წაგებულია და რაღა აქვს სალაპარაკო-მეტეი“.

ტაიმ-აუტის შემდეგ გუნდები ასეთი შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე: საბჭოთა ნაკრები – პაულაუსკასი, ედეშკო, საკანდელიძე, ორივე ბელოვი; აშშ-ის გუნდი – მაქმილანი, ფორბსი, ჯონისი, კოლინზი, რეტლეფი.

მაქმილანი ზედ გვერდით ხაზთან გაჩერდა, რომ ბურთის შემოტანაში ედეშკოსთვის ხელი შეეშალა. ედეშკომ თავის საჯარიმი მოედანზე მდგომ პაულაუსკასს გადააწოდა, მან კი მარჯვენა ხელით ბურთი საშა ბელოვის მისამართით გაგზავნა, მაგრამ ბურთმა გადაუფრინა ჯონისაც, რომელიც ბელოვს იჭერდა, და საბჭოთა ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელსაც. საშა მაღალი ნახტომით თითოს წვერებით ცდილობდა, ბურთს მისწვდომოდა და კალათში ჩაეგდო, მაგრამ იგი ფარს მოხვდა და რგოლის გვერდის ავლით მოედანზე დაბრუნდა. მანამ ბელოვი ბურთის შეებოდა, სირენის ხმა გაისმა და ბედნიერმა ამერიკელებმა მოედანზე დაიწყეს გამარჯვების აღნიშვნა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მატჩი კიდევ ერთხელ განახლდება – მსაჯებმა გადაწყვეტილება მიიღეს, სამი წამი გადაეთმაშებინათ.

#### ალექსანდრ ბოლოშევი:

„როგორც კი მოდესტასმა ბურთი გადააწოდა, მაშინვე გაისმა სირენის ხმა. როგორც აღმოჩნდა, მწყობრიდან გამოვიდა ელექტრონიკა. დროის ათვლა პირდაპირ ედეშკოს პასის შემდეგ დაწყებულა, არადა, წესით, წამმზომი მაშინ უნდა ჩართულიყო, როცა პაულაუსკასი ბურთს შეეხოდა“.

#### მოდესტას პაულაუსკასი:

„ედეშკოს გადაცემა რომ მივიღე, ვეღარაფერი მოვასნარი, მაშინვე გაისმა სირენის ხმა“.

#### სერგეი ბელოვი:

„ედეშკომ პაულაუსკას რომ გადააწოდა, ერთ წამში სირენა ჩაირთო.“

და აქ საქმეში ისევ ჯონისი ჩაერია.

ამერიკელებმა გადაწყვიტეს შეეცვალათ დაცვითი განლაგება: ახლა ჯონისი და ფორბსი ერთად მეურვეობდნენ ალექსანდრ ბელოვს, ედეშკო კი მარტო დარჩა – მაქმილანი პაულაუსკას აეტუზა. საშამ ცრუ მოძრაობა გააკეთა – უკან გაქანდა და გაქვავდა. მერე იგივე მოძრაობა გაიმეორა კალათისეკნ. ედეშკომ მარჯვენა ხელით მთელი მოედნის გადაკვეთაზე გადააწოდა. ამერიკელები წამოეგნენ ბელოვის ფინტზე და ფართან ახტნენ, სადაც მეტოქე ეგულებოდათ. ბელოვმა ორივე ხელით დაიჭირა ბურთი და ფარისეკნ დაიძრა. ახლა ფორბსი მას ზურგში ედგა, ჯონისი კი – გვერდულად. ორივე ამერიკელი მოთამაშე ცდილობდა

ბურთს მისწვდომოდა, მაგრამ ფორბსი მკერდით დაეჯახა ბელოვს და იატაქზე დავარდა, ჯონისი კი ინერციით ფარის ქვემოდან შორს გაფრინდა. ბელოვი მარტოდმარტო დარჩა ბადესთან, კალათის მარცხენა მხრიდან ახტა და ორი ხელით ჩააგდო ბურთი.

გენადი ვოლოვი:

– საშა ბელოვმა კინალამ წაგო ოლიმპიადა, საბოლოოდ კი ფინალის მთავარ გმირად იქცა! ამაში, რა თქმა უნდა, ედეშკოს უზარმაზარი დამსახურება მიუძლვის.

მან კომპიუტერივით ისეთი ტრაექტორია მოუხაზა ბურთს, რომ ამერიკელებმა ვერ შეძლეს მისი ჩაჭრა. დარწმუნებული ვარ, კიდევ ასჯერ რომ გაიმეოროს ედეშკომ ეს პასი, ასეთი ფილიგრანული სიზუსტის არცერთი აღარ გამოუვა.

ივან ედეშკო:

– პასამდე საშას შევხედე. მან თავი დამიქნია და ბურთიც გავისროლე. ბევრი ალფროთვანდა ამ პასით, მაგრამ მე ახლაც მგონია, რომ ბელოვი უფრო რო რთულ ვითარებაში იყო – მას სწრაფად მფრინავი ბურთი ისე უნდა დაეჭირა, რომ მაშინვე კალათისკენ ესროლა.

სერგეი ბაშკინი:

– როცა საშას ვკითხე, ბურთი რატომ არ ჩატენე-მეთქი, შემეშინდა, არ ამოვარდნილიყო, მიპასუხა.

სერგეი ბელოვი:

– საშა აკანკალებული ხელით კალათში რომ აგდებდა ბურთს, მე უკვე ფარგვეშ ვიდექი და მზად ვიყავი, თუ საჭირო გახდებოდა, შეტევა დამემთავრებინა.

მიუნძენის „ბასკეტბალჰიმი“ ენით აუნერელი რამ ხდებოდა. ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი აიბა გაშმაგებული წამოხტა და მტრის კომისარს ეცა. ამერიკელებმა სააპელაციო მისამართით სასწრაფოდ გამოაცხვეს პროტესტი. შიური დაუყოვნებლივ შეიკრიბა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. მაგრამ სხდომის დაწყებას კარგა ხას საშველი არ დაადგა, რადგან მოედანი ხალხით გაისვა. აქ იყვნენ სპეციალისტებიც, ორგანიზატორებიც, გუნდების წარმომადგენლებიც, უურნალისტებიცა და მაყურებლებიც. ამერიკელთა გულშემატკივრები რას არ ისროდნენ ტრიბუნებიდან. ერთი სიტყვით, აირია მონასტერი.

იმ ღამეს ვერაფერი დადგინდა. სააპელაციო შიურიშ გადაწყვიტა, საქმის გარჩევა მეორე დღისთვის გადაედო – მყუდრო ვითარებაში ეთათბირა.

ვიდრე შიური ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ზურიკო საკანდელიძეს სული შეეხუთა და მშას სთხოვა, წამო, გავიაროთ, კაფეში შევიდეთ, ცივი ლუდი დავლითოთ. მიშამ



ზურაბ საკანდელიძე, სსრკ-იუგოსლავია ეკროპის ჩემპიონატი, წევალი, 1969

უკან დაიხია, ასე როგორ წავიდეთ, მოდი, დაველოდოთ, რა მოხდება. არაფერიც არ მოხდება, დილამდე ვერავითარ გადაწყვეტილებას ეგენი ვერ მიიღებენ, მე კი აქ გაჩერება აღარ შემიძლიაო.

კაფეში თითო ბოთლი ლუდი შეუკვეთეს და ხახაგამშრალები სიამოვნებით შეეცეოდნენ, როცა შენობაში სწორედ ის ჯონსი შემოვიდა, მიშასთან ერთად რომ გააძევეს მოედნიდან. გოგოებთან ერთად იყო, ჩვენ ბიჭებს მეგობრულად დაუქნია ხელი და შამპანური შეუკვეთა. ქართველებმა იფიქრეს, ამან წააგო და ფეხებზე ჰქიდია, შამპანურს მიირთმევს, ჩვენ კი ლუდით ვიჭყიბებითო, და მათაც მოითხოვეს შამპანური, მერე მეორე, მესამე ბოთლი, და ფულიც გამოელიათ...

მიხეილ ქორქია:

„დარბაზში რომ დაგბრუნდით, ცოტა შეჭიკიკებულები ვიყავით, მაგრამ ეს არავის შეუტყვია, ამისთვის ვის ეცალა, ბეჭნიერი ბიჭები ერთმანეთს ეხვეოდნენ, აბურთავებდნენ, ულოცავდნენ. სააპელაციო უიურის გამარჯვება, რაღა თქმა უნდა, ჩვენი გუნდისთვის მიუკუთვნებია. ჩვენც შევერიეთ მოზეიმებს.

სხვათა შორის, 11 სექტემბერს ჩემი დაბადების დღე, მაგრამ ფინალური მატჩის გამო, მხოლოდ ჩვენი გამარჯვებიდან ორი დღის შემდეგ მომართვეს უზარმაზარი ტორტი ედიტა პიეხამ და საველი კრამაროვმა.

ამ სამ წამს რომ იხსენებენ, ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ ედეშვილს ოქროს პასს და საშა ბელოვის ოქროს ქულებს. მაგრამ მანამდე ხომ ზურაბ საკანდელიძის ოქროს ფოლი იყო!

მაშ ასე: ივან ედეშვილი „ოქროს პასი“, საშა ბელოვის „ოქროს ქულა“, ზურაბ საკანდელიძის „ოქროს ფოლი“. ახლა საინტერესოა, რა დავარჯვათ მიხეილ ქორქიას მოქმედებას, რომელმაც თითქმის მთელი ტაიმით გამოითხა თამაშს ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერი და იმედი. ჯონსის რამდენ ქულას და მასთან ბრძოლაში მიღებულ რამდენ ჯარიმას გადაარჩინა ქორქიამ საბჭოთა გუნდი!.. და ალბათ გაზვიადებული არ იქნება, თუ ამ ეპიზოდს „ოქროს ინციდენტს“ ვუწოდებთ.

როცა ყველაფერი მიწყარდა და ვლადიმირ კონდრაშინს ნაკრების წევრების დახასიათება სთხოვეს, მან უურნალისტებს ასე უპასუხა:

„მე, როგორც ნაკრების უფროს მწვრთნელს, ვფიქრობ, ბეჭმა გამილიმა, რომ ფინალის უკანასკნელ წუთზე მოედანზე იყო ზურაბ საკანდელიძე. სწორედ მან, თავისი გამჭრიახობისა და სისწრაფის წყალობით, შეძლო დასწეოდა კოლინზს და შეეჩერებინა. დარწმუნებული ვარ, ეს ზურაბის გარდა არავის გამოუვიდოდა.

რაც შეეხება მიხეილ ქორქიას, მას რომ მხოლოდ ის ამერიკელი გაევლო და სხვა არაფერი გაეკეთებინა, მარტო ამისთვის ეკუთვნოდა გმირობა – დუაიტ ჯონსი მართლაც ამერიკელთა თითქმის ნახევარ გუნდს უდრიდა“.

მოდეგსტას პაულაუსკასმა კი ასეთი რამ მითხრა:

„მე ბედნიერი ვარ, რომ ლიერთმა ზურაბ საკანდელიძეს შემახვედრა, თან ადრეული წლებიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან. უკერ მაშინ ეტყობოდა, რომ მისიგან დიდი კალაბურთელი დადგებოდა – ბუნებისგან პქონდა მომადლებული სისწრაფე, ნახტომი, ისე აგნაპნიდა ბურთს, თვალსაც ვერ შევლებდი.

როცა ჩვენი კლუბები ერთმანეთს ხვდებოდნენ, სულს მიმწარებდა, ვერასდიდებით ვერ გაექცეოდი. ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო – თვეობით რომ არ ეთამაშა, ვერ შეატყობდი.

სამ წამში მოგება ხომ ფანტასტიკის სფეროს ეკუთვნის, მაგრამ საკოს რომ ის ჯარიმა არ აეკიდებინა, ოქროს მედლებს ვინ გვაღირებდა.

არაჩერებულებრივი მეგობრობა იცოდა, სულს მოგცემდა! და მე დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჯარიმა მან საშა ბელოვის-თვის აიკიდა. ფინალი რომ წაგვეგო, საშას გადასახლებდნენ“...

შოტლანდიელი პოეტი და ბელეტრისტი ჯეკი ქეი დაიბად 1961 წელს, ედინბურგში. ჟყავდა ნიგერიელი მამა და შოტლანდიელი დედა. პატარა ჯეკი თეორეკანიამა ოჯახმა იშვილა და საცხოვრებლად გლაზგოვში გადაიყვანა. ფერადვანიან გოგონაზე დიდი გავლენა მოახდინა თეორეკანიან ოჯახში აღზრდამ. მისი პირველი პოეტური კრებული 1991 წელს გამოვიდა და შოტლანდიის ხელოვნების საბჭოს სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ჯეკი ქეის პირველი რომანი 1998 წელს დაბეჭდდა და გარდინანის ჯილდო მიენიჭა მისი ნიგნები სხვადასხვა პრიზით აღინიშნებოდა. მათ შორისაა სომერსეტი მოემის სახლობის პრიზი, საერთაშორისო ლიტერატურული პრემია. ამჟამად ნიუქასთლის უნივერსიტეტის პროფესორია.

ჯეკი ქეი

## ჩემი ეალიშვილი ეალი

იმ ღამეს გარეთ მელიები კიოდნენ. მე ჩემს გოგონას ჩავეკარი და მთელი ღამე ზურგზე ხელს ვუსვამდი, ვეფერებოდი. ისიც მეკვროდ, მეხუტებოდა და სველი ცხვირი ჩემს კისერში ჰქონდა ჩარგული. მათ ყოველ დაკავლებაზე კრთებოდა და ყურებს ცქეტდა. მეკრდზე მის გულისცემს ვგრძნობდი, ძლიერსა და ჩქარს. უცნაურია, რომ მელიების ხმებზე ასე ვიზაფრებოდი. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდიოდა. ეს საზარელი ხმები რომ არა, გარეთ დამე მშვიდი და უძრავი ჩანდა. დილის სამი საათი მაინც იქნებოდა, რიცა არა-ვეს ღრმად ჩაგვეძინა. თათი ჩემს მხარზე ედო. მესიზმრა, რომ მეც მელა ვიყავი და ორივე ტყეში დავრბოდით, ჩვენს ფუმფულა კუდებს ხეებს შორის საყვარლად დავაშაბალებდით და პარში შემოდგომის წვიმის სურნელს ვყნოსავდით.

დილით ხის მაღალ სკამზე შევსვი. სამზარეულოში ჩემს ფუსფუსს ადვენებდა თვალს. უმი კვერცხი და წყალი მივეცი. კვერცხი გატეხა და ამონუნდა. ჯერ კიდევ ეძინებოდა. მშვიდად და ნელა სუნთქვდა, პატარა წითელი მკერდი ასდარისდიოდა. თვალს არ მაცილებდა როგორ დავდიოდი მაგიდიდან კარადამდე, კარადიდან მაცივრამდე, თვალი არ მოუწყვეტია, როცა შემოსავალის ფულის სიყვარულს, მედლებს ვინ გვაღირებდა. თუ თვითონვე არ გამოსცადე, ვერავინ აგიხსნის, რა ნეტარებაა და როგორ გრძნობ შენი შვილის სიყვარულს, როცა რასაც არ უნდა აკეთებდე, აი, ასე, თვალმოუშორებლად გიყურებს.

როცა ფოსტას ვათვალიერებდი, თავისი მძიებივით ბრჭყალა თვალებით ისე მიყურებდა, თითქოს ამაზე საინტერესო არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ფოსტაში, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ვერაფერი ვნახე — მხოლოდ გაზის ქვითარი და რაღაც სარეკლამო ბროშურები. ამოვიოხერე და ის ბროშურები ნაგვის ყუთში ჩავყარე. როცა მოვბრუნდი, ისევ წყნარად იჯდა და ღიმილით მიმზერდა. ბენვი პირთან კულურებად ემლებოდა, თვალები სიყვარულით ჰქონდა ანთებული. როცა ასე მიყურებდა, პირდაპირ, მისი მზერა თითქოს ჩემში მთლიანად ატანდა, ვგრძნობდი, როგორ ესმოდა ჩემი — ისე, როგორც არავის არასოდეს.

ყოველთვის მიკვირდა, ქალები რატომ არ აფრთხილებენ ერთმანეთს მშობიარობის კოშმარის შესახებ. არავინ არაფერს გიყვება და წინასწარ არ გამზადებს. არის რაღაც შუასაუკუნეების დროინდელი ამ ტკივილში, კივილში, ჭინთვაჭინთვა-ჭინთვაში. როცა ნოებრის ღამეს ჩემი ქალოშვილი დაიბადა, სამშობიარო ბლოგიდან მესმოდა ვილაც ქლის კივილი : „მომკალით, ვინმეტ მომქალით, გთხოვთ!“ ეს იყო ზუსტად მაშინ, როცა წყლები დავგარე. ასე ერთი საათის მერე კი იგივე ხმა ცხოველივით ღრიალებდა: „მესროლეთ, არავის გაქვთ არალი, მესროლეთ, თქვენი დედაც!“ შევეცადე წარმომედგინა ბებიაქალის შავი სახე. მე და იმ ქალს ერთი და იგივე ბებიაქალი გეყავდა და ისიც აქეთ-იქით დარბოდა. როცა მშობიარობა დამეწყო, თავი დამიკავა და მითხრა: „ახლა შენ იცი, უნდა იყოჩალო“ ვერძნობდი, როგორ მიფეხტდებოდა მთელი სხეული. ასე მეგონა, დედამინის გულში უნდა ჩავსულიყავი და იქიდან მთელი დედამინა დამეფხრინა და დამეკანრა. წინასწარ არავინ გამზადებს ამ ჭინთვებისა და კუმშვებისთვის, რომელიც შენს სხეულში ისე დაქრის, როგორც ტორნადო, და ისე გარყევს, როგორც მინისტრა, და ზოგჯერ კი, შუალედებში, ისე გარწევს, როგორც ზღვა.

ბევრი ჩემი მეგობარი უკვე დედა გახსლდათ. როცა მშობიარობაზე ვკითხე, ძალიან მტკიცებული იყო თუ არა, ღიმილით მითხრეს „სულ ცოტას“. წმინდა ლვითასმშობელ!

მეც ზუსტად ისევე გამიკვირდა, როგორც იმ იამაიკელ ბებიაქალს, როცა ჩემგან ჩემი ქალიშვილი მელია გამოძრა. თუმცა კი უნდა მეფიქრა — მამამისი მელასავით წითური, გაქნილი და ცბერი კაცი იყო. და როგორც მერე გავარკვი, იმ ღამით, საესემთვარეობაზე, როცა მე დამაფეხმიმა, ორ სხვა ქალთანაც ყოფილა. მოგვიანებით, იმ ვიქენდზე, როცა ჩრდილოეთისკენ მივდიოდით, მკვდარი მელა ვნახე. მოკუნტული ინვა, სისხლი უფრო მუქი წითელი იყო, ვიდრე მისი ბერვი. მერე, როცა ერთად ვინექით სასტუმროში, ისევ ის მკვდარი მელა მელანდებოდა. ეს სურათი მთელი ორსულიბა მოსვენებას არ მაძლევდა.

როგორც კი დავორსულდი, იმ წამსვე ვიგრძენი. მგონი, ისიც კი ვიცი, როგორ გადაადგილდებოდა სპერმატოზოიდი ჩემში. იმ წამიდანვე ყველაფერს სხვანაირად შევიგრძნობდი. მახსოვეს, ისე მძაფრად მეცა ფორთოხლის სუნი ცხვირში, ლამის გული ამერია.

როცა ექმზე მუქი ლურჯი წერტილი გამოჩნდა, ვერავინ მიხვდა, რომ ეს მელა იქნებოდა. უბრალოდ, ეს ნიშნავდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ექლსკოპიაზე მხოლოდ იმას ვერ არკვევდნენ, გოგო იყო თუ ბიჭი, თორემ არაფერში ეჭვი არ შეპარვიათ. ერთი ექლსკოპისტი დარწმუნებულიც იყო, რომ ბიჭი იქნებოდა. ხლა კი ვხვდები, ალბათ კუდის გამო. ერთხელ მითხრეს, რომ ნაყოფი მშვენივრად ვითარდებოდა და გულისცემაც ნორმალური ჰქონდა, მაგრამ რაღაც ისეთს ხედავდნენ, რასაც ვერ ხვდებოდნენ, რა იყო.

ჩემი გოგონა შუალამეს დაიბადა, ზუსტად მაშინ, თორმეტმა რომ ჩამოკრა. ის სასტიკი იამაიკელი ბებიაქალი, რომელიც მშვიდად ადევნებდა თვალყურს ყველაფერს და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „გაიჭინთე, კიდევ, კიდევ ერთხელ“, ბავშვის დანახვაზე უცებ შიშისგან გაშეშდა და საშინელი, სისხლის გამყინვანი კივილი მორთო. მეგონა, ჩემი შვილი მკვდარი დაიბადა. მაგრამ არა. საერთოდ, ბებიაქალები მკვდარი ბავშვის დანახვაზე კი არ კივანა, ჩურჩულებენ. ისნი კივიან, როცა მშობიარე ქალის საშმოდან მელა გამოდის. ახლა ეს უკვე კარგად ვიცი. ჩემს საწყალ გოგონას თავზარი დაეცა. ამას მაშინვე მივხვდი, რადგან ბავშვის გულისაგამანგრილებელი ხმა აღმოხდა და მეც სასწრაფოდ ძუძუ მივეცი.

რაც დედების შესახებ ვისწავლე, ისაა, რომ არც თუ ისე პრეტეზიულები ვართ იმათ მიმართ, ვინც გავაჩინოთ, რადგან მათ ასე ძალიან ვუყარვართ. პირველივე წუთიდან ვიცოდო, რომ ჩემი გოგონა ჩემი ერთგული იყო. უცნაურია, რომ მისი სიყვარული მისი ერთგულებით გამოიხატებოდა. მამასთან მხოლოდ და მხოლოდ წითელი თმა აკაშირებდა, დანარჩენი ყველაფერი ჩემი ჰქონდა. შემილია დავიფიცო, რომ მგავდა ნიკაპით, ოდნავ მაღალი ყრიმალებით, შავი თვალებით. როგორც კი დაიბადა, მაშინვე ხელში ავიყვანე და მოვეცერე. „აბა, ვინაა დედეკის გოგო?“ ენის მოჩლექით მივესიყვარულე.

როცა დაიბადა, ვტირის. გამიგია, რომ ჩემი შვილი სხვაგვარი წარმომედგინა, არამედ იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს ამოვისუნოვე, იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს დავინახე, რომ ვიღაცას ვუყარდი და ჩემი უსიტყვოდ ესმოდა. ვერ ვიტყვი, რომ საავადმყოფოში გაგებით მომეკიდნენ. ერთადერთი, რაც მითხრეს, ის იყო, რომ სასწრაფოდ უნდა დამეტოვებინა იქაურიბა, და რომ მელა მათ საფრთხეს უქმნიდა. საშინელება იყო იმის მოსმენა, თუ როგორ ლაპარაკობდნენ ჩემი შვილის შესახებ, თითქოს ის ახალშებილი არ იყო, თითქოს არ იმსახურებდა იმ ყურადღებას, რასაც სხვა ახალშებილები; ყველა თავს აქეთ-იქით აქნევდა და ისე იჯდანებოდა, თითქოს ჩემი გოგონა ყველაზე საზიზდარი რამ იყო, რაც კი ოდესებ ენახათ. მაჯაზე სახელის სამაჯურიც კი არ შეაბეს. გული დამწყდა, სულ ვოცნებოდნელი, ჩემი შვილის პირველი სამაჯური მთელი ცხოვრება შემენახა!

სახელი დაცევეტილ ყურში ჩავჩრუჩულე. „ანია, ანია დაგარქმევ“ ეს სახელი წინასწარ მქონდა შერჩეული და მომეჩვენა, რომ ძალიანაც მოუხდა.

როცა ანია დაიბადა, ჯერ ევრ ხედავდა. მხოლოდ ჩემს სუნს არჩევდა და სიამოვნებდა. თველებით ერთობის გამო ვირავი არ შეაბეს.

დილის საბ საათზე საშობიაროდან სასწრაფო დახმარების მანქანით შინ გაგვამგ ზავრეს. ზამთრის გამჭვირვალე დილა იდგა. მძღოლმა სირენა ჩართოდ და ღამის ქუჩები წივილით გავიარეთ. მე ბავშვს ყურებზე ხელში დავაფარე. მას მერე სირენის ხმაზე სულ ცახცახებს. შინ რომ მოვე-



დით, ისევ ბნელოდა. მძღოლმა კარამშე მიმაცილა. მთვარე ისევ ანათებდა და ვარსკვლავებიც კრთოდნენ ცაში. სამშობიაროდან სახლში დაპრუნების მთელი ეს რიტუალი არ ემთხვეოდა ჩემს წარმოდგენას. მაგრამ მაინც, ემოციებს ვეღარ ვიტევდი, როცა პატარასთან ერთად შინ შევაძიკვე.

როცა ანია პირველად ჩავარინებ თავის პატარა საწოლში, რომელიც მას უკვე რამდენიმე თვე იყო, ელოდა, სიხა-რულისგან ლამის გავვიუდი. მთელი ის ძრო, როცა მუცელი მეზრდებოდა და მიმკვრიცვდებოდა, უსასრულოდ ვუყურებდი ხოლმე ამ საწოლს და არც კი მჯეროდა, რომ ოდესმე მასში პატარას დავაძინებდი.

და აი, ის დღეც დადგა! ბავშვი დავანვინე და პატარა სა-  
ბანი დავახურე. მერე მეც დავწექი. ფეხით ბავშვის საწოლს  
ვარნევდი. თავს დაქანცულად ვერძნობდი, ისეთი გამოფი-  
ტული ვიყავი, რომ ვერც კი ვხვდებოდი, საერთოდ ვარსე-  
ბობდი თუ არა.

სულ რამდენიმე წუთში ტირილი ამიგვარდა. პატარა ლო-  
გინში ჩავინცინებ და მას შემდეგ სულ ჩემთან იწვა. ვჭირდებო-  
დი! ძალიან ხანძოელებ ცხოვრება საიმისოდ, რომ კაცმა ასეთ  
რამებზე იკამათოს. ისიც ვიცოდი, რომ ანიას ცხოვრება უფ-  
რო მოკლე იქნებოდა, ვიდრე ჩემი. ეს ყველაზე მძიმეა, როცა  
მელიას დედა ხარ. და ისიც ძალიან რთულია, რომ არავინაა  
შენს ირგვლივ იმავე ვითარებაში, ან იმავე გამოცდილებით.  
ისიც კი არ ვიცოდი, ანიას განვალი რა ფერის უნდა ყოფი-  
ლიყო, ის მომწვანო ფერი ძალიან მაღლელებდა.

არასოდეს დამვიწნებება დედატემის სახე, როცა ანია პირველად ნახა. დედა ყვავილებითა და რბილი სათამაშოებით დატყირთული მოვიდა. ნინა საღამოს დავურეკე და უეთხარი, რომ მშობიარობამ კარგად ჩაარა და ბავშვი სამ პაუნდს იწონიდა, რაც სიმართლე იყო. „ინკუბატორი არ დაჭირდა, ძალიან პანაზუნაა, არა?“ — დედა ლელავდა. „არა,“ — ვუპასუხე — „ექიმებმა თქვეს, რომ სავსებით ჯანმრთელია.“ სხვა არაფერი მითქვაშა.

კარი რომ გავუდე, დედა ველარ ითმენდა, ერთი სული პჟონდა, ბავშვი ენახა. „სადაა, სადაა?“ — თვალები უელავ-და — ჩემი გოგონა მისი პირველი შვილიშვილია. „ჩუმად, სძინავს“ — ვუთხარი.

„არა უშავს, უბრალოდ კალი თვალით შევიქციტები“.

დარნმუნებული ვიყავი, როგორც კი ანიას დაინახავდა, მა-შინვე შეუყვარდებოდა, ზუსტად ისე, როგორც მე შემიყვარდა.

ნუთუ არსებობს ვინმე, ვინც ანიას სილამაზეს ვერ დაინახავდა? საყვარელი წითელი ბეწვი ჰქონდა, სქელი და ცოცხალი, ფუმფულა კუდი და კუდის ბოლოს პანაზა თეთრი პონტონით უმთავრდებოდა.

არსებითად, მასი მთლიანი სიგრძის ერთი მესამედი კუ-  
დი იყო. ფეხებზე თეთრი ფარუჩები ჰქონდა ამოცმული. კა-  
ტასავით გრაციოზულად და ელეგანტურად მოძრაობდა. იმ  
ნუთიდან, რაც პატარა მელია გავაჩინე, ვხედავდი, რომ არ-  
ცერთი სხვა ბავშვი არ იყო მასზე მშენიერი. იმედი მქონდა,  
დედაჩემიც ისევე მოიხილებოდა მისით, როგორც მე.

— საძინებელში ფეხისწვერებზე შევედით. ანის ეძინა. დედაჩემა ბავშვს დახედა და ზენარივით გათეთრდა. „რა ხდება?“ — ნამჩურჩულა — „მექომრები?“

და სხვებიც ზუსტად ასე მიყურებდნენ ხოლმე, როცა  
ანიას ეტლით ვასეირნებდი. ხალხი ეტლში იჭყიტებოდა ჩე-  
მი პატარას სანახვად. მგონი, არასოდეს ენახათ ასეთი ბავ-  
შვი. ერთი ჩემი ძველი მეგობარი ანიას დაახვაზე გადაი-  
რა, თან რალაჭას ნერვილად ექცდა ჯიბეში, თან ანიას

უყურებდა. მერე ალიშვინა: „როგორ გგავი!“ მე სიამაყისგან გავპრენისთვის. „მართლა ასე ფიქრობ?“ სიამოვნებისგან წა-ვიკრუტუნე. ჩემი გოგონა მართლაც ლამაზი იყო ამ ახალ ეტლში, თეთრი საბანი ისე უხდებოდა ნითელ ლოყებზე! როცა გარეთ გამაყავდა, პამპერსს ვუკეთებდი, მიუხედავად იმისა, რომ ვერ იტანდა...

ძალიან მწყინდა, რომ მაამისს არასოდეს გამოუტქვამს ანიას ნახვის სურვილი. როცა ვუაბდე, ზუსტად შუალამისას როგორ გავაჩინე ჩენი ქალიშვილი მელია, მან არსებითად უარი განაცხადა მამობაზე. ისიც კი მითხრა, რომ ვატყუებდი, რომ ნამდვილ ბავშვს რაღაც დაფუძვებდა და მის ნაცვლად მყავს ახლა ანია. „ყოველთვის ვიცოდი, რომ აფრენ, შენი დედაც! აი, ხომ ხედავ, მართალიც ვიყავი! რაღაცას ბოდავ!“ მიყვიროდა, მერე ტელეფონი დამიხტექა. ვფიქრობდი, ტესტის გაკეთება მომეთხოვა მისთვის, მაგრამ ბრძოლის თავი არ მქონდა. არავინ ამომდგომა მხარში, მიუხედავად იმისა, რომ ამის იმედი მქონდა. არასოდეს ტვინშიც კი არ გამივლია, რომ მიმეგდო ჩემი შვილი, უარი მეთქვა მის დედობაზე, ან თავი მომეკატუნებინა, ჩემგან არ გამოსულა-მეთქი.

როცა ანა წამოიზარდა, ყველაფერი შეიცვალა. ჩემს ქალიშვილს აღარ მოსწონდა ეტლით სეირნბა ან სამზარეულოში მაღალ სკამზე ჯდომა. აღარც შინ ყოვნა უნდოდა. მუდმივად კართან იჯდა და მეოლოდებოდა, როდის გავაღებდი და კლისოლდის, ან ფინსბურის, ან დაუნპილის პარეში წავიყვანდი. ამასთან, უკვე ყურადღებით უნდა გვიფილიყვა. ერთხელ ჩვენთან პატარა გოგონამ მოიბინა, ნაყინით ხელში. საყვარელი ბავშვი იყო და თავზე ხელი გადავუსვი. ანიაზ ისე იგჭიანა, რომ შეულრინა და ომის ეჭა კიდევ.

ძალიან მაღვე ანია კედარ იტანდა, თუ ვინტე ჩემთან ახლოს მოვიდოდა. ჩემი ყველა შეგობარი გაფრთხილებული მყავდა, ლვთის გულისოფერი, როცა ჩვენთან შემორიცლიდნენ, ანიას თვალწინ არ გადამხვევოდნენ. ჩემს მეგობარ ადამს მართლაც ეცა, როცა ადამმა ხელები ასწია, რომ ჩამხსუტებოდა. ანია ჰოლში შემოვარდა, ადამს შეახტა და წააქცია. ზემოდან დააჯდა, პირდაპირ თვალებში უყურებდა და უღრენდა. ადამი ისეთ შოკში იყო, რომ მისი ნიშანურის სპირტით მოსულიერება მომიხდა. მას შემდეგ მისთვის არც თვალი მომიკრავს და ალარკ მისი სხ გამიგია.

ჩემი მეგობრები ამ შემთხვევას ყოველთვის ჩემს საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. „შინ ველარ იყოლიებ“ — ამბობდნენ, — „უნდა გაუქვაა“.

ნარმოდებული არ ჰქონდათ, რა აბსურდულად ჟღერდა  
ჩემთვის მათი სიტყვები.

დამის ლონდონი სავსე იყო მელიებით. ვერ კიძინებდი, როცა ისინი ზუსტად ჩემი გოგონას მსგავსად კიოდნენ და ყმულდენენ. რას ასწავლის დედა-მელია თავის ქალმშვილს? ეილონმა ჩრდალო შოტლანდიაში წავლა შემოგვთავაზა. იქ, გლენ სტრატფარარში ანისა გაუუშებდით. ეილინი ამბობდა, რომ იქ ჩემი ქალიშვილი უსაფრთხოდ და ბედნიერად იქნებოდა — ნითელი ირმი, ნითელი მელია და ნითელი მთები.

მაგრამ თავს ვერ ვაიძულებდი გოგონასთან განშორების შესახებ მეფიქრა. ღამით ჩატუტებულებს გვეძინა. მისი ბერვი მათბობდა. ანიას თავი ახლა უკვე ბალიშზე ედო, თა-თი კი ჩემს მხარზე. ძალიან უცნაური იყო — მის ერთ ნახევარს უნდოდა ყველაფერი ისე ეკეთებინა, როგორც ამას მე ვაკეთებდი — დაეძინა საბინის ქვეშ, ეჭმა, რასაც მე ვჭამდ, წასულიყო იქ, სადაც მე დავდიოდ, ერბინა, როცა მე დავრბოიდ, ესეირნა, როცა მე გსეირნობდი.

მის მეორე ნახევარს კი ყველაფერი ისე სურდა ეკეთებინა, როგორც თვითონ სურდა — ეჭამა, რასაც კი ქუჩაში ან პარკში ხელში ჩაიგდებდა. საშინელი ზარმაცი იყო. ნადირობით საკეების მოსაპოვებლად თავს არ იწუხებდა. რასაც უბრალოდ გადააწყდებოდა, იმას ჯერდებოდა. ისიც იმიტომ კი არა, რომ შიოდა — ძალიან კარგად ვაჭრევდი — უბრალოდ ასეთი ჩვევა ჰქონდა.

მეზობლების ნაგავში იქექებოდა და ნერვებს მიშლიდა, ყველაზე მეტად ამის მრცხველოდა. სულაც არ მაღელვებდა, ანია ბაღში მატლს ან ხოჭოს თუ ამოქექავდა. ერთხელ თვალი მოვკარი, ბაჭიას ყურების შეტოვება რომ იგრძნო ჩვენს ბაღში. ანიასთვის ესეც საკარისი იყო: საწყალი ბაჭია დაიჭირა, მოკლა და იქვე დაფლა შავი დღისთვის. მზარავდა, როცა სხვა, ჩვეულებრივ მელიებთან მის მსგავსებას ვხედავდი, როცა ვხვდებოდი, რომ სხვა ფესვები ჰქონდა. თანდათან აშკარა ხდებოდა, რომ კოიოტთან ან რუხ მგელთან უფრო მეტი ჰქონდა საერთო, ვიდრე ჩემთან. თუმცა დღე, როდესაც ჩემმა გოგონამ ბაჭია დაიჭირა, ყველაზე საამაყო იყო ჩემს ცხოვრებაში.

მთელი ჩემი ცხოვრება მისი მსგავსი არავინ მყოლია. არავისთან მიგრძნია თავი ისე კარგად, როგორც ჩემს ქალიშვილთან. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩემი ცხოვრება ორად გაიყო: ანია დაბადებამდე და ანია დაბადების შემდეგ ძალიან შევიცვალე. ორმოცისა ვიყავი, ანია რომ გავაჩინე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე გავლილი მქონდა. რაც მის დაბადებამდე მაინტერესებდა, ახლა იმას ყურადღებას აღარ ვაქცევდი — ჩემი წონა, თმა, ტანსაცმელი საერთოდ აღარ მანალვებდა. აღარც რესტორნებსა და პაბებში, არც წევულებებზე, და არც სპექტაკლებზე აღარ დავდიოდი. არანაირი ამბიცია აღარ მქონდა. უკვე სულელურად მეჩვენებოდა სურვილი, სხვაზე უკეთესი ვყოფილყავი. სამსახურში დაგრევე და დეკორაციული შეგებულება სამი თვით გავაგრძელე. მუშაობაზე ფიქრი კი ჩემს ძალებს აღმატებოდა. მხოლოდ ანია მაინტერესებდა.

სახლში მარტო ვიყავით და მეც ჩემს საყარელ მუსიკას ვუკრავდი ხოლმე ჩემი გოგონასთვის. ანია კი ცეკვავდა. ვუკრავდი მოცარტის საფორტეპიანო კონცერტებს, შოკენს, ელა ფიტცჯერალს და ლუი არმსტრონგს. ყველაზე მეტად ანიას ჯონი მიჩელი მოსწონდა. ჩემს შვილს მკერდში ვიკრავდი და ვცეკვავდით. „არ გინდა, ვიცეკვოთ, პატარავ“ — ვეუბნებოდი. გოგონას თვალები უბრნებინავდა და სახეს მილოკავდა.

„რაც მართლა, მართლა მინდა, ისაა, რომ ჩვენმა სიყარულმა ჩემი და შენი საუკეთესო თვისებები ამოატივტივოს“ ხმამღლა ვმღვროდი. ანიას უყვარდა, როცა გუმღლეროდა, განსაკუთრებით ხალხური სიმღერები ართიაბდა. ზოგჯერ ძილის წინ იავნანას ვღიღინებდი, ან ზღაპრებს ვუკითხავდი. ვყიდულობდი

ნიგნებს მელაყუდების შესახებ. ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, ეილინმა ანიას ბაჭია ბრერის თავგადასავალი მოუტანა. არცერთი სხვა მელია არ ისტონდა ასე ყურადღებით ზღაპრებს. „სხვა მელიები ისეთი ცბიერები და სულელები არიან, და შენ კი ასეთი ჭკვიანი ხარ.“ ზღაპრების კითხვისას ხმირად ვეუბნებოდი და მშვენიერ მეტად ვეფერებოდი. უყვარდა, როცა მკერდს ვფხანდი. ამ დროს ზურგზე გორავდა და ფეხებს ჰაერში იქნევდა.

საბოლოოდ სამსახურში დაბრუნება მაინც მომიხდა. ანია შინ მარტო დავტოვე. მე კი მთელი დღე კომპიუტერთან ვიჯექი, მელიებზე ვპასუხობდი და ყავას ვნრუპავდი.

პირველ დღეს, როცა შინ დავპრუნდი, სამზარეულოს ზის სკამების ფეხები მოჭმული დამხვდა, სამზარეულოს კარზე საღებავი კი სულ ჩამოფხაჭნილი. ყველაფერი, რისი დაზარნებული ანიას შეექლო, სამზარეულოდან ჰოლში გავიტანე, — ზის მაგიდა, დაღეჭილა რეცეპტთა წიგნები, სკამები. იატაკზე გაზეთები დაგაფინი. ბავშვს ძევლი ფეხსაცმელი დავუტოვე დასალრძნელად. ვიცოდი, რომ არცერთი ძიდა მასთან არ გაჩერდებოდა. თავს ვერ ვაიძლებდი, ძალების მომვლელი დამექირავებინა — ანია ძალი არ იყო! ეს ისეთი უსამართლობა იქნებოდა! სხვა გზა არ მქონდა — პრიბლემებს თვითონვე უნდა გაგმილავებოდი. დილით, როცა სამსახურში გავრბოდი, ჩემს ძევლ ჯემპრს ვუტოვებდი, რომ ჩემი სურნელი ეგრძნო, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ შინ დაბრუნებულს ის ჯემპრიც დაგლევილი დამხვდებოდა.

როცა ვცდილობდი, ჩემი თანამშევებინა — ანია ძალი არ იყო!

რომლებისთვის ანიას შესახებ მომეყოლა, ისინი თავს რატომლაც უხერხელად გრძნობდნენ და ერთმანეთს უცნაურად გადახედავდნენ ხოლმე. ეგონათ, რომ მე ამას ვერ ვამჩნევდი. ყველაფერს კარგად ვხდავდა და უფრო მარტოსულად ვგრძნობდი.

იყო ისეთი დღეებიც, როცა მთელს სამყაროს მხოლოდ მედა ანია ვაგსებდით. კვირაობით ეპის ტყეში დამყავდა და მასთან ერთად ველურივით დავრბოდი ნაძვებს შორის, ვახტებოდი დაცემულ ხეებს, დავდევდი კურდღლებს. ქარი თმას მიჩერავდა, ალტკინებული და ბედნიერი მეც მელასავით ვკიონდი. ერთადერთი ინსტინქტი, რაც იმ დროს მქონდა, ის იყო, რომ ტანსაცმელი გამერი და აქეთ-იქით ჩემი შევილივით დედიშილია მესუნსულა. იმ კვირა დღეებმა ყნოსვა გამიძლიერა. სადაც ანია იდგა და ჰაერს ყნოსვადა, მეც იქ ვდგებოდი და თავს იმავე მიმართულებით ვაბრუნებდი. უკვე ვხდებოდი, კურდღლელი ახლოს იყო თუ არა. იქ, ტყეში სირბილის დროს ყველაზე მეტად ვგრძნობდი, რომ ანიას დედა ვიყავდი. რა თქმა უნდა, მე ისე სწრაფად ვერ დავრბოდი, როგორც ჩემი გოგონა, და ვერც ვერასოდეს ვერ შევძლებდი. ანია წინ გაიჭრებოდა, მერე შედგებოდა, უკან იხედგოდა, მეტებდა, ჩემთან მორბოდა და მერე ისევ ერთად ვაგრძელებდით ნა-



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

კარტა.

ახლა მგონია, რომ ვერავი შეძლო ისე ნათლად დაენახებები-  
ნა ჩემთვის ჩემივე საკუთარი თავი, როგორც ეს ანიამ მოახერხა.  
ერთხელ, როცა ჩვენს ფოსტალიონს შეუღრინა, ცხვირში მივარ-  
ტყი. მერე თავს საშინალად ვგრძნობდი. მაგრამ სუთი წუთიც არ  
იყო გასული, რომ ანია მუხლებზე ამომახტა, და მთელი სახე ამი-  
ლოება, სასონარკვეთილი იყო, ეგონა, სამუდამოდ გავუბრაზდი  
და ალარასოდეს მომიბრუნდებოდა მასზე გული. არაფერი შეედ-  
რება შენდობის უნარს. ამაზე რომ ვფიქრობ, ლრიალი მინდება.  
ცხვირი ცხვირზე მივადე და გრძელ, ელვარე ბეწვზე მივეცერე.  
დიდი ხანი პირდაპირ თვალებში გუყურებდით ერთმანეთს. ვიცო-  
დი, მე ვერასოდეს შევძლებდი პატიებას ისე, როგორც ეს ანიას  
შეეძლო. ამის უნარი არ მქონდა. უბრალოდ არ მქონდა იმის ნიჭი,  
რომ მხოლოდ წინ მევლო. სულ ნარსულს ვექექავდი. არ შემეძლო  
მეპატიებინა ანიას მამისთვის შეილის მიტოვება, მისი დადებული  
პირობები და შემდეგ მათი ასე სასტიკად გატეხვა.

ერთ დილილი გავიღებიდე და ფუნჯრიდან გავიხედე. თოვდა. პანაწა ფილქები ციდან ბზრიალ-ბზრიალით ცვიოდა და მინაზე ეცემოდა. მინა უკვე მთლიანად თოვლით იყო დაფარული და ორგვლივ კველაფერი თეთრად ქათქათებდა. რძის მოსატანად ნავედი. თოვლზე ნაკვალევით მივხვდი, რომ ლამით ისევ მოსულიყვნენ მელიები. ეს მაგიურებდა. გული მიგრძნობდა, მათ ანია თავისი მსგავსი ეგონათ.

ჩემს გოგონას საუზმე მივუტანე — ცოტა ხილი და ნინილი. აშ-კარა იყო, ანია თავის თავს არა ჰეგვდა. თვალები ჩაქრობოდა და ყურები ჩამოყარა. სევდიანად შემომხედა, ისე, მზერა საუჯუნე რომ გრძელდება ხოლმე. ვერ ვხვდებოდი, რისი თქმა უნდოდა. მე-რე, როგორც იცოდა, ელეგანტური რხევით კართან მივიდა და თა-თა ორჯერ დაარტყა. ისევ შემომხედა. არასოდეს მინახავს მსგავ-სი სევდა. ალბათ უკვე ყველაფერი ყელში ამოუვიდა. ალბათ გაქ-ცევა უნდოდა იმ ძალლ-მელასთან ერთად, რომელიც სულ ჩვენი სახლის ირგვლივ დაძრნოდა და ანიას შეცყმულდა.

პრობლემა ის იყო, რომ ანიას გარეშე ცხოვრება ვერ წარმო-  
მედგინა. წინასწარ არც იმის შესახებ გაფრთხოებებს ვინმე —  
რა საშინელებაა, რომ ერთ დღეს დედმ შეიღლს მისგან წასვლის  
უფლება უნდა მისცეს და საკუთარი თვლით ნახოს, როგორ  
გარბის შვილი მისგან.

ერთხელ თავი იმაზე დავიჭირე, რომ შუალამისას ანიას ბავ-შვილის ფოტოებს ვათვალიერებდი. აი, ამ ფოტოზე ანია ექვსი თვისაა, რა სასაცილოდ წიგნს ბოთლს. აյ კი ბაღში ვართ, გულ-ში მყავს ჩაკრული. ეს ფოტო ძალიან მიყვარს — საყვარელი წი-თელი თავი ეტლიდან აქვს ამოყოფილი. იქ კი ჩემი გოგონა თა-ვის პირველ კურდღელს ბაღში ფლავს. ამ ფოტოზე მე და ანია ერთმანეთს თვალებში ცუყურებთ და ვიღიმებით.

იმ დამით, მოგვიანებით, როცა უკვე ვიწერებით, მათი ხმები ისევ გაისმა — ახლა უკვე ყველასათვის ნაცნობი ხმა — მელიების გადაძახილები. ანია წამოიდგა და ფარჯარასთან მივიდა. პასუხად მანაც დაიყმუსვლა. მალე ჩვენს ბალში ოთხი მელია შემოძვრა. მათი კაშაპა წითელი ბერზი ქათქათა თოვლზე განსაკუთრებით დრამატულად ჩანდა. მელიების დანახვაზე სუნთქვა შემეკრა. უცნაურად და მისტიკურად გამოიყურებოდნენ — ანიასგან განსხვავებულად. შეჯვაფული იდგნენ, მთვარის შუქით გაბრწყინებულები. კარგა სანი გაშტერებული უცუცურებდი და ისინიც ზუსტად ისევე მომშტერებოდნენ. ფეხშიშველი სამზარეულოში გავედი. რამდენიმე წუთი კარს უცუცერდი. მერე გავალე და ანია გარეთ, კუნაბეჭ ლამეში გავუშვი.

## ინგლისურიდან თარგმნა

၆၀၈

არ შეეძლო არ გამოცხვისაურებოდა თქვენი ურინალის ამასინიანდელ ნომერში (10 აგვისტო, №16) გამოქვეყნებულ თარგმანის იურა ნაგიპინის მოთხოვნისა — „სამნა, ქალი და მამაკაცი“. ამგვარი იმულებები სპონტანურია ხოლომე — ან ნინარმილებს ალიქვე შეს აღმოჩენაა, ან თარგმანს ან როიკეს ერთად და გინდება შენი მთაბეჭდილება კოლეგბის გაუზარო (შესაძლოა შემომნე კიდეც). ამავროვან ზომიერობის გამოლისა და ან ახორცი მას

აჯაონად შეკრისახსნების იუსტიციულს თან აზლდ ეკაფიკი გატრინბიერებულს სურვილი „ჩევინი მძრღლობის“ მკითხველთა ინტერესთა გათვალისწინებით, საუკრნალო პუბლიკუსისათვის რამდენიმე სიტყვა მიმდევრნებინა ამ მოთხრობის ავტორის, მთარგმნელისა და რეალურ პერსონაჟთა შესახებ.

ავტორიდან დავითყებ: ქართველ მეცნიერებთა უფროსი თაობისათვის კარგად იყო ნაცნობი იური ნაგიანის (1920-1994) სახელი. ქართულად ითარგმნა მისი მოთხოვნების ორი კრებული (თუმცა მოვაკინებით დაწერილი „სამწინო, ქალა და მმმაკაცი“ ამ კრებულებში არ შესულია), რასაც ნაცნიბინ არასიღდეს ივიწყებდა და თავს საქართველოს ერთგვარ „მოვალედ“ თვლიდა. თვითონ მას ა ბუნებით იშვიათად გულლისასა და ხელგაშლილს, პედონისტება და ქალების ტრიფილს (სხვათა შორის, ერთ-ერთი მის ექვეს ცოლთაგან — ბელა ახმადულინა გახსნდა) ხილავდა ქართული ყოფა და ხასათი და ეს სტიქიური სიმბათია რაღა თქმა უნდა ემჩნევა მისი მოთხოვნის იმ პასაჟებს, სადაც XX საუკუნის დასაწყისის თბილისური კოლორიტი და ბოჭებაა აღნერილი.

იური ნაგიძნის ზედომანი ამ ფსიქოტიპის — „საბედისწერო ქალის“ სულიერი სამყაროსი იმდენად ფაქტიზია და იმდენად საინტერესო, იმდენად დამაფიქტურებელი, რომ მართლაც დასასინი იქნებოდა, მისი მოთხოვობა ქართულ ენზე არ თარგმნილიყო. იათარგმნი კოდეც და ძალიან კარგად ანა აბდულაშვილის მიერ. „ჩენის მნერლობისათვის“ იგი დებიუტანტია, მაგრამ ჩენის მნერლობაში მისი დებიუტი ერთია წლის წინათ შესდგა — ფილმის დოსტოევსკის „ქმები კარამაზოვების“ ჩინებულობაზე.

ეს არის და ეს. გულწრფელი მაღლობა მთარგმნელ-  
საც და რედაქციასაც.

ცაზა აპზიანის

## შეიტანა მრჩეველთა, ცოლუდ გაკვლეველთა

დიდებული ქართველი მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი თავის უაღრესად პოპულარულ წიგნში

„საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ შორეულ ნარცულსაც გადაკვლება თვალს და მკითხველს ორიოდე სიტყვით გაცნობდა თანამედროვების ანალოგიურ სურათს, რომელიც გულსაკლავი ერთფერონებით მეორდება საუკუნეთა გრძელ გზაზე.

ზემოთ მოყვანილი ტირადა მკლევარს ამოულია იმ სიტყვიდან, რომელსაც ბიზანტიელი ისტორიკოსი ათქმევინებს პაიეტს („დიდებულს — ყოველივე რომაელის მოძულეს, სპარსელების მუდმივ მომხრეს“) და ეს ხდება 554 წელს ქრისტესით, სადღაულთის მიგარდნილ ხევში გამართულ საიდუმლო სახალხო კრებაზე.

მას შემდეგ არაერთხელ წამოჭრილა ამგვარი დილექტა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა წინაშე. ბაღდადი, კონსტანტინოპოლი, ისპაანი, რომი, პარიზი, სანკტ-პეტერბურგი, ბერლინი, ლონდონი, მოსკოვი, ვაშინგტონი — აი, ის მორჩმული ქალაქები, სადაც, ჩვენდა საგალალოდ, წყდებოდა ბედი ქართლისა.

„უმცირესი ბოროტების“ არჩევანი რეფრენად მოჰყვება ქართლის ცხოვრებას საუკუნეთა სიღრმიდან დღემდე.

ახლა ვასტენოთ და გავისხენოთ მეცე ქართლისა გიორგი XI ანუ გურგან-ხანი, როგორც მოისხენიებენ ევროპელი ავტორები. ჩაფიქრებული და მჭმუნავე კითხულობდა უფროსი ძმის შე-მონათვალს. გულში მოხვდა შეუნილბავი დამუნათება: „შენთა მრჩეველთა, ცრუდ მაკლეველთა, წყევა-გინება დია მომინდა“.

პოლიტიკურ გეხსაც უწუნებდა და ერთგულ თანამებრძოლ-  
თა ჭეუა-გონიერასაც.

არა, ნუვებშიც იყო არჩილ მეფის ლექსი, გამხნევებაც, მონატ-  
რებადა — ვეფხისტტაოსნიდან დასესხები სტრიქონით: „ნუცა მტი-  
რი, ნუცა მიგლოვ, ჩემი, ჩემსა სიყვარულას!“ მაგრამ ვერაფერი  
გადაწონიდა მკაცრ საყვედურს, რომელიც უწუნებდა იმ გზას,  
თითქმის ათი წელ რომ მსდევდა ირანში გადახვეწილი მეფე  
ქართლისა და უკანასკნელ ამოსუნთვამდე არ გადაუჩვერდა.

უფროსი მას მოსკოვიდნ მოუწიდებდა შორეულ ყანდაკარში გადაკარგულ უმცროს მას: ჩემთ გიორგი, პეტრეს დარად მოინა- ნიე ცოდვას.

როდესაც ყიზილბაშებმა უარშიო გიორგი XI-ს ქართლის მეფობა ჩამოართვეს და კახეთის ბაგრატიონთა ნაშეერს ნაზრაღალი-ხანს (ერებულ) უწყალობეს, კაონინიერი მეფე ქართლისა ერთხანს კი იბრძოდა თავისი ტახტის დასაბრუნებლად, მაგრამ ძალ-ღონე არ ეყო და ისევ ის ამჯობინა, რომ მოღალატე ფეოდალები იმავე იარაღით დაეთრდებუნა, რომლითაც მას ექიმშებოდნენ — ირანის შპას მხარცაჭირით.

სეფანინთა ინანი, ერთი სუკუნის წილა ტოლა რომ არ უდებდა ოს-  
მალეოსა და ინდოეოსა, ახლა მომზაბარე ბელუჯია და აზარათა ტომე-  
ბის თარეშს ვეღარ უჩელავდებოდა (სწორედ ამსა ამბობს მოხდენილად  
დავით გურამიშვილი: „ხრმლის სიფლოლეს სპარსთასა ჟამი რომ მიხვ-  
და ლობისა, ხება და-უმდიბლივათ, მოუკიბათ, სიტყვის თქმა ამაგბისა“).

ქართული ხმალი მართლაც ორ ჟანგბადივთ სჭირდებოდა სულთანობრძანების სეფიანთა დინასტიის. ირაზის შაჰმა ქრისტანის პროვინ-ციის ბეგლარბეგობა დაკავსრა ისპაანში მყოფ ქართლის ყოფილ მე-დეს.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „აიძულებდა ყევნი გიორგი

**სუდ გაკვლეველთა** მეცნიერება, რათა განაგონ საქმეები ესე  
და მიანიჭოს კვალიად ქართლი. და  
არ ინგებებდა მეცნიერება, არამედ ქარ-  
თულნი, რომელნი იყვნენ მის-თანა, ეკლესიურობის წოდიდად ამისა".

ქართული მემკვიდრეობის მიერ განვითარებულ ქართველ მხედრობაში — ლევან ბატონიშვილს, გიორგი მეფის მომდევნო ძმას, ასე ლორცავს იქაური მოსახლეობა: „კურთხულ არს ლმერთი, რომ ჩემინად მეტველად გამოიგაჩინა და დაგვისხსენ მტრითა ხელთაგან“.

მერე თითოონ გიორგისაც მოუწევს ქირმანში ჩასვლა. ისევ ბრძოლები უდაბნოში, მოთარეშეთ დამარცხება და, თვითმხილ-ველი ავტორის სენია ჩხეიძის გადმოცემით, ისევ ლოცვავენ ქარ-თველ მხედრებს: „კურთხეულ არს ღმერთი, თქვენ მაგისთანა კაცნი დაუბადებისართ და ჩვენთვის გამოგარიგვათო“.

გიორგის უბოძეს ქართლის მეფობა, ინანის სპასლარობა და ყნ-დაარის ბეგლარბეგითა. „ალუხნდა ფრიად საქმე ესე მეფესა და არა ენება. არამედ აიძულებდენ მის-თანა მყიფინ ქართველი ამის ყო-ფად“, — წერს გაზუშტი ბატონიშვილი. როგორც ვხედავთ, იგი ორჯერ აღინიშნას ხაზგასმით, რომ გიორგი XI დაპყვა თავისი კარისკაცთა რჩე-ვას და შეასრულა შეჭირვებული სეფიანთა ხელმწიფის ნება-სურვილი.

ვაზუშტი ბატონიშვილი, ცოტა არ იყოს, უწყებისყოფვი პიროვნებად გვიხატავს ქართლის მეფეებს, რომელსაც სინამდვილეში არც ღვთისა ეშინოდა და არც ეშმაკისა. სებნა ჩხეიძის სიტყვით, როდესაც „სამწუხარი საქმე იყვაის, მაშინ უფრო გამხიარულდის“. ასე სჩვევით მედგარი სულის პატრონებს, არ უჭირო ხოლმე „ჭირისა შიგან გამაგრება“.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვინ იყვნენ მისი მრჩეველნი, „ცრუდ მაკვლეველნი“ რომ უნოდა არჩილ მეფემ.

ვინ იყვნენ და ქართლის ცეკვაზე წარჩინებული თავად-აზნაურნი, რომელთაც არაერთხელ დაუშტკიცებიათ მეფისა და ქვეყნის ერთგულება: არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავით, გახტანგ და პაპუნა ციციშვილები, ზურაბ ზურაბიშვილი, თამაზ და გახუშტი ყაფლანიშვილები, პაპუა მუხრან-ბატონი, თეიმურაზ ჩხეიძე, კახა ჯავახიშვილი.

ალაპმა უწყის, ყურს უგდებდა თუ არა მათ რჩევებს გამაპმა-დიანებული მეფე ქართლისა, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ერთ ხმაში მღეროდნენ სუვერენი და სიუზერენები („უჩემოთ ვინ იმღერეთა“, ალბათ, საშმობლოში დატოვეს).

მრჩევლები დიახაც ჰყავდა მეფეს, მაგრამ მთავარი მრჩეველი, ცხადია, მისივე გონება და სინდისი იყო.

ვასუშტი ბატონიშვილის ცნობებზე მეტად ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ინფორმაცია სენია ჩხეიძისა, რომელიც ქართლის მეფეს ახლდა ისპანშიც, ქირმანშიც და ყანდაარმიც.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის ადგილი, სადაც აღწერილია მთელი ამ ეპოქის დასაწყისი: „არად ინგება მეფეებ გიორგი ქირმანი, რომ საქართველოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა. მოახსენა უარი, მაგრამ არ მოეშვა ხელმწიფე“.

ეს 1699 წელია. 1703 წელს კი აი, რა ხდება:  
 „უბოძა ყავნმა შაპსულთან ჰუსეინ მეფეს გიორგის ქართლი  
 და ერანის სპასალარიბა, ყავნდაარის ბეგლარბეგობა და გიორგი-  
 ისი ბეგვეჯნა სიხარული ქართლის შოვნისათვის, მაგრამ ყავნა-  
 არს წასვლის მოწყენა“.

თვითმხილველი ავტორი სენანა ჩხეიძე, არჩილ მეფისა და ვა-  
უშტიუ ბატონიშვილისგან განსხვავდით, ერთი სიტყვითაც კი არ  
ახსენებს „ცრუდ მაკვლეველ“ მრჩევლებს.

გიორგი XI-ის გადაწყვეტილება იმპერატორული, ნაუცხათევი ნაბიჯი რომელ გახდათ, არამედ სანგრძლივი ფიტჩისა და განსჯის ნებიყო. ხომალი, აუკრიმისას, ეს სამართლებრივი მიზანი

სიმართლის ენა მარტივი არისო, ამბობ-  
და სენერა. და ალბათ უფრო მარტივიც იქ-  
ნება, თუკი პატრია და სიმაღლეებს არ  
ეპოტირება. სწორედ „პარა სიმართლე“ აუმჯობესებია ლევან  
გორუასა თავის მოთხოვისაში „უზრი ქარავანი“, რომელიც მყაფი-  
ოდ გამოიჩინება ისტორიულ თემაზე შექმნილ ქართულ ნაწარმო-  
ებთა შორის, როგორც ერთობ ორიგინალური და უაღრესად პი-  
რუოვნელი ქმნილება.

მოთხოვობის სიუკეტი კულმინაციას მშინ აღწევს, როდესაც ოსმალეთში გადასვენილი გიორგი სააკაძე მოთელ ჯავრს და ბოლ-მას თავის ხმალზე იყრის — ელვის სისწრაფით გაიძრობს, მინში ჩაარჭობს და მარილივით გადაამტკრევს. სასოწარკვეთილი, თითქოსდა ხავსა ებდაუჭებარ, ვედრებანარევი ხმით ნამოიძახებს: „ისეით ხმალი მომეცით, ზედ ქართული სისიცობარი არ ეცხოს!“ გორგასალ ნასყიდშვილი, ერთგული ყმა და თანამედროვლი დადი მოუკავისა, ჯერ აიბინევა, მეტა თავის ხმალს შეიხსენა, ემთხვევა და მიიჩნდის: „ნასყიდაანთ ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არასოდეს!“ ამბობს მოკრძალებული სიამაყით. მაგრამ მოკრავი იმწასს ჩაეკითხება იქვენეულად: „მერმე ბაზალეთი?“ და პასუხად ესმის ნარმოუდგენელი აღსარება ერთგული ყმისის: „შე-მინდე, ბატონო! ხმალი არ გამიძრია ბაზალეთთან. ქრეაშიანად ვირიდებით მომხდურებს“. და ნათქვამის დასამტკიცებლად უჩ-ვენებს ქარქაშზე აღბეჭდილ ნაჭდევებს.

დღი მოურავი მრისებანედ შეხედავს თავის ყმას. მაგრამ გორგასალის მზერა პირდაპირია და თავსაც არ ხრის დანაშაულის გამოსახატავად. გაოგნებულ მოურავს მოულოდნელი სიტყვები აღმოჩედა: „შენ ჩემზე ბრძენი ყოფილსარ, მოხუცო! გამე-ცალე! არ დამენახო!“

პლასტიკური სურათი ეხმინება დაომზმებულ ტექსტის — უეცრად მოიხარაო, ქონდრისისაცის ოდენა გახდაო. კარავს შეაფარებს თავს. ახლა მარტოობა ურჩევნია.

ვის არ ებრძოდა თავისი შშფოთვარე ცხოვრების გრძელ გზაზე: ირანის ყაენს, სმაღლთა სულთანს, ადგილობრივ მეფე-ფეო-დალებსაც. მისი ხმალი შიშის ზარს სცემდა მეტოქეს ავლანეთსა თუ არაბეთში, მარტყოფსა და მარაბდაში, ტაშისკარსა და ბაზალეთში. ხან ცამდე მართალი იყო, ვინაიდან სამარტლოს მსახურებდა მისი მარჯვენა, სანაც საჭეფო ხდებოდა მისი აზვაგებული გულისისტანა. მაგრამ თ თვითონ ხომ ყოველთვის სჯერობა თავისი სიმართლე. და, რაც მთავარია, ებრძოვა ტოლი ტოლს, ებრძოდა იარაღით ხელში. მისი მელავესი ძალასა და მხედრიობითავრულ ნიჭებები იყო დამოკიდებული გამარჯვება. და ომში თუნდაც მარცხი ეწვნია, ეს არ მოასანვებდა მორალურ მარცხს. ახლა კი „უნიგინ“ გლეხხა ორიოდე სიტყვით დამარცხა ძლევამოსილი სარდალი. მწვავე კონფლიქტის დასაწყისი და დასასრული სულ რაღაც ორიოდე წუთში ჩატარდა. უნდა ვიუიქროთ, რომ მკაცრი თვითგან-სჯით გატანჯული მოურავის გონება უკვე მომზიცებული იყო ამ ლამის ფანტასტიკური აღსარების შესასწარებლად.

ირკვევა, რომ დაქვება კარგა ხანა ჩასახლებული გლეხეკაციის სულში. მნერლის სიტყვით, გორგასალი „ხშირად თავის ძალის სტუქსავდა კიდევაც გუნებაში. აი, როცა იგი ქართველებ-

**ପାରତିଙ୍କ** ଥେ ନିଶ୍ଚିହ୍ନଦ୍ୱାରା ବିମାଲ୍ସ“ ଗ୍ରହଗାସାଲୀର ଫିଜ୍-ରି ଡାର୍କଗାସ୍, ଉତ୍ତର ମିଉଙ୍ଗନୀ ଗାମିଶ୍ରିରାବ ମିଥ୍ଯେରାବ, ସାଧ ଗାମର୍ପଥେବୋନ୍ଦା ସିମାରତିଲ୍ଲେ „ଅପ ପାଶିଲେ କ୍ଷେତ୍ରଫିଲ୍ଡ ଡାଗର୍ଜନ୍ କ୍ଷେତ୍ରର୍କାର୍ଦାଶି“ ଏବଂ ଶାଖାର୍କାର୍ଦାଶି ମରତାଳା ଓ ମିଥ୍ୟାବିନୀ, ସିନ୍ଗରି ଓ ମିର୍ଜାଫିଲୀ, ମାଗରାବ ଲାଲଗୁଡ଼ା ମାନିଙ୍କ ଶାକଲୋପ-ଫେରା କ୍ଷେତ୍ରମାରିତ୍ତେବେଳୀ କ୍ଷେତ୍ରାଧ ମିଲାନ୍ଦିନ୍ଦମ ଅର୍ଜିଲୁବାନ୍ତ ଶାଖାଶମିତ ଗ୍ରାମିନ୍ଦମର୍ଦାଶି: „ମାତ୍ର ତାଙ୍କିଲେ ପାତାରା ସିମାରତିଲ୍ଲେ ମୁଦାମ କ୍ଷେତ୍ରନାଦା ଓ ଆବଳନାଦା“.

პატარა სიმღერთლე! სწორედ ეს გახლავთ გასასები მოთხოვნის გმირის, უძრალო მოყვავეებს, სულიერი სამყაროს ამისაცნობად. პატარა სიმართლე, რომელსაც შეუძლია გადაწონოს ყოველგვარი ვალი და ადათ-ნესები. გორგასალი უნდღურად მონაწილეობს იმ შეუძლებელ ჭიდოლში, ქვეყნის მესვეურთ რომ გაუმართავთ პირველობის მოსახვეჭად, მაგრამ მაინც არ ღალატობს თავის „პატარა სიმართლეს“. იგი აღემატება დიდყაცთა „დიდ სიმართლეს“, აღმატება, ვითარცა ხმა ერისა ანუ ხმა ღვთისა.

„სისხლის წვიმებას“ ეპოქაში, როდესაც გადამთიელნი უმოწყალოდ აპარტაზებენ სამშობლოს მინა-წყალს, როდესაც მეფენი იოლად ივიწყებენ ქვეშევრდომთა ამაგს, ხოლო ფეოდალები დაქინებით მეუღლტან უგვიორგვინო მეფობას, სწორედ გორგასალის „პატარა სიმართლე“ გამოხატავს მთელი ქვეყნის სინდის-ნამუსს, რომელიც ჯერ კიდევ არ გამერალა. გამორჩეულ გლეხკაცს ბატონზე მეტად სიმართლე უყარს და ბატონის ერთ-გულებაზე მაღლა აყენებს სიმართლისა!

მოურავის მრისებანება და ძალაუნებური აღიარება („შენ ჩეგ-ზე ბრძენი ყოფილხარ, მოხუცო!“) თვალნათლივ მტკყველებს, რომ სინაზულმა ძალუმდ და მტკყველულად შეკრა მისი სული, რადგანაც გორგასალ ნასაღიშვილის „პატარა სიმართლე“ რა-ლავითი სჯანინდა მისი ცხოვრისას კრებულის პირით დალადებს „პატარა ადამიანის“ ეჭვმიუტანელი და შეუკარი სი-მართლე, რომელსაც ვერ დაამარცხებ და ვერ მოსპობ. თუკი ერ-თგულმა ყმაშ, ვისახანაც ერთად ყოფილა ჭრისა და ლხნებში, ფაქ-ტობრივად, ზურგი შეაქცია ბაზზლეთის ომს, როგორლა უნდა გა-იმართოს თავი ამ ომის სულისჩამდგელმა და შემოქმედა?

დაას, გორგასალმა განაჩენი გამოიუტონა ბაზალეთს. ამდენი ერთგულების შემდეგ — ერთადერთი ლალატი, რომელსაც ასაზ-რდოებდა არა ქვენა გრძნობები, ანგარება თუ ანგარიში, არამედ უზენაესი სიმართლე, ესოდენ ძნელად საპოვნელი იმ შპატნელსა და ანენილ-დანენილ ხანაში, უზენაესი სიმართლე, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხელებია და ყველაფერზე მაღლა დგას.

გორგასალ ნასყიდაშვილს თავისუფალი სული მოსდეგამს, „უზინგონ“ გლეხის გორგაში თავისუფალი აზროვნების მარცვლები აღმორცენებულა. იგი უტოლდება იმ დიდებულ სახელებს, ქართველ ხალხს დიდი სიყვარულით რომ შეუმოსვეს. მადლობა ღმერთს, მრავალი არან ისანი — მეფები და სარდლები, წმინდანები და წამებულნი, სამშობლოსათვის თავდადებული გმირები.

„აა, სად შეუღლნევია „პატარა ადამიანს“ თავისი „პატარა სი-  
მართლით!“

တაမာစ် နိုံးပြောလျှင် အော်ဖြူရ ဆွဲပြုများဖွံ့ဖြိုးစွာ ပေါ်လေ့ရှိ သော်လည်းကောင်း၊ မီးပါ ထွေလွှာ လေ့ရှိ သော်လည်းကောင်း၊ မီးပါ ထွေလွှာ လေ့ရှိ သော်လည်းကောင်း၊

ემზარ კვიტუაშვილმა, კახეთებ კუდავაძმ. დამსწრე საზოგადოებამ იხილა ვიდეოკოლაჟი თამაზ ჩხერიძელის სატელევიზიო გამოსვლებიდან.

ითქვა, რომ დიდია თამაზ ჩენენკელის ღვანწლი თანამდელოვე ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში; რომ მისმა ლექსიბმა, თარგმანებმა, კრიტიკულმა წერილებმა და გამოკვლევებმა გააფართოვა ჩენი ლიტერატურის კულტურული არეალი; რომ იგი მწერლობის ისტორიაში დარჩება როგორც ესოცეტიზმისა და პიროვნული ღირსების განსახიერება, როგორც თანამდევი სული.